

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
BUSINESS-ENGINEERING FACULTY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ФАКУЛЬТЕТ БИЗНЕС-ИНЖИНИРИНГА
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემიდა

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№5(7)-2011

თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2011

შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ საზრისის ძიებას მივუძღვნი.
ბურდაევი

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.*
Burdaev

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвящу свою жизнь поиску этого смысла.*
Бурдаев

სარედაქციო კოლეგია:

ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე),
ჯ. ხეცურიანი, პ. კუბლაშვილი, გ. ხუროშვილი, ზ. რუხაძე, ზ. ძლიერიშვილი,
ზ. როგავა, ლ. შაიშმელაშვილი, ზ. გაბისონია, ქ. ჯინჭარაძე, თ. შომერუსი,
ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), J. Khetsuriani, P. Kublashvili,
G. Khuroshvili, Z. Rukhadze, Z. Dzlierishvili, Z. Rogava, L. Shaishmelashvili, Z. Gabisonia,
K. Jincharadze, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), В. Хрустал (зам. председателя), Дж. Хецуриани,
П. Кублашвили, Г. Хурошвили, З. Рухадзе, З. Дзлииришвили, З. Рогава, Л. Шайшмелашвили,
З. Габисониа, К. Джинчарадзе, Т. Шомерус, А. Брант.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011
<http://gtu.ge/temida/index.html>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის მოგონება

დაწერო მოგონება პიროვნებაზე, რომელიც არა მარტო შენთვის, არამედ მრავალი ადამიანისათვის ძვირფასი და ახლობელი იყო, ძალიან ძნელია, რადგან ამ მოგონებას ყოველთვის ახლავს ნოსტალგიით გამოწვეული უდიდესი სულიერი ტკივილი. ნუგზარ გაბრიჩიძე, თავისი თვისებებით, ნამდვილად გამორჩეული პიროვნება იყო, მაგრამ მასში დადებითი თვისებებიდან რომელი ჭარბობდა, გამოყო და ისაუბრო მასზე, ეს უფრო რთულია, რადგან ის ყველა დადებითი თვისებით იყო დაჯილდოებული: გარეგნობით, შინაგანი კულტურით, პოეტური სულით, ცხოვრებაში დახვეწილი ინტელიგენტობით, ძალიან ყურადღებიანი და მეგობრების საიმედო საყრდენი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე, უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული და თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება. ერთხელ ვკითხეთ, რატომ ერქვა ორი სახელი – ნიკოლოზი და ნუგზარი, გვიპასუხა: თურმე, როდესაც დაბადებულა, მშობლებს და ახლობლებს მისთვის ნუგზარის დარქმევა სურდათ, ეს რომ მის ნათლიას, ცნობილ მეცნიერსა და სახელოვან მამულისწილს ნიკო კეცხოველს შეუტყვია, უთქვამს, არა, ბავშვს ჩემი სახელი უნდა დაარქვათო. ასე შერჩა ორი სახელი, ოფიციალურად – ნიკოლოზი, შინაურულად – ნუგზარი.

ნუგზარის საქმიანობაში სამ მიმართულებას გამოვყოფ: პირველი, როგორც პრაქტიკოსი, მეორე, როგორც მეცნიერი და მესამე, როგორც საოცრად ნაზი და პოეტური სულის მატარებელი პიროვნება.

ბატონმა ნუგზარმა გაიარა პრაქტიკული საქმიანობის მეტად ნათელი და სახელოვანი გზა, რაიონის პროკურორის გამომძიებლობიდან საქართველოს გენერალურ პროკურორამდე. ყველა დამერწმუნება, რომ მის მიერ განვლილი გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი. ეს იყო ნარეკლიანი გზა, უძილო ღამეები, ზოგჯერ უდიდესი ფსიქოლოგიური სტრესით, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებით აღსავსე. პროკურორად საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 1990-1994 წლები იყო, როდესაც ქვეყანაში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, სრული განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა. ყველა კატეგორიის დანაშაულობებმა, განსაკუთრებით კი განზრახ მკვლელობებმა, კატასტროფულად მოიმბატა. ქალაქის მართვა ხელში აიღეს ცალკეულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, ე.წ. „სამშობებმა“, მათ სურდათ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროს გაკონტროლება. ბატონი ნუგზარი პროკურორად დაინიშნა იმ პერიოდში, როცა ბანდიტურმა შენაერთებმა

ვერაგულად მოკლეს თბილისის პროკურორი, ბატონი მიხეილ ქურდაძე. ამ დროიდან მოყოლებული, თბილისის პროკურატურამ, დედაქალაქის სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, უკომპრომისო და პრინციპული ბრძოლა გამოუცხადა დამნაშავეობას, რამაც, როგორც ცნობილია, დადებითი შედეგები გამოიღო. ამ კეთილშობილურ საქმეში უდიდესი ღვაწლი და დამსახურება ბატონ ნუგზარს მიუძღვის.

დროთა განმავლობაში ბატონ ნუგზარს ეცვლებოდა თანამდებობები. იყო საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, გენერალური პროკურორი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, მაგრამ პიროვნულად არ შეცვლილა, იგივე დარჩა, უღალატო მეგობარი, საოცრად სათნო, ყველას მიმართ ყურადღებიანი და სიკეთის მთესველი.

პროფესიული მოვალეობის უზადო შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ჩინი.

ცალკე აღნიშნას იმსახურებს ბატონი ნუგზარის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ინტერესის სფერო ოჯახში ძალადობით ჩადენილი დანაშაული იყო. შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ნუგზარმა გაკვალა „ყამირი“ და სანამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ თემაზე დაიცავდა დისერტაციას, უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ორი საინტერესო მონოგრაფია: „ოჯახში ძალადობით ჩადენილი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება“ და „ოჯახში ძალადობით ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია“. მის კალამს ეკუთვნის ორმოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი და მრავალი საგაზეთო პუბლიკაცია სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

ბატონი ნუგზარი უნაკლო პედაგოგი იყო. მის მიერ წაკითხული ყოველი ლექცია გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით და პროფესიონალიზმით.

მნიშვნელოვანია, რომ ბატონი ნუგზარი საოცარი პოეტური სულის ადამიანი იყო. ლექსებს იშვითად წერდა, ძირითადად მაშინ, როცა ამისთვის შესაბამისი განწყობა ჰქონდა. გამოცემული ჰქონდა ლექსების კრებული „წუთისოფელი ასეა“, რომელიც მისი ახლობლებისთვის იყო განკუთვნილი. ბატონი ნუგზარის პოეზია სამშობლოს, სიკეთეს, ერთგულებას, ადამიანურ ურთიერთობებს, ოჯახის წევრებს და ზოგჯერ სევდასაც ეძღვნება. მისი ლექსებიდან საოცარი სიბოლ და სიფაქიზე გამოსჭვივის.

ბატონი ნუგზარი თავს პოეტად არ თვლიდა. თავის მოკრძალებულ შემოქმედებასთან დაკავშირებით ხაზგასმით ამბობდა, რომ მისი ლექსები „პოეზიასთან მიახლოების მცდელობაა“.

დასასრულ, არ შეიძლება ბატონ ნუგზარზე მოგონება მისივე ლექსის ერთი სტროფით არ დავამთავრო:

„მე პოეტობას არ ვიბრალებ, პოეტი არ ვარ,
ზოგჯერ კალამი გამეჩქევა, რითმებს ვიგონებ,
ამ ცხოვრებიდან, ამ ქვეყნიდან როდესაც წავალ,
მოსაგონებლად დაგიტოვებთ თქვენ ამ სტრიქონებს“.

ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა ბატონი ნუგზარის უკვდავი სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
სამართლის დეპარტამენტი

**საბანკო პლასტიკური ბარათების
სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები**

საბანკო პლასტიკური ბარათები ადამიანთა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მინიმალური ლეგალური შემოსავალი მაინც აქვს და არ ჰქონია პრაქტიკული შეხება საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებასთან.

საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათებით ტრანზაქციების განხორციელება აქტიურად ბოლო ათწლეულში განვითარდა. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელფასს საბანკო პლასტიკური ბარათებით იღებს. ეს ფორმა მოქმედებს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისათვის. მაგრამ, საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელთა დიდ ნაწილს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს მის შინაარსზე და ბარათთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზე.

თავად პლასტიკური ბარათი არ არის ფასიანი ქაღალდი. არ შეიძლება მისი სხვისთვის გადაცემა, გასხვისება ან დაგირაუება¹. პლასტიკური ბარათი ანგარიშსწორების ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით ხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდება ან სხვაგვარი ტრანზაქცია.

ისევე, როგორც ნებისმიერი ინოვაციური პროდუქტის შემოტანამ, საქართველოში პლასტიკური ბარათების დანერგვამაც მრავალი სამართლებრივი პრობლემა შექმნა. ხშირია არასწორი ტრანზაქციების, ბარათებისა და მისი ე.წ. “პინ-კოდების” ერთად ტარებისა და მოპარვის შემთხვევები, პაკერების მიერ საბარათო ანგარიშების “გატეხვისა” და ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შემთხვევები და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 15 მარტის №70 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა “საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ დებულება” (შემდგომში მოიხსენიება, როგორც “დებულება”), რომელმაც დაარეგულირა საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივი საკითხები.

დებულების პირველი მუხლის “ა” პუნქტის მიხედვით, “საბანკო პლასტიკური ბარათი არის საგადამხდელო ინსტრუმენტი, რომელიც არის საანგარიშსწორებო საშუალება საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისა-

¹ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ზოგიერთ რაიონში დღესაც შეხვედებით პლასტიკური ბარათების გამოყენების დამახინჯებულ და ფაქტობრივად არალეგალურ ფორმებს. ასე, მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც პლასტიკური ბარათის მფლობელები თავიანთ სახელფასო ბარათს შესაბამის “პინ-კოდთან” ერთად გადასცემენ ე.წ. “მევახშეებს”, რომლებიც სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის საშუალებად იყენებენ ე.წ. “პლასტიკური ბარათის დაგირაუებას” და ხელფასის ჩარიცხვის დღეს თავად ახდენენ მსესხებლის ანგარიშიდან თანხის გამოტანას და ამით გადასახდელი სესხისა და პროცენტის გადახდევინებას.

დებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განსახორციელებლად”.

ზემოაღნიშნული დეფინიციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბანკო პლასტიკურ ბარათს აქვს შემდეგი ფუნქციები:

- ა) საბანკო პლასტიკური ბარათი არის საგადამხდელო ინსტრუმენტი;
- ბ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორება პროდუქციის ან მომსახურების შესაძენად;
- გ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია ნაღდი ფულის მიღება (ანგარიშზე განთავსებული თანხის განაღდება);
- დ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია ვალუტის გაცვლა (კონვერტაცია);
- ე) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია კანონმდებლობით დაშვებული სხვა ოპერაციების განხორციელება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო პლასტიკური ბარათების გამოშვებას (ემისიას) ახორციელებს ემიტენტი ბანკი¹. ბარათის ემისია მოიცავს შემდეგი პროცედურების განხორციელებას: ა) ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას; ბ) საბანკო ანგარიშის გახსნას; გ) ბარათის პერსონიფიცირებას; დ) ბარათის და პინ-კოდის გაცემას; ე) ბარათების საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებას.

იმისათვის, რომ სწორად გავერკვეთ საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივ პრობლემებში, უფრო დეტალურად განვიხილოთ ბარათის თითოეული ფუნქცია.

ა) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც საგადამხდელო ინსტრუმენტი. როგორც აღინიშნა, ბარათი არ არის ფასიანი ქაღალდი. იგი ემიტენტი ბანკის მიერ, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ემიტირებული (გამოშვებული) პლასტიკისაგან დამზადებული ბარათია. მასზე ე.წ. “მაგნიტურ ზოლზე”, სპეციალური “მიკროჩიპის” საშუალებით დატანილია ინფორმაცია ბარათის მფლობელის ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ.

იმისათვის, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირი გახდეს საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელი, ვაღდებულია ემიტენტ ბანკთან გააფორმოს სპეციალური ხელშეკრულება “საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურების შესახებ”. აღნიშნულ ხელშეკრულებას, როგორც კომერციული ბანკების მიერ კლიენტებთან გაფორმებულ საბანკო მომსახურების შესახებ სხვა ტიპის ხელშეკრულებებს, აქვს სტანდარტული პირობები². აღნიშნული პირობები, როგორც წესი, კომერციული ბანკის მხრიდან წინასწარაა დადგენილი და მასში კლიენტის მხრიდან ცვლილებების შეტანა ან შენიშვნების გათვალისწინება იშვიათად ხდება.

დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ზუსტად განსაზღვრავს, რა აუცილებელ პირობებს უნდა შეიცავდეს ემიტენტ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება “საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურების შესახებ”. ესენია:

- ა) ბარათის ტიპი;
- ბ) ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, საკომისიოები და საპროცენტო განაკვეთები;

¹ Reiner Kohls. Bankrecht. 2. Aufl., Verlag “Beck”, 1997, S. 147.

² ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ იხ. ზ. ახვლედიანის ვაღდებულებითი სამართალი (მე-2 გამოც.). თბ., 1999, გვ. 24-28;

- გ) ბარათის სტოპ-სიაში¹ შეყვანის, გაუქმების და ამოღების წესები;
- დ) მხარეთა უფლება-ვალდებულებები;
- ე) ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- ვ) საბარათო ანგარიშებზე წარმოებული ოპერაციების და სხვა უზუსტობების გასაჩივრების ვადები (არანაკლებ 45 კალენდარული დღე);
- ზ) დავის გადაწყვეტის საჯარიმო სანქციების ამოქმედების წესი და ვადები;
- თ) შესრულებულ ოპერაციებზე მიმდინარე და პერიოდული ინფორმირება; კლიენტის მოთხოვნით ამონაწერის ოპერატიული გაცემა;
- ი) სხვა პირობები.

“საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურების შესახებ” ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რამდენიმე კალენდარულ დღეში ხდება შესაბამისი კატეგორიის საბანკო პლასტიკური ბარათის დამზადება და საგადამხდელო ისტრუმენტად გამოყენება.

დებულება განსაზღვრავს იმ ძირითად პარამეტრებს, რაც აუცილებელია საბანკო პლასტიკური ბარათების დამზადებისა და იდენტიფიცირებისათვის. კერძოდ, დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საბანკო პლასტიკური ბარათის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაციის მიზნით, ბარათს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ელექტრონული ავტორიზაციისათვის საჭირო ერთ-ერთი მექანიზმი: მაგნიტური ზოლი, ჩიპი; მაგნიტური ზოლი და ჩიპი ერთად და სხვა, სადაც დაშიფრული სახით ჩაწერილი იქნება ბარათის მფლობელის მონაცემები. ამასთან, ბარათზე მითითებული უნდა იყოს: ბარათის წინა მხარეს – კლიენტის სახელი და გვარი (შეიძლება სახელის შემოკლება ან ტიტულის დამატება). (მაგალითად, ევროპაში ხშირად გამოიყენება არისტოკრატიული წარმოშობის დამადასტურებელი ტიტულები, როგორიცაა გრაფი, ლორდი, სერ; აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის ან აკადემიური თანამდებობის აღმნიშვნელი ისეთი შემოკლებები, როგორიცაა პროფ. დოქ. და სხვა – ზ.გ.), ბარათის მოქმედების ვადა (ძირითადად მიეთითება თვე და წელი – ზ.გ.), საბარათო საგადამხდელო სისტემის (მაგალითად, VISA, MasterCard, American Express და ა.შ. – ზ.გ.) და ემიტენტის დასახელება (მაგ., თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ბანკი რესპუბლიკა და ა.შ.), მათი ლოგოტიპები (საფირმო ნიშნები, ბრენდები, კონკრეტული საბანკო პროდუქტის ლოგოები (მაგ., საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებულია სპეციალური ბარათი “სოლო”, სპეციალური ლოგოთი და ა.შ. – ზ.გ.), ბარათის ნომერი² (საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ასოციაციებთან (VISA International, MasterCard Incorporated, American Express Company) შეთანხმებით, გამონაკლისი დაიშვება “ბარათის ნომრის” მითითებასთან დაკავშირებით; ბარათის უკანა მხარეს – ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი (ე.წ. CVC ან CVV2 – ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კლიენტის ხელმოწერის ადგილი. ეს უკანასკნელი პლასტიკური ბარათის უკანა მხარეს გამოყოფილი სპეციალური ადგილია, სადაც ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის მიღებისთანავე გააკეთოს მისი ხელმოწერის ნიმუში (ფაქსიმილე), რომელიც აღიქმება

¹ ბარათის სტოპ-სია გულისხმობს იმ პლასტიკური ბარათების სიას, რომლებზეც ტრანზაქცია დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

² ბარათის ნომერი განსხვავდება საბარათო ანგარიშის ნომრისგან. ბარათის ნომერი არის ბარათზე ამოტვიფრული სპეციალური თექვსმეტიწიანი (ოთხი ოთხ ჯგუფად დაყოფილი ციფრების ერთობლიობა) ნომერი, რომელიც უნიკალურია და არ მეორდება სხვა ბარათზე, მაშინ, როცა, საბარათო ანგარიშზე შესაძლებელია “მიბმული” იყოს რამდენიმე ბარათი ანუ რამდენიმე ბარათის ნომერი – ზ.გ.

პირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ საშუალებას ბარათით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პლასტიკური ბარათის დამზადების შემდგომ ხდება მისი მფლობელზე გადაცემა. ბარათის გადაცემასთან ერთად კლიენტს გადაეცემა ბარათის მოხმარების წესები და სპეციალური პინ-კოდი.

ბარათის პინ-კოდი სპეციალური უნიკალური კოდია, რომელიც არის პერსონიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნომერი. გამოიყენება ბანკომატებსა და პოსტ-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად. საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათის პინ-კოდი ძირითადად ოთხი ციფრისაგან შედგება, თუმცა უცხოეთის ბანკების მიერ გაცემული პლასტიკური ბარათების პინ-კოდები უფრო მეტი ციფრის კომბინაციას შეიცავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დებულება უშვებს თორმეტნიშნა კოდების გამოყენებასაც.

საბანკო პლასტიკური ბარათის პინ-კოდი მიიჩნევა ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორად და, შესაბამისად, დაუშვებელია ფურცელზე დაწერილი პინ-კოდის ტარება პლასტიკურ ბარათთან ერთად, რადგან მათი მოპარვის შემთხვევაში, ბარათის უკანონო მფლობელს თავისუფლად შეეძლება ბარათზე არსებული ლიმიტის სრულად განაღდება ბანკომატიდან ან პოსტ-ტერმინალების მეშვეობით სასურველი პროდუქციის შეძენა.

ბ) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება პროდუქციის ან მომსახურების შესაძენად. საბანკო პლასტიკური ბარათი “მიბმულია” კონკრეტულ საბარათე ანგარიშთან. საბარათე ანგარიში შეიძლება იყოს როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ასევე თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებში (აშშ დოლარში, ევროში და ა.შ.). ბოლო წლებში საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული პლასტიკური ბარათების უმრავლესობა ე.წ. “მულტისავალუტოა”, რაც ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ბარათის “მიბმა” შეიძლება რამდენიმე საბარათე ანგარიშზე, საიდანაც ერთი ანგარიში გახსნილია ქართულ ლარში, მეორე – აშშ დოლარში, ხოლო მესამე – ევროში. ამ შემთხვევაში, ბარათის გაცემისას ემიტენტი ბანკი ბარათის მფლობელს სთხოვს ბანკში დააფიქსიროს რომელიმე სავალუტო ანგარიშის პრიორიტეტი სხვა ანგარიშებთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, ბარათის მფლობელს შეუძლია მიუთითოს, რომ პრიორიტეტის მიხედვით პირველ ადგილზე იქნება ლარი, მეორეზე – ევრო, მესამეზე – აშშ დოლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბარათე ანგარიშებზე პრიორიტეტის მინიჭებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ვალუტაში არსებული საბარათე ანგარიშები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ბანკში ანგარიშის პრიორიტეტად მითითებული აქვს ევრო და აღნიშნული ბარათით უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარით ყიდულობს საქონელს ქართულ მაღაზიაში, მაშინ ბარათის პოსტ-ტერმინალში გატარებისას, აღნიშნული ნასყიდობის თანხა კლიენტს ჩამოეჭრება არა საღარე ანგარიშიდან, არამედ ევროს ანგარიშიდან, შესაბამისი კონვერტაციის კურსით, რაც, როგორც წესი, წამგებიანია, ბანკის მიერ ევროს ლართან ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის არსებული სხვაობის გამო. ამიტომ საბარათე ანგარიშზე პრიორიტეტულობის განსაზღვრას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც აღინიშნა, საბანკო პლასტიკური ბარათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მისი საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორება. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ბარათის მფლობელს იმ სავაჭრო ან მომსახურების ობიექტებში, რომელშიც დაიშვება ბარათით ანგარიშსწორება, კლიენტს არ სჭირდება ნაღდი ფულის გამოყენება. ამ დროს ანგარიშსწორება ხდება ბარათის სპეციალურ პოსტ-ტერმინალში მოთავსებით და, უნაღდო ტრანზაქციის მეშვეობით, შესაბამისი ნასყიდობის თანხის ანგარიშიდან ჩამოწერით.

დებულების პირველი მუხლის “თ” პუნქტის მიხედვით, პოსტ-ტერმინალი პლასტიკური ბარათის მაგნიტური ზოლის და/ან მიკროჩიპის წამკითხავი მოწყობილობაა, რომელიც გამოიყენება საბანკო განყოფილებებში ან სავაჭრო მომსახურების ობიექტებში ავტორიზაციის მისაღებად და შენაძენის საფასურის ბარათით გადახდის გასაფორმებლად ან თანხის გასატანად.

პოსტ-ტერმინალის საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორებისას პლასტიკური ბარათი თავსდება სპეციალურ აპარატში, კლიენტს ევალება პინ-კოდის აკრეფა, ხოლო ჩეკის ამობეჭდვის შემდეგ ანგარიშსწორების დადასტურება ხელმოწერით.

დღეს პოსტ-ტერმინალის გამოყენებით პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ტრანზაქციების ნახევარი სწორედ პოსტ-ტერმინალების გამოყენებით საბანკო პლასტიკური ბარათებით უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოდის.

გ) **საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც ნაღდი ფულის განაღდების საშუალება.** საბანკო პლასტიკური ბარათის მნიშვნელოვანი ფუნქციაა მისი გამოყენებით ნაღდი ფულის მიღება. ნაღდი ფულის მისაღებად პრაქტიკაში ორი ძირითადი საშუალება გამოიყენება: ა) პლასტიკური ბარათის წარდგენა ბანკში, სადაც ოპერატორი, სპეციალური საბანკო პროგრამის გამოყენებით, ახდენს საბარათო ანგარიშიდან თანხის მოხსნას და საღაროს მეშვეობით ნაღდი ფულის განაღდებას; ბ) ბანკომატის მეშვეობით თანხის განაღდება.

ბანკომატი თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობაა, რომლის საშუალებით პლასტიკური ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, უნაღდო გადახდების განხორციელება და სხვა.

საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და ბარათის დამზადების შემდეგ, ბანკი ბარათის მფლობელს გადასცემს ინსტრუქციას ბარათის გამოყენების შესახებ, სადაც დეტალურადაა მოცემული ბანკომატში თანხის განაღდების ინსტრუქცია. კერძოდ, ბარათი თავსდება ბანკომატში, მფლობელი ირჩევს შესაბამის ენას, შემდეგ კრეფს პინ-კოდს და უთითებს სასურველ თანხას. რამდენიმე წამის შემდეგ ბანკომატი უბრუნებს მფლობელს ბარათს და მითითებულ ნაღდ ფულს.

დ) **საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც ვალუტის გაცვლის (კონვერტაციის) საშუალება.** უნდა აღინიშნოს, ბანკომატის მეშვეობით შესაძლებელია ასევე ავტომატურ რეჟიმში ვალუტის კონვერტაცია და შესაბამისი სასურველი ვალუტით თანხის განაღდება. ასე, მაგალითად, თუ ბანკომატში ბარათის მფლობელი ათავსებს ბარათს, რომელიც “მიბეჭდილია” საღარე ანგარიშზე და მფლობელი აირჩევს სასურველ ვალუტაში აშშ დოლარს ან ევროს, ავტომატურ რეჟიმში ბანკომატი მოახდენს ლარის გაცვლას (კონვერტაციას)

აშშ დოლარზე ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით და მფლობელს დაუბრუნებს ნაღდ ფულს შესაბამის უცხოურ ვალუტაში.

ეს ფუნქცია ბანკომატებს ბოლო წლებში დაემატა და საბანკო პლასტიკურ ბარათებს ეფექტური პრაქტიკული დანიშნულება შესძინა, რადგან, სურვილის შემთხვევაში, მფლობელს აღარ ესაჭიროება ვალუტის კონვერტაციისთვის კომერციულ ბანკში ან სავალუტე ჯისურებში წასვლა.

ე) საბანკო პლასტიკური ბარათით სხვა ოპერაციების განხორციელება. დღეს პლასტიკურმა ბარათმა სხვა დამატებითი ფუნქციებიც შეიძინა. მაგალითად, პლასტიკური ბარათის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ ნაღდი ფულის გამოტანა, არამედ პირიქით, ნაღდი ფულის საბარათე ანგარიშზე შეტანაც. ბოლო წლებში აღნიშნული ფუნქცია საქართველოს ბანკომატებმაც შეიძინეს.

გარდა ამისა, პლასტიკური ბარათები ხშირად ჩართულია სხვადასხვა გათამაშებაში, ქულების დაგროვებისა და პრიზების მიღების პროგრამებში და ა.შ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია, ცნობილი პლასტიკური ბარათების ემიტენტი კომპანიის “ამერიკან ექსპრესის” (American Express) დაგროვებითი პროგრამა “Membership Rewards”, რომლის მიხედვით აღნიშნული ბარათის გადახდისას ავტომატურად გროვდება ქულები და მფლობელს შეუძლია ეს ქულები შესაბამის პრიზებზე გადაცვალოს¹.

ზვიად გაბისონია,
სამართლის დოქტორი

საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

ნაშრომი შეეხება საბანკო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს – საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივი რეგულირების ძირითად ასპექტებს.

ავტორი დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობას საბანკო პლასტიკური ბარათების რეგულირების შესახებ. განმარტავს საბანკო პლასტიკური ბარათების დეფინიციას და მისი სამართლებრივი რეგულირების პრობლემებს, ასევე საბანკო პლასტიკური ბარათების ძირითად ფუნქციებსა და მისი რეგულირების სამართლებრივ ასპექტებს.

Zviad Gabisonia,
doctor of law

MAIN ASPECTS OF LEGAL REGULATIONS REGARDING TO BANK PLASTIC CARDS

The presented work is about one of the most important and essential institute of Banking Law, - about main aspects of legal regulations regarding to bank plastic cards.

¹ “Membership Rewards”-ის დაგროვებითი პროგრამის შესახებ იხ. www.americanexpress.ge

The author makes detailed overview of Georgian legislation about banking plastic cards. The author explains definition of banking plastic cards and talks about problems of its legal regulations.

The work contains general overview about main functions and aspects of legal regulations of banking plastic cards.

Звиад Габисония,
доктор права

ОСНОВНЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ БАНКОВСКИХ ПЛАСТИКОВЫХ КАРТ

Работа представляет: один из наиболее важных и существенных институтов банковского права, основные аспекты правового положения, касающиеся банковских пластиковых карт.

Автор делает подробный обзор грузинского законодательства о банковских пластиковых картах, также поясняет правовое определение банковских пластиковых карт и рассказывает о проблемах их правового регулирования.

Работа содержит общий обзор основных функций банковских пластиковых карт и анализирует отдельные формы аккредитива, его положительные и отрицательные аспекты для экспортеров и импортеров.

დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების არსი

თანამედროვე საბანკო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანგარიშსწორების ისეთ ფორმას, როგორიცაა ანგარიშსწორება აკრედიტივით.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბიზნესურთიერთობებში აკრედიტივით ანგარიშსწორება ხშირად გამოიყენება. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად კომპანიებს ერთმანეთის მიმართ “ბრმა” ნდობა არა აქვს და ხელშეკრულების გაფორმებისას ყოველთვის რჩება იმის რისკი, რომ რომელიმე მხარე შესაძლოა არაკეთილსინდისიერად მოიქცეს. ასე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, გამყიდველი ფიქრობს, რომ თუ მყიდველი მას წინასწარ არ გადაუხდის ნასყიდობის თანხას და ისე გაუგზავნის ნაყიდ საქონელს, შესაძლოა მყიდველმა თანხის გადახდა დაუგვიანოს, არასრულად გადაუხადოს ან სულაც უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ანალოგიურად, მყიდველი ფიქრობს, რომ თუ წინასწარ გადაუხდის თანხას გამყიდველს, შესაძლოა ნაყიდი საქონელი უხარისხო, ნაკლები რაოდენობით ან/და საერთოდ ვერ მიიღოს. შესაბამისად, ხელშეკრულების ორივე მხარეს გარკვეული ბიზნესრისკები არსებობს.

სწორედ აღნიშნულის გამო, საბანკო სისტემაში შემუშავებულ იქნა ანგარიშსწორების ისეთი ფორმა, რომელიც აღნიშნულ ბიზნესრისკებს ამცირებს და ფაქტობრივად ორივე მხარეს გარანტირებულს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაში. ანგარიშსწორების ერთ-ერთ ასეთ მოქნილ ფორმად დოკუმენტური აკრედიტივი მიიჩნევა.

დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც ანგარიშსწორების ფორმა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით მოქმედ რეზიდენტ კომპანიებს შორის ანგარიშსწორებისას, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. პრაქტიკაში უფრო ხშირად სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება. დოკუმენტური აკრედიტივი საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და გარანტირებულ ფორმაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულებას განიხილავს მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) – სახელშეკრულებო სამართლის ოცდამეერთე თავში (საბანკო მომსახურება) და სხვა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებთან ერთად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, დოკუმენტურ აკრედიტივს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა, კერძოდ, კოდექსის 876-ე მუხლი¹.

“1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ ამ პირის ბრძანებით გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ფულადი თანხა ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი,

¹ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლში მითითებულია “დოკუმენტალური აკრედიტივი”. ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი რუსულის - “Документальный Акредитив”-ის კადკს წარმოადგენს და მისი სწორი ქართული შესატყვისია “დოკუმენტური აკრედიტივი” – ზ.გ.

მოახდინოს აქცეპტი, ან დაავადოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.

2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური¹.

აღნიშნული მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი საკმაოდ ბუნდოვანია და ნათლად ვერ ასახავს აკრედიტივის რეალურ შინაარსს. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ აკრედიტივის შინაარსი, საჭიროა, პირველ რიგში, მის ცნებასა და მასთან დაკავშირებულ საბანკო პროცედურებში გავერკევოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივი ლათინური სიტყვაა (accredo) და ნიშნავს “ვენდობი”. ეკონომიკური შინაარსით, აკრედიტივი არის გადახდაზე ბანკის წერილობითი ვალდებულება, რომელსაც იგი მყიდველის (იმპორტიორის) დავალებით ექსპორტიორის სასარგებლოდ იღებს. აკრედიტივის გახსნით ბანკი ცალმხრივად კისრულობს ფულად ვალდებულებას, რომ სპეციალური სახსრებიდან ექსპორტიორს გადაუხდის გადატვირთული საქონლის საზღაურს ან მოახდენს გასაგზავნი თამასუქის აქცეპტირებას (ვალდებულების განაღდებაზე თანხმობას), თუ იგი ბანკს სრულყოფილად წარუდგენს ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს¹.

იმისათვის, რომ აკრედიტივის ფორმით ანგარიშსწორება განხორციელდეს, მხარეებმა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას “ანგარიშსწორების” დასაწყისში უნდა მიუთითონ, რომ “ანგარიშსწორება ხორციელდება აკრედიტივის საშუალებით”. ხოლო თავად აკრედიტივით ანგარიშსწორების პროცედურა მოიცავს შემდეგი საფეხურებს:

1. იმპორტიორი (მყიდველი) და ექსპორტიორი (გამყიდველი) აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას (ნასყიდობის, მიწოდების და ა.შ.) და მასში ანგარიშსწორების ფორმად თანხმდება დოკუმენტური აკრედიტივის აღკვეთის შესახებ. აუცილებელია, რომ ძირითად ხელშეკრულებაში მხარეებმა წინასწარ გაითვალისწინონ იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი წარდგენაც ექსპორტიორს ევალება თანხის განაღდებისას. დოკუმენტაციის ჩამონათვალზე ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი და ამიტომ აქ არ შევჩერდები.

2. იმპორტიორი (მყიდველი), რომელსაც საბანკო ურთიერთობებში “აპლიკანტს” უწოდებენ, ემიტენტ (მომსახურე) ბანკს ავალებს გაუხსნას სპეციალური აკრედიტივის ანგარიში. ბანკი ამოწმებს აპლიკანტის გადამხდელუნარიანობას² და, დადებითი შედეგის შემთხვევაში, ხსნის აკრედიტივის ანგარიშს.

3. იმპორტიორის ემიტენტი (მომსახურე) ბანკი უკავშირდება ე.წ. საავიზო ბანკს (რომელიც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად თავად ექსპორტიორის (გამყიდველის) მომსახურე ბანკს წარმოადგენს) და ატყობინებს აკრედიტივის გახსნის შესახებ. ამასთან, საავიზო ბანკს სთხოვს, რათა ექსპორტიორს აცნობოს მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის შესახებ.

4. საავიზო ბანკი უკავშირდება კლიენტ ექსპორტიორ კომპანიას (ბენეფიციარს) და ატყობინებს მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის შესახებ. შეტყობინებასთან ერთად საავიზო ბანკი ექსპორტიორს უგზავნის აკრედიტივის პირობების ასლს.

¹ გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ., 2008, გვ. 342.

² უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტიორი (აპლიკანტი), როგორც წესი, აკრედიტივის გასახსნელად მიმართავს მომსახურე ბანკს, სადაც საბანკო ანგარიშები აქვს გახსნილი და სარგებლობს სხვა საბანკო პროდუქტებით (საბანკო კრედიტი, ანაბარი, საბანკო გარანტია და ა.შ.). ამიტომ, ბანკის მიერ აპლიკანტის გადამხდელუნარიანობის შემოწმება, ხშირად პრობლემის გარეშე ხდება და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

5. ექსპორტიორი (ბენეფიციარი) ამოწმებს აკრედიტივის პირობების შესაბამისობას მასა და იმპორტიორს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობებთან და, დადებითი შედეგის შემთხვევაში, მისაწოდებელ საქონელს უგზავნის გადამზიდავ კომპანიას (წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად). იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტივის პირობები არ შეესაბამება მხარეთა შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებას, მაშინ ექსპორტიორი უკავშირდება იმპორტიორს და, შენიშვნების მიღების შემთხვევაში, აპლიკანტი ბანკის მეშვეობით კორექტირებას უკეთებს აკრედიტივის პირობებს.

6. საქონლის სატრანსპორტო კომპანიაში გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორი (ბენეფიციარი) გადამზიდავისაგან იღებს შესაბამის სატრანსპორტო დოკუმენტებს.

7. მხარეთა შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ექსპორტიორი აღნიშნულ სატრანსპორტო დოკუმენტებს საავიზო ბანკს წარუდგენს.

8. საავიზო ბანკი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია და, თუ ძირითადი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტიორს გადაუხადოს აკრედიტივში მითითებული საქონლის თანხა.

9. აღნიშნულის შემდეგ საავიზო ბანკი სატრანსპორტო დოკუმენტაციას ემიტენტ ბანკს გადასცემს.

10. ემიტენტი ბანკი ამოწმებს საავიზო ბანკიდან მიღებულ სატრანსპორტო დოკუმენტაციას და, დადებითი შედეგის შემთხვევაში, საავიზო ბანკს გადაურიცხავს აკრედიტივის თანხას.

11. ემიტენტი ბანკი პარალელურ რეჟიმში ახდენს აღნიშნული აკრედიტივის თანხის იმპორტიორის ანგარიშიდან ჩამოწერას ან სხვაგვარად გადახდევინებას.

12. ემიტენტი ბანკი იმპორტიორს გადასცემს სატრანსპორტო გადაზიდვის დოკუმენტაციას.

13. იმპორტიორი აღნიშნულ დოკუმენტაციას წარუდგენს სატრანსპორტო კომპანიას.

14. დადებითი შედეგის შემთხვევაში, სატრანსპორტო კომპანია იმპორტიორს გადასცემს შესაბამის საქონელს.

ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული პროცედურიდან ნათლად ჩანს აკრედიტივის იურიდიული ბუნება. კერძოდ, აკრედიტივის ხელშეკრულების მხარეებია: იმპორტიორი (მყიდველი, საქონლის მიმღები, თანხის გადამხდელი), ემიტენტი (აპლიკანტი) ბანკი, საავიზო ბანკი და ექსპორტიორი (გამყიდველი, საქონლის მიმწოდებელი, თანხის მიმღები).

იმპორტიორის ვალდებულებაა საქონლის ნასყიდობა/მიწოდების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმართოს მომსახურე ბანკს (ემიტენტ ბანკს) აკრედიტივის გასახსნელად. მას შემდეგ, რაც შესრულდება აკრედიტივის პირობები, ემიტენტ ბანკს უხდის აკრედიტივის თანხას და უფლება აქვს მისგან მიიღოს ექსპორტიორისგან გამოგზავნილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია, რომელსაც საქონლის მისაღებად წარუდგენს სატრანსპორტო კომპანიას.

რაც შეეხება ემიტენტ (აპლიკანტი) ბანკსა და საავიზო ბანკს, ისინი აკრედიტივის ხელშეკრულებაში ფაქტობრივად შუამავლების როლს ასრულებენ ანგარიშსწორებისას იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის. აღნიშნულ მომსახურებაში, რასაკვირველია, ბანკები შესაბამის საკომისიოს იღებენ. საქართველოში, აკრედიტივის მომსახურებისათვის ემიტენტ ბანკისა (აპლიკანტის) და საავიზო ბანკის ფუნქციების შესრულებისათვის საკომისიო გა-

ნისაზღვრება აკრედიტივის თანხის დაახლოებით 0,1%-0,5%-ით¹, თუმცა აწესებს მინიმალური გადასახადის ზღვარსაც.

აკრედიტივის ხელშეკრულებაში ექსპორტიორის ვალდებულებაა საავიზო ბანკიდან აკრედიტივის გახსნის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე გადაამოწმოს აკრედიტივის პირობები მასა და იმპორტიორს შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებაში. დადებითი შედეგის შემთხვევაში, საქონელი გააგზავნოს გადამზიდავ სატრანსპორტო კომპანიაში, ხოლო გადამზიდავი კომპანიის მიერ მოწოდებული სატრანსპორტო დოკუმენტაცია საავიზო ბანკს წარუდგინოს. ექსპორტიორი უფლებამოსილია დოკუმენტაციის სრულად წარდგენისა და მისი საავიზო ბანკთან გადამოწმების შემდეგ ამ უკანასკნელისგან მოითხოვოს აკრედიტივის თანხის განაღდება.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის ხელშეკრულებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ექსპორტიორისათვის დადებითად მიიჩნევა: ა) ბანკიდან გადახდის ვალდებულების წარმოშობა; ბ) პარტნიორის (იმპორტიორის) გადახდისუნარიანობისა და კეთილსინდისიერების შემოწმება; გ) ექსპორტის ხელშეწყობა; ხოლო უარყოფითი მხარეა: ა) შედარებით მაღალი საბანკო ხარჯები; გადაუხდელობის მაღალი რისკი აკრედიტივით დადგენილი დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის დროს.

იმპორტიორისათვის დადებითად მიიჩნევა: ა) უცხო ბაზარზე გამოყენების შესაძლებლობა; ბ) გადახდის გაიოლება; გადახდა მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე, რითაც ხელშეკრულების პირობების შესრულება დასტურდება; ხოლო უარყოფითი მხარეა: ა) რისკი, რომ საქონელი დოკუმენტში მითითებულ ხარისხს არ შეესაბამება; ბ) შედარებით მაღალი საბანკო ხარჯები.

აკრედიტივის ხელშეკრულების სამართლებრივ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ აკრედიტივის ერთ-ერთი მთავარი საკითხია გადაზიდვის შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტაციის სწორად წარდგენა. სატრანსპორტო დოკუმენტაციაში იგულისხმება არა მარტო გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ., კონოსამენტი), არამედ საქონელთან დაკავშირებული სპეციალური კომერციული დოკუმენტები. საერთაშორისო ბიზნესში ამგვარ დოკუმენტებად ითვლება:

- საგაჭრო ანგარიშ-ფაქტურები (“ინვოისები”);
- სატრანსპორტო დოკუმენტები (კონოსამენტი, ექსპედიტორის მოწმობა საქონლის მიღება/ჩატვირთვის შესახებ და ა.შ.);
- სასაწყობო მოწმობები „ვარანტი“ (საქონლის შესახებ მიღებული მოწმობა), “დელივერი” (მფლობელის წერილობითი განკარგულება საქონლის გაცემის შესახებ) და სხვ.
- სადაზღვევო პოლისი ტვირთის დაზღვევის შესახებ;
- საქონლის სერტიფიკატები (წარმოშობის სერტიფიკატი, ხარისხის, ზომა-წონის, კონტროლის და ა.შ.);
- სხვა დოკუმენტაცია (საბაჟო ფაქტურები, დეკლარაციები და ა.შ.).

¹ ასე, მაგალითად, სს “თიბისი ბანკის” ტარიფები აკრედიტივის გახსნა-ვიზირება განისაზღვრება 0,2%-ით (მინიმუმ 120 ევრო), აკრედიტივის დამოწმებისათვის 0,1% (ყოველ თვეზე ან მის ნაწილზე), დოკუმენტების მიღება-შემოწმება 0,1% (მინიმუმ 120 ევრო), ცვლილებების შეტანა 120 ევრო, აკრედიტივის ანულისრება 120 ევრო, სხვა დამატებითი ხარჯი – დანახარჯების შესაბამისად იხ. <http://www.tbcbank.ge/ge/corporate/fees/>. დაახლოებით ანალოგიური ტარიფები აქვს სხვა ქართულ ბანკებსაც. იხ. www.bog.ge; www.procreditbank.ge; www.republic.ge და ა.შ.

აკრედიტივის ხელშეკრულებაში სატრანსპორტო დოკუმენტაციას, წარდგენის აუცილებლობის ასეთი მნიშვნელობის გამო, უწოდეს საერთაშორისო ბიზნესსამართალში “დოკუმენტური აკრედიტივი”.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობისა და პრაქტიკაში ხშირად გამოყენების გამო, საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ორგანოების მიერ დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ მიღებულია რამდენიმე რეკომენდაცია და პუბლიკაცია. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის 1993 წლის №500 პუბლიკაცია “დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ”. მართალია, აღნიშნულ დოკუმენტს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, მაგრამ უდიდესი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. დოკუმენტური აკრედიტივების შესახებ მიღებული რეკომენდაციები ცალკე განხილვის თემაა და აქ არ შევჩერდები.

დოკუმენტური აკრედიტივი, მისი რთული შინაარსიდან გამომდინარე, საბანკო პრაქტიკაში საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადად გამოყოფენ აკრედიტივის შემდეგ სახეებს:

- გამოუთხოვადი აკრედიტივი;
- გამოთხოვადი აკრედიტივი;
- სარეზერვო აკრედიტივი (“standby”);
- დადასტურებული აკრედიტივი;
- დაუდასტურებული აკრედიტივი;
- ტრანსფერაბელური აკრედიტივი;
- შემხვედრი აკრედიტივი (“Back-to-back”)¹.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის ეს ფორმები აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივ პირობებს არ ცვლის და უფრო ტექნიკური პროცედურების განსხვავებულიობაში ვლინდება.

ზვიად გაბისონია,
სამართლის დოქტორი

დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების არსი

ნაშრომი შეეხება საბანკო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს – დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულებას და მის სამართლებრივ პრობლემებს.

ავტორი განიხილავს აკრედიტივის ხელშეკრულების არსს, მის სამართლებრივ დეფინიციას, აგრეთვე აკრედიტივის ხელშეკრულების გაფორმებისა და მოქმედების მთელ პროცედურას, აკრედიტივის ხელშეკრულების ცალკეულ სახეებს და დადებით და უარყოფით ფაქტორებს ექსპორტიორისა და იმპორტიორისათვის.

¹ Reiner Kohls. Bankrecht. 2. Aufl., Verlag “Beck”, 1997, S. 200-207.

ESSENCE OF AGREEMENT OF DOCUMENTARY LETTER OF CREDIT

The presented work is about one of the most important institutes of Banking Law - it is about documentary letter of credit and problems of legal regulations regarding to it.

The author makes an overview of agreement of letter of credit, and its legal definition. Also, the work contains detailed analysis of making an agreement of letter of credit and the whole procedure of its process of action.

Apart from things above-mentioned, the author distinguishes and analyzes separate forms of letter of credit, and positive and negative aspects of letter of credit for exporters and importers.

Звиад Габисония,
доктор права

СУТЬ ДОГОВОРА ДОКУМЕНТАРНОГО АККРЕДИТИВА

Работа посвящена одному из наиболее важных институтов банковского права – документарному аккредитиву и проблемам его правового регулирования.

Автор работы рассматривает суть договора об аккредитиве, его правовую дефиницию и дает его юридическое определение. Кроме того, работа содержит подробный анализ решений договора аккредитива и всей процедуры его действий.

Помимо упомянутого, автор выделяет и анализирует отдельные формы аккредитива, его положительные и отрицательные аспекты для экспортеров и импортеров.

მოსამზადებელი სხდომა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ამ კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად.

„მოსამზადებელი სხდომა არაა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმე მომზადებული იქნება. მოსამზადებელი სხდომა არაა აგრეთვე საქმის სტადიის აუცილებელი ელემენტი, საქმე შეიძლება მომზადებულად ჩაითვალოს ისე, რომ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება არც მოიწვიოს და არც ჩაატაროს მოსამართლემ.“¹

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ზომებს იღებს საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ – მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადო მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობება მხარეებს.

მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დაინიშნოს 2 შემთხვევაში:

1. თუ მოსამართლე ვარაუდობს, რომ მხარეები შეიძლება მორიგდნენ – მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, მოპასუხემ ცნოს სარჩელი.
2. საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს.

„რა მიზნითაც არ უნდა დაინიშნოს, მოსამზადებელ სხდომაზე საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული საქმის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორიცაა მხარეების მიერ დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, მესამე პირებისა და თანამონაწილეების პროცესში ჩაბმა, ადგილზე დათვალიერების ჩატარება, ექსპერტიზის დანიშვნა, სპეციალისტის მოწვევა და ა.შ.“²

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მიმჩნია, რომ მოსამზადებელ სხდომას მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს არა მარტო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას (ანუ თუ მოსამართლე ვარაუდობს, რომ მხარეები შეიძლება მორიგდნენ – მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს), არამედ იმ კუთხით, რომ სასამართლომ სრული წარმოდგენა შეიქმნას აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, მხარეებმა უფრო ზუსტად გაიგონ დავის არსი და შესაძლებლობა მიეცეთ მთავარი სხდომის დანიშვნამდე განსაზღვრონ ახალი ფაქტობრივი გარემო-

¹ თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯისიაი“. თბილისი, 2005, გვ. 330.

² თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 370.

ებები და წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებები. მოსამზადებელი სხდომა უნდა ატარებდეს ე.წ. გასაუბრების ხასიათს სასამართლოსა და მხარეთა შორის. სხდომაზე საუბარი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ შუამდგომლობებზე, რომლებიც მხარეებს აქვთ დაყენებული სარჩელში ან შესაგებელში, ან რასაც დამოუკიდებლად აყენებენ სხდომაზე, არამედ თვით სასარჩელო მოთხოვნაზე.

სასამართლოს შეუძლია მოისმინოს როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით, როგორც ეს ხდება მთავარ სხდომაზე. თუმცა, ამას ექნება გასაუბრების ხასიათი და იქნება მოთვლავა მთავარი სხდომის ჩატარებამდე. მოსამზადებელი სხდომა მხარეებსაც და სასამართლოსაც სრულ წარმოდგენას უქმნის სასამართლო დავასთან დაკავშირებით. მოსამართლემ სავარაუდოდ უკვე იცის გადაწყვეტილების შინაარსი, შედეგი, რომლითაც შეიძლება დამთავრდეს საქმე, რაც შეუძლია მხარეებსაც განუმარტოს და მათაც შესაძლებლობა აქვთ გადაწყვიტონ რა გზით აპირებენ დავის გაგრძელებას. ამან შეიძლება აიძულოს მხარე უარი თქვას სარჩელზე ან, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, გაიხმოს სარჩელი, რაც შესაძლებლობას მისცემს დაიბრუნოს საქმის მასალები მის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟთან ერთად და სასურველი პირობის შექმნის შემდეგ ხელახლა მიმართოს სასამართლოს. მოპასუხეს ასევე შესაძლებლობა მიეცემა ცნოს სარჩელი ან წავიდეს მორიგებაზე მხარესთან მისთვის სასურველი და სასარგებლო პირობებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელი სხდომა ნაკლებ ფსიქოლოგიურ ბარიერებს შეიცავს. მხარეები უფრო თავისუფალი არიან, ვინაიდან ეს არის ჩვეულებრივი საუბარი მოსამართლესა და მხარეებს შორის, აზრების გაცვლა-გამოცვლა, მთავარ სხდომაზე კი მხარეები შეზღუდული არიან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, მთავარი სხდომის მსვლელობის ჩარჩოებით, მოსამართლის მიერ განსაზღვრული ახსნა-განმარტების მიცემის დროით და სხვა. ეს ქმნის იმ პირობას, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებმა უკეთესად გაანალიზონ საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება.

კანონით მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა სავალდებულო არ არის, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია და სასურველი, სასამართლო ხშირად ნიშნავდეს მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის მიხედვით, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევდა სანქციას მათ მიმართ. მხარეები თავს არიდებდნენ მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადებას, რადგან იცოდნენ, რომ გამოუცხადებლობას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვებოდა. ეს ქმნიდა საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სასამართლო ნიშნავდა მოსამზადებელ სხდომას, განსაზღვრულ გარემოებათა გასარკვევად, რომელსაც უნდა გაერკვია გარემოებები, რომელთა დაუდგენლობით და მხარის გამოუცხადებლობით ჭიანჭურდებოდა საქმის განხილვა.

სსსკ-ის 229-ე და 230-ე მუხლებში შეტანილმა ცვლილებებმა, მათი მხარდამჭერების აზრით, სასამართლოს შესაძლებლობა მისცა, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს შეცვლის მხარეთა დამოკიდებულებას მოსამზადებელი სხდომის მიმართ და გააღრმავებს პასუხისმგებლობას ასეთ სხდომებში მონაწილეობისადმი. ამდენად, მოსამზადებელი სხდომის როლი, დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობის ფონზე, უფრო გაიზარდა და არ არის გამორიცხული, რომ დავათა გარკვეული

რაოდენობა ამავე სხდომაზე დასრულდეს. საბოლოო ჯამში, პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, ეს შედეგი სასამართლოსათვის ბევრად მომგებიანია. მოსამზადებელ სხდომაზე საქმის დამთავრება შესაძლოა მოხდეს მხარეთა მორიგებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმით, სარჩელის გახმობით ან მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობით. ეს გარემოებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ყველაზე ეფექტური ფორმაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კოდექსში შეტანილ ამ ცვლილებას თავისი უარყოფითი მხარეები აქვს. ვერ გავიზიარებ ამ ცვლილებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ იგი ემსახურება პროცესის ეკონომიზრობას და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობის შემთხვევებს. მხარეები მარტივად ვერ ეგუებიან მარცხს და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე არ მიდიან მის აღსასრულებლად. ხშირ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილებები საჩივრდება. მისი გაუქმების შემთხვევაში კი სასამართლო და მხარე დიდ დროს კარგავს საქმის განხილვისათვის, რაც გამორიცხავს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

„პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხარე, რომელიც დაინტერესებულია საქმის განხილვის გაჭიანურებით, არც ამ მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდება, სასამართლოს კი მიაჩნია, რომ მან უნდა გადადოს მოსამზადებელი სხდომა და კვლავ დაიბაროს მხარეები. ასეთი ვითარება უდავოდ მიუთითებს სასამართლოს არამართლზომიერ მცდელობაზე აიძულოს მხარე იაქტიუროს. კანონი არ ითვალისწინებს და არ გულისხმობს მოსამზადებელი სხდომის გადადებას, განმეორებით დანიშვნას და მრავალჯერ ჩატარების შესაძლებლობას. უკიდურეს შემთხვევაში, მოსამზადებელი სხდომა შეიძლება მეორედ დაინიშნოს, თუ აუცილებელია, მაგალითად, მხარეებს მიეცეთ მათივე შუამდგომლობით დრო მორიგებისთვის.“¹ ეს გარემოება ასევე მეტყველებს იმაზე, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს სხდომის გადადებას და დავის გაჭიანურებას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არა მხოლოდ მოსამზადებელ, არამედ მთავარ სხდომაზეც, გარკვეულწილად ზღუდავს მხარის უფლებებს და ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს. თუმცა, მთავარ სხდომაზე შესაძლებელია ეს გამართლებული იყოს, როგორც სანქცია არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ, ვინაიდან არსებობს დიდი ალბათობა, რომ მხარისათვის ცნობილია სარჩელის არსებობის შესახებ.

მოსამზადებელ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობისას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარისათვის საერთოდ არ იყო ცნობილი სხდომის დღე, მაგალითად, სარჩელი ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, სარჩელთან ერთად ამ პირს ეცნობა მოსამზადებელი სხდომის დღე, თუმცა მან ვერ ან არ აცნობა დროულად ამის შესახებ მხარეს. ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ მოსამზადებელი სხდომის დღე მხარეს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70–78-ე მუხლების წესების დაცვით, რაც სავარაუდოდ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძველი. მიმაჩნია, რომ შემდგომში აღნიშნული მუხლის შინაარსი უნდა გადაიხედოს და საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე აღდგეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე და 230-ე მუხლების

¹ თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯისიი“. თბილისი, 2005, გვ. 331.

ძველი რედაქცია. ეს მიდგომა განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა არ შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ სასამართლოში შექმნილი ვითარებიდან, განსახილველი საკმეების რაოდენობიდან გამომდინარე, სასამართლოს საქმიანობის შემსუბუქების მიზნით. კანონმდებლობა უნდა ემსახურებოდეს ადამიანების ინტერესებს და მათი უფლებების სწორად და სწრაფად განხორციელებას.

მერაბ ღვინიაშვილი,
სამართლის დოქტორნატი

მოსამზადებელი სხდომა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

განხილულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი უკანასკნელი ცვლილებები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სასამართლო რეფორმის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დახვეწას.

Merab Gviniashvili,
PHD Student

PREPARATION MEETING IN COURT OF INSTANCE OF APPEAL

The theme of preparation meeting in court of instance of appeal is urgent for the point of view, that in the condition of court reforms the main attention should be paid the improvement of civil proceedings legislation. There is considered the latest changes pointed at civil proceedings code, also the negative and positive sides of the above changes.

Мераб Гвиниашвили,
докторант права

ПОДГОТОВИТЕЛЬНОЕ ЗАСЕДАНИЕ В СУДЕ АПЕЛЛЯЦИОННОЙ ИНСТАНЦИИ

Тема подготовительного заседания в суде апелляционной инстанции актуальна. В условиях судебной реформы особое внимание уделяется усовершенствованию гражданско-процессуального законодательства. Рассмотрены последние изменения в гражданском процессуальном кодексе, точнее, вопрос вынесения заочного решения на подготовительном заседании, его положительные и отрицательные стороны.

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ და წარდგენილ იქნეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

„კანონის ამ დანაწესის დედაზრი მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტები და მტკიცებულებები, რომელთა შესახებ ცნობილია მხარეებისთვის, უნდა წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.“¹

„ახალი ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომლებიც ადრე არ იყო მითითებული მხარეების მიერ იმის გამო, რომ არ იყო ცნობილი მათ შესახებ და წარმოიშვა პირველი ინსტანციის საქმის განხილვის შემდეგ ან თვითონ მხარემ, ან სასამართლომ არ ჩათვალა ისინი საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ.“²

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მას მნიშვნელობა აქვს საქმისთვის.

„სააპელაციო სასამართლო არაა შეზღუდული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საქმეში არსებული მტკიცებულებების შემოწმებისა და შეფასების შედეგებით. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია კვლავ შეამოწმოს და შეაფასოს ეს მტკიცებულებები, თუ ეს აუცილებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმებისთვის, აგრეთვე თუ არსებობს 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები.“³

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ახალი ფაქტების მოყვანას და ახალი მტკიცებულებების წარდგენას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაადასტურებს გარემოებას, რომ მის მიერ ეს ფაქტები ვერ იქნა მოყვანილი და მტკიცებულებები საპატიო მიზეზით ვერ იქნა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ახალი ფაქტების მოყვანას და მტკიცებულებების წარდგენას სააპელაციო სასამართლოში უკავშირებს მათ მნიშვნელობას საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

¹ თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი. 2005, გვ. 476.

² თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი, 2007, გვ. 652-653.

³ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი, 2007, გვ. 656.

თუ მტკიცებულებები საქმისათვის მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლომ მისი მიღების საკითხი უნდა გადაწყვიტოს მას შემდეგ, რაც გაარკვევს, შეეძლო თუ არა მხარეს წარედგინდა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში ან მათი წარუდგენლობა გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით.

„სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეაფასოს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების მიღებისა და გამოკვლევის დასაშვებობის აქ მითითებული პირობები.“¹

რიგ შემთხვევებში, სააპელაციო სასამართლო შეიძლება აღმოჩნდეს არჩევანის წინაშე: შესაძლოა, მხარემ წარმოადგინოს მტკიცებულება, რომლის მიღებითაც სასამართლო გამოიტანს სამართლიან გადაწყვეტილებას, მაგრამ ამავე მხარემ შეიძლება ვერ დაადასტუროს, რომ ამ მტკიცებულების წარუდგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. ასეთ ვითარებაში სასამართლო ვერ მიიღებს წარმოდგენილ მტკიცებულებას, რაც შეიძლება უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდეს.

380-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირობის დაცვა შესაძლოა სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს.

სასამართლომ უნდა გააკეთოს არჩევანი ამ მუხლის უპირობო დაცვასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას შორის. რა თქმა უნდა, სასამართლო ასეთ დროს ვალდებულია არჩევანი გააკეთოს პირველის სასარგებლოდ და დაიცვას კანონის მოთხოვნა.

380-ე მუხლის მე-2 ნაწილი გარკვეულწილად ზღუდავს სასამართლოს თავისუფლებას, გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. კანონი სასამართლოს არ უნდა აყენებდეს მისი უპირობო დაცვასა და სამართლიანობას შორის არჩევანის წინაშე. ყველა შემთხვევაში, არჩევანი უნდა გაკეთდეს სამართლიანობის სასარგებლოდ.

თავის დროზე, კანონის ეს რედაქცია, როგორც ზოგადად თანამედროვე ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, გერმანული კანონმდებლობის გავლენის ქვეშ იყო და ამ ნაწილის შინაარსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შინაარსს შეესაბამება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე პარაგრაფის თანახმად, თუ მოთხოვნის დაცვის საშუალებები არ არის წარმოდგენილი დროულად, მაშინ გამოიყენება ამავე კოდექსის 296-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-4 ნაწილები. 296-ე პარაგრაფის შესაბამისად, მოთხოვნის განხორციელების და დაცვის საშუალებები, რომლებიც წარმოდგენილია განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მიღება, სასამართლოს თავისუფალი რწმენის შედეგად, არ დააყოვნებს დავის გადაწყვეტას და მხარე ამ ვადას გაუშვებს საპატიო მიზეზით. ამავე პარაგრაფის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს თხოვნით უნდა დადასტურდეს საპატიო მიზეზის არსებობის სავარაუდობა. სწორედ ამ უფლების შინაარსია გადმოტანილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მეორე ნაწილში.

¹ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი, 2007, გვ 654.

კანონის მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ქართული რეალობა და ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოება, სამართლებრივი შეგნების დონით, არ იმყოფება გერმანული საზოგადოების დონეზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც მტკიცებულებათა წარუდგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხდება მხარის კანონიერი წარმომადგენლის არასათანადო კომპეტენციის ან არაკეთილსინდისიერების გამო. არაკეთილსინდისიერება კი გამოიხატება მოწინააღმდეგე მხარესთან გარიგებაში. თუ წარმომადგენელმა ან ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულება არ წარადგინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ ეყო შესაბამისი კვალიფიკაცია და არ იცოდა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მტკიცებულებას საქმის გადაწყვეტისათვის ან იმ მიზეზით, რომ გარიგებაში შევიდა მოწინააღმდეგე მხარესთან, მაშინ მხარეს გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ ამ მტკიცებულებათა წარუდგენლობა მოხდა ზემოხსენებულ გარემოებათა გამო.

380-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუქმება ან შეცვლილი რედაქციით ჩამოყალიბება მოქალაქეებს დაიცავს მათი წარმომადგენლების საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისაგან. ჩემ მიერ მოყვანილი შემთხვევები, საქართველოში არსებული რეალობისაგან განსხვავებით, იშვიათად გვხვდება ევროპის წამყვან სახელმწიფოებში. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ გერმანიის მაგალითის გადმოტანა ამ ნაწილში არ არის სწორი. ქართულ სასამართლოს ამ კუთხით უნდა მიენიჭოს მეტი თავისუფლება, კერძოდ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უნდა ჰქონდეს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღების უფლება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის და ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის ახლანდელი რედაქცია დამსჯელობითი ხასიათისაა და გამოიყენება, როგორც სანქცია იმ პირების მიმართ, რომლებმაც არაჯეროვნად განახორციელეს საპროცესო ვალდებულებები პირველი ინსტანციის სასამართლოში. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების სრულყოფილი დაცვა და არა საჯარიმო სანქციების დაწესება პროცესის მონაწილეთა მიმართ, განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში. კიდევ ერთხელ დავუბრუნდები იმ საკითხს, რომ სასამართლოში მტკიცებულებების წარუდგენლობა და ფაქტობრივი გარემოებების მიუთითებლობა შესაძლოა გამოწვეული იყოს სამართლებრივი განათლების არქონით, მატერიალური მდგომარეობის გამო იურისტის მომსახურების მიღების შეუძლებლობით ან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იურისტის არაკეთილსინდისიერებითა და არაკომპეტენტურობით.

„რაც შეეხება ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეთა მიერ იყო წამოყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ შეუძლიათ კვლავ წარადგინონ სააპელაციოდ, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომით არ ჩათვალა ეს ფაქტები საქმისთვის მნიშვნელობის მქონედ, არ შეამოწმა და არ დაადგინა ან მართალია დაადგინა, მაგრამ საპროცესო ნორმების დარღვევით.“¹

¹ თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯისიი“. თბილისი, 2005, გვ. 477.

მერაბ გვინიაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები საპირველი ინსტანციის სასამართლოში

მოცემული თემა აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლო რეფორმის პირობებში განხილულია სამოქალაქო კოდექსის დახვეწის და მისი ქართულ რეალობასთან მორგების რეკომენდაციები, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დახვეწას.

Merab Gviniashvili,
PHD Student

NEW FACTS AND AFFIRMATIONS IN COURT OF INSTANCE OF APPEAL

The theme of new facts and affirmations in court of instance of appeal is urgent for the point of view, that in the condition of court reforms the main attention should be paid to the improvement of civil proceedings legislation. The issue contains the improvement of the civil code and the recommendation of its fitting to the Georgian reality.

Мераб Гвиниашвили,
докторант права

НОВЫЕ ФАКТЫ И ДОКАЗАТЕЛЬСТВА В СУДЕ АПЕЛЛЯЦИОННОЙ ИНСТАНЦИИ

Тема, касающаяся новых фактов и доказательств в суде апелляционной инстанции, актуальна. В условиях судебной реформы особое внимание уделяется усовершенствованию гражданско-процессуального законодательства. Статья содержит вопросы усовершенствования гражданско-процессуального законодательства с учетом грузинской реальности.

საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმები და მისი მნიშვნელობა პრაქტიკაში

ზოგადი წესის თანახმად, მხარეები, არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, უარს ამბობენ ფუნდამენტურ უფლებაზე სასამართლოში გადაწყვეტონ სადავო საკითხები. ამასთან, თანხმდებიან, რომ მათი დავები გადაწყდეს კერძო ფორმით. არბიტრაჟის ხელშეკრულება გულისხმობს უარის თქმას პირის კონსტიტუციურ უფლებაზე, მოახდინოს დავის განხილვა/გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ პროცედურის მარეგულირებელი წესები, არბიტრაჟის ადგილი, არბიტრაჟის ენა, კანონმდებლობა (რომელიც ახდენს არბიტრაჟის პროცესის რეგულირებას) და გადაწყვეტილების მიმღები პირები (არბიტრები), რომლებიც მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ განსაკუთრებული კომპეტენციით, მხარეთა დავის საგნიდან გამომდინარე. არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულება არბიტრებს უფლებას აძლევს გადაწყვიტონ დავა და განსაზღვრავს ამ პროცესის საზღვრებს. ამგვარად, მხარეები ქმნიან სამართლის საკუთარ – პრივატულ სისტემას.

მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება შეტანილია თავდაპირველ (ძირითად) ხელშეკრულებაში. საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც წესი, იდება დავის წამოჭრამდე, რაც უზრუნველყოფს იმ მეთოდისა და პროცედურის ჩამოყალიბებას, რომელიც გადაწყვეტს მხარეებს შორის შესაძლო დავას. თუ მხარეებს დავის წამოჭრის მომენტში, არსებულ ხელშეკრულებაში არ აქვთ განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმება, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ Post factum დადონ ამგვარი ხელშეკრულება, რაც ამოწურავს ხარვეზს. ამგვარი ხელშეკრულება პრაქტიკოსების მიერ მოიხსენიება, როგორც დავის „წარდგენის ხელშეკრულება“ (Submission Agreement). აღსანიშნავია, რომ წარდგენის ხელშეკრულება გაცილებით ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე საარბიტრაჟო შეთანხმება. დავის წამოჭრის შემდგომ მხარეები სშირად ვეღარ თანხმდებიან ამგვარ საკითხებზე. ამიტომ, უკეთესია მხარეებისთვის საარბიტრაჟო შეთანხმება მოხდეს თავიდანვე, როდესაც ჯერ კიდევ ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში არიან.

მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არის ძირითადი ფორმა, რომელიც იხმარება ხელშეკრულებებში, მიღებული წესებისა და საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ის მაინც ითვლება ცალკე, დამოუკიდებელ ხელშეკრულებად. აქედან გამომდინარე, ის შეიძლება დარჩეს ძალაში მაშინაც კი, თუ ძირითადი ხელშეკრულება, ე.ი. ხელშეკრულება, რომელშიც არის შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ, შეიძლება ძალადაკარგულად იყოს ცნობილი. სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში ეს დოქტრინა დამოუკიდებლობის შესახებ არბიტრებს ნებას რთავს მოისმინონ და გადაწყვიტონ დავა იმ შემთხვევაშიც კი, როცა, მაგალითად, ერთ-ერთ მხარეს აქვს პრეტენზია, რომ ხელშეკრულება შეწყვეტილია ან ძალადაკარგულია სხვადასხვა მიზეზის გამო. ამგვარი პრეტენზიები არბიტრებს არ ართმევს იურისდიქციას, რადგან პრეტენზიები ეხება ძირითად ხელშეკრულებას და არა საარბიტრაჟო შეთანხმებას. საარბიტრაჟო შეთანხმების დამოუკიდებლობის დოქტრინა შეტანილია ბევრი ქვეყნის არბიტრაჟის შესახებ კანონსა და საერთაშორისო კონვენციაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარის ფუნდამენტურ-საკონსტიტუციო უფლებები იზღუდება, როცა მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟზე, არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულების იურიდიული ძალის საკითხი გადამწყვეტია. არბიტრაჟი – ორივე მხარის შეთანხმების პროდუქტია. ეს შეთანხმება თავისუფალი უნდა იყოს, ცოდნასა და კომპეტენციაზე დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, იმის დასადგენად, რომ მხარეები რეალურად და გააზრებულად დათანხმდნენ, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, როგორც ნიუ-იორკის კონვენცია, მოითხოვს, რომ არბიტრაჟის ხელშეკრულება იყოს წერილობითი. გარდა ამისა, კონვენცია მოითხოვს, რომ წერილობითი ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნეს ორივე მხარის მიერ.

საკითხი, იყო თუ არა ხელშეკრულება წერილობითი, ხელმოწერილი და ამგვარად იურიდიული ძალის მქონე, როგორც წესი, წამოიჭრება, როდესაც ერთ-ერთი მხარე ცდილობს უარყოს მისი თანხმობა არბიტრაჟის თაობაზე ან შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ურჩევნია დაიწყოს დავა სასამართლოში. გარდა ამისა, არბიტრაჟის ხელშეკრულების გამოყენების საკითხი შეიძლება წამოიჭრას, როდესაც ერთ-ერთი მხარე ამტკიცებს, რომ არ აქვს ხელი მოწერილი ხელშეკრულებაზე. ამგვარ საკითხებზე მხარეები უფლებამოსილები არიან მიმართონ სასამართლოს დახმარებისთვის.

საერთაშორისო არბიტრაჟის ხელშეკრულებები ხორციელდება ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად. მას უწოდებენ საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობის და განხორციელების კონვენციას. აღნიშნული კონვენცია განიხილავს არბიტრაჟის ხელშეკრულებებს II მუხლში. ამ მუხლის თანახმად, კონტრაქტორი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს წერილობითი ფორმით დადებული არბიტრაჟის ხელშეკრულებები. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი საქმე სასამართლოში მოხვდება, რომელიც ფაქტიურად არის სავალდებულო არბიტრაჟის ხელშეკრულების საგანი, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს განხილვა და მასალები გადააგზავნოს შესაბამის არბიტრაჟში.

II მუხლიდან გამომდინარეობს არბიტრაჟის შეთანხმების იურიდიული ძალის რამდენიმე მოთხოვნა. პარაგრაფი ერთი განსაზღვრავს, რომ კანონიერ ძალაში შესასვლელად არბიტრაჟის შეთანხმება უნდა იყოს წერილობითი; დავა, რომელიც წამოიჭრება, უნდა „შეეხებოდეს განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობას“ და საკითხი უნდა იყოს არბიტრაჟის გზით მოგვარებადი. პარაგრაფი ორი განსაზღვრავს „ხელშეკრულების წერილობით ფორმას“, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მოიცავს მხარეების მიერ ხელმოწერის მოთხოვნას. პარაგრაფი სამი თხოვს სასამართლოს მხარეები გაგზავნოს არბიტრაჟში, თუ ხელშეკრულება არ არის გაუქმებული და ძალადაკარგული, არ მოქმედებს ან მისი შესრულება შეუძლებელია. ეს მოთხოვნები ქვემოთ კონკრეტულად არის განხილული.

წერილობითი ფორმის მოთხოვნა

ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ზეპირი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით, ფორმალურობის გარეშე. ბევრ ქვეყანაში ამგვარი კონტრაქტები, როგორც წესი, იურიდიული ძალის მქონეა. თუ არბიტრაჟის ხელშეკრულება ძალაშია შესაბამისი ეროვნული კანონის თანახმად, რატომ არ უნდა იყოს ის განხორციელებადი ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად? ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო მკაცრად უჭერს მხარს წერილობით ხელშეკრულებებს, ძალას უკარგავს არბიტრაჟის შესახებ შეთანხმებებს, რომლებიც მხარეებმა სხვა ფორმით მიაღწიეს (პრაქტიკით ან/და დოკუმენტაციის გაცვლით). ამ შემთხვევაში კონვენცია ხდება ნაკლებად ეფექტური არბიტრაჟის ხელშეკრულების გან-

ხორციელებაში. თუმცა ცვლილება, რომელიც ნაკლებად მკაცრს ხდის წერილობითი ხელშეკრულების მოთხოვნას, ჩანს, რომ მისაღებია, ძნელია შეიტანო ცვლილებები საერთაშორისო კონვენციაში, რომელსაც 140 მონაწილეზე მეტი ჰყავს, იმგვარად, რომ უზრუნველყო ცვლილებების ერთგვაროვნება. მაგრამ არის გზები, რომლებმაც შეიძლება უზრუნველყოს კონვენციის ძირითადი მიზანი, მაგალითად, არბიტრაჟის ხელშეკრულებების და გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ შესრულება ისე, რომ ფორმლობები, რომლებიც თანამედროვე რეალობებს არ შეესაბამება, არ გახდეს დაბრკოლება.

პირველი – უნდა გავიაზროთ, რა მოთხოვნებია კონვენციაში წერილობით ფორმასთან დაკავშირებით. მუხლი II(1) – განსაზღვრავს წერილობითი ფორმის მოთხოვნას, მუხლი II(2) – რას ნიშნავს „წერილობითი“. წერილობითი ფორმის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს პირობით კონტრაქტში ან ცალკე ხელშეკრულებით არბიტრაჟის შესახებ, რომელიც „ხელმოწერილია მხარეების მიერ“ წერილების ან ტელეგრამების გაცვლით. ინტერპრეტაციის რამდენიმე საკითხი მოცემულია მე-2 პარაგრაფში. პირველი – ეხება თუ არა ხელმოწერის მოთხოვნა კონტრაქტს, რომელიც შეიცავს პირობას და წარდგენის ხელშეკრულებას, თუ მხოლოდ წარდგენის ხელშეკრულებას? მეორე – ეხება თუ არა ხელმოწერის მოთხოვნა წერილების ან ტელეგრამების გაცვლას? სხვადასხვა სასამართლომ განსხვავებული პოზიციები დაიჭირა. „U.S. Fifth Circuit Court of Appeals“ გეთავაზობს, რომ მხოლოდ ცალკე ხელშეკრულება იქნეს ხელმოწერილი და არა ძირითადი კონტრაქტი არბიტრაჟის პირობით. „U.S. Second and Third Circuits“ არ დაეთანხმა ამ ინტერპრეტაციას და დაადგინა, რომ ორივე ხელშეკრულება (როგორც ძირითადი, ასევე შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ) უნდა იყოს ხელმოწერილი. რაც შეეხება წერილების და ტელეგრამების გაცვლას, შევიცარიის სასამართლო მომხრეა, თუ მხარეებმა გამოთქვეს სურვილი დადონ არბიტრაჟის ხელშეკრულება დოკუმენტების გაცვლით, ხელმოწერა არ არის საჭირო. „U.S. Third Circuit“ მომხრეა, რომ ხელმოწერა არ არის აუცილებელი, თუ მოხდა წერილების გაცვლა. დღეს ქვეყნების უმრავლესობაში ზოგადი წესია, რომ ხელშეკრულება არბიტრაჟის პირობით ან წარდგენის ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს, მაგრამ დოკუმენტების გაცვლისას ხელმოწერა არ არის აუცილებელი.

სასამართლოები განსხვავებული სიმკაცრით ახდენს კონვენციის „წერილობითი ფორმის“ მოთხოვნის ინტერპრეტაციას არბიტრაჟის ხელშეკრულების გაუქმებისას. ზოგიერთი საკმაოდ მკაცრად იცავს წესს, რომლის თანახმად, არბიტრაჟის შესახებ შეთანხმება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეტანილია ძირითად ხელშეკრულებაში, ცალკე ხელშეკრულებაა ხელმოწერილი მხარეების მიერ ან გაცვლილია დოკუმენტები. ზოგჯერ სასამართლო მკაცრად ითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას, მაშინაც კი, როცა ძალის არმქონედ ცნობა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპებს. არბიტრაჟის ხელშეკრულების იურიდიული ძალის საკითხი დგება მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე ცდილობს აამოქმედოს ხელშეკრულება. თუმცა, საკითხი შეიძლება ისევე დადგეს გადაწყვეტილების აღსრულებისას, როცა ერთ-ერთი მხარე ეცდება თავი აარიდოს აღსრულებას იმ მოტივით, რომ არბიტრაჟის ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

ყველაზე გავრცელებული წინააღმდეგობრივი შემთხვევაა, როცა კონტრაქტი არის, მაგრამ არბიტრაჟის პირობა არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნას. მაგალითად, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ტელეფონით. ერთ-ერთი მხარე აგზავნის წერილობით დადასტურებას არბიტრაჟის პირობით. მეორე მხარე კი ამის შემდეგ იწყებს ხელშეკ-

რულებით გათვალისწინებულ მოქმედებას, აგზავნის საქონელს, მაგრამ არ გზავნის წერილობით დადასტურებას. ბევრი სასამართლო ჩათვლის, რომ კონტრაქტი შედგა, მაგრამ ზოგიერთმა შეიძლება ჩათვალოს, რომ არბიტრაჟის პირობა არ არის ძალაში, რადგან არ მოხდა დოკუმენტების გაცვლა. ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ არაცხადად დადებული არბიტრაჟის კონტრაქტები არ არის აღსრულებადი (ნიუ-იორკის კონვენციის საფუძველზე).

მეორე მხრივ, ზოგიერთმა სასამართლომ შეიძლება ჩათვალოს ხელშეკრულება ძალის მქონედ მხოლოდ ქვეყნის შიგა კანონმდებლობის მიხედვით და არ გაითვალისწინოს კონვენციის დებულებები. თუ ხელშეკრულება ექვემდებარება კონვენციას, ამ შემთხვევაში II მუხლის უპირატესი ძალა აქვს, ქვეყნის შიგა კანონთან შედარებით, არბიტრაჟის ხელშეკრულების შესაფერისი ფორმის საკითხში. ამავე დროს სახელმწიფოები ამას ყოველთვის არ აღიარებს. მაშინაც, თუ სასამართლო მიმართავს ნიუ-იორკის კონვენციას, მის ინტერპრეტაციაზე გავლენას ახდენს ქვეყნის შიგა კანონი. როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, „ბევრი ეროვნული სასამართლო ახდენს II(2) მუხლის ინტერპრეტაციას „ტიპური/სამაგალითო კანონის“ VII (2) მუხლის და ეროვნული, უფრო ლიბერალური კანონების გავლენით“. თუმცა ეროვნული კანონების შემწყნარებლური დამოკიდებულება წერილობითი ფორმის მიმართ მნიშვნელოვანია კონვენციის მიზნის, ენისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ არის სასამართლოები, რომლებიც არ ასრულებს გადაწყვეტილებებს, თუ ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს II(2) მუხლის მოთხოვნებს.

საერთაშორისო კონვენციაში ცვლილების შეტანით ჰარმონიული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა ძნელი ან შეუძლებელიც კია. სავარაუდოა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მიიღებს ცვლილებებს, ზოგი – არა. კონვენციის II მუხლის ნაკლებად მკაცრი ინტერპრეტაციის ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობის საერთაშორისო კანონის კომისიამ (UNCITRAL, United Nations Commission on International Trade Law) 1999 წელს დაიწყო „ნიუ-იორკის კონვენციის“ მოდერნიზების საშუალებების განხილვა“. განხილულ იქნა ორი საკითხი: 1) დეკლარაციების ჩამოყალიბება ნიუ-იორკის კონვენციის ინტერპრეტაციის საკითხზე, რომლებიც ასახავს ფორმის მოთხოვნის უფრო ფართო გაგებას და უშვებს შემწყნარებლური ქვეყნის შიგა კანონის გამოყენებას; 2) UNCITRAL-ის ტიპური/სამაგალითო კანონის VII მუხლის (არბიტრაჟის შესახებ) გადასინჯვა.

2006 წლის ივლისში UNCITRAL-მა მიიღო რეკომენდაციები ამ მუხლების ინტერპრეტაციაზე, ასევე არბიტრაჟის ტიპური/სამაგალითო კანონის VII მუხლის გადასინჯვაზე. II მუხლთან დაკავშირებული რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ მისი გამოყენება მოხდეს „იმის ცნობით, რომ იქ აღწერილი გარემოებები არ არის ამომწურავი“ და რომ სასამართლოებმა უფრო ფართოდ განმარტონ II მუხლის დებულებები, წერილობითი ფორმის შესახებ.

UNCITRAL-ის რეკომენდაცია ასევე შეეხება არბიტრაჟის ხელშეკრულებებსაც. *მუხლი VII(1) განმარტავს: „წინამდებარე კონვენციის დებულებები ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს არ უნდა ართმევდეს უფლებას, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია არბიტრაჟის გადაწყვეტილების მისაღებად კანონით ან ქვეყნის მიერ დადებული ხელშეკრულებების დაშვებული ფორმით და ფარგლებში, როდესაც ამგვარ გადაწყვეტილებას მიმართავენ, როგორც საფუძველს.“*

VII(1) მუხლი ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „ყველაზე ხელსაყრელი უფლება“, რადგან ის მხარეს ნებას აძლევს, მიაღწიოს გადაწყვეტილების აღსრულებას, ისარგებლოს იმ უფრო ხელსაყრელი კანონით, რომელიც აღსრულებას აიოლებს. UNCITRAL-ის რეკომენდაცია შემდეგი სახისაა: „UNCITRAL იძლევა რეკომენდაციას, რომ VII(1) მუხლი გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ ნებისმიერ დანტერესებულ მხარეს საშუალება მიეცეს გამოიყენოს ის უფლებები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს კანონის ან ქვეყნის მიერ დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, როდესაც არბიტრაჟის ხელშეკრულებას მიმართავენ, როგორც საფუძველს, ამგვარი არბიტრაჟის ხელშეკრულების იურიდიული ძალის ცნობის მისაღწევად.“ როდესაც VII(1) მუხლი განიხილება არა მარტო გადაწყვეტილებებთან, არამედ ხელშეკრულებებთან მიმართებაშიც, ის მხარეს ანიჭებს “უფრო ხელსაყრელ უფლებას“ ხელშეკრულების აღსრულებისთვის, ადგილობრივი კანონის თანახმად, სასამართლოში. სხვა სიტყვებით, იმ ფარგლებში, როდესაც ადგილობრივი კანონები იქნება უფრო ხელსაყრელი მხარისათვის, ვიდრე კონვენცია არბიტრაჟის ხელშეკრულების აღსრულებაში, მას უნდა მიეცეს უფლება იყოს დაცული ამ კანონებით. აღნიშნულს მიყვავართ ახალ ნაბიჯამდე (UNCITRAL-ის მხრიდან 2006 წლის ივლისში) შეტანილ იქნეს ცვლილებები არბიტრაჟის სამაგალითო კანონის მე-7 მუხლში. შეცვლილი მე-7 მუხლი უზრუნველყოფს ამ კანონის იურისდიქციის ქვეყნებს თანამედროვე დებულებით წერილობითი ფორმის შესახებ. ეს დებულება ამარტივებს არბიტრაჟის ხელშეკრულების იურიდიულ ძალას შიგა „წერილობითი“ მოთხოვნით.

UNCITRAL-მა შეიტანა ცვლილება მე-7 მუხლში, რათა მოერგო კანონი თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკისთვის. UNCITRAL-ის ცვლილება არ იქნება ძალაში, სანამ არ მიიღებს ორმოცდაათზე მეტი ქვეყანა ან ადმინისტრაციული ერთეული.

სამაგალითო კანონის მე-7 მუხლის სათაურია “არბიტრაჟის ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრა”. UNCITRAL მე-7 მუხლის ორი განსხვავებული ვერსიია, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს. პირველი – მოითხოვს, რომ ხელშეკრულება იყოს წერილობითი და განსაზღვრავს რას ნიშნავს ტერმინი “წერილობითი”, ხოლო მეორე – არ მოითხოვს წერილობით ფორმას. პირველი განსაზღვრავს “წერილობით” ხელშეკრულებას, როგორც დოკუმენტს, რომლის შინაარსი ნებისმიერი ფორმით არის ჩაწერილი მაშინაც კი, თუ არბიტრაჟის ხელშეკრულება ან კონტრაქტი ზეპირად დაიდო. ხელმოწერა არ არის საჭირო. ასე რომ, თუ რაიმე ჩანაწერი არსებობს არბიტრაჟის ხელშეკრულებაზე, ის ძალაშია. მეორე – განსაზღვრავს არბიტრაჟის შეთანხმებას, როგორც “ხელშეკრულებას მხარეებს შორის ნებისმიერ დავაზე, რომელიც წამოიჭრა ან შეიძლება წამოიჭრას მათ შორის განსაზღვრულ იურიდიულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, კონტრაქტის მიხედვით ან სხვა მიზეზით წარადგინონ არბიტრაჟში”. თუ ქვეყანას მიღებული აქვს “არაწერილობითი” მოთხოვნა (ოპცია 2), სასამართლოს ამ ქვეყანაში უნდა შეეძლოს აღასრულოს ზეპირი არბიტრაჟის ხელშეკრულება, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, იმის დაშვებით, რომ სასამართლო მიმართავს VII(1) მუხლის “უფრო ხელსაყრელი უფლების” დებულებას არბიტრაჟის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამუშაო ჯგუფს სურდა განემარტა, რომ ტერმინი “წერილობითი” მოიცავდა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში არ ითვლება წერილობითი ფორმის მოთხოვნის დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 7

UNCITRAL-ის სამაგალითო კანონი

4. მოთხოვნა არბიტრაჟის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის თაობაზე დაკმაყოფილებულია იმ ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში, თუ ის ხელმისაწვდომია ისე, რომ გამოყენებადი იყოს შემდგომში; “ელექტრონული კომუნიკაცია” ნიშნავს ნებისმიერ კომუნიკაციას, რომელსაც მხარეები ქმნიან მონაცემების გზავნილების მეშვეობით; “მონაცემების გზავნილები” ნიშნავს ინფორმაციას, გენერირებულს, გაგზავნილს, მიღებულს ან შენახულს ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებებით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ელექტრონული მონაცემების გაცვლით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრაფით, ტელექსით.

ელექტრონული კომუნიკაცია განსაზღვრულია ისეთივე სახით, როგორც გაეროს კონვენცია “ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების თაობაზე საერთაშორისო ხელშეკრულებებში”. ტერმინი “მონაცემთა გზავნილი” UNCITRAL-ის ტიპური კანონის ელექტრონული კომერციის შესახებ იდენტურია.

ნიუ-იორკის კონვენცია განსაზღვრავს, რომ წერილობითი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს “წერილების ან ტელეგრამების” გაცვლას, გარკვეული წინააღმდეგობა მაინც იყო. კომუნიკაციების სხვა საშუალებები, როგორიცაა ფაქსი და ელექტრონული ფოსტა ასევე გამოიყენება კონტრაქტების ფორმირებისას. სასამართლოების უმრავლესობამ მიიღო კომუნიკაციების ახალი ფორმები, შეუსაბამა რა ტერმინი “წერილობითი” შეცვლილი მე-7 მუხლის ელექტრონული კომერციის კონვენციასა და ელექტრონული კომერციის ტიპურ კანონს. UNCITRAL ცდილობს შექმნას ტერმინი “წერილობითის” საერთაშორისოდ მიღებული განსაზღვრება. გარდა ამისა, ხელმოწერის მოთხოვნის იგნორირებით, შეცვლილი მე-7 მუხლი უარს ამბობს ფორმალურობაზე, რომელიც ზოგიერთ სასამართლოს უარს ათქმევინებს არბიტრაჟის ხელშეკრულებების აღსრულებაზე. ხელმოუწერელი კონტრაქტი, რომელიც შეიცავს არბიტრაჟის მუხლს ან ხელმოუწერელი წარდგენის ხელშეკრულება აღსრულებადი იქნება ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით, იმ პირობით, რომ აღმასრულებელი ქვეყანა მიიღებს შეცვლილი ტიპური კანონის მე-7 ნაწილის და VII(1) მუხლის UNCITRAL-ის მიერ რეკომენდებულ ინტერპრეტაციას, რომელიც გამოიყენებს “უფრო ხელსაყრელი უფლების” დებულებას არბიტრაჟის ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

UNCITRAL ასევე ცდილობს გამოიყენოს გაეროს კონვენცია საერთაშორისო კონტრაქტებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ, რათა განაახლოს სხვა ნაკლებად თანამედროვე კონვენციები (ნიუ-იორკის კონვენციის ჩათვლით). ის აცხადებს, რომ გაეროს კონვენციის ეს დებულებები შეეხება ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენებას სხვა კონვენციებით დაფარული კონტრაქტების შექმნისა და მოქმედების მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფო არ შეუერთდება ამ ვალდებულებას). განმარტებაში ნათქვამია, რომ მუხლი 20 არ გულისხმობს რომელიმე კონვენციაში ცვლილების შეტანას ან აუთენტური ინტერპრეტაციის უზრუნველყოფას. პროექტის შემქმნელებს განზრახული ჰქონდათ ეს მუხლი კომბინირებაში მოეყვანათ პირველი მუხლის

დებულებებთან, რათა კონვენცია შესაბამისობაში ყოფილიყო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, “რათა მომხდარიყო იმ პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან ქვეყანაში მოდიოდა. ეფუძნება აღიარებას, რომ ქვეყნის შიგა სასამართლოები უკვე ახდენს საერთაშორისო კომერციული კანონის ინსტრუმენტების ინტერპრეტაციას.” ამგვარად, UNCITRAL ცდილობს შექმნას ერთგვაროვანი მიდგომა ქვეყნის შიგა სასამართლოებისთვის ძველი კონვენციების ახალ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს დეფინიცია “წერილობითი” გაეროს კონვენციიდან ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების თაობაზე, რათა განაახლოს ნიუ-იორკის კონვენციის დეფინიცია “წერილობითი”. თუ ქვეყანა არ იყო გაეროს კონვენციას მიერთებული (აქამდე ეს კონვენცია არ არის ძალაში არც ერთ იურისდიქციაში), სასამართლოებს მაინც შეუძლია მიმართოს მას სახელმძღვანელოდ ან მითითებისთვის გამოიყენოს არბიტრაჟის ტიპური კანონი, ან კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ, ან სამივე ერთად იმის დასადასტურებლად, რომ არსებობს წერილობითი ფორმის საერთაშორისოდ მიღებული დეფინიცია, რომელიც ელექტრონულ კომუნიკაციას მოიცავს.

ტიპური/სამაგალითო კანონის მე-7 მუხლში განიხილება წერილობით მოთხოვნასთან დაკავშირებული ორი სხვა საკითხი. იგივე საკითხები შეტანილია არსებულ მუხლში და ძალიან არ არის შეცვლილი ახალ ვერსიაში. მე-5 ნაწილი განსაზღვრავს, თუ მხარეებმა გაცვალეს პრეტენზიისა და არგუმენტაციის განცხადებები, რომლითაც ერთი მხარე იმოწმებს არბიტრაჟის ხელშეკრულებას, ხოლო მეორე უარს არ ამბობს მასზე, ამ შემთხვევაში წერილობითი ფორმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასასრულ, მე-6 ნაწილის მიხედვით, სხვა დოკუმენტის ხელშეკრულებაში აღნიშვნა, რომელიც შეიცავს არბიტრაჟის მუხლს, აკმაყოფილებს წერილობითი ფორმის მოთხოვნას, რადგან ამგვარი აღნიშვნით ეს დოკუმენტი ხდება კონტრაქტის ნაწილი. ეს საკითხი ცალკე არ არის განხილული ნიუ-იორკის კონვენციაში. ამის გამო, სხვადასხვა იურისდიქციის სასამართლო სხვადასხვა გადაწყვეტილებას იღებს.

დღეს აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია არბიტრაჟის ხელშეკრულებების და გადაწყვეტილებების სწრაფი აღსრულებისკენ, იძლევა რა რეკომენდაციას, რომ ხელსაყრელი უფლებების დებულება გამოყენებულ იქნეს არბიტრაჟის ხელშეკრულებებსა და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. UNCITRAL სთავაზობს გადაწყვეტას, რომელსაც უკვე მიმართა ზოგიერთმა სასამართლომ. როდესაც მხარე სარგებლობს ქვეყნის შიგა კანონებით, რომლებიც არ არის ისეთი შეზღუდული, როგორც კონვენციის II მუხლის მოთხოვნა წერილობითი ფორმის შესახებ, მხარეების მოლოდინები სავარაუდოდ უფრო დაკმაყოფილებია.

მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ „უფრო ხელსაყრელი უფლების დებულებით“ კონვენციის VII(1) მუხლის შესაბამისად მაშინაც კი, თუ ისინი არ არიან კონვენციას მიერთებულ სახელმწიფოში. შეერთებულ შტატებში მოსარჩელე მოგებული დარჩება აშშ კონგრესის მიერ ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის მიღებით.

შეერთებულ შტატებში საოლქო სასამართლოს ორი გამსვლელი სესიის დასკვნით ელექტრონული ხელმოწერა უზრუნველყოფს, რომ, ფედერალური არბიტრაჟის აქტის თანახმად, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი/მიღებული ხელშეკრულება არბიტრაჟზე აღსრულებადია, რადგან აკმაყოფილებს წერილობითი ფორმის მოთხოვნას. თუმცა დღეს არ გამოვლენილა აშშ-ში საქმე, როდესაც მოხდა ელექტრონული ხელმოწერის ინტერპრეტაცია, ნიუ-იორკის კონვენციის წერილობითი ფორმის მოთხოვნასთან მიმართებაში. მაინც არის მცირე ეჭვი, რომ აშშ-ს სასამართლო გამოიყენებს ელექტრულ ხელმოწერას და დაასკვნის,

რომ არბიტრაჟის ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ ან არაკანონიერად მხოლოდ იმიტომ, რომ ის ელექტრონული ფორმის იყო.

ლევან ხეცურიანი,
სამართლის დოქტორანტი

საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმები და მისი მნიშვნელობა პრაქტიკაში

მხარეები არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან უარს ამბობენ ფუნდამენტურ უფლებაზე, სასამართლოში გადაწყვიტონ სადავო საკითხები. ამასთან, თანხმდებიან, რომ მათი დავები გადაწყდეს კერძო ფორმით. შესაბამისად, არბიტრაჟის ხელშეკრულების გაფორმება გულისხმობს უარის თქმას პირის კონსტიტუციურ უფლებაზე, მოახდინოს დავის განხილვა-გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ პროცედურის მარეგულირებელი წესები, არბიტრაჟის ადგილი, არბიტრაჟის ენა, კანონმდებლობა (რომელიც ახდენს არბიტრაჟის პროცესის რეგულირებას) და გადაწყვეტილების მიმღები პირები (არბიტრები), რომლებიც მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ განსაკუთრებული კომპეტენციის მიხედვით, მხარეთა დავის საგნიდან გამომდინარე. არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულება არბიტრებს უფლებას აძლევს გადაწყვიტონ დავა და განსაზღვრავს ამ პროცესის საზღვრებს. ამგვარად, მხარეები ქმნიან სამართლის საკუთარ, პრივატულ სისტემას.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარის ფუნდამენტურ-საკონსტიტუციო უფლებები იზღუდება, როცა მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟზე, არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულების იურიდიული ძალის საკითხი გადამწყვეტია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღნიშნული ხელშეკრულების, ყველა საერთაშორისო კონვენციით (ნიუ-იორკის კონვენცია) თუ შიგასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და პროცედურების დაცვა.

Levan Khetsuriani,
PHD Student

FORMS OF THE ARBITRARY AGREEMENT AND ITS IMPORTANCE IN THE PRACTICE

From the moment of signing an arbitration agreement, the parties deny their fundamental right of solving disputable issues in the court. At the same time they agree, that disputes between them will be solved in private form. Accordingly, execution of an arbitration agreement implies denial of the constitutional right of party to consider/solve the disputable issue by means of court. In the arbitration agreement the parties may choose rules, which will regulate the procedure, place and language of the arbitration, as well as law (which regulates the process of arbitration) and persons (arbiters), who make decision. The parties may select them according to their special competence basing on the subject of dispute between them. The arbitration

agreement gives right to the parties to solve the dispute and defines limits of the given process. Thereby, the parties make their own/private system of law.

Taking into consideration, that when the parties agree on arbitrage, fundamental/constitutional rights of the party are restricted, the issue of legal force of the arbitrage agreement is decisive. Accordingly, it is significant to adhere to the mentioned agreement, to regulations and procedures established by all international conventions (New-York Convention) or domestic legislation.

Леван Хецуриани,
докторант права

ФОРМЫ АРБИТРАЖНОГО СОГЛАШЕНИЯ И ИХ ЗНАЧЕНИЕ В ПРАКТИКЕ

С момента подписания договора об арбитраже стороны отказываются от своего фундаментального права разрешать спорные вопросы в суде. При этом они договариваются о том, что их споры будут разрешены в частной форме. Соответственно, заключение договора об арбитраже подразумевает отказ от конституционного права лица осуществлять рассмотрение/разрешение спора через суд. В арбитражном соглашении стороны могут выбрать правила, регулирующие процедуры, место арбитража, язык арбитража, законодательство (регулирующее процесс арбитража) и лиц, принимающих решение (арбитров), которых стороны могут выбрать в соответствии с особенностями компетенции, исходя из предмета спора сторон. Договор об арбитраже дает право арбитрам разрешить спор и определяет пределы этого процесса. Таким образом стороны создают собственную/приватную систему суда.

С учетом того, что фундаментальные/конституционные права сторон ограничиваются, когда стороны договариваются об арбитраже, вопрос юридической силы договора об арбитраже является решающим. Исходя из этого, важно соблюдение указанного договора согласно установленным нормам и процедурам международных конвенций (Нью-Йоркской конвенции) и внутригосударственного законодательства.

სასამართლო მტკიცებულებების შეფარებით-სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში

მოცემული თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სასამართლო მტკიცებულებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ ევროპის ქვეყნებისა და შეერთებული შტატების სამოქალაქო პროცესის თავისებურებებს და ზოგად დახასიათებას, სასამართლო მტკიცებულებების შეგროვების, წარდგენისა და შეფასების თავისებურებას და სასამართლო მტკიცებულების სახეებს. ამ ანალიზით შეგვიძლია შევადაროთ საქართველოს სამოქალაქო პროცესის სასამართლო მტკიცებულებები საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო პროცესის სასამართლო მტკიცებულებებს: თუ რამდენად განსხვავდება ანგლო-საქსური სამართლის სისტემა საქართველოს სასამართლო სისტემისგან; რამდენად შესაძლებელია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების დამკვიდრება საქართველოში; რამდენად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო პროცესი განვითარებული ევროპის ქვეყნების სამოქალაქო პროცესს, ვინაიდან მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი და ხშირია შემთხვევა, როდესაც ნაციონალური კანონმდებლობა შეესაბამება ან შეითავსებს საერთაშორისო ნორმებს და დებულებებს; რამდენად დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებებს, ადამიანის ურთიერთობას სასამართლოსა და მის როლთან სამოქალაქო პროცესში.

1. სასამართლო მტკიცებულებების ცნება სამოქალაქო პროცესში

სასამართლოში მტკიცებულებები გამოიყენება საქმის ფაქტიური გარემოებების დასადგენად. სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს არც ერთი საქმე გარემოებების დადგენის გარეშე. სასამართლოს ამოცანაა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებების და კანონით დაცული ინტერესების დაცვა. იმისათვის, რომ სასამართლომ განახორციელოს ასეთი დაცვა, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა სინამდვილეში ის სამართალი, რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე, ეკისრება თუ არა მოპასუხეს შესაბამისი ვალდებულება და რაში გამოიხატება ის, ე.ი. უნდა იყოს გარკვეული სადავო სამართლებრივითიერობები. უფლებები და ვალდებულებები თავისთავად არ წარმოიქმნება. კანონი უფლებების და ვალდებულებების აღმოცენებას, შეცვლასა და შეწყვეტას უკავშირებს გარკვეული იურიდიული ფაქტების დადგომას. ამიტომ, სასამართლომ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევისათვის უნდა დაადგინოს, თუ რომელი იურიდიული ფაქტი იყო სინამდვილეში. მართლმსაჯულება არის მოდერნიზაცია, რომელიც ხორციელდება მკაცრი პროცესუალური ფორმით და მისი ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სასამართლოს შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნოს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც დამტკიცებულია სასამართლო პროცესზე. მონაცემები ფაქტების შესახებ, რომლებიც მიღებულია სასამართლო პროცესის გარეთ და არ გამომდინარეობს მტკიცებულებებიდან, არ შეიძლება იყოს გამოყენებული მის მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის

მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ”. რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ემყარება მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე”. პროცესუალური წესების დაცვა მტკიცებულებებთან მიმართებით იმდენად არსებითია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში 42-ე მუხლის მე-7 პუნქტში ჩაწერილია, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს”. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში წერია, რომ „მართლმსაჯულების განხორციელებისას არ დაიშვება ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც მიღებულია კანონის დარღვევით (50-ე მუხლი)“. როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესში, საქმის ფაქტიური გარემოებების დასადგენ მოღვაწეობას სასამართლო მტკიცება ეწოდება; ფაქტებს, რომლებიც სასამართლომ უნდა დაადგინოს – საგნის მტკიცება, ხოლო ხერხებს, რომლის მეშვეობით ხორციელდება საქმის გარემოებების მტკიცება – სასამართლო მტკიცებულება. რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლში მოცემულია სასამართლო მტკიცებულებების ცნება, სადაც ნათქვამია, რომ „მტკიცებულებად საქმეზე არის კანონით გათვალისწინებული წესით მიღებული მონაცემები ფაქტების შესახებ, რომლის საფუძველზე სასამართლო ადგენს გარემოებების არსებობის და არარსებობის შესახებ, რომლებიც ასაბუთებენ მხარეების მოთხოვნებს და საპირისპირო აზრებს და აგრეთვე სხვა გარემოებებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორი განხილვა-გადაწყვეტისთვის.” საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა სასამართლო მტკიცებულების განმარტებას და საუბრობს მხოლოდ მტკიცების ტვირთზე და მის დასაშვებობაზე. ზოგიერთი ავტორი განიხილავს სასამართლო მტკიცებულებებს მხოლოდ, როგორც ცნობილ ფაქტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია უცნობი პირველადი ფაქტების დადგენა.¹ მეცნიერთა სხვა ჯგუფი ამბობს, რომ მტკიცებულებები არის როგორც ფაქტიური მონაცემები, ისე მტკიცების საშუალებები.² იარკოვს თავის წინგში “სამოქალაქო საპროცესო სამართალი” მოჰყავს მტკიცებულებების ახალი განმარტება. მისი აზრით, მტკიცებულებები არის მონაცემები ფაქტების შესახებ. მტკიცებულებები, როგორც მონაცემები ფაქტების შესახებ, არის სხვადასხვა დოკუმენტში, მოწმეთა ჩვენებაში და ა.შ. რუსეთის ადრინდელი მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულებებს განსაზღვრავდა, როგორც „ნებისმიერ ფაქტიურ მონაცემებს”, რაც არაერთ წინააღმდეგობას იწვევდა. თანამედროვე ცნება მტკიცებულებების, როგორც მონაცემების, ფაქტების შესახებ შეესაბამება დამკვიდრებულ საკანონმდებლო პრაქტიკას, – აჯამებს იარკოვი.³ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა სასამართლო მტკიცებულებების კონცეფციას, რომლის შესაბამისად მტკიცებულების არსი განისაზღვრება მტკიცებულების შინაარსისა და პროცესუალური ფორმის ერთიანობით. სასამართლო მტკიცებულება შედგება ორი ურთიერთდამოკიდებული ელემენტისაგან: ფაქტების შესახებ მონაცემებისა (შინაარსი) და მტკიცების საშუალებისაგან (პროცესუალური ფორმა). სასამართლო მტკიცებულების არსის ასეთი გაგება დასაბუთებულია მეცნიერი პროცესუალისტების მიერ, რომლებიც მუშაობენ მტკიცებულებათა თეორიის სფეროში. ამ

¹ См.: Курылев С.В. Объяснение сторон как доказательство в советском гражданском процессе, Автореф. дис. канд. юрид. наук. М., 1953. С. 9.

² Гражданский процесс. Учебник / Под ред. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечота. М., 1996. С. 187.

³ Ярков В.В. Гражданский процесс. Учебник для вузов. Изд-во Волтерс Клувер, 2006.

პოზიციის გასამყარებლად მოყვანილია საკმარისი არგუმენტები.¹ კიდევ ერთი განმარტება სასამართლო მტკიცებულებისა მოცემულია წიგნში “რუსეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალი”, სადაც „სასამართლო მტკიცებულება წარმოადგენს ფაქტიურ მონაცემს, რომელიც ფლობს განკუთვნილობის თვისებას, რომელსაც პირდაპირ და არაპირდაპირ შეუძლია დაადასტუროს ფაქტი, რომელსაც სასამართლო საქმის სწორი გადაწყვეტისთვის აქვს მნიშვნელობა, რომელიც კანონით გათვალისწინებული ფორმითაა მიღებული და გამოკვლეულია კანონით დადგენილი პროცესუალური წესით.² მე-19 საუკუნის ცნობილი რუსი მეცნიერი პროცესუალისტი მალიშევი თავის წიგნში წერდა: „მტკიცებულებას ან არგუმენტს, ფართო გაგებით, უწოდებენ ყველაფერს, რაც გვარწმუნებს რომელიმე ფაქტის ან დებულების ჭეშმარიტებაში ან სიცრუეში. ამ მხრივ ცნება მტკიცებულების შესახებ ეკუთვნის ლოგიკის სფეროს. ჩვენი მეცნიერები ტექნიკური მხრივ (გაგებით) სასამართლო მტკიცებულებებს უწოდებენ კანონიერ საფუძვლებს, რომლებიც სასამართლოს არწმუნებს სადავო იურიდიული ფაქტების არსებობა-არარსებობაში. პროცესში სადავო ფაქტები მტკიცებულების მეშვეობით მტკიცდება და ამიტომ ამ მტკიცებულების ირგვლივ თავს იყრის მხარეთა ბრძოლა. ამის შემდეგ ღირს თუ არა საუბარი, რომ სასამართლო მტკიცებულებამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სასამართლო საქმეში.“³ თვით სიტყვაში „მტკიცებულება“, წერს ცნობილი რუსი პროცესუალისტი გოლმსტენი, განსაზღვრულია, რომ ერთი პირი, რომელიც დარწმუნებულია დებულების ან მოვლენის ჭეშმარიტებაში, მეორეს სთავაზობს მონაცემებს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს მასში იგივე რწმენა პროცესუალური გაგებით, რომლის სუბიექტებად გამოდის სასამართლო და მხარეები. მხარეები სთავაზობენ მათთვის ცნობილ მონაცემებს სასამართლოს. ის, ვინც დარწმუნებულია ფაქტის ჭეშმარიტებაში, ცდილობს გამოიწვიოს იგივე რწმენა მეორე მხარისგან. მტკიცებულებად კი იწოდება ის მონაცემები, რომლებიც წარედგინება სასამართლოს იმ მიზნით, რომ დააჯეროს ფაქტის ჭეშმარიტებაში. განსხვავება მხარეების ნების გამოხატვის და მტკიცებულების კონსტატაციას შორის იმაშია, რომ მტკიცებულებების მეშვეობით კონსტატაცია წარმოადგენს ფაქტს, რომელიც გამოიხატება გარე საშუალებით და წარედგინება მხარეების მიერ. მხარეები მიუთითებენ საშუალებებს და სასამართლო ამ საშუალებების საფუძველზე ქმნის წარმოდგენას ამ ფაქტის შესახებ.⁴ მტკიცებულებას, ფართო გაგებით, ეწოდება ჭეშმარიტების დადგენა. ვიწრო იურიდიული გაგებით, მტკიცებულებას უწოდებენ მხოლოდ იმას, რაც ემსახურება სასამართლოში მოსამართლის დარწმუნებას მხარის მტკიცების ჭეშმარიტებაში. ამ ზემოქმედებას მოსამართლის რწმენაზე მტკიცებულებას უწოდებენ. ერთი მხრივ, მტკიცებულება არის დარწმუნების საშუალება, რომლითაც სარგებლობენ მხარეები მოსამართლის დარწმუნებაში თავისი მტკიცების ჭეშმარიტებაში (Beweismittel), მეორე მხრივ, მტკიცებულება არის დარწმუნების საფუძველი, რომლითაც მოსამართლეები ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ მტკიცების აღიარებისას, რომელიც დგას დავის გარეთ (Beweisgrund) და ბოლოს, მოდვაწე-

¹ Например: Козлов А.С. Понятие и признаки судебных доказательств в советском гражданском процессе: Автореф. дис. ... канд. юрид. наук. М., 1978. С. 14; Треушников М.К. Судебные доказательства. М., 1998. С. 80; и др.

² Гражданское процессуальное право России / Под редакцией профессора П.В. Алексия, профессора Н.Д. Амаглобели // Закон и право. Москва, . 2005.

³ Малышев К. Курс гражданского судопроизводства, т.1. С-Пб; 1876г.

⁴ Гольмстен А.Х. Учебник русского гражданского судопроизводства. Изд-е 5-е, С-Пб; 1913.

ობის გაგებით, რომლითაც მიიღწევა მითითებული მტკიცების მიზანი (Beweisführung). სასამართლო მტკიცებულებების იურიდიული ცნება შორდება მტკიცებულებას ლოგიკური გაგებით. თავის მხრივ, იურიდიული ცნება განიხილება მის მიერ, როგორც ა) დარწმუნების საშუალება; ბ) დარწმუნების საფუძველი; გ) მტკიცების პროცესი.¹ მოდავე მხარეების მოდვაწობა, რომლის მიზანია სასამართლო დაარწმუნოს თავისი მტკიცებებისა და განცხადებების ჭეშმარიტებაში იწოდება მტკიცებად (probatio, Beweisführung). ხოლო იმ საშუალებებს, რომლის მეშვეობით მტკიცება ხორციელდება უწოდებენ მტკიცებულებას (instrumenta, Beweismittel, preuves). პროცესუალური გაგებით, მტკიცება არის კომპეტენტური სასამართლოს წინაშე, კანონით დადგენილი ფორმით, მხარეების მტკიცების ჭეშმარიტების დადგენა.²

მტკიცებულებები მტკიცების ობიექტების (საგანი) და მისი პირობების მიხედვით ორ ცნებად იყოფა: სასამართლო მტკიცებულება და ლოგიკური მტკიცებულება. ლოგიკაში მტკიცების (მტკიცებულების) ქვეშ იგულისხმება ერთი მსჯელობის ჭეშმარიტების დადგენა მეორის მეშვეობით, რომელიც უკვე ცნობილი დებულება და მსჯელობაა და მიიღება, როგორც ჭეშმარიტი. ამასთან, ცნება მტკიცება და მტკიცებულება იდენტურია. ის, რაც ექვემდებარება დამტკიცებას (პროცესუალური მეცნიერების ტერმინოლოგიით მტკიცების საგანი) ლოგიკურ მტკიცებაში თეზისს უწოდებენ. თეზისი არის მსჯელობა, რომლის ჭეშმარიტება ან სიცრუე გაირკვევა სხვა მსჯელობის მეშვეობით, რომელსაც არგუმენტებს უწოდებენ. იურიდიულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში განასხვავებენ ცნებებს მტკიცება და მტკიცებულება. ყოველ მათგანს აქვს თავისი შინაარსი. სასამართლო მოდვაწობაში მტკიცდება რეალური ფაქტების არსებობა ან არარსებობა (ხალხის ქმედება ან უმოქმედობა, მოვლენები), რომელსაც კანონი უკავშირებს სამართალურთიერთობების აღმოცენას, შეცვლას და შეწყვეტას. საინტერესოა ცნობილი საბჭოთა მეცნიერი პროცესუალისტის, აკადემიკოს ანდრეი ვიშინსკის აზრი, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ, მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, სასამართლო მტკიცებულებები იდენტურია ჩვეულებრივი მტკიცებულებისა, რომელიც შეიძლება იყოს „...ნებისმიერი ფაქტები, მოვლენები, ნივთები“. აკადემიკოსი ამბობს, რომ ჩვეულებრივი მტკიცებულება სასამართლო მტკიცებულებად ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შედის სასამართლო პროცესის ორბიტაში, ხდება იმ გარემოების დასადგენ საშუალებად, რომელიც აინტერესებს სასამართლოს და გამოიძიებს საინტერესო საკითხების გადასაჭრელად³. აკადემიკოსი სასამართლო მტკიცებულებებს შორის ასხვავებს, ერთი მხრივ, ფაქტებს, რომლებიც ექვემდებარება დამტკიცებას და, მეორე მხრივ, ფაქტს, რომელიც მტკიცების საშუალებაა. ის ვარაუდობს, რომ მტკიცებულებათა სამართლის თეორიის საგანს შეადგენს მხოლოდ ფაქტი, როგორც მტკიცების საშუალება. პროფესორი ჩელცოვ-ბებუტოვი მტკიცებულების ცნებას უკავშირებს მტკიცების პროცესს და მოსამართლის ლოგიკურ მოდვაწობას საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს. „თვალსაჩინოა, რომ რომელიმე უცნობი გარემოების არსებობის დარწმუნებაში შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ სხვა სარწმუნო გარემოება, რომელიც უცნობ გარემოებებთან ისეთ კავშირშია, რომ პირველი გარემოების არსებობიდან გამომდინარეობს მეორის ნამდვილობა. როდესაც ცალკეული ფაქტები ერთმანეთთან ასეთ კავშირშია, ამბობენ, რომ ერთი არის მეორის

¹ Курс лекций, читанных проф. Ю.С. Гамбаровым, 1894-95 ак.г.

² Васильковский Е. В. Учебник гражданского процесса. Издание 2-е. М., 1917 г.

³ Вышинский А. Я. Теории судебных доказательств в советском праве. М., 1946. С. 175.

მტკიცებულება, პირველი ამტკიცებს მეორის არსებობას. ფაქტს, რომელიც ექვემდებარება დამტკიცებას, მტკიცების საგანს უწოდებენ, ხოლო ფაქტი, რომლისგანაც გამოჰყავთ დასამტკიცებელი ფაქტის არსებობა, ატარებს მტკიცებულებათა ფაქტების სახელს ანუ მტკიცებულებას. მსჯელობითი მოღვაწეობა, რომელიც მოწვევებითია, არ წარმოადგენს სასამართლოს მუშაობას და მოძღვრება მტკიცებულებითი ფაქტების შესახებ არ არის იურიდიული.”¹ „საშუალება, რომლის მეშვეობით ხორციელდება მტკიცება ეწოდება მტკიცებულება.”² „მტკიცებულებებს უწოდებენ იმ საშუალებებს, რომელიც მხარეების მიერ წარედგინება სასამართლოში იმ მიზნით, რომ დაარწმუნოს თავისი განცხადების და მოთხოვნების ჭეშმარიტებაში.” ხერხებს და საშუალებებს, რომლის მეშვეობით სასამართლო ამტკიცებს იურიდიული ფაქტების არსებობა-არარსებობას, სასამართლო მტკიცებულება ეწოდება.”³

კანადის კვებეკის სამოქალაქო კოდექსის (1991 წ.) მეშვიდე წიგნის მეორე ტიტულში “მტკიცებულების” 2811-ე მუხლი ასე განმარტავს მტკიცებულებას: „რომელიმე ფაქტის ან იურიდიული აქტის მტკიცებულება შეიძლება იყოს განხორციელებული წერილობითი დოკუმენტით, ჩვენებით, პრეზუმფციით, აღიარებით ან მატერიალური ნივთების წარდგენის წესების შესაბამისად, რომელიც მოყვანილია ამ წიგნში და წესით, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსში“.

1975 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები. ფედერალური წესების 101-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მტკიცებულებების საყოველთაო სისტემის შესაბამისად.⁴ 102-ე წესი „მიზნები და განმარტებები” ამბობს, რომ „ნამდვილი წესები უნდა იყოს განმარტებული, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების დროს მიუკერძოების უზრუნველყოფა, რომელიც გამორიცხავს დაუსაბუთებელ მატერიალურ ხარჯებს და სამართალწარმოების დაუშვებელ შეჩერებას, რომელიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს მტკიცებითი სამართლის ნორმების სრულ განვითარებას, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას და განსაზღვრავს სასამართლო პროცესის სამართლიან მსვლელობას. მარტივი ფორმით მტკიცებულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც რაიმე ისეთი, რომელიც ამტკიცებს ფაქტის არსებობას ან არარსებობას. აშშ-ში მტკიცებულება მოსამართლეს და მსაჯულებს წარედგინება სასამართლო სხდომაზე, რომ დაარწმუნოს იმ ფაქტის არსებობა, რომელიც ეხება განხილვაში მყოფ საქმეს. მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მოწმეების და ექსპერტ-მოწმის ზეპირი ჩვენება, დოკუმენტები, ცნობები, ფოტოსურათები, ნივთები და ჩვენებები, რომელიც მოცემულია ფიცის ქვეშ. გერმანიის მტკიცებით თეორიაში, დამტკიცო რაიმე ნიშნავს, მოსამართლის დარწმუნებას წარდგენილი ფაქტის სიმართლეში. მოსამართლის დარწმუნებაში იგულისხმება მისი სრული დარწმუნება. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო დებულების მეხუთე თავი აწესებს მტკიცებულების კვლევის ზოგად წესს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ პრაქტიკაში მოსამართლის რწმენის ფორმირებისათვის არ არის აუცილებელი მათემატიკური სიზუსტის იმ მონაცემის დადასტურება, რომელიც არის საქმეში. მნიშვნელოვანია, იყოს მხოლოდ ისეთი ხარისხის ვარაუდი, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს გაუქარწყლოს ეჭვი განხილვაში მყოფ საქმეზე. ასეთ მო-

¹ Чельцов-Бебутов М. А. Харьков, 1929. С. 996 /под. ред. проф. М.А. Чельцова. Уголовный процесс. М., 1948. С. 248.

² Александровский С.В. Гражданский процесс РСФСР. Л., 1927. С. 42.

³ Абрамов С.Н. Гражданский процесс. М., 1946. С. 68.

⁴ Таранова Т., Тэйлор Б. Доказательства в гражданском судопроизводстве США// Вестник, №23, 2003.

საზრებას აქვს აგრეთვე თეორიული ფესვები: იურიდიული მტკიცებულება არ არის არსებული მტკიცებულება, არამედ მისი არსებობის სავარაუდო ანალიზია (ე. შნაიდერი). გერმანიის თეორიაში ასხვავებენ მტკიცებას ვიწრო გაგებით და პროცესუალური გაგებით, რომელიც, თავის მხრივ, მკაცრი და თავისუფალია (ე. შნაიდერი, რ. ბრუნსი, ვ. გაიტცმანი და სხვები). ვიწრო გაგებით, მტკიცება აღნიშნავს სასამართლოს პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომლის შედეგად მას რწმენა უღრმავდება საქმეში მოყვანილი არგუმენტების სიმართლეში ან სიცრუეში. პროცესუალური გაგებით მტკიცება არის მკაცრი და თავისუფალი. მკაცრი მტკიცება მდგომარეობს სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენაში, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს იმ მტკიცებულებების გამოყენებით, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. თავისუფალი მტკიცების პროცესში სასამართლო არ არის შებოჭილი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებით, გარდა საზღვარგარეთის სამართლის ნორმებისა და საერთო სამართლით. მტკიცება შედგება ორი ეტაპისგან ან სტადიისგან: 1) მტკიცებულებების წარდგენა მტკიცების განსაზღვრული საშუალებების მეშვეობით; 2) მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება.¹

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიღებული იყო 1975 წელს და ძალაში შევიდა 1976 წლის 1 იანვარს. მეშვიდე ტიტული მთლიანად ეძღვნება მტკიცებულებასა და პროცესუალურ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მათთან. პროცესუალური კოდექსი არ შეიცავს მტკიცებულებების განმარტებას, მაგრამ 132-ე მუხლი შეიცავს მოთხოვნას მხარეებთან, რომელიც ეხება მტკიცებულებას. მხარე ვალდებულია მტკიცებულება წარუდგინოს ყოველ მხარეს. მტკიცებულებების წარდგენა უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით. მტკიცებულების ლეგალური განმარტება საფრანგეთის კანონებში არ არის. მაგრამ ფრანგული დოქტრინა მტკიცებულებებში გულისხმობს ფაქტების შესახებ მონაცემებს, რომლებიც იყოფა იურიდიულ ფაქტებსა და იურიდიულ აქტებად. იურიდიულ ფაქტებში დოქტრინა გულისხმობს მოვლენებს, მატერიალურ ფაქტებს, რომლებიც შეუძლებელია დააფიქსირო კანონით დადგენილი ფორმით, ამიტომ არ არსებობს რაიმე შეზღუდვა მტკიცების საშუალებების დასაშვებობაში. იურიდიულ აქტებში დოქტრინა გულისხმობს მოქმედებას, ნების აქტებს, სამართალურთიერთობის სუბიექტების ნების გამოვლენას. მათი დადასტურებისათვის სასამართლო დაუშვებს მხოლოდ იმ მტკიცების საშუალებებს, რომლებიც პირდაპირ არის მითითებული კანონში.² ჩვენ მთლიანად ვემხრობით ტრეუშნიკოვის აზრს, რომ ყველაზე სწორია სასამართლო მტკიცებულებების ერთიანი გაგება. სასამართლო მტკიცებულებებს პირველ რიგში აქვს შინაარსი, მეორე – აქვს პროცესუალური ფორმა და მესამე – მტკიცებულებების მიღება გარკვეული პროცესუალური წესით და მტკიცებითი ინფორმაციის გამოკვლევა. ეს სამი ნაწილი ახასიათებს სასამართლო მტკიცებულებების სამართლებრივ ბუნებას. მტკიცებულებაში რომელიმე ერთი ნაწილის გამოკლება გამოიწვევს მთლიანად სასამართლო მტკიცებულების გაუქმებას. მტკიცებულება, რომელშიც მთლიანად ამოღებულია შემეცნებითი შინაარსი ან პროცესუალური ფორმა და პროცესუალური წესის დარღვევით ჩართულია სასამართლო

¹ Давтян А. Г. Гражданское процессуальное право Германии: Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук.

² Гражданский процесс зарубежных стран. Учебное пособие / Под ред. д-ра юрид. наук А.Г. Давтян.-М., 2009.

შემეცნების პროცესში, ვერ იქნება მტკიცებულება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცების შემდეგ საშუალებებს: 102-ე მუხლის მეორე ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრეს. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადასტურებლად მითითებულია მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც პირდაპირ კანონით არის გათვალისწინებული. კანონის თანახმად, მტკიცების საშუალებას მიეკუთვნება მხარეთა და მესამე პირების ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტთა დასკვნები.¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი აუდიო და ვიდეოჩანაწერებზე, როგორც ცალკეული სახის მტკიცებულებაზე.

2. სასამართლო მტკიცებულებების კლასიფიკაცია (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი)

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მტკიცების საშუალებებს მიეკუთვნება: მხარეთა და მესამე პირების ახსნა-განმარტება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, ექსპერტთა დასკვნები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან შედარებით მტკიცების პროცესუალური საშუალებების ნუსხა რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გაფართოებულია აუდიო და ვიდეოჩანაწერების ხარჯზე. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ის გამოიყენებოდა ადრეც, როგორც განსაკუთრებული სახის წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება.

გერმანიის სამოქალაქო პროცესში დაშვებულია შემდეგი მტკიცების საშუალებები: ნივთიერი მტკიცებულება (Augenscheinseinnahme, §§ 371 - 372 a ZPO), მოწმეთა ჩვენება (Zeugenaussage, §§ 373 - 401 ZPO), ექსპერტის დასკვნა (Sachverständige, §§ 402 - 414 ZPO), დოკუმენტები (Urkunden, §§ 415 - 444 ZPO) და პროცესში მონაწილე მხარის ჩვენება (Parteiernennung, §§ 445 ff. ZPO). მაგრამ საქართველოსა და რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან შედარებით, გერმანიის საპროცესო კანონმდებლობაში ელექტრონული დოკუმენტები მიეკუთვნება ნივთიერ მტკიცებულებას (§ 371 a). აშშ-ის სამოქალაქო პროცესი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ძნელია შეაფასო წარდგენილი მტკიცებულებების მნიშვნელობა შეჯიბრებით პროცესში. აშშ-ის სამოქალაქო პროცესის მტკიცებულებების წარდგენის წესი რეგულირდება ცალკეული პროცესუალური დოკუმენტით – მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესებით, რომელიც, თავისი მოცულობით, არ ჩამორჩება აშშ-ის სამოქალაქო პროცესის ფედერალურ წესებს. აშშ-ის სასამართლოში დაიშვება ტექსტის წარდგენა, როგორც მტკიცებულების, რომელიც დაწერილია ხელით, თუ მისი სინამდვილე ეჭვს არ იწვევს (პ.1731, აშშ-ის კოდექსი). მტკიცებულების სახეებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი მტკიცებულებები: სასამართლო გადაწყვეტილება და ოქმები, დოკუმენტების ასლები, წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტის დასკვნა და ჩვენება, ჩვენება სხვისი სიტყვებიდან, ამოცნობა და იდენტიფიკაცია.² ტატიანა ტარანოვა და ბრაიან ტეილორი სტატიაში „მტკიცებულებები აშშ-ის სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ მიუთითებენ, რომ აშშ-ის სამოქალაქო

¹ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი, 2007.

² Аболонин Г.О. Гражданское процессуальное право США: монография / - М.: Волтерс Клувер, 2010.

პროცესში არის შემდეგი სახის მტკიცებულება: ჩვენება სხვისი სიტყვებიდან, მოწმეთა ჩვენება, დოკუმენტური მტკიცებულებები, ნივთიერი მტკიცებულება, სამაგალითო მტკიცებულება. აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროცედურულ წესებს და თავისი მტკიცებულებებით სრულიად განსხვავდება სხვა ქვეყნების პროცესუალურ კანონმდებლობაში ჩამოთვლილი მტკიცებულებებისაგან.¹

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე თავში „მტკიცებულებების სასამართლო ადმინისტრაცია“ წარმოდგენილია მტკიცების წესები და მტკიცებულებების ცალკეული სახეები: 1) მხარეთა და მესამე პირების ახსნა-განმარტება (*la comparution personnelle des parties; les declarations des tiers*) (სსკ 184–199-ე მუხლები); 2) მხარეთა და მოწმეების წერილობითი ჩვენება (*les attestations*) (სსკ 200–203-ე მუხლები); 3) მოწმეების ჩვენება (*la preuve testimoniale*) (სსკ 204–231-ე მუხლები); 4) სპეციალისტის მონაწილეობა სამი ფორმით – დათვალიერება (*les consultations*), კონსულტაცია (*la consultations*), ექსპერტიზა (*l'expertise*) (სსკ 232–284-1-ე მუხლები); 5) წერილობითი მტკიცებულებები (*les preuves litterales*) (სსკ 285–316-ე მუხლები); 6) ფიცი (*le serment judiciaire*) (სსკ 317–322-ე მუხლები).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მტკიცებულებების ნუსხაში არ არის გათვალისწინებული და შეყვანილი ნივთიერი მტკიცებულება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ ახსენებს ნივთიერ მტკიცებულებას და არ შეიცავს მათი გამოკვლევის პროცედურას. ი. რეშეტნიკოვა თავის წიგნში „ინგლისისა და აშშ-ის მტკიცებითი სამართალი“, მტკიცების საშუალებებს ყოფს 3 სახედ, კერძოდ, ინგლისის მტკიცებით, სამართალში მტკიცების საშუალებებს წარმოადგენს: მოწმეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. მოწმეთა ჩვენება აერთიანებს თვით მოწმეებს, აგრეთვე მხარეების ახსნა-განმარტებებს და ექსპერტების დასკვნებს.² ინგლისში მტკიცების ხერხები და საშუალებები იყოფა ზეპირ (მოწმეთა ჩვენება), დოკუმენტურ (წერილობით) და ნივთიერ მტკიცებულებებად. მოწმეთა ჩვენება გამოიყენება ძალიან ფართოდ და ზოგადი წესის მეშვეობით შეიძლება ამტკიცო ნებისმიერი ფაქტი. მოწმეთა ჩვენებას აგრეთვე მიეკუთვნება ექსპერტთა დასკვნები, რომელიც ინგლისის სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოწმეთა განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან ექსპერტიზა არ მიიჩნევა, როგორც ცალკეული და დამოუკიდებელი სახის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება. მხარეს შეუძლია მისცეს ჩვენება, როგორც მოწმემ. სასამართლოში არსებობს მოწმის სამი სახის დაკითხვა: პირველადი, განმეორებითი და ჯვარედინი. ბოლო ორი სახის დაკითხვა არ არის სავალდებულო. განმეორებით დაკითხვას აქვს ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკვე განხორციელდა ჯვარედინი დაკითხვა. სამოქალაქო პროცესში მოწმეს შეუძლია უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე იმ პრივილეგიაზე დაყრდნობით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, თუ მისი ჩვენების შედეგად მის მიმართ იქნება წაყენებული ბრალდება. ინგლისის სამოქალაქო პროცესში წერილობითი მტკიცებულების წარდგენის პროცესუალური წესი დამოკიდებულია იმაზე, საჯარო-სამართლებრივია ის თუ კერძო-სამართლებრივი. საჯარო-სამართლებრივი დოკუმენტების შინაარსი შეიძლება დადასტურდეს როგორც პირველადი, ისე ე. წ. მეორეული მტკიცებულებიდან. კერძო-სამართლებრივი დოკუმენტების შინაარსის დადგენისას დაიშვება მხოლოდ პირველადი მტკიცებულება, ზოგიერთი გამონაკ-

¹ Таранова Т., Тэйлор Б. Доказательства в гражданском судопроизводстве в США// Вестник, №23, 2003.

² Решетникова И.В. Доказательственное право Англии и США. – Екатеринбург: Изд-во УрГЮА, 1997.

ლისის გამოყენებით. დოკუმენტური მტკიცებულება, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, შეადგენს ყველა მტკიცებულების საფუძველს.

ინგლისის სამოქალაქო პროცესში წერილობითი მტკიცებულების მიმართ გამოიყენება წესი, რომლის თანახმად დოკუმენტი, რომელიც შეადგენს მონაცემების განსაკუთრებულ კატეგორიას და რომელიც სარგებლობს პრივილეგიით, არ შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც მტკიცებულება. ეს წესი ეხება აგრეთვე მოწმეთა ჩვენებას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენებას, მონაცემების პრივილეგიას, რომელიც დაწესებულია ინგლისის სახელმწიფო ინტერესებით. პრივილეგირებული შეიძლება იყოს დოკუმენტები, რომლებიც ეხება მხარეებს შორის მიმოწერას და ასევე მათ და ადვოკატებს შორის მიმოწერას, აგრეთვე ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც შედგენილია სასამართლო პროცესის წარმართვის მიზნით. ინგლისის სამოქალაქო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერ მტკიცებულებას. ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობა დაკავშირებულია ნივთების თვისებებსა და ხარისხთან, მის გარეგნულ სახესა და ნივთის არსებობის ფაქტთან. ამასთან, ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს აგრეთვე დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს ფაქტის არსებობასთან, მათ მატერიალურ თვისებასა და თავისებურებასთან. მათი წერილობითი მტკიცებულებისგან განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ნივთიერი მტკიცებულების მიმართ არ გამოიყენება წესი „საუკეთესო მტკიცებულების“ შესახებ. ნივთიერი მტკიცებულება განიხილება, როგორც მოწმის ფიზიკური თავისებურება, მისი ქცევის გარეგნული ნიშნები, განსაკუთრებით მისი ჩვენების დამაჯერებლობის და სარწმუნოების შეფასებისას, როდესაც მოწმის ფიზიკური თავისებურება წარმოადგენს ძირითად ფაქტს, მაგალითად, მოწმის დასახიჩრებული სახე. როგორც წერილობითი, ისე ნივთიერი მტკიცებულება უნდა დამტკიცდეს მოწმის აუცილებელი ჩვენებით. ის შეიძლება დამტკიცდეს აგრეთვე წერილობითი მტკიცებულებით, განსაკუთრებით, კერძო მნიშვნელობის დოკუმენტით.¹

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, კანადის ერთადერთი კოდიფიცირებული კანონი, აწესებს ინგლისისა და საფრანგეთის სამოქალაქო პროცესისათვის დამახასიათებელი მტკიცებულებების საშუალებებს. პროცესუალურ საშუალებად მოყვანილია: წერილობითი მტკიცებულება (სადაც შედის სტატუტების ასლები, აუტენტური აქტები, ნაწილობრივ აუტენტური აქტები, კერძო წერილობითი მტკიცებულება, სხვა წერილობითი დოკუმენტები, ელექტრონული ჩანაწერები), მოწმობა (ჩვენების მიცემა), პრეზუმფცია, აღიარება, მატერიალური ნივთების წარდგენა (ნივთიერი მტკიცებულება).²

სასამართლო მტკიცებულებების კლასიფიკაცია არის ლოგიკური ოპერაცია მათი სახეობად და ცალკეული მტკიცებულების სახეების ქვესახეობად დაყოფა.³ მტკიცებულებების კლასიფიკაციას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან ის ავლენს ცალკეული ჯგუფების მტკიცებულების თავისებურებას და განსაზღვრავს მათი პრაქტიკული გამოყენების საუკეთესო გზებს ამ თავისებურების გათვალისწინებით. მტკიცებულებების დაყოფა ხორციელდება რომელიმე არსებითი ნიშნით, რომელიც მის სახეობას შეადგენს და საშუალებას აძლევს გამოავლინოს განსხვავება და ერთიანობა, გაადრმაგოს შემეცნებითი პროცესი. ერთი ნიშანი გამოდის მტკიცებულების დაყოფის საფუძველად, მისი შინაარსიდან გამომდინარე; სხვა კლასიფიკაციის საფუძველი

¹ Решетникова И.В. Доказательственное право Англии и США. – Екатеринбург: Изд-во УрГЮА, 1997.

² Гражданский кодекс Квебека, 1991 г

³ Судебная практика по гражданским делам 1993—1996 гг. М., 1997. С 19, 327-32

გამოხატავს პროცესუალური ფორმის სპეციფიკას; მესამე გამოხატავს მტკიცების პროცესში ფუნქციურ როლს. იურიდიულ ლიტერატურაში მტკიცებულების ყველაზე უდავო ნიშნის მიხედვით დაყოფაა, რომელიც ახასიათებს მტკიცებულებას მათი შინაარსის თვალსაზრისით. მტკიცებულების შინაარსის მიხედვით ის კლასიფიცირდება პროცესის ფორმირებით მტკიცებულების კავშირის ხასიათიდან, რომელიც არსებობს დასამტკიცებელ ფაქტსა და ფაქტების შესახებ მონაცემებს შორის.

მტკიცებულების შინაარსი კავშირის ხასიათის მიხედვით არის პირდაპირი და არაპირდაპირი. სასამართლოს პირდაპირი მტკიცებულება არის ის, რომლის შინაარსს აქვს ერთმნიშვნელოვანი კავშირი დასამტკიცებელ ფაქტთან. ერთმნიშვნელოვანი კავშირი საშუალებას გვაძლევს მივიღეთ ერთადერთ დასკვნამდე, არსებობს თუ არ არსებობს ფაქტი. მაგალითად, ოქმი უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც საწარმოში მოხდა, არის ამ ფაქტის პირდაპირი მტკიცებულება. არაპირდაპირს უწოდებენ მტკიცებულებას, რომლის შინაარსს აქვს მრავალმნიშვნელოვანი კავშირი დასამტკიცებელ ფაქტთან. მრავალმნიშვნელოვანი კავშირით მტკიცების დროს შეგვიძლია მივიღეთ რამდენიმე სავარაუდო დასკვნამდე. ფაქტების შესახებ მონაცემების ფორმირების პროცესში მტკიცებულებები იყოფა პირველად და გამომდინარედ (მეორეული). ასეთი დაყოფის საფუძველად გამოდის მტკიცებულების შინაარსის ფორმირების პროცესი. პირველადი (პირველწყაროები) მტკიცებულება ფორმირდება უშუალო ზემოქმედების შედეგად საძიებო ფაქტის ინფორმაციის მატარებელზე. გამომდინარეს (მეორეული, ასლები) უწოდებენ მტკიცებულებას, რომლის შინაარსი წარმოქმნის მონაცემს, რომელიც მიღებულია სხვა წყაროებიდან. ა. გურვიჩი ამტკიცებდა, რომ პირველადი და მეორეული მტკიცებულების კლასიფიკაცია მიეკუთვნება მტკიცების პროცესუალურ საშუალებას. მტკიცებულების კლასიფიკაცია, პროცესუალური ფორმების დახასიათების თვალსაზრისით, ტრადიციულად ხორციელდება მტკიცებულების წყაროს მიხედვით. როგორც ტრეუშნიკოვი ამბობს, მტკიცებით თეორიაში არ არსებობს ერთიანობა მოცემული კლასიფიკაციის გატარებისას. ავტორების უმრავლესობა მტკიცებით საშუალებებს ყოფს იმისგან დამოუკიდებლად, მტკიცებულების წყარო ადამიანია თუ მატერიალური ობიექტი, პირადი და ნივთიერი. პირად მტკიცებულებას მიეკუთვნება მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ექსპერტთა დასკვნები. ნივთიერ მტკიცებულებას მიეკუთვნება წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება. ზოგიერთი ავტორი, ტრეუშნიკოვის აზრით, სხვაგვარად აკეთებს მტკიცებითი საშუალების კლასიფიკაციას წყაროს მიხედვით. კ.ს. იუდელსონი პირად მტკიცებულებას, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების, მოწმეთა ჩვენების და ექსპერტთა დასკვნების გარდა, მიაკუთვნებს აგრეთვე წერილობით მტკიცებულებას. ავტორი ამყარებს თავის პოზიციას იმით, რომ წერილობითი მტკიცებულება გამომდინარეობს კონკრეტული პირისგან და მნიშვნელობა არ აქვს რა შინაარსია ჩაწერილი მატერიალურ ობიექტში. პირები და ნივთები (მატერიალური სამყაროს ნივთები), რომლებმაც განიცადეს გარკვეული ფაქტების ზემოქმედება, ფაქტების შესახებ გამოდიან მონაცემების მატარებლების ხარისხში, წყაროს სახით, რომელზეც სხვადასხვა წესით დამაგრებული და შენახულია ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, მტკიცების საშუალების დაყოფის საფუძველად უნდა განიხილებოდეს ფაქტიური მონაცემების (ინფორმაციის) დამაგრების და შენახვის ხერხი. თუ მონაცემები ფაქტების შესახებ გამომდინარეობს ადამიანისგან და მიეწოდება სასამართლოს ადამიანის მეშვეობით, სახეზეა პირადი მტკიცებულება. თუ მონაცემები ფაქტების შესახებ „გაქვავებულია“ ბუნების არაცოცხალ ნივთზე, არის ნივთიერი მტკიცებუ-

ლება. პირად მტკიცებულებას უნდა მიეკუთვნოს მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება და ექსპერტთა დასკვნა, საგნობრივი მტკიცებულება – წერილობითი, ნივთიერი მტკიცებულება და აუდიო და ვიდეოჩანაწერები. არაპირდაპირი მტკიცებულება, რიგ შემთხვევაში, გამოდის, როგორც აუცილებელი საშუალება პირდაპირი მტკიცებულების სარწმუნოების დასადასტურებლად ან უარყოფისთვის, მაგალითად, აღიარება. პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების განსხვავება მტკიცებულების შეფასების დროს მოითხოვს მათი დახასიათების გათვალისწინებას. იურიდიულ ლიტერატურაში პირველადი და გამომდინარე (მეორეული) მტკიცებულების ანალიზისას ძირითადი ყურადღება ექცევა გამომდინარე (მეორეული) მტკიცებულებას. ეს ყურადღება კანონზომიერია, ვინაიდან გამომდინარე (მეორეული) მტკიცებულება პროცესის ფორმირებისას აძლევს შეცდომის დაშვების შესაძლებლობას. პირველადი და გამომდინარე (მეორეული) მტკიცებულების ცნება არ შეიძლება შევადაროთ მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების გამოყენებას. ეს ეხება ნივთიერ მტკიცებულებას, მხარეთა ახსნა-განმარტებას, მოწმეთა ჩვენებას და აგრეთვე აუდიო და ვიდეოჩანაწერებსაც. თუ ნივთისგან გაკეთებული ასლი წარდგენილი იყო სასამართლოში, მაშინ ასეთი მტკიცებულება იქნება გამომდინარე (მეორეული). ასევე იქნება მოწმის გამომდინარე ჩვენება, თუ ის უშუალოდ არ შეიცნობს მოვლენებს ან სხვა გარემოებებს, მაგრამ იცის მათ შესახებ სხვა ინფორმაციის წყაროდან. აუდიო და ვიდეოჩანაწერები ადვილად შეიძლება დააკოპირო ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, შინაარსის გარკვეული ხარისხის დამახინჯებით. მტკიცებულების შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ პირადი მტკიცებულების თავისებურება, საგნობრივი მტკიცებულებისგან განსხვავებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიური მონაცემების მატარებელი ყოველთვის ადამიანია, რომელიც უნდა ფლობდეს ჩვენების მიცემის შესაძლებლობას, სწორად უნდა აღიქვას, შეინახოს მემსიერებაში და გადმოსცეს აღქმული. პირადი მტკიცებულების ფორმირების პროცესი სამი ჯაჭვისგან შედგება: აღქმა, შენახვა და გადმოცემა. ინგლისის და აშშ-ის მტკიცებით სამართალში მტკიცებულება დაიყოფა, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო (judicial) და არასასამართლო (extrajudicial) მტკიცებულებებად. სასამართლო მტკიცებულება (judicial) გამოიყენება სასამართლოსა და მსაჯულების წინაშე ფაქტების გამოკვლევის პროცესში. არასასამართლო (extrajudicial) მტკიცებულებას ადამიანები მიმართავენ ყოველდღიური ცხოვრების დროს და სასამართლოს გარეთ, ცალკეული პირების დასარწმუნებლად. ინგლისის და ამერიკის მტკიცებითი სამართალი შეიცავს რიგ წესებს სასამართლო მტკიცებულების კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლო მტკიცებულება არის: ზეპირი და წერილობითი (oral evidence and documentar evidence); პირდაპირი და არაპირდაპირი (direct and circumstantial); უშუალო და არაუშუალო, პირველადი და მეორეული (primary and secondary evidence); ნამდვილი და არანამდვილი; საუკეთესო მტკიცებულება (best evidence) და ა.შ. ამერიკულ სამართალში არის ცნება, რომელსაც უწოდებენ “დაცვის მტკიცებულებას” (rebutal evidence). ამერიკის იურიდიულ ლიტერატურაში დაცვის მტკიცებულება (rebuttal evidence) განსაზღვრულია ბუნდოვნად და გაურკვეველად. ინგლისის სამართლის ლექსიკონი (The dictionary of English Law 1959 r.) მოცემული კლასიფიკაციის მტკიცებულებების ცალკეულ სახეებს შემდეგნაირად ხსნის: მტკიცებულება არის პირდაპირი (direct) ფაქტი, რომელიც დასტურდება ამ მტკიცებულების მეშვეობით და ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტას ან ფაქტი, რომელიც

მოითხოვს დამტკიცებას (მტკიცების საგნის ფაქტთან). მტკიცებულება არაპირდაპირია (indirect) მაშინ, როდესაც ფაქტის არსებობა, რომელიც ექვემდებარება გადაწყვეტას, გამოჰყავთ სხვა ფაქტიდან. თავის მხრივ, ინგლისელი იურისტების განმარტებით, არაპირდაპირი მტკიცებულება არის: ა) დამაჯერებელი და ბ) პრეზიუმფციული. არაპირდაპირი მტკიცებულება დამაჯერებელია, როდესაც ფაქტის არსებობა გამომდინარეობს მტკიცებულებიდან, როგორც არსებული კანონებიდან ან სასამართლოს პრაქტიკის ნორმებიდან, როდესაც, მაგალითად, ალიბი დამტკიცებულია. არაპირდაპირი მტკიცებულება პრეზიუმფციულია, როდესაც ის ეფუძნება დიდი ან პატარა ხარისხით ვარაუდს (probability). მტკიცებულებას, რომელსაც გადაჰყავს მტკიცების ტვირთი, ინგლისის სამართალში უწოდებენ *prima facie evidence*; უშუალო მტკიცებულება – რომელიც გამოჰყავთ რომელიმე საგნიდან და მიეკუთვნება ნივთების რიგს. ასე, მაგალითად, კვალი მიწოდორში არის პირველადი, რეალური მტკიცებულება იმისა, რომ იქ ვიღაც იყო. დოკუმენტების გაყალბების წარმოება არის გაყალბების უშუალო მტკიცებულება. მტკიცებულება არის წერილობითი და პირადი. წერილობითი მტკიცებულება გამომდინარეობს საგნიდან (ნივთისგან), რომელიც განპირობებულია ნიშნებით, რომლის მეშვეობით დატანილია აზრები ნამდვილ ნივთზე (საგნებზე). პირადი მტკიცებულება ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც ადამიანებთან მიდის სიტყვების ან ნიშნების მეშვეობით და რომელიც მიმართულია აზრების გადაცემაზე. *The dictionary of English Law. Vol. 1 P. 741-742.* ინგლისის სასამართლო მტკიცებულების კლასიფიკაციის თანახმად, პირად მტკიცებულებას აქვს თავისი ქვესახეობა, მაგალითად, *opinion evidence* (ექსპერტის დასკვნა და მოწმის ჩვენება). პირადი ჩვენება, მონაცემები წერილობითი ფორმით და არაცოცხალი ხმით (*viva voce*) არის აფიდევიტის (*affidavit*) სახე, რომელიც ჩაბარებულია შენახვისთვის ოფიციალურ პირზე (*deposition*). სასამართლო მტკიცებულება იყოფა პირველადსა და გამომდინარედ, მათი წყაროსთან კავშირის ხასიათის მიხედვით. პირველადი (*original*) მტკიცებულება არის ის, რომელიც მოჰყავთ წყაროს მეშვეობით, რომელიმე შუალედური არხების გადაცემის გვერდის ავლით. ასეა, როდესაც მოწმე ჩვენებას (*witness*) აძლევს (*deposes*) ფაქტის მიმართ, რომელიც იმყოფება მისი ცოდნის ფარგლებში ან ნივთი წარდგენილია სასამართლოში. გამომდინარე მტკიცებულებაში გაიგება ისეთი ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა, როგორც ინგლისელი იურისტები ამბობენ, მეორე ხელის მეშვეობით (*second hand*). გამომდინარე არის ისეთი მტკიცებულება, რომელიც პირველწყაროდან გამოსვლისას გადის შუალედურ არხებს. გამომდინარე მტკიცებულებად ითვლება მოწმის ჩვენება, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს ფაქტის არსებობა და რომლის შესახებ იყო ინფორმირებული სხვისგან ან აღწერს ნივთს, ან დოკუმენტის შინაარსს, სასამართლოსთვის არწარდგენის შემთხვევაში. გამომდინარე მტკიცებულებებს უწოდებენ: 1) ჭორებს (*hearsay*), როდესაც მოწმე მიუთითებს სხვა პირზე, როგორც წყაროზე; 2) მეორეულ (*secondary*) მტკიცებულებებს, როდესაც დოკუმენტის შინაარსი ეცნობა სასამართლოს ახსნა-განმარტების ან/და ასლების მეშვეობით (*The dictionary of English Law Vol. I*); 3) როდესაც მტკიცებულების ნამდვილი წყარო არის ნივთი (*real*) და მისი გარეგნული სახე აღიწერება მოწმის მიერ. ინგლისის სამოქალაქო პროცესში მოქმედებს ასეთი წესი: თუ სასამართლოსათვის ხელმისაწვდომია მტკიცებულების ორი სახე, მაშინ უნდა იყოს წარდგენილი საუკეთესო მტკიცებულება. აქედან გამომდინარეობს, რომ დოკუმენტის შინაარსის გამომდინარე მტკიცებულება არ დაიშვება, თუ პირველწყარო არ არის წარდგენილი. მტკიცებულების კლასიფიკაციაში დამოუკიდებ-

ლად გამოიყოფა ე.წ. substantive evidence (დამოუკიდებელი მტკიცებულება). ისინი მოჰყავთ მტკიცებულების უარყოფის მიზნით, რომელიც წარდგენილია მოწმის დისკრედიტაციის ზრახვებით (მაგალითად, ფაქტის მოყვანა, რომელიც მოწმობს იმაზე, რომ მოწმე არ არის ღირსი, რომ მას დაუჯერონ) ან/და მისი ჩვენება ფაქტის დასადასტურებლად. ინგლისის სამოქალაქო პროცესში მტკიცებულება არის თვალსაჩინო და არათვალსაჩინო. თვალსაჩინო მტკიცებულება არის ის, რომელიც გამოჰყავთ უშუალოდ დოკუმენტიდან. ეს ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც არ მოითხოვს განმარტებას ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დოკუმენტის ოთხი კუთხიდან გაუსვლელად (without going beyond the four corners of the document). არათვალსაჩინო ან paral evidence ეწოდება ისეთ მტკიცებულებას, რომელიც მოჰყავთ იმისათვის, რომ დოკუმენტში განმარტონ წინააღმდეგობები. ზოგჯერ მათ უწოდებენ ახსნა-განმარტებით (explanatory) მტკიცებულებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამოიყენება დოკუმენტის ნამდვილი შინაარსის დადგენის მიზნით, ე.ი. სიტყვიერი გამოხატულობის საშუალების ან ნამდვილი ზრახვების დასადასტურებლად. ახსნა-განმარტებითი მტკიცებულების ზრახვები, როგორც წესი, დაიშვება მხოლოდ მაშინ, რომ განმარტოს შეხვედრილი ორაზროვნება. მაგალითად, როდესაც მოანდერძე უანდერძებს ქონებას უილიამ სმიტის სასარგებლოდ, ახსნა-განმარტებითი მტკიცებულება დაიშვება მხოლოდ იმისათვის, რომ დაამტკიცონ, რომელ უილიამ სმიტს გულისხმობდა მოანდერძე.¹ გერმანულ პროცესუალურ თეორიაში მტკიცებულება კლასიფიცირდება: 1) მტკიცების მიზნის მიხედვით: სრული მტკიცებულება (der Vollbeweis) და მტკიცებულება-მტკიცება (die Glaubhaftmachung), ძირითადი (der Hauptbeweis) და საპირისპირო მტკიცებულებები ან კონტრარგუმენტები (der Gegenbeweis); 2) მტკიცებულებების წარდგენის ხერხით: პირდაპირი (unmittelbarer/indirekter Beweseis) და არაპირდაპირი (der mittelbarer oder Indizienbeweis); 3) პროცესუალური ფორმის მიხედვით და აგრეთვე მტკიცების სახეობის მიხედვით განასხვავებენ მკაცრ (der Strengbeweis) და თავისუფალ მტკიცებულებებს (der Freibeweis). მკაცრი მტკიცებულებისგან განსხვავებით თავისუფალი მტკიცებულება არ არის შებოჭილი კანონით გათვალისწინებული მტკიცების საშუალებით და შესაბამისი პროცესუალური ფორმით.² საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო მტკიცებულების კლასიფიკაცია აწყობილია მტკიცებულების შინაარსის გაშლის ხერხებსა და საშუალებების განსხვავების პრინციპზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მტკიცების საშუალება არის სრულყოფილი (les procedes de preuve parfaits) და არასრულყოფილი (les procedes de preuve imparfaits). მოცემული კლასიფიკაციის თანახმად, მტკიცების სრულყოფილი საშუალება დაიშვება ნებისმიერი იურიდიული ფაქტების დასადასტურებლად, მიუხედავად მათი ბუნებისა (მოვლენები, მოქმედებები), რაზეც დამოკიდებულია და დაკავშირებული მოსამართლის რწმენა. მტკიცების სრულყოფილ საშუალებას მიეკუთვნება წერილობითი მტკიცებულება, აღიარება, გადამწვევები ფიცები. მტკიცების არასრულყოფილი საშუალება დაიშვება იურიდიული ფაქტების დასადასტურებლად და მოსამართლისთვის არ არის სავალდებულო. მტკიცების არასრულყოფილ საშუალებებს მიეკუთვნება მოწმეთა ჩვენება და ის პრეზიუმფცია, რომელიც შეიძლება უარყო. ზოგჯერ გვხვდება მტკიცებულების დაყოფა: პირდაპირი და არაპირდაპირი, პირველადი და გამომდინარე. მაგრამ ასეთ კლასიფიკაციას

¹ Решетникова И.В. Доказательственное право Англии и США. – Екатеринбург: Изд-во УрГЮА, 1997.

² Давтян А. Г. Гражданское процессуальное право Германии :Основные институты: Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ფრანგი პროცესუალისტები მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობენ.¹ სასამართლო შემეცნების ამ გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს პროცესუალური ფორმა. ამასთან დაკავშირებით, ი. რეშეტნიკოვა თვლის, რომ მტკიცება არის შემეცნებითი მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე, რომელიც განსხვავდება სახელისუფლებო საწყისებით და რომელიც გამომდინარეობს სასამართლოსგან, როგორც ორგანოდან, რომელიც დავას წყვეტს.²

ლევან ლორთქიფანიძე,
სამართლის დოქტორი

სასამართლო მტკიცებულებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, ზემოთ მოყვანილ მტკიცებულებების ცნებებთან ერთად, გვინდა გავაკეთოთ მტკიცების საშუალებების შედარებითი ანალიზი. მტკიცებულების განმარტება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში თითქმის იდენტურია, სადაც საუბარია მტკიცებულებაზე, როგორც ფაქტების შესახებ მონაცემებზე ან ფაქტიური მონაცემების შესახებ, რომელიც შეგროვილია და წარდგენილი კანონით გათვალისწინებული წესით. აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ძირითად აქცენტს აკეთებს მტკიცების საშუალებებზე. ამიტომ მტკიცებულებების ცნების სრული გაშლის მიზნით მივმართეთ მტკიცების საშუალებებს. მტკიცების საშუალებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ სასამართლო მტკიცებულებები ანუ მტკიცების საშუალებები, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, დამოკიდებულია ქვეყნის სამართლებრივ დონეზე, მის განვითარებაზე, სამართლის სისტემაზე. მაგალითად, კანადაში არსებობს მხოლოდ ერთი კვებეკის პროვინციის კოდიფიცირებული სამოქალაქო კოდექსი, რომელზეც დიდი გავლენა იქონია როგორც საფრანგეთმა, ისე ინგლისმა და აშშ-მა. აშშ-ში ერთიანი კოდიფიცირებული აქტი არსებობს – სარის მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები, რომლებიც მიღებულია როგორც ფედერალურ დონეზე, ისე ყოველ შტატში. შტატების წესები ფედერალური წესების იდენტურია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აშშ-ის კოდიფიცირებულ აქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ინგლისთან შედარებით მათ შექმნეს სულ სხვა სამოქალაქო პროცესი. საფრანგეთმა ფაქტიურად გაახლა ძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ორი საუკუნის წინ იყო მიღებული და მტკიცებულებებთან დაკავშირებით შეინარჩუნა ძველი პრინციპები და მიდგომები (დაემატა კომპიუტერული მტკიცებულება). დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მტკიცების საშუალებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შესულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი

¹ Гражданский процесс зарубежных стран. Учебное пособие / Под ред. д-ра юрид. наук А.Г. Давтян.

² Решетникова И.В. Курс доказательственного права в российском гражданском судопроизводстве. М., 2000. С. 5.

ნორმა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დარჩა უცვლელი ანუ გაქვევებული. სახელმწიფოს უჭირავს წამყვანი როლი სასამართლოს სამოქალაქო პროცესში, კერძოდ, მტკიცებულებების შეგროვებაში, მხარეთა დაკითხვაში, ექსპერტიზის დანიშვნაში. დიდი განსხვავებით არ გამოირჩევა მათი მტკიცების საშუალებებიც. ინგლისში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციულ პრეცედენტულ და საერთო სამართალს, ბოლო დროს მიიღეს სამოქალაქო სამართალწარმოების ახალი წესები, რომლებიც მტკიცებულებებს ეხება. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დაწერილობით აყალიბებს მტკიცებით საშუალებებს, რაც გამოწვეულია განვითარებული საპროცესო სამართლით. მათ აქვთ ტრადიციული საშუალებები, რომელიც ახასიათებს კონტინენტურ სამართლებრივ სისტემას. მტკიცებულების ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსხვავდება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსებისგან.

Levan Lortkipanidze,
PHD Student

JUDICIAL PROOFS AND THEIR CLASSIFICATION IN CIVIL PROCESS

We want to offer analyses of fore-named statements notion, which are represented in civil procedural code of Georgia and forerign countries and analyze of means statements at once. Elucidation of statements in the Soviet Union countries and China of civil procedural code is nearly identical and speaks of statement fact, which is gathered and represented with foreseen law. USA, German and France civilian legislation makes the main acecnt of statements, because there is no explanation of statement. That is why we appeal to means statemens with the purpose of statements notion. Just analysis of statements gives us opportunity to say our opinion, that on trial statements, which are obtained in civil procedural code of this or that country and is depended on the justice of country, its development, law system. In Canada province of Quebec there is only one codified act, which is about statements of federal rules. According to this there is shown that USA codified act has a big meaning, because it has createed more different civil process, than England. France practically restored the old civil code, which was dating two centuries ago and preserved to relate of statements with old principle and method of approach. The Soviet Union countries statements means are not distinguished but in Kazakh civil lagisteation there were got some important norms. China's civil procedural code stayed unchangeable or fossilized. The state holds the main place in just civil process, privately gathering of statements, interrogation of parties. Beside this has England very big meaning of traditioonal precedent and common law. At last time there got civil laws new rules of England, which are about statements. Civil process legislations of German raises statemens what are provoked with developed process law. They have traditional statements which are main character of just continental system. Part of statements Georgian civil procedural code is not different from the other post Soviet Union countreis getting civil procedural code.

СУДЕБНЫЕ ДОКАЗАТЕЛЬСТВА И ИХ КЛАССИФИКАЦИЯ В ГРАЖДАНСКОМ ПРОЦЕССЕ

Данная работа посвящена сравнительно-правовому анализу судебных доказательств в гражданском процессе как Грузии, так и зарубежных стран. В работе показаны уже наработанные русской и советской научной цивилистикой понятия судебных доказательств, а также понятия судебных доказательств в Германии, США, Англии, Франции и других странах, в том числе и постсоветских. Показано и то, как отличаются подходы к доказательствам законодателей этих стран, как отличаются по классификации судебные доказательства развитых и развивающихся стран. Принципиальным является то, что судебные доказательства Грузии не отличаются от тех, которые существуют в постсоветских странах; классификация доказательств идентична, правда, с некоторыми нюансами. Грузинское гражданское процессуальное право наиболее схоже с германским процессуальным законодательством, а также с постсоветским. Что касается англо-саксонской правовой системы, или той, что существует в Англии, США, то стоит отметить, что в части судебных доказательств они переходят на континентальную систему с детальной регламентацией судебных доказательств. В США уже существуют федеральные правила о доказательствах, и приняты аналогичные правила в каждом штате. В Англии приняты в 1998 году Правила гражданского судопроизводства, которые упорядочивают вопросы доказательств. В Канаде, в провинции Квебек существует Гражданский кодекс Квебека, который полностью ощутил влияние как Франции, так и США и Англии. Наиболее интересны подходы к доказательствам во Франции, где есть Новый Гражданский процессуальный кодекс, полностью отличающийся от всех существующих кодексов. Цель данной работы состоит в том, чтобы наиболее глубоко рассмотреть и сравнить судебные доказательства, которые существуют в разных странах, предложить наилучшие наработки развитых стран в области судебных доказательств для Грузии.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია. ადრეულ წარსულშიც არ არსებობდა ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომლისთვისაც არ იყო ცნობილი მსგავსი ურთიერთობები.

ერთობლივი საქმიანობა ანუ ამხანაგობა, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომის სამართლიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ მეორე საუკუნით დათარიღებულ კანონებში დაწერილებით იყო მოცემული ამხანაგობის ხელშეკრულების ძირითადი დებულებები (*societas*).

ამხანაგობის ხელშეკრულება იყო პირველი, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევდა გაეერთიანებინათ ქონება. უძველესი ამხანაგობის ხელშეკრულებას მხარეთა შეთანხმება ეწოდებოდა და თავდაპირველად ოჯახის წევრთა მიერ ერთობლივად წარმოებულ საქმიანობებს არეგულირებდა.

ამ ურთიერთობამ სამართლებრივი განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო და ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში თავისებურად აისახა, თუმცა, ყოველთვის შეუცვლელი იყო ის ძირითადი თავისებურებები, რომლითაც მკვეთრად გაიმიჯნა სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისგან.

კლასიკურ რომის სამართალში განასხვავებდნენ ორი სახის ამხანაგობის ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულება ერთობლივი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, რომლის მონაწილენი თანხმდებოდნენ, რომ მთელი მათი არსებული და სამომავლო ქონება წარმოადგენდა საერთო საკუთრებას და ყველაფერს, რასაც ფლობდნენ უნდა გაყოფილიყო მათ შორის. როგორც წესი, ასეთი შეთანხმება იდებოდა ოჯახის წევრებს (თანამესაკუთრებსა და მათ მემკვიდრებს) შორის. ამგვარმა შეთანხმებებმა დღევანდელ კანონმდებლობაში საფუძველი ჩაუყარა არსებულ ე.წ. სამოქალაქო ამხანაგობებს თუ ხელშეკრულებებს საერთო საქმიანობის შესახებ, რომლებსაც არ ჰქონდა სამეწარმეო ხასიათი.

2. ხელშეკრულება, რომლითაც სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილენი აერთიანებდნენ საკუთარი ქონების ნაწილს გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად ან მეურნეობის ერთობლივად გასაძღოლად, შემოსავლის მიღების მიზნით. მსგავსი ტიპის შეთანხმებები იდებოდა ვაჭრებს ან ხელოსნებს შორის ვაჭრობის ერთად წარსამართავად. ამგვარად ვითარდებოდა განსხვავებული სამრეწველო და სავაჭრო ამხანაგობები.

სამოქალაქო ხელშეკრულების მოცემული სახე და მისი დადების სამართლებრივი რეგულირება ვითარდებოდა და რთულდებოდა ცხოვრებისეული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. ჯერ კიდევ კლასიკურ რომაულ სამართალში იქნა გამოყოფილი ”შეთანხმება” (*conventio*), როგორც მხარეთა შეთანხმებული ნების გამოვლინება და ხელშეკრულება (*contractus*), როგორც მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველი. ხელშეკრულების მხარეებს კონტრაჰენტები ეწოდებოდა, სიტყვა ”კონტრაჰენტი” (*contrahere*) ლათინური წარმოშობისაა და შეთანხმების გზით ვალდებულებით

ურთიერთობებში ჩაბმას ნიშნავს. იგი დღესაც ხშირად გამოიყენება იურიდიულ ლიტერატურაში.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები აისახებოდა ამხანაგობის სხვადასხვა ფორმაში, კერძოდ, სავაჭრო ამხანაგობის, სააქციო საზოგადოების, სრული ამხანაგობის, რომლებიც ცნობილი იყო რუსეთის და შემდეგ საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში.

1913 წლის 16 ოქტომბერს რუსეთში, სამოქალაქო კოდექსის პროექტში, რომელიც იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ იქნა დუმაში, ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება იწოდებოდა შეთანხმებად, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანდებოდა, შესატანის სახით შეჰქონდათ გარკვეული ქონება ან სანაცვლოდ სთავაზობდნენ მომსახურების გაწევას. ეს საქმიანობა მიმართული იყო მოგების მიღების მიზნით და მიიჩნეოდა, რომ წევრები სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ იურიდიული პირის შექმნის გარეშე და ამ გაერთიანებაში მათი სტატუსი განისაზღვრებოდა მხოლოდ მათ მიერ შეტანილი ფულადი თანხით.

სოციალისტური სამართლის მოქმედების პერიოდში ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ შეხედულება გარკვეულწილად შეიცვალა. სოციალისტური სახელმწიფოს იდეოლოგიას არ შეეძლო დაეშვა კაპიტალის ამგვარი გამოყენება. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა მოითხოვა, რომ გაერთიანების წევრებს პირადად მიეღოთ მონაწილეობა საქმიანობაში და ხაზი გაუსვა მოთხოვნას, რომ წევრებს არა მხოლოდ უნდა გაეერთიანებინათ ქონება, არამედ საკუთარი მოქმედებით ერთობლივად ეზრუნათ კიდევ საერთო მეურნეობის გაძღოლაზე.

ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებამ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ფართო გავრცელება პოვა. დღეს უკვე კონტინენტური ევროპის და საერთო სამართლის თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაშია იგი გათვალისწინებული.

იურიდიული ბუნებით, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსესუალურ, ორმხრივ ან მრავალმხრივ, სასყიდლიან და ნდობაზე დაფუძნებულ ხელშეკრულებას.

იურიდიულ ლიტერატურაში, იმის მიხედვით, თუ რომელი მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულება დადებულად, მათ ყოფენ კონსესუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად. “კონსესუსი” ლათინური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს. კონსესუალურია ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. ანუ, ერთი მხარის მიცემულ ოფერტზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების არსებით პირობებს, მიღებული უნდა იქნეს მეორე მხარის მკაფიო, უპირობო აქცეპტი. მაგალითად, საბანკო-საკრედიტო ხელშეკრულება, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და ა.შ.

რეალურია ისეთი ხელშეკრულება, რომლის დასადასტურებლად მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმება საკმარისი არ არის, აუცილებელია ასევე ერთი მხარის მიერ მეორისათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა. ასეთია, მაგალითად, მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩუქების ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულება და სხვა.

განასხვავებენ ასევე სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს. სასყიდლიანია ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქმედები-

სათვის მეორე მხარისაგან იღებს შემხვედრ დაკმაყოფილებას (ანაზღაურებას). უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებათა უმრავლესობა სასყიდლიანია, მაგალითად, ნასყიდობა, ქირავნობა, ნარდობა და ა.შ. ხოლო უსასყიდლოა ხელშეკრულება, რომლის დროსაც ერთი მხარე შესრულებული ქმედებისათვის მეორე მხარისაგან არ იღებს გასამრჯელოს. მაგალითად, ჩუქება, თხოვნა და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლში მოცემულია ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ცნება; ამ ნორმის თანახმად, ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

სამოქალაქო სამართალში ამხანაგობის ხელშეკრულების მნიშვნელობა და ადგილი ძირითადად განპირობებულია მისი უნივერსალური ბუნებით. იგი სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებული ერთადერთი ხელშეკრულებაა, რომელიც არეგულირებს მის მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს ნებისმიერი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მუხლების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ის ნიშნები, რომლებიც ამ ხელშეკრულებას ახასიათებს:

1. ეს არის ორი ან მეტი პირის გაერთიანება, იურიდიული პირის შეუქმნელად, საერთო მიზნის ირგვლივ;
2. დასახული მიზნის მისაღწევად ერთმანეთში მოვალეობების გადანაწილება;
3. მონაწილეთა მიერ შესატანების შეტანა და ამხანაგობის საერთო საკუთრებად გადაქცევა;
4. საერთო საქმიდან შემოსული თანხებისა და დანაკარგების თანაბრად გადანაწილება.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ხელშეკრულების მხარეების საერთო მიზანია, რომლის მისაღწევად შეიძლება მოქმედებდეს ორი ან მეტი პირი, ასეთ დროს ხელშეკრულება ორმხრივი ან მრავალმხრივია. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც ორმხრივი ხელშეკრულება, თავისი ბუნებით, განსხვავდება სხვა სახის ორმხრივი ხელშეკრულებისაგან, კერძოდ, ნასყიდობის, ჩუქების, ნარდობის და ა.შ. ხელშეკრულებებისაგან. იგი კანონში მოცემული ცნების პირდაპირი გაგებით არ უნდა იყოს მიღებული. მასში ისეთი სიმკვეთრით, როგორც ქირავნობის, მიბარების და სხვა ხელშეკრულებებში, არ არის გამოხატული მხარეთა უფლება-მოვალეობის იმგვარი მიმართება, როგორიც ახასიათებს კრედიტორსა და მოვალეს. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში, სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, მხარეთა ნება, ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი მიზნისკენაა მიმართული და, უფლება-მოვალეობათა განაწილების თვალსაზრისით, მათ შორის არ წარმოიშობა დაპირისპირებული ინტერესები, ე.ი. ისინი პოლარულ მდგომარეობაში არ იმყოფება ერთმანეთის მიმართ. თითოეული წევრი მოქმედებს არა როგორც დამოუკიდებელი პირი, არამედ ამხანაგობის ხელშეკრულების სუბიექტი, რომელსაც სხვა წევრებთან ერთად გადანაწილებული აქვს ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც ხელშეკრულების საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო

და ყველა მონაწილის ერთიან ინტერესს წარმოადგენს. საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას, რომელიც კოლექტიური გაერთიანებაა, გარკვეულწილად ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის სუბიექტის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობაა, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, მისი მონაწილეები სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად.

მესამე პირებთან პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ შეიძლება გაუჩნდეთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები ანუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და გახდნენ, როგორც მოვალეები და კრედიტორები. მიუხედავად ამისა, ამხანაგობის ხელშეკრულების მხარეებად, ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით, მაინც ვერ ჩაითვლებიან.

ეს არ ნიშნავს ხელშეკრულების მონაწილეთა, როგორც კრედიტორის და მოვალის უფლებებელყოფას, რადგან თითოეული წევრი მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესრულებისას, რომლებსაც ისინი იყენებენ ხელშეკრულების პირობების შესრულების და მიზნების მიღწევის პროცესში, გვევლინებიან ურთიერთმოვალეებად და კრედიტორებად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად უნდა გაიმთხროს ამხანაგობის წევრების უფლებები და მოვალეობები იმ უფლება-მოვალეობებისაგან, რომლებიც შემდეგ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამიტომ, რომ კანონმდებელმა ზემოხსენებული ხელშეკრულების მხარეებს კრედიტორი და მოვალე კი არ უწოდა, არამედ ხელშეკრულების მონაწილეები.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია წარმოიშვას მასში მონაწილე პირთაგან დამოუკიდებლად. ეს ურთიერთობა ყოველთვის მყარდება მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში არიან ამ ურთიერთობის სუბიექტები.

ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილე მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს აგრეთვე სახელმწიფოც.

მაგალითად, არაკომერციულ ორგანიზაციას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი არაკომერციული ამხანაგობის ხელშეკრულებაში, თუმცა მას უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ამხანაგობის მხოლოდ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შეესაბამება მის უფლებაუნარიანობას. იგივე შეიძლება ითქვას სპეციალური სამართალსუბიექტურობის მქონე მეწარმეებზეც (ინდივიდუალური და უნიტარული მეწარმეები).

ხელშეკრულების დადების დროს არსებითი პირობების შესახებ შეთანხმება უნდა გაკეთდეს როგორც თითოეულთან ცალ-ცალკე, ისე ყველასთან ერთად, ვინაიდან თითოეულთან დამოუკიდებლად გაკეთებული ოფერტი და შესაბამისი აქცეპტი არ გულისხმობს ყველას ნების გამოვლენას და ხელშეკრულების დადებას. კანონმდებლის მიერ ამხანაგობის ხელშეკრულების დადების შესახებ მონაწილეთა ერთობლივი ნების გამოვლენის

განსაკუთრებული ფორმა მითითებული არ არის. ამიტომ, იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ზოგადი წესების გამოყენებით.

სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლში საუბარია ზოგადად ხელშეკრულების ფორმაზე, რომ თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა თავადვე გაითვალისწინეს იგი, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

ეს ხელშეკრულება უმჯობესია გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონაწილეთა შორის უთანხმოება. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით არსებობის უპირატესობა განპირობებულია მისი ნდობაზე დაფუძნებული ხასიათიდან გამომდინარე, ამხანაგობის მონაწილეთა წილობრივი უფლების წარმოშობაზე საერთო ქონების მიმართ, მათი ერთმანეთის მიმართ არსებულ მრავალფეროვან უფლება-მოვალეობებზე.

ამხანაგობის ხელშეკრულების წერილობით ფორმას სავალდებულო სახე ექნება იმ შემთხვევაში, თუ შენატანი (თუნდაც ერთ-ერთი მონაწილის) წარმოდგენილია უძრავი ქონების სახით. საერთო საკუთრებაში შეტანილ უძრავ ქონებაზე, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას მისი რეალიზაციის აუცილებლობა და, შესაბამისად, წარმოიშვას მესამე პირთა დაცვის აუცილებლობა. ამდენად, აღნიშნული ფორმის დაცვის სავალდებულო მოთხოვნა ეფუძნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებათა რეგულირების ზოგად ნორმებს.

წერილობითი ფორმა ხელშეკრულების ნამდვილობის დამატებითი პირობაა და იმიტომ დამკვიდრდა სამართალში, რომ მტკიცების პროცესში ბოროტად არ იქნეს გამოყენებული მოწმეთა ჩვენებები, მოწმეთა ყალბი ჩვენებების საფუძველზე ხელშეკრულების არსებობის ფაქტის დადასტურების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულებები თავისუფალია და მათ რაიმე ფორმა არ სჭირდებათ. თანამედროვე პირობებში რეალურად წერილობითი ფორმა უდიდეს როლს ასრულებს. წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების გარდა, ხელშეკრულებათა უდიდესი ნაწილი წერილობით იდება.

რაც შეეხება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ისეთ არსებით პირობას, როგორიცაა ხელშეკრულების ვადა, ამის თაობაზე კანონში პირდაპირი მითითება არ არის. მისი განსაზღვრა მხარეების მიერ ხდება ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებაში დასახული მიზნის გათვალისწინებით. მაგალითად, ხელშეკრულება მონაწილეთა მიერ შეიძლება დაიდოს 1,2,3 წლით და ა.შ., რომლის გასვლის შემდეგ იგი წყვეტს მოქმედებას. თუ ხელშეკრულებაში ვადა საერთოდ არ არის მითითებული, ასეთ შემთხვევაშიც ინარჩუნებს ძალას დასახული მიზნის მიღწევამდე. ამხანაგობის მიზნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განუსაზღვრელი ვადითაც, რაც კანონმდებლის მიერ არ არის შეზღუდული და რაც უმეტესად განპირობებულია საქმიანობის მრავალჯერადი ხასიათით, მაგალითად, თუ პირები ამხანაგობას შექმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთობლივად წარმოებისთვის ან ააშენებენ რაიმე ობიექტს შემდგომ მისი ექსპლუატაციის მიზნით.

გიორგი გელაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

**ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი
შეთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება**

ნაშრომის კვლევის საგანია ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენა, მისი დადების, შესრულებისა და შეწყვეტის სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, ასევე ასეთი სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები, ამხანაგობის ქონების ფორმირებისა და განკარგვის წესი, მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების და დაცვის სამართლებრივი საშუალებები, ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი და სამართლებრივი შედეგები.

Giorgi Gelashvili,
PHD student

LEGAL NATURE OF AGREEMENTS OF JOINT ACTIVITIES

The main subject of the following work is to find out the legal nature of agreements of joint activities, originalities of civil legal regulations of their signing, execution and termination. There is also discussed the original foundations of such kind of agreement liabilities, rules of partnership's property forming and disposal, legal means of execution and defence of partners' rights and obligations, rules of termination of partnership's activities and its legal results.

Гиоргий Гелашвили,
докторант права

**УСТАНОВЛЕНИЕ ПРАВОВОЙ ОСНОВЫ
СОВМЕСТНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ**

Предметом исследования предстоящей работы являются: установление правовой природы договора совместной деятельности; особенности гражданского правового регулирования при заключении, выполнении и прерывании договора; происхождение основания таких договорных обязательств; правила формирования и распоряжения имуществом товарищества; правовые средства осуществления и защиты прав и обязательств участников; правила прерывания деятельности товарищества и правовые результаты.

ოფშორული ზონის ცნება და მასში რეგისტრირებულ კომპანიათა სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე ბიზნესსამართალში ყოველდღიურად იზრდება ოფშორული ზონისა და მასში რეგისტრირებულ კომპანიათა სამართლებრივი სტატუსის კვლევის აქტუალობა. ყოველწლიურად, მილიარდობით ევროსა თუ აშშ დოლარის ბრუნვა სწორედ ოფშორული კომპანიების მეშვეობით ხორციელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ოფშორული ზონისა და მასში რეგისტრირებული კომპანიის სამართლებრივი სტატუსის კვლევას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

თავად სიტყვა „ოფშორი“ (off-shore) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სანაპიროდან დაშორებით“, „საზღვრებს გარეთ“, „ღია ზღვაში“, „იზოლირებულ“. ეს ტერმინი პირველად აშშ-ში, აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ გაზეთში, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გაჩნდა. საქმე ეხებოდა იმ ფინანსურ ორგანიზაციას, რომელმაც სამთავრობო კონტროლს გეოგრაფიული შერჩევითობის პრინციპით აარიდა თავი. კომპანიამ მოღვაწეობა კარგი საგადასახადო კლიმატის ტერიტორიაზე გადაიტანა, რომლის კონტროლი აშშ-ს მთავრობას სურდა. აქედან მოყოლებული ოფშორს იურიდიული მნიშვნელობა აქვს.

ოფშორული ზონების ყველაზე გავლენიან კლიენტებად ტრანსნაციონალური კომპანიები სახელდება. ტერმინი „ოფშორული კომპანია“ ერთ-ერთ შედავათიან საგადასახადო გარემოში რეგისტრირებულ იურიდიული სტატუსის თავისებურებებს განსაზღვრავს და უზრუნველყოფს დაბეგვრის შემცირებას და ნულამდე დაყვანასაც კი.

ძველ საბერძნეთში, კერძოდ, ათენში, შემოღებულ იქნა ორპროცენტოანი საიმპორტო და საექსპორტო გადასახადები. გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად ბერძენი თუ ფინიკიელი ვაჭრები ათენს ოც კილომეტრზე უფლიდნენ და მცირე კუნძულებზე აფარებდნენ თავს, სადაც უძველესი კონტრაბანდული საქონელი დახვავდა. შუა საუკუნეების ევროპაში, კერძოდ, ფლანდრიაში ძალზე დაბალი საგაჭრო შეზღუდვები და გადასახადები იყო. ამდენად, ინგლისელი ვაჭრები მატყლს ფლანდრიაში ჰყიდდნენ და არა თავისი მაღალი გადასახადისა და შეზღუდვების ქვეყანაში. გადასახადებიდან თავის არიდებას აშშ-ში მეთვრამეტე საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ინგლისის მიერ იყო დაწესებული იმპორტზე და, ამდენად, ვაჭრები ლათინური ამერიკიდან ახორციელებდნენ თავის მიზნებს. თანამედროვე ოფშორული ზონების პროტოტიპად შვეიცარია იქცა. შვეიცარიის ეკონომიკაში ფინანსური ბიზნესის მოზიდვის მიზნით დაარსდა ფულის გაცვლის ცენტრები, რომლებმაც ფინანსური საიდუმლოებები შეიმუშავეს, რაც უცხოური კაპიტალის თავშესაფრად იქცა. მიღებული კანონის თანახმად, ბანკირებს მოეთხოვებოდათ ეწარმოებინათ თავისი კლიენტების ანგარიშების აღრიცხვა, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება მათი ჩვენებისა. ამას სხვა ქვეყნებიც აჰყვნენ და დაიწყო კონკურენცია საერთაშორისო კაპიტალის და ბიზნესის მოზიდვის მიზნით. მრავალი პატარა ქვეყანა კუნძულისთვის (მაგალითად, როგორიცაა კვიპროსი) ის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ იქცა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ნებისმიერი საქმიანობის მიმართ გამოიყენება, რომელიც ხორციელდება გარკვეული ტერიტორიის – ოფშორული ზონის საზღვრებს გარეთ. ტერმინი „ოფშორი“ პირველად მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ში გამოიყენეს. ეს, უპირველესად, აიხსნება ადამიანების მიერ გადასახადების თავიდან აცილების სურვილით, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციისა და ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მიზიდვის მცდელობით, რომელიც სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებას ეფუძნებოდა. ოფშორული ზონები, ჩვეულებრივ, მცირე სახელმწიფოები და ტერიტორიებია. ისინი ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპიროებსა და განვითარებული საერთაშორისო ტურიზმის ადგილებში, რომლებიც უცხოური კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკას საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების გამოყენებით ახორციელებენ¹. ოფშორული ბიზნესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, რაც გამოწვეული იყო განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე საკმაოდ მაღალი გადასახადების დაწესებით, რაც გადასახადის გადამხდელს უბიძგებს, ამა თუ იმ ხერხით, ხარჯების მინიმიზაცია მოახდინოს, რაც მეწარმეთა მიერ ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიებაში აისახება. ამ მდგომარეობით სახელმწიფოებს შორის კონკურენცია სამეურნეო სუბიექტებისაგან გადასახადის აკრეფის უფლებაზე კიდევ უფრო გამძაფრდა. სხვადასხვა სახელმწიფომ მეწარმე სუბიექტებს კანონის ფარგლებში მძიმე საგადასახადო წნეხისათვის თავის არიდების საშუალება მისცა და სრულიად ახალი ფინანსური ცენტრების ქსელი შექმნა ანუ ის, რასაც შეღავათიან საგადასახადო გარემოს უწოდებენ. ესაა ოფშორული ზონის ტერიტორიები.

ოფშორულ ზონად ითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. ოფშორული ბიზნესი გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირებისა და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლის უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა. ასეთია კვიპროსის ოფშორული ზონა, რომელზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ოფშორული ზონები განლაგებულია სამხედრო ხარჯებისაგან თავისუფალ, წამგებიანი საწარმოების არმქონე და მოხელეთა დაბალი რაოდენობის ტერიტორიებზე. აქ ორი ფაქტორი მოქმედებს: დაბალი გადასახადები და მარტივი ბიუროკრატიული პროცესები. კვიპროსი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბუნებრივი რესურსების არქონის პირობებში უმნიშვნელო ეკონომიკური პოტენციალის მქონე ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

ოფშორული ზონა სხვადასხვა სახელმწიფოს ნაციონალური ეკონომიკისგან განცალკევებით მდგომი საფინანსო სახეობაა, სადაც შეღავათიანი რეჟიმი განისაზღვრება მოგების თავისუფალი გატანით, სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციაურობით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობით. სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფ-

¹ Joseph A. Pratt, Tyler Priest, Christopher J. Castaneda, Offshore Pioneers: Brown & Root and the History of Offshore Oil and Gas, 1997, P. 3-11.

ლიოში მხოლოდ რამდენიმე ოფშორულ ზონაში მოქმედებს იარაღის ვაჭრობასთან, ტრეფიკინგსა და ნარკობიზნესთან დაკავშირებულ ოპერაციებზე ინფორმაციის მოთხოვნა.

ძირითადად ოფშორული კომპანიების სამ სახეს გამოყოფენ: არარეზიდენტი კომპანია (nonresident), გადასახადებისგან გათავისუფლებული კომპანია (exempt) და საერთაშორისო ბიზნესის კომპანია (International Business Company).

ოფშორულ ზონად ითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია¹. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფინანსური სტაბილურობის ფორუმი“ ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც „იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტიურობის მაღალ დონეს განაპირობებს“². ეს აქტიურობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების შესაძლებლობით. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესი გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

ოფშორი რეალურად ყველა ბიზნესმენისთვის არის საჭირო, უპირველესად საგადასახადო ოპტიმიზაციისა და გადასახადების საშუალებების მინიმიზაციისათვის, ასევე საკუთარი კაპიტალის დასაცავად. ოფშორი ყველას სჭირდება, რომელსაც თავისი სახსრების უსაფრთხოდ განთავსება განუზრახავს სანდო უცხოურ ბანკში, რომელთანაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში დაუბრკოლებლად შეიძლება დაკავშირება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ანუ „ფრანკო ზონა“ ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილია, სადაც საქონელი საბაჟო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მყოფ ობიექტად არის მიჩნეული ანუ ეს ის ტერიტორიაა, სადაც საბაჟო ექსტერიტორიულობა მთლიანად არის დაცული³.

ოფშორული სქემების ძარღვსა და მამოძრავებელ ძალას ოფშორული კომპანიები და მათი სათანადო გამოყენება წარმოადგენს. ოფშორული კომპანიის დაარსება მის მფლობელს გზას უხსნის საერთაშორისო ფინანსური და საინვესტიციო მომსახურებისაკენ. ოფშორული კომპანიებიდან ფართო ასპარეზი ეშლება საკრედიტო და სადებეტო კორპორაციულ ბარათებს. სავაჭრო ოპერაციები ხორციელდება საკუთარი და ოფშორული კომპანიებით, რომელშიც კომპანია ისეთ იურისდიქციაშია დარეგისტრირებული, სადაც საბაჟო მოსაკრებლების გადახდისგან გათავისუფლებულია (მაგალითად, ბელიზი, პანამა, დომინიკი, სეიშელის კუნძულები და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები და ა.შ.), სადაც დამფუძნებელთა შესახებ, კომპანიის დირექტორებისა და მათი საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ მჟღავნდება და მართვა მხოლოდ გენერალური მინდობილობით ხორციელდება. ეს მექანიზმი გამოყენებულია საგადასახადო დაგეგმარებისა და მრავალი სხვა მიზნისთვის.

¹ ზვიად გაბისონია. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების ეკონომიკურ-სამართლებრივი წანამდგურები. ჟურნ. „სამართალი“, 1998, №5-6. გვ. 36.

² <http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Stabilization>

³ ზვიად გაბისონია. საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია. თბ., 2002, გვ. 195-200.

ოფშორული კომპანიების გამოყენების გავრცელებული ფორმაა მათი წარმომადგენლობების შექმნა, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში ფილიალების შექმნა. ამის შედეგად უცხოური კომპანიები ბიზნესს თავისი ოფისებიდან სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებენ, ამასთანავე, იტოვებენ უფლებას, რომ საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშები გამოიყენონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო კომერციულ ოპერაციაში.

ქვემოთ მოყვანილია საქმიანობა ოფშორული კომპანიების მონაწილეობით, რომლებიც თავისი ქვეყნების კანონებითა და ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ.

ოფშორული კომპანია საბანკო ანგარიშის მფლობელია. როგორც კი ოფშორულ კომპანიას კონტროლზე აიყვანო, ის დაუყოვნებლივ ბანკში ანგარიშს ხსნის. ამ მიზნით არჩეული უნდა იქნეს ერთ-ერთი ქვეყნის იაფი ოფშორული კომპანია, სადაც საჭირო არ არის რაიმე ანგარიშის წარდგენა, სადაც პირველივე წელიწადს ამონაგები არასაგადასახადო ანგარიშის გამოყენებით მიმდინარეობს. ანგარიშის გახსნისთანავე კლიენტს შეუძლია ბანკში თავის ანგარიშზე მიბმული საკრედიტო ბარათი „ვიზა“ ან „მასტერკარდი“, ან მაღალი დონის კონფიდენციალური ბარათი „ცირუსი“ შეუკვეთოს, რომლითაც დედამიწის ნებისმიერ წერტილში შესაძლებელია სარგებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ოფშორს აღიქვამს, როგორც შავი ფულის გათეთრების ცენტრს; მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ოფშორი მხოლოდ საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზების ადგილია. თუმცა, ამ ორი ვერსიიდან არ შეიძლება რომელიმე იყოს აბსოლუტურად სწორი, რადგან ოფშორი, რომელსაც პირობითად შედგავათიან საგადასახადო გარემოს ეუწოდებთ, სხვა მრავალი ასპექტით ხასიათდება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ოფშორული კომპანიები თანამედროვე მსოფლიოს ბიზნესსამართლებრივ ურთიერთობებში ძალიან დიდ როლს ასრულებს და, შესაბამისად, მათი სამართლებრივი კვლევა ატარებს არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ირაკლი ბუხიაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

ოფშორული ზონის ცნება და მასში რეგისტრირებულ კომპანიათა სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი

განხილულია საკორპორაციო და საინვესტიციო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ოფშორული ზონის ცნება და აღნიშნულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები.

ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს ტერმინ “ოფშორის” წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ ასპექტებს. გარდა ამისა, განხილულია ოფშორული ზონების სამართლებრივი სტატუსი და მისი სპეციფიკა, აგრეთვე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის სამართლებრივი საკითხები და მათი ძირითადი პრობლემა.

THE CONCEPT OF AN OFF-SHORE AREA AND SOME OF THE ISSUES OF THE LEGAL STATUS OF THE COMPANIES REGISTERED IN IT

There is reviewed one of the most important problems of corporate and investment law - the concept of an off-shore area and the aspects of the legal regulation of the companies registered in these zones.

The author devotes special attention to the historical aspects of the origin and evolution of the term "off-shore". In addition, in the article is reviewed the legal status of the off-shore areas, and its specificity.

The author's special attention devotes to the legal issues of the companies registered in off-shore area, reviews their main problems.

Ираклий Бухиашвили,

докторант права

ПОНЯТИЕ ОФФШОРНОЙ ЗОНЫ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРАВОВОГО СТАТУСА ЗАРЕГИСТРИРОВАННЫХ В НЕЙ КОМПАНИЙ

В статье рассмотрена одна из наиболее важных проблем корпоративного и инвестиционного права - понятие оффшорной зоны и аспекты правового регулирования компаний, зарегистрированных в этих зонах.

Особое внимание автор уделяет историческим аспектам происхождения и развития термина "оффшор". Кроме того, в статье рассмотрен правовой статус оффшорных зон и его специфика.

Автор особое внимание уделяет правовым вопросам зарегистрированных в оффшорной зоне компаний, рассматривает их основную проблематику.

**ევროკავშირის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებების
მმართველი ორგანოების ფუნქციები აქციონერთა
კაპიტალის დაცვის მიზნით**

2004 წლის 8 ოქტომბერს ძალაში შევიდა ევროკავშირის რეგლამენტი №2157/2001 "ევროპული სააქციო საზოგადოების სტატუსის შესახებ" და ევროკომისიის დირექტივა №2001/86/EC, რომელიც არეგულირებს სს მმართველობის საკითხებს და რეგლამენტის მე-9 მუხლით შექმნილია მისი საკმაოდ რთული მმართველობითი სისტემა. ეს რეგულაციები იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ზესახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულაციებია, რომელიც შეეხება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამეწარმეო საქმიანობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა ამ სფეროში უგულებელყოფილია. მთელი რიგი საკითხები წყდება წევრი ქვეყნების შიგა კანონმდებლობით, სადაც დარეგისტრირებულია ეს სააქციო საზოგადოებები.

რეგლამენტის შემუშავებისას ყველაზე რთული აღმოჩნდა სააქციო საზოგადოების (სს) სტრუქტურის შემუშავება. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს სს მმართველობის სხვადასხვა მოდელი. აღტერნატიული მოდელების მოძიება ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც უარყოფილ იქნა ევროკომისიის დირექტივა სს მმართველობის სამრგოლიანი სისტემის შესახებ. აღნიშნული დირექტივა წინააღმდეგობაში მოვიდა ეროვნულ კანონმდებლობებთან, რადგან ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებდა ორსაფეხურიანი მმართველობის სისტემა. მმართველობის სამრგოლიან სისტემას უარყოფითად შეხვდნენ წევრი სახელმწიფოები. აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ მოხსნა ევროკომისიის № 2157/2001 რეგლამენტმა, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ზოგადი სახით არეგულირებს ამ საკითხებს და კომპრომისის მისაღწევად სს მმართველობის საკითხების უმეტესობას წყვეტენ წევრი სახელმწიფოები თავიანთი კანონმდებლობის საფუძველზე.

ევროპული სს ჩამოყალიბებისას, ევროპულ კომპანიებს საშუალება მიეცათ თვითონ აერჩიათ მმართველობის სტრუქტურა და ფორმები (რეგლამენტის მე-3 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია სს სტრუქტურა), გაეთვალისწინებინათ სს მართვის და კაპიტალის დაცვის ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სისტემების თავისებურებები, კერძოდ, დუალისტური (two-tier system) და მონისტური (one-tier system) სისტემები.

განსხვავება დუალისტურ და მონისტურ მოდელებს შორის ის არის, რომ დუალისტური მოდელის დროს აქციონერთა საერთო კრებასთან ერთად მოქმედებს აღმასრულებელი (management organ) და საზედამხედველო (supervisory organ) ორგანოები. მონისტურ სისტემაში აქციონერთა საერთო კრებასთან ერთად მოქმედებს აღმინისტრაციული ორგანო. საზღვარგარეთის ქვეყნების კორპორაციულ სამართალში აქციონერთა საერთო კრება არ განიხილება იურიდიული პირის ორგანოდ, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს სს საგარეო ქონებრივ ურთიერთობებში.

სს-ის საერთო კრება მნიშვნელოვანი ორგანოა. რეგლამენტის 3 ნაწილი ითვალისწინებს სს-ის საერთო კრების სტატუსს. საერთო კრების მეშვეობით აქციონერები ახორციელებენ სს-ის მართვას.

სს-ის საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო წესდებაში ცვლილებას სჭირდება ხმათა 2/3, თუ ეროვნული კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

მონისტური სისტემა. ამ სისტემაში საერთო კრებასთან ერთად მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანო. ეს ორგანო ახორციელებს სს-ის მიმდინარე საქმიანობას. ამ ორგანოს რაოდენობრივი შემადგენლობა განსაზღვრულია სს-ის წესდებით. ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება სხვაგვარად იქნეს რაოდენობა განსაზღვრული, მინიმალური ან მაქსიმალური რაოდენობის მითითებით.

ადმინისტრაციული ორგანო ფორმირდება სს-ის საერთო კრებით. თუ დირექტივის 2011/86/ეკ შესასრულებლად მმართველობის ორგანოში შეყვანილია საწარმოს მუშაკი, დირექტივის მიხედვით მმართველობის ორგანოში უნდა იყოს არანაკლებ 3 მუშაკი. დირექტივის 45-ე მუხლის მიხედვით, თავმჯდომარეს ირჩევენ მმართველობითი ორგანოდან. 43–45 მუხლებში არაფერია ნათქვამი იმ პირებზე, რომლებიც ზედამხედველობას ევროპული სს-ის ადმინისტრაციულ ორგანოზე ახორციელებენ. ვფიქრობთ, ეს საკითხი წყდება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ჩემი მოსაზრება იმას ემყარება, რომ ორსაფეხურიანი სისტემის ადმინისტრაციულ ორგანოს შემადგენლობაში შედიან დამოუკიდებელი დირექტორები, რომლებიც ახორციელებენ საკონტროლო ფუნქციას. ადმინისტრაციული ორგანოს სხდომები იმართება არა უმცირეს 3 თვეში ერთხელ.

მმართველობის დუალისტური სისტემა. როგორც აღვნიშნეთ, ამ სისტემაში მმართველობას წარმართავს აღმასრულებელი და სამეთვალყურეო ორგანოები.

აღმასრულებელი ორგანო ახორციელებს სს-ის მიმდინარე საქმიანობის მმართველობას. აღმასრულებელი ორგანოს წევრები ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლებიან სამეთვალყურეო ორგანოს მიერ. მაგრამ, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სს-ის საერთო კრების მიერ დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურას. დირექტივის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით იმპერატიულადაა აკრძალული, რომ პირი არ შეიძლება იყოს ერთდროულად აღმასრულებელი და სამეთვალყურეო ორგანოების წევრი. აღმასრულებელ ორგანოში არსებული ვაკანსიისას, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამავე ორგანოს შეუძლია დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს აღმასრულებელი საბჭოს წევრის ფუნქციის შესრულება. ამ დროს ამ პირის უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოში დროებით წყდება.

აღმასრულებელი ორგანოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს წესდება, მაგრამ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით შეუძლია გაითვალისწინოს აღმასრულებელი ორგანოს მაქსიმალური და (ან) მინიმალური რაოდენობა.

სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია აღმასრულებელი ორგანოდან. წევრ სახელმწიფოს შეუძლია კანონმდებლობით განსაზღვროს, რომ ასეთი ინფორმაციის გამოთხოვის უფლება აქვს არა მარტო სამეთვალყურეო საბჭოს, არამედ მის ერთ-ერთ წევრსაც. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს შემოწმებები, გაეცნოს ნებისმიერ ინფორმაციას. ამ ორგანოს შემადგენლობას აყალიბებს აქციონერთა საერთო კრება. მისი რაოდენობა განისაზღვრება წესდებით, მაგრამ წევრ სახელმწიფოებს შეუძლია განსაზღვროს წევრთა მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა.

ევროკავშირის რეგლამენტით განსაზღვრულია საკითხთა წრე, რომელიც შედის აღმასრულებელი (dulaistur sistemaSi) და ადმინისტრაციული (მონისტური სისტემის დროს) ორგანოების კომპეტენციაში. რეგლამენტის მე-8 მუხლის მიხედვით, თუ ხდება სს-ის ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციული ორგანოს იურიდიული მისამართის შეცვლა, ამზადებენ მოხსენებას, რომელშიც ასახულია სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები, ასევე ამ ცვლილების შედეგი სს-სათვის, კრედიტორთა და სს-ის მუშაკთათვის.

თუ მიღებულია ევროპული სს-ის შექმნის გადაწყვეტილება (შერწყმით, სს ჰოლდინგის ჩამოყალიბებით, სს-ის გადაკეთება ევროპულ სს-ად), ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოამზადონ აქტის პროექტი, რომლის საფუძველზე მოხდება ევროპული სს-ის ჩამოყალიბება. ეს პროექტი უნდა იქნეს განხილული და მოწონებული სამეურნეო სააქციო საზოგადოებების მიერ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ევროპული სს ჰოლდინგის შექმნის შესახებ ან კომპანიის აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც გადაკეთდება ევროპულ სს-ად. ასეთივე პროცედურაა განსაზღვრული, თუ ევროპული სს მიიღებს ეროვნულ სს-ად გადაკეთების გადაწყვეტილებას. ამ დროს მმართველობითი და ადმინისტრაციული ორგანოები ამზადებენ გარდაქმნის აქტის პროექტს, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე.

დასკვნის სახით, მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული სს რეგლამენტის შემქმნელების წინ დადგა მთელი რიგი პრობლემები, რაც დაკავშირებულია წვერი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის განსხვავებებთან. ამგვარი განსხვავებები ვერ მოგვარდება იმპერატიულად, ამიტომ ავტორებმა ეროვნული კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით მიმართეს სუბსიდირებულ მიდგომას სს-ის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხში და საკმაოდ რთულ სქემას – სამართლებრივ რეგულირებას. ევროპული სს ევროკავშირში ბიზნესის წარმოების ეფექტური ფორმაა. ბევრი კომპანია ქმნის ევროპულ სს-ას, რადგან ის ბიზნესს აფართოებს.

მეორე საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ევროპული სს-ის საქმიანობასა და მმართველობის საკითხებთან ეხება სს-ის აქციონერთა კაპიტალის დაცვის საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე დირექტივის მიხედვით, სააქციო საზოგადოების კაპიტალის უმცირესი რაოდენობა უნდა იყოს 25 000 ევრო (მე-2 დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი). როგორც ვხედავთ, დადგენილია მინიმალური და არა მაქსიმალური ზღვარი.

როგორც პრაქტიკა უჩვენებს (ეს ეხება როგორც ევროკავშირის წვერ სახელმწიფოებს, ისე საქართველოს), სამეწარმეო საქმიანობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს დანაკარგის რისკი. საწარმოს ხარჯები შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს, ვიდრე საწესდებო კაპიტალი. აქედან გამომდინარე, საწესდებო კაპიტალი მხოლოდ დამფუძნებელთა განზრახვის სერიოზულობის დასტურის როლს ასრულებს. ეს მიზანი რომ იქნეს შესრულებული, საჭიროა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შევსების უზრუნველყოფა.

ევროკავშირის ქვეყნებში საწესდებო კაპიტალი ივსება არა მარტო ფულით, არამედ სარწმუნოდ განსაზღვრული ეკონომიკური ღირებულების მქონე ქონებითაც. იმდენად, რამდენადაც სამუშაოს შესრულება და რაიმე სახის მომსახურება ვერ აკმაყოფილებს საიმედოობის მოთხოვნას, ისინი არ ჩაითვლება საწესდებო კაპიტალის შენატანად (მეორე დირექტივა, მე-7 მუხლი).

საწესდებო კაპიტალის სათანადო შევსების პრინციპიდან გამომდინარეობს აქციის ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასის გაცემის დაუშვებლობაც. აქციათა სანაცვლო

შენატანი ნომინალურ ან გამოთვლილ უმცირეს ღირებულებას უნდა შეესაბამებოდეს. გამონაკლისი გათვალისწინებულია ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დახმარებას იღებენ (მაგალითად, საემისიო/საინვესტიციო ბანკები). აღნიშნული ღებულების არსის გასარკვევად მნიშვნელოვანია გავიგოთ და განვასხვაოთ ორი ტერმინი: აქციის ნომინალური და გამოთვლილი უმცირესი ღირებულების ცნებები. ნომინალური ღირებულება მიუთითებს აქციის განთავსების მინიმალურ ფასზე. ეს ფასი დადგენილია დაფუძნების აქტით და შეტანილია წესდებაში.

გამოთვლილი უმცირესი ღირებულება კი დგინდება საწესდებო კაპიტალის რიცხვის გაყოფით გამოშვებულ აქციათა რაოდენობაზე. მაგალითად, თუ გამოშვებულია 10 000 გამოთვლილი ღირებულების აქცია, ხოლო საწესდებო კაპიტალის რაოდენობა 50 000 შეადგენს, თითო აქციის გამოთვლილი ღირებულება იქნება 5. აქციათა ნომინალური და გამოთვლილი ღირებულების დადგენის მიზანია აქციათა გასაცემი ღირებულების ქვედა ზღვრის დაწესება. შეიძლება ითქვას, რომ აქციათა გამოთვლილი უმცირესი ღირებულება ნომინალური ღირებულების ნაირსახეობაა. მეორე დირექტივა არ ითვალისწინებს და არ უშვებს ნომინალური ღირებულებისგან სრულიად თავისუფალი აქციების გამოშვებას. შენატანის განაწილება არ დაიშვება ანუ არ ხდება მათი აქციონერთათვის განაწილება. ასევე აკრძალულია აქციონერის შენატანის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

მყარი კაპიტალის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული კორპორაციის კრედიტორთა დაცვასთან. ეს წესი კრედიტორისათვის ერთგვარი საგარანტიო თანხაა, რომელიც აქციონერს შენატანის ვალდებულებისგან ათავისუფლებს (მეორე დირექტივის მე-12 მუხლი). დროულად შენატანების შეტანაც მესამე პირთა ინტერესებს იცავს.

ამავდროულად, აქციონერთა ინტერესებში არ შედის, რომ აქციონერებმა გააჭიანურონ შენატანების შეტანა და ის „ფიქციური კაპიტალის“ შენატანი გახდეს.

აღნიშნული დირექტივა განსაზღვრავს, რომ აქციების ნომინალური ღირებულების მეოთხედი რაოდენობით გამოშვებული ფულადი შენატანები სააქციო საზოგადოების დაფუძნების ან საქმიანობის ნებართვის მიღების დროისთვის ხორციელდება. იმავე თარიღიდან 5 წლის განმავლობაში საზოგადოების წევრებს არაფულადი შენატანებიც უნდა გადაეცეს (მეორე დირექტივის მე-9 მუხლის მე-2 პ).

ვეროკავშირის ქვეყნები, სოციალური დატვირთვის მიზნით, გამოიყენებენ თავის უფლებას არ მოითხოვონ დაუყოვნებლივ ფულადი შენატანების მეოთხედის შეტანა. ეს ხდება იმ მიზნით, რომ საწარმოს თანამშრომლებს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა პირებს საწარმოს კაპიტალში მონაწილეობა გაუადვილდეთ. გარდა ამისა, ამის მიზეზს ნაკლებად უზრუნველყოფილი სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვა წარმოადგენს.

გვინდა აქვე მიუთითოთ იმ ფაქტზეც, რომ წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლია ბოროტად გამოიყენოს ეს უფლება (სხვა მიზნის მისაღწევად, დასაქმებულთათვის აქციების გადაცემის შესაძლებლობის ფორმალურად აღიარება საკანონმდებლო დონეზე).

როგორც აღნიშნეთ, ვეროკავშირის ქვეყნებში დაშვებულია სააქციო საზოგადოების კაპიტალში ქონების შეტანა, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს დროულად. მნიშვნელოვანია შენატანის შესაბამისობის დადგენა აქციათა ნომინალურ და გამოთვლილ ღირებულებასთან ან უფრო მაღალ ფასთან. ფულადი შენატანებისგან განსხვავებით, რომელთა დადგენა არ არის რთული, ქონებრივი შენატანის ღირებულების დადგენა უფრო პრობლემურია.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიზანი სააქციო საზოგადოებათა საწყისი კაპიტალით აღჭურვაა. ეს კი მესამე პირთა ინტერესების დაცვას ემსახურება. ასევე მნიშვნელოვანია აქციონერთა უფლებების დაცვა. აქციონერთა თანასწორობის პრინციპის გამოხატულებაა აქციების ღირებულებასთან არაფულადი შენატანის შესაბამისობის დადგენა, რაც მეორე ღირეპტივადია აღიარებული (42-ე მუხლი). ეს პრინციპი დაირღვევა, თუ აქციონერთა ერთ ნაწილს აქციების ნაწილი ნაკლები ღირებულების მქონე ქონების სანაცვლოდ გადაეცემათ.

არაფულადი შენატანის ღირებულების შესაბამისობის დადგენისათვის ღირეპტივა მოითხოვს ქონების ღირებულების შემოწმებას დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. ამის განხორციელების უფლება აქვთ წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებს, რომლებიც სასამართლოს ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერაა დაშეგებული. გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობა სხვა პირობებსაც ადგენს. კერძოდ, შემოწმების შედეგები წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი. შემოწმების შედეგად დგინდება არა ქონების მყარი თანხობრივი ეკვივალენტი, არამედ საკითხი, ფარავს თუ არა არაფულადი შენატანის ღირებულება მის სანაცვლოდ გაცემული აქციების ნომინალურ ან შეთანხმებულ უფრო მაღალ ღირებულებას.

ღირეპტივის მე-10 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს არაფულადი შენატანის საექსპერტო შემოწმების დასკვნის შინაარსს. ექსპერტები ვალდებული არიან აღწერონ არაფულადი შენატანი ქონების თითოეული ობიექტი და შეფასების მეთოდები; ფარავს თუ არა ქონების ღირებულება აქციათა ნომინალურ ღირებულებას და ნამეტ თანხას.

მეორე ღირეპტივის მე-10 მუხლი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ექსპერტთა დასკვნა საჯაროა და სამეწარმეო რეესტრში გამოქვეყნებას ექვემდებარება.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალის დაცვა ევროკავშირის სს-ში გარანტირებულია არა მხოლოდ ევროკავშირისა და ევროკომისიის შესაბამისი ღირეპტივებით, არამედ წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობითა და სახელმწიფო მექანიზმებით.

ვლადიმერ ინგოროვცა,
სამართლის დოქტორანტი

ევროკავშირის ძველნებში სააქციო საზოგადოებების მმართველი ორგანოების უზნაქციები აქციონერთა კაპიტალის დაცვის მიზნით

განხილულია ორი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: ევროკავშირის ფარგლებში სააქციო საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წესი და მმართველობითი ორგანოების მიერ აქციონერთა კაპიტალის დაცვის მექანიზმები. ამ მიზნით გაანალიზებულია ევროკავშირის ფარგლებში სხვადასხვა დროს მიღებული ღირეპტივები, რომლებიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის.

FUNCTIONS OF GOVERNING BODIES OF JOINT-STOCK COMPANIES IN EU COUNTRIES FOR THE PROTECTION OF SHAREHOLDERS CAPITAL

This publication explains the main features of the European Company or ‘Societas Europaea’ (SE). It has been possible to set up this type of legal entity in Great Britain (GB) since 8 October 2004. The author tries to analyze the guidance. There are 2 main goals of article: the first is explain everything involved in the formation of an SE, managing an SE, or are a shareholder or an employee of an SE; 2. protection of shareholders’ capital. There are two different systems for the structure of managing and controlling SE. The SE’s statutes may, therefore, require either a one-tier or two-tier system of administration: in a one-tier system management is undertaken by an ‘administrative organ’; in a two-tier system management is undertaken by a ‘management organ’ and a separate ‘supervisory organ’ supervises the work of the management organ. The Directive also makes provisions for employees to be involved in the management of an SE.

Владимир Ингороква,

докторант права

ФУНКЦИИ РУКОВОДЯЩИХ ОРГАНОВ АКЦИОНЕРНЫХ ОБЩЕСТВ ЗАЩИТЫ КАПИТАЛА АКЦИОНЕРОВ В СТРАНАХ ЕВРОСОЮЗА

Данная публикация объясняет главные свойства Европейской Компании, или Societas Europaea (SE). В Великобритании учреждение юридического лица данного типа стало возможным с 8 октября 2004 г. В статье автор пытается проанализировать соответствующие рекомендации. У статьи 2 главных цели: первая – объяснить все, что связано с формированием SE, руководством SE, с тем, чтобы быть партнером или сотрудником SE; 2 - защита капитала партнеров. Имеются две различные системы структуры руководства и контролирования SE. Уставы SE могут определять двух- или одноуровневую систему администрирования: в одноуровневой системе руководство осуществляется административным органом; в двухуровневой системе руководство осуществляется «органом управления» и отдельным «наблюдательным органом», который контролирует работу органа управления. Директива также предусматривает вовлечение сотрудников в управление SE.

რამდენიმე საკითხი მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვის შესახებ

საზღვარგარეთის კორპორაციული კანონმდებლობის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ჩვეულებრივი სააქციო საზოგადოების აქცია თანაბარ უფლებებს ანიჭებს მის მფლობელებს. მაგალითად, კომპანიის ჩვეულებრივ აქციათა 10%-ის მფლობელს კომპანიის საკითხებთან დაკავშირებით, აქვს ხმის 10%, ასევე გამანაწილებელი კომპანიების მიერ აქვს უფლება 10% დივიდენდებზე, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით (პრივილეგიური აქციების გამოშვება და სხვა).

თავიდან შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აქციონერთა უფლებების გადანაწილება ლოგიკურია და ეჭვს არ იწვევს მისი სამართლიანობა. მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნებს გარკვეული კორექტირება შეაქვთ ამ პრინციპში, ამით მინორიტარ პაკეტის მფლობელებს ეძლევათ დამატებითი უფლებები, რომლებიც პროპორციულობის პრინციპს არ ემთხვევა. დამატებითი უფლებების მინიჭება მინორიტარ აქციონერთათვის გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება. აქციათა მაჟორიტარ მფლობელებს, რომლებსაც კომპანიის მმართველებითი კონტროლის უფლება გააჩნიათ, შეუძლიათ კომპანიის საქმიანობა ისე წარმართონ, რომ მინორიტართა უფლებები მაჟორიტართა სასარგებლოდ იქნეს შეზღუდული. ამის მაგალითია, ფასიანი აქციების დაბალ ფასში მიყიდვა მაჟორიტარ აქციონერთათვის ან ფილიალ სტრუქტურებისთვის. ამ სიტუაციებში სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად იცავს მინორიტარ აქციონერთა უფლებას. მინორიტართა დაცვის მეთოდებს მიეკუთვნება კანონი, რომელიც ითვალისწინებს, მაგალითად, კუპულაციური ხმების მიცემის გამოყენებას დირექტორის არჩევისას; აქციათა გამოცემის მოთხოვნას „სამართლიან ფასად“, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს; კოლექტიურ სარჩელზე უფლებას. მინორიტარ აქციონერებს სრული უფლება აქვთ მიიღონ კომპანიის შესახებ სრული ინფორმაცია.

მინორიტარებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ კომპანიების შერწყმისას. სწორედ ამ დროს არის შესაძლებელი მანიპულირება აქციათა ფასებით და გარიგების პირობებით. სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოები და კანონმდებლები ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან მინორიტართა უფლებები. მაგრამ დავიწყებული არ არის უმრავლესობის უფლებებიც. მინორიტარებისთვის დიდი უფლებების მინიჭება გამოიწვევდა მაჯორიტართა ინტერესების შეზღუდვას და ეკონომიკურად მომგებიანი გარიგებების ბლოკირებას, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიების შერწყმას და მინორიტართა პაკეტის გაუმართლებლად მაღალ ფასად გამოსყიდვას.

ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა ბალანსს ამყარებს მინორიტართა და მაჟორიტართა შორის. კერძოდ, პირმა, რომელმაც იყიდა კომპანიების 90–95% აქცია, უფლება ეძლევა მინორიტართა აქციის იძულებითი გამოსყიდვის შესახებ. მინორიტარს უფლება ეძლევა თავისი აქციები გაყიდოს იმ პირზე, რომელმაც კომპანიის აქციათა უმრავლესობა შეისყიდა. საერთო სამართლის ქვეყნებში და განსაკუთრებით აშშ-ში, გარდა საკორპორაციო კანონმდებლობისა, მინორიტართა უფლებების დაცვის საქმეში დიდი ადგილი უკავია სასამართლო გადაწყვეტილებებს. სასამართლოები თავის თავზე იღებს ფუნდა-

მენტური გარიგების პირობების შეფასებას. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ კანონმდებლის მოთხოვნების დაცვის დროს, სასამართლომ გარიგება არასამართლიანად მიიჩნიოს, რაც მინორიტართა უფლებების დაცვას ითვალისწინებს.

აშშ-ს კორპორაციულ კანონმდებლობას არაფერი აქვს საერთო ბრიტანეთის კორპორაციულ კანონმდებლობასთან. კონტინენტურ-ევროპული სააქციო საზოგადოების ანალოგი, რომლისთვისაც დამახასიათებელია აქციათა შეზღუდული რაოდენობა, აშშ-ში იწოდება „კორპორაციებად“. აშშ-ს, როგორც ფედერაციულ სახელმწიფოს, თავისებურება ახასიათებს. ყოველ შტატს აქვს დამოუკიდებელი კორპორაციული კანონმდებლობა. ყველაზე მოქნილი დელავერის შტატის კანონებია. სწორედ ამ შტატშია აშშ-ს უმეტესი კორპორაციები დარეგისტრირებული.

როგორც აღვნიშნეთ, 50%-ზე მეტი კორპორაცია ამ შტატშია დარეგისტრირებული, ხოლო 69% შესულია Fortune'500 რეიტინგში. ამ კომპანიათა რიცხვი 800 ათას აღემატება. დელავერის შტატი საჯარო კორპორაციების შექმნის ლიდერია.

დელავერის კორპორაციათა მოღვაწეობა რეგულირდება კორპორაციათა ერთიანი კანონით. დელავერის კორპორაცია სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან განსხვავდება შემდეგი ტერმინებით: corporation, incorporated, company, limited და სხვა. სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ კორპორაციებს, რომლებსაც გააჩნიათ აქციები ანუ stock corporation. კორპორაციის ძირითად სადამფუძნებლო დოკუმენტებს ინკორპორაციის დოკუმენტები წარმოადგენს. პრაქტიკულად, ეს იგივე დამფუძნებელი დოკუმენტის ანალოგია, რომელიც მასზე აღნიშვნის გაკეთების შემდეგ არის რეგისტრაციის ცნობა. ინკორპორაციის სერტიფიკატში მოცემულია კორპორაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემი.

ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს გაეცნოს კომპანიის აქციონერთა რეესტრს და სხვა დოკუმენტებს. მაგრამ აქციონერმა უნდა დადონ ფიცი, რომ მიღებულ ინფორმაციას მიზნობრივად გამოიყენებს. როგორც წესი, აქციონერთა კრების მოწვევის უფლება აქვს დირექტორთა საბჭოს და წესდებით გათვალისწინებულ პირებს. აქციონერს უფლება აქვს შეიტანოს შეგებებული სარჩელი კორპორაციის სახელით. როგორც წესი, ასეთი სარჩელი მიმართულია დირექტორების მიმართ და მათ ადანაშაულებენ ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებაში. მაგრამ ამ დავაში ერთი თავისებურებაა, მოსარჩელე უნდა იყოს აქციონერი სწორედ იმ პერიოდში, როდესაც იდებოდა სადავო გარიგება. მცირე გამონაკლისის გარდა, ერთ აქციას შეესაბამება ერთი ხმა.

კორპორაციის წესდება დირექტორის არჩევისას შეიძლება ითვალისწინებდეს კუმულაციური ხმის მიცემის საკითხსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საკითხის გადაწყვეტა ხდება ხმის მიცემის უფლების მქონე კრებაზე დამსწრე წევრებიდან. ეს ნიშნავს, რომ დელავერის კანონში არ არის მითითებული გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა რა რაოდენობაა საჭირო. აშშ-ს კანონმდებლობის თავისებურება სწორედ ამაში ვლინდება, როდესაც წესდება სხვაგვარად განსაზღვრავს ხმის მიცემის პროცედურას, ხოლო კანონი – სხვაგვარად.

კორპორაციის სერტიფიკატში ანუ წესდებაში ცვლილებები განსახილველად შეაქვს დირექტორთა საბჭოს. ხმის მიცემისას საჭიროა, ყველა კლასის მიხედვით, ხმათა უმრავლესობის მოგროვება, მაგრამ ეს უმრავლესობა აითვლება გამოშვებულ აქციათა საერთო

რაოდენობიდან და არა კრებაზე დამსწრე აქციონერთა რაოდენობიდან. ყველა ან თითქმის ყველა აქციათა გასხვისებისას ღირებურობა საბჭომ უნდა მიიღოს ხმის მიძცემ აქციონერთა უმრავლესობის ხმები. ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც ღირებურობა საბჭოს მიერ ხდება კომპანიის ლიკვიდაცია. შერწყმისას ან შთანთქმისას, ღირებურობა საბჭოს ესაჭიროება ყველა სახის აქციის მფლობელთა ხმათა უმრავლესობა.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც „დედობილი“ კორპორაციის მიერ ხდება შვილობილი კორპორაციის შთანთქმა. თუ „დედობილი“ კორპორაცია შვილობილ კორპორაციაში 90% ფლობს, აქციონერთა ხმის უმრავლესობა საჭირო არ არის, მხოლოდ ძირითადი კორპორაციის ღირებურობა საბჭოს თანხმობაა საჭირო.

ყველა შემთხვევაში, საჭირო გახდება მინორიტარი აქციონერებიდან აქციათა გამოსყიდვა. ეს შეიძლება მოხდეს ფულით ან სხვა სახის აქციათა შეთავაზებით. ის აქციონერები, რომლებიც არ ეთანხმდებიან კომპანიების ან კორპორაციების შერწყმას, უფლებამოსილი არიან მოითხოვონ საკუთარ აქციათა გამოსყიდვა სამართლიან ფასად (fair value), რომელსაც სასამართლო დაადგენს (appraisal right). სასამართლო ითვალისწინებს ყველა გარემოებას, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც კომპანიათა შერწყმის შედეგად აქციათა ღირებულების მომავალ გაზრდას შეეხება.

კომპანიების რიცხვის ზრდა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა იმითაცაა განპირობებული, რომ დელავერის შტატში მოქმედებს „სამართლიანობის სასამართლოები“ (Chancery Court). სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს დელავერის უმაღლესი სასამართლო. სამართლის საერთო სისტემის ქვეყნების მსგავსად, აშშ-ში სასამართლოები ეწევა არა მარტო სამართალშეფარდებით, არამედ სამართალშემოქმედებით საქმიანობას.

სწორედ დელავერის სასამართლოებმა შეიმუშავეს მინორიტარ აქციონერთა ყველაზე ეფექტური დაცვის მექანიზმი, აქციათა იძულებითი გამოსყიდვისას (freeze-out). მინორიტარ აქციონერთა დაცვის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სხვადასხვა სკანდალის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, ერმონის კომპანიასთან დაკავშირებული სკანდალი). სწორედ სასამართლოების მეშვეობით მოხდა საჯარო კომპანიებისთვის ანგარიშვალდებულების მძიმე ტვირთის დაკისრება (Sarbanes-Oxley Act 2002). მაღე საჯარო კომპანიები კერძოდ გადაკეთდა და მათი აქციებიც აღარ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, გარდა კომპანიის აქციონერებისა. ამისთვის კომპანიებს მოუხდა მცირე აქციონერთა აქციების გამოსყიდვა, რაც მხოლოდ კომპანიათა შერწყმით და შთანთქმით შეიძლებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობს დაცვის მექანიზმი. კერძოდ, კომპანია ვალდებულია გახსნას და აქციონერებს გააცნოს გარიგების შესახებ ინფორმაცია.

ანგლოსაქსური სამართლიდან გამომდინარე, ღირებურობებს სერიოზული ფიდუციური ვალდებულებები გააჩნიათ აქციონერთა მიმართ (როგორც მინორიტარ, ისე მაჟორიტარ აქციონერთა მიმართ). ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიების შთანთქმა უნდა შეესაბამებოდეს კანონს და უნდა იყოს „სამართლიანი“, რაც ნიშნავს, დაცული უნდა იქნეს მინორიტარ აქციონერთა უფლებები ღირებურობების მხრიდან, რადგან ისინი იცავენ მაჟორიტართა უფლებებს კომპანიათა შთანთქმისას.

ხშირად ფიდუციური ვალდებულებები ვრცელდება აგრეთვე მაჟორიტარ აქციონერებზეც, რომლებიც ფაქტიურად მართავენ კორპორაციას. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გააკონტროლოს გარიგების კანონიერება. მაგრამ, ამ კონტროლის

სტანდარტები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარია. 1983 წელს დელავერის უმაღლესმა სასამართლომ პირველად დაამკვიდრა „ჩვეულებრივ შერწყმის“ კონტროლისას სტანდარტი, რომელსაც „სამართლიანობაზე ყოვლისმომცველი კონტროლი“ (entire fairness review) ეწოდება. ეს სტანდარტი ორ მომენტს მოიცავს: რაოდენობრივს და თვისებრივს. კომპანიის დირექტორმა სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ კომპანიათა შერწყმისას დადებული გარიგებისას მინორიტარ აქციონერთა მიმართ გამოყენებულ იქნა სამართლიანი მიდგომა (fair dealing). იგივე სტანდარტია გამოყენებული სასამართლოს მიერ „დაინტერესებულ“ გარიგებებშიც. დირექტორმა ასევე უნდა დაასაბუთოს, რომ მინორიტარ აქციონერებს შესთავაზეს აქციათა სამართლიანი ღირებულება (fair price).

„სამართლიანი პროცედურის“ უზრუნველყოფის სტანდარტული მეთოდია შთანთქმული კორპორაციის მიერ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი დირექტორთა საბჭოს მოწვევა, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ მაჟორიტარ აქციონერებთან შთანთქმის პირობების ე.წ. „გაწვდილი ხელის“ პრინციპის გამოყენების შესახებ. ეს არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში არ გამოიყენება სასამართლოს კონტროლი.

დელავერის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ამგვარი დირექტორთა საბჭოების შექმნა მხოლოდ მტკიცების ტვირთის გადატანას ისახავს მიზნად. ამ შემთხვევაში მინორიტარებმა დოკუმენტებით უნდა დაამტკიცონ, რომ გარიგება არ იყო სამართლიანი და მათთვის შეთავაზებული აქციათა ღირებულება არ არის საკმარისი.

დელავერის უმაღლესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა ეფექტურია, თუ კომპანიების შერწყმისას მიიღწევა „უმრავლესობა-უმცირესობის“ (majority of the minority) ბალანსი ანუ იმ მინორიტარ აქციონერთა უმრავლესობის თანხმობა, რომელთა აქციებსაც მაჟორიტარები გამოისყიდიან. ამგვარი გარიგება მაინც არ არის თავისუფალი სასამართლოს „ყოვლისმომცველი სამართლიანობის“ კონტროლიდან. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა და არა მინორიტარ აქციონერებზე. თუ გარიგებაზე ამგვარი კონტროლი სასამართლოს მხრიდან არ იყო განხორციელებული, შედეგები სავალალო იქნება.

ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მინორიტარ აქციონერთა სასარგებლოდ. შესაძლებელია მათთვის გაცემულ იქნეს ფულადი კომპენსაცია ან გარიგება საერთოდ უკანონოდ იქნეს აღიარებული. პრაქტიკაში სასამართლოები ძირითადად კომპენსაციას ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ არც გარიგების ბათილად ცნობაა გამორიცხული.

სასამართლოები ზოგჯერ იგნორირებას უკეთებენ იმ გარემოებას, რომ მინორიტარ აქციონერების კომპენსაციის დროს არ უნდა იქნეს გათვალისწინებული შერწყმით მიღებული მოგების გათვლა. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ხშირად ითვალისწინებენ შერწყმით მიღებულ მოგებას და რთავენ მინორიტარ აქციონერთათვის გადასახდელ კომპენსაციის თანხაში. ჩვენი აზრით, სასამართლოს ამით მოტყუებული მინორიტარ აქციონერთა დასჯა კი არ უნდა, არამედ არაკეთილსინდისიერ მაჟორიტართა დასჯას ისახავს მიზნად.

ვლადიმერ ინგოროვია,
სამართლის დოქტორანტი

რამდენიმე საკითხი მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვის შესახებ

სტატიაში ვეცადეთ გაგვეანალიზებინა მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვა ანგლოსაქსურ ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში. ეს საკითხი საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. მეწარმეთა შესახებ კანონში, აქციათა სავალდებულო წესით მიყიდვის საკითხებთან დაკავშირებით, დიდი პოლემიკა გაიმართა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონში არსებული 533-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, პარლამენტმა კანონს 534-ე მუხლი დაუმატა, რომლითაც ფაქტიურად სხვა სიტყვებით იგივე დებულება დააკანონა. აღნიშნულმა ცვლილებამ სასამართლოს გაცილებით მნიშვნელოვანი როლი დააქისრა, რაც მისასალმებელია. მაგრამ, მიუხედავად ამ „ფასადური ცვლილებისა“, მინორიტართა მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის საკითხი შინაარსობრივად კვლავ იგივე რჩება.

ამ კონტექსტში, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მინორიტარ აქციონერთა დაცვის საკითხში აშშ-ში მოქმედი პრაქტიკის მოკლედ განხილვა. განსაკუთრებით საინტერესოა დელავერის შტატის პრაქტიკა, რომელიც სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის „მექადა“ წოდებული.

Vladimer Ingorokva,
PHD Student

SOME ISSUES REGARDING TO THE RIGHTS OF MINORITAR SHAREHOLDERS

The basic principle, which lies in the foundation of foreign countries corporative legislation, is that each ordinary stock of a joint stock entity (company, corporation, etc.) entitled its holder equal volume of rights. This article considers issues of minority shareholders protection and role of courts in their rights protection. Special attention is given to practices of USA courts, in particular, that of Delaware, the state, which legislation is distinguished with its flexibility and practicability. In Particular, just in Delaware there have been registered 50% of all public corporations of USA and 60% of the corporations included in Fortune'500 rating.

Therefore, Delaware is an indisputable leader as basis of public corporations establishment by American enterprisers. This issue is also urgent for Georgia and for minority shareholders' rights protection.

НЕСКОЛЬКО ВОПРОСОВ О ПРАВАХ МИНОРИТАРНЫХ АКЦИОНЕРОВ

Базовый принцип, лежащий в основе корпоративного законодательства зарубежных стран, состоит в том, что каждая обыкновенная акция акционерного общества (компании, корпорации и т.д.) предоставляет ее владельцу одинаковый объем прав. В данной статье рассматриваются вопросы защиты миноритарных акционеров и роль судов в защите их прав. Особенное внимание уделяется практике судов США, в частности Делавэра, штата, законодательство которого выделяется своей гибкостью и практичностью. В частности, именно в Делавэре зарегистрировано 50% всех публичных корпораций США и 60% корпораций, вошедших в рейтинг Fortune'500.

Общая численность корпораций, зарегистрированных в штате, превышает 800 тысяч. Таким образом, Делавэр является бесспорным лидером как база для создания публичных корпораций американскими предпринимателями. Рассматриваемый вопрос актуален для Грузии и для защиты прав миноритарных акционеров.

**საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებულ
საქართველოს მოქალაქეთა შრომის უსაფრთხოების
ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ**

შრომის უფლება საზოგადოების პროგრესთან ერთად ჩამოყალიბდა, როგორც თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება და ამავე დროს მისი თავისუფლების გამოხატულება. თავისუფალი შრომის უფლება აღიარებულია ყველა ცივილიზებული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებით. თუმცა თავისუფალი შრომა არ არის მხოლოდ დეკლარირებული ცნება, არამედ მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომელთა არსებობა განაპირობებს სწორედ მის, როგორც სოციალური მოვლენის, მნიშვნელობას ნებისმიერი საზოგადოების პროგრესისათვის. ამ თვალსაზრისით, თავისუფალი შრომა თავის თავში მოიცავს: ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობებს, სოციალურ და საყოფაცხოვრებო გარანტიებს, ადეკვატურ ანაზღაურებას, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვას. ამ ცნებების საპირისპიროს, ფაქტობრივად, შრომის ექსპლუატაცია წარმოადგენს.

საქართველოში შრომის უფლება ერთ-ერთი უმთავრესი კონსტიტუციური უფლებაა. იგი ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას, რომელიც მოიცავს როგორც შიგა კანონმდებლობას, ისე ამ სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ჩვიდმეტამდე საერთაშორისო მრავალმხრივ შეთანხმებას (კონვენციას). რამდენად შეესაბამება საქართველოს შრომის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის თემაა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებულ საკუთარ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის სფეროში, რომლის ვალდებულება სახელმწიფოს ისევე ეკისრება, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში დასაქმებულ პირთა შემთხვევაში.

ჩვენ შეგნებულად არ ვმიჯნავთ ერთმანეთისაგან უცხო ქვეყნის დროშით მცურავ გემებზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხო შრომის უფლებებს, საქართველოს დროშით მცურავ გემებზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებებისაგან. ეფიქრობთ, სახელმწიფო პოლიტიკა და სტანდარტები ორივე შემთხვევაში ერთგვაროვანი უნდა იყოს, განსხვავებული შეიძლება იყოს მხოლოდ მათი რეალიზაციის გზები.

კვლევის თემის სრულფასოვანი გაანალიზებისათვის, მიზანშეწონილია მისი დაყოფა რამდენიმე ცალკეულ პრობლემად. კერძოდ:

პრობლემა პირველი. საქართველოში საზღვაო სფეროს სამართლებრივი რეგულირების არც ერთი შიგა სახელმწიფო თუ საერთაშორისო აქტი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს, საერთაშორისო ნაოსნობაში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომის დაცვასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში სპეციალურ ნორმებში იგულისხმება ისეთი ნორმები, რომლებითაც, ერთი მხრივ, დადგინდებოდა შრომისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების „სტანდარტები“ (კრიტერიუმები). მეორე მხრივ, მათი დაკმაყოფილების მდგომარეობით შეფასდებოდა შრომის უსაფრთხოებისა და თავისუფლების ხარისხი, განი-

საზღვრებოდა მათი დაცვის გარანტიები და პასუხისმგებლობა „სტანდარტების“ დარღვევისათვის.

მოკლედ მიმოვიხილოთ კონკრეტულად რა არის ამ მხრივ ასახული შიგნითი მართვის საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო აქტებში.

საზღვაო სფეროს რეგულირების უპირველესი აქტი „საზღვაო კოდექსი“ იერარქიულად შეიცავს რამდენიმე ნორმას, რომლებიც განსაზღვრულია გემზე შრომითი საქმიანობის მონაწილე სხვადასხვა სუბიექტის ურთიერთვალდებულება, განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისადმი კუთვნილების (კოლიზიური ნორმების) გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნულ ნორმათა არასრულყოფილი სტრუქტურა განსაზღვრავს, ხშირ შემთხვევაში, მათ არაპრაქტიკულ და დეკლარირებულ ხასიათს. ასე, მაგალითად:

„კოდექსის“ მე-14 მუხლის თანახმად, სხვა ვალდებულებებთან ერთად გემფლობელს ეკისრება: ეკიპაჟის წევრებისათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ვალდებულება, მაგრამ არაა განსაზღვრული ამ პირობათა სტანდარტები ან მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობა. იქვე, 68-ე მუხლით გათვალისწინებულია, გემფლობელის ვალდებულება ეკიპაჟის წევრის რეპატრიაციაზე. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ გემფლობელი არ განახორციელებს აღნიშნულს, ამ ვალდებულებას კისრულობს „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო“. ნორმაში არაა მითითებული რეპატრიაციის ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს“ დასახელება, მასზე მიმართვის პროცედურა და სხვა საკითხები, რაც უდავოდ ხელშეშლელ მიზეზს წარმოადგენს საქართველოს მეზღვაურებისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობაში.

„საზღვაო კოდექსის“ მიხედვით, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვალდებულება, გემზე შრომის საკითხებში, შემოიფარგლება მხოლოდ ზღვაოსნობის უსაფრთხოების, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების და შრომის დაცვის მიზნით, ეკიპაჟის მინიმალური დასაშვები შემადგენლობის განსაზღვრით, ეკიპაჟის წევრების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომისა და საკვალიფიკაციო მოწმობის კონტროლით, საზღვაო ინციდენტების გამოკვლევისას პირთა მიმართ დისციპლინური ზომების განხორციელებით.

პოზიტიური მომენტი, „საზღვაო კოდექსის“ 63-ე, 64-ე და 65-ე მუხლებით დადგენილი, გემზე შრომითი ურთიერთობის წარმოქმნის პირობები და სამუშაოზე მიღება-დათხოვნის წესი. აღნიშნულ ნორმათა თანახმად, გემზე სამსახურისათვის დაიშვებიან პირები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს, რომელთაც აქვთ სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით. ეკიპაჟის არც ერთი წევრი არ დაიშვება გემზე სამუშაოდ კაპიტნის თანხმობის გარეშე. გემზე დასაქმებულთა უფლება-მოვალეობა, მუშაობის პირობები, შრომის ანაზღაურება და სოციალური დაცვა განისაზღვრება საქართველოს შრომითი კანონმდებლობით, „საზღვაო კოდექსის“ დისციპლინური წესდებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

ძალიან ზოგადია 69-ე მუხლი, რომლის მიხედვით, საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გემის ეკიპაჟი ვალდებულია პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, ნაოსნობის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის,

ტვირთის უდანაკარგოდ გადატანის, გემის გამართული ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, შეასრულოს კაპიტნის განკარგულებები, იხელმძღვანელოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სამართლებრივი აქტებითა და კომპანიის წესებით. აღნიშნული ნორმა უნდა ვრცელდებოდეს საქართველოს დროშით მცურავ გემებზე დასაქმებულ პირებზე. შეუძლებელია, ჩამოთვლილი პირობების შესრულების უზრუნველყოფა, თუ ასეთი გემის მფლობელი ან დაქირავებული პირი საქართველოს არარეზიდენტი.

ზოგადი შეფასებით, შრომის გარკვეული გარანტიებია ასახული „კოდექსის“ 61-ე და 350-ე მუხლებში. კერძოდ, 61-ე მუხლის თანახმად, გემმფლობელს ან გემის დაქირავებულს უფლება არა აქვს უსაფუძვლოდ გაათავისუფლოს თანამდებობიდან ან მიიღოს სხვა უსამართლო გადაწყვეტილება გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს პროფესიულ მოთხოვნებს. ხოლო 350-ე მუხლის თანახმად, სხვადასხვა, მათ შორის, გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე, უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნები, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების ან სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ორივე შემთხვევაში ნორმის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რომ მათში მითითებულ უფლებათა რეალიზაცია შეუძლებელია საქართველოს არარეზიდენტი გემმფლობელის შემთხვევაში. ასევე, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ნებისმიერი, თუნდაც საქართველოს დროშით მცურავი გემის მიმართ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნების იძულებითი დაკმაყოფილების მექანიზმი.

„საზღვაო კოდექსში“ შრომის საკითხების მიმოხილვა მიზანშეწონილია შევაჯამოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნორმით (მე-17 მუხლი), რომლის თანახმად, გემის ეკიპაჟის სამართლებრივი მდგომარეობა, ეკიპაჟის წევრთა ურთიერთობა ერთმანეთთან და გემმფლობელთან განისაზღვრება გემის დროშის სახელმწიფოს კანონით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. კვლევის მიზანია, როგორ არ უნდა გახდეს აღნიშნული ნორმა დამაბრკოლებელი საქართველოს სახელმწიფოსათვის, დაიცვას უცხო ქვეყნის დროშით მცურავ გემებზე დაქირავებული საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებები.

რაც შეეხება ჩვენი „კვლევის თემის“ ასახვას სხვა, შიგასახელმწიფოებრივ აქტებში:

– საქართველოს კანონი „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ ადგენს საქართველოში მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას, საქართველოს კანონმდებლობისა და მეზღვაურთა დიპლომირების, მომზადებისა და ვახტის გაწევის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

– საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის 2003 წლის 12 დეკემბრის №51 ბრძანებით დამტკიცებული „საზღვაო დისციპლინის წესდება“ არეგულირებს ამ სფეროში დასაქმებულ პირთა ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას. შრომით ურთიერთობებსა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო გარანტიებზე არცერთ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში საუბარი არაა.

რაც შეეხება ამ სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, მეზღვაურთა შრომასა და საყოფაცხოვრებო-სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებული სამოცდაათზე მეტი კონვენციიდან და რეკომენდაციიდან, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონვენციით “ზღვასა და ნავსადგურში მეზღვაურთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ” (საქართველო მონაწილეა

2005 წლიდან) და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეკომენდაციით „ზღვასა და ნავსადგურში მეზღვაურთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებათა შესახებ“.

საკითხის დაზუსტებისათვის მინდა პასუხი გავცე შესაძლო ოპონენტების კითხვას, „კელევის თემის“ კონტექსტში რატომ არ ვეხები ორ ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს, კერძოდ, 1974 წლის კონვენციას “ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ” (საქართველოში მოქმედებს 19.07.1994 წლიდან), მასზე დამატებითი (1988წ.) ოქმით: „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ“ (03.02.2000წ.) საერთო სახელწოდებით, “SOLAS“-სა და კონვენციას “მეზღვაურების მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწვევის შესახებ” (STCW) (საქართველოში მოქმედებს 1994 წლიდან). საქმე იმაშია, რომ აღნიშნული დოკუმენტები ეხება, გემის ექსპლუატაციასა და ნაოსნობის უსაფრთხოების რეგულაციის კუთხით, ნაოსნობაში მონაწილე პირებისადმი მოთხოვნებს და სტანდარტებს. ჩვენი მსჯელობის საგანი კი არის აქტები, რომლებიც კონკრეტულად არეგულირებს საზღვაო ნაოსნობის სფეროში დაქირავებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომის და სოციალურ-საყოფაცხოვრებო უფლებებს.

პრობლემა მეორე. საზღვაო სფერო, სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, ხასიათდება შრომის მნიშვნელოვანი ინტერნაციონალიზაციით. ეს არის სხვადასხვა ეროვნებისა და სამართლებრივი ტრადიციის ადამიანის კოლექტიური შრომა, რომელიც ემსახურება საერთო მიზანს – გემის დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციას. თითოეული მათგანი ფორმალურად ექვემდებარება გემის დროშის იურისდიქციას, რასაც ემატება გემმფლობელის რეგისტრაციის (მოქალაქეობის) ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციები, რომლებიც რეალურად აისახება დაქირავებულებთან შრომით ურთიერთობაზე. შედეგად ვღებულობთ შრომით სამართალურთიერთობათა მრავალფეროვნებას. ასეთ პირობებში საკმაოდ რთულია გემზე დაქირავებული საქართველოს მოქალაქისათვის საკუთარ უფლება-ვალდებულებებში გარკვევა. პრობლემიდან ერთადერთი გამოსავალია, უცხო ქვეყნის დროშით მცურავ გემზე დასაქმებამდე, დამქირავებელთან შრომითი კონტრაქტის გაფორმება, ასევე კოლექტიური შრომითი შეთანხმების, გემის წესდების ან შრომითი საკითხების მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების გაცნობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სამწუხაროდ, პირები გემზე სამუშაოდ ეწყობიან „კონტრაქტისა“ და შრომითი პირობების გაცნობის გარეშე, უშუალოდ გემზე გაფორმების დაპირებით. შემდგომ, როგორც წესი, ასეთი დაპირება არ სრულდება და მაქსიმუმი, რაც შეიძლება ასეთმა პირმა შეძლოს არის მეზღვაურის პასპორტში გემის კაპიტნის აღნიშვნა, მისი გარკვეული პერიოდით გემზე სამსახურის შესახებ.

სამსახურის დასრულების შემდგომ, ნაცვლად საბოლოო ანგარიშსწორებისა გემის კაპიტანი გასცემს ცნობას დარჩენილი სახელფასო დავალიანების შესახებ. ასეთ პირებს, როგორც წესი, გემზე საქმიანობის გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ, დარჩენილი სახელფასო დავალიანების მოგვიანებით ანაზღაურების დაპირებით, ანაცვლებენ სხვა პირებით. გემის დატოვების შემდგომ კი ეს პირები პრაქტიკულად რჩებიან პერსპექტივის გარეშე. იწყება კონფლიქტი დამქირავებელ ე.წ. „საკრუინგო კომპანიასთან“, სადაზღვეო კომპანიებთან და ა.შ. რაც, ხშირ შემთხვევაში, უპერსპექტივოა.

პრობლემა მესამე. საჯარო (ნორმატიული) აქტით აღიარებული ნებისმიერი უფლების შემადგენილი ნაწილი, ამ უფლების გამოყენებისას, კონფლიქტის დროს (უფლების შელახვისას) მისი აღდგენის შესაძლებლობაა, რის სამართლებრივი გარანტიაც არის

მართლმსაჯულება. სახელმწიფოს შიგნით ასეთი კონფლიქტის წარმოქმნისას შეღახული უფლების აღდგენა შესაძლებელია საერთო სასამართლოზე მიმართვის გზით. მაგრამ უცხო ქვეყნის დროშით მცურავ გემზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები გამო-სული არიან მათი მოქალაქეობის შრომის კანონმდებლობის იურისდიქციიდან. ძნელად წარმოსადგენია, საქართველოს მოქალაქემ შეძლოს დამქირავებელთან შრომითი კონფლიქტით შეღახული უფლების აღდგენა იმ გემის დროშის ქვეყანაში, რომელზეც იგი დაქი-რავებულია. ასეთის განხორციელება თეორიულადაც წარმოუდგენელია ისეთ იურისდიქ-ციებში, სადაც „გემის დროშას“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უბრალოდ ყიდიან. ამდენად, შრომით კონფლიქტებში შედეგი დამოკიდებულია მართლმსაჯულების განხორ-ციელების ისეთი პირობებზე, რაც უფლებაშეღახულს მისცემს დამქირავებლის ქონებაზე ეფექტური ზემოქმედების შესაძლებლობას, რაც, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია.

პრობლემა მეოთხე. საზღვაო სფეროში ჩახედულები დამეთანხმებიან, რომ „სა-კრუინგო კომპანიები“ კვლევის თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. იმ მნიშ-ვნელოვანი ფუნქციის ფონზე, რასაც ისინი ასრულებენ, გემმფლობელების დაკვეთით სხვა-დასხვა სპეციალობის მეზღვაურთა დაქირავება და გემზე სამუშაოდ გაგზავნა, აღნიშნული კომპანიები სახელმწიფო რეგულაციას არ ექვემდებარებიან. უფრო მეტიც, ისინი მეზღვაურის გემზე სამუშაოდ გაშვების შემდგომ პრაქტიკულად პასუხს არაფერზე აგებენ.

ზოგჯერ ასეთი კომპანიები მეზღვაურებს გზავნიან სამუშაოდ ისეთ პირობებში, რომელიც არ განსხვავდება ტრეფიკინგისგან, უარეს შემთხვევებში, შესაძლებელია დაქირავებული პირები აღმოჩნდნენ მეკობრეობის ან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლნი, როგორც ეს (2010 წელს მეკობრეთა მიერ დატყვევებული) თხუთმეტი ქართველი მეზღვაურის შემთხვევაში მოხდა.

ბუნებრივია, რომ ასე ვერ შეფასდება ყველა „კომპანიის“ საქმიანობა. თუმცა ამ მხრივ მაინც არსებობს ზოგადი პრობლემა: დამქირავებლის (გემმფლობელის) და „სა-კრუინგო კომპანიების“ ინტერესთა თანხვედრა, რის გამოც „კომპანიები“ ძირითადად იკა-ვებენ გემმფლობელის მხარეს, ნაცვლად კონფლიქტის მონაწილეთა შორის მედია-ტორობისა.

2008 წ. ბათუმში პირადად ვმონაწილეობდი დავაში, როდესაც ერთ-ერთი „საკრუინგო კომპანიის“ მიკერძოებულმა პოზიციამ, მის მიერ გაგზავნილი მეზღვაურის გემზე გარ-დაცვალებით, გემმფლობელთან წარმოქმნილ კონფლიქტში, რაც უკავშირდებოდა გარდაც-ვალებით გამოწვეული კომპენსაციის საკითხს, ხელი შეუშალა გარდაცვლილი საქართვე-ლოს მოქალაქე მეზღვაურის ოჯახს გემმფლობელისაგან სრულად მიეღო შრომითი კონ-ტრაქტით გათვალისწინებული კომპენსაცია.

ვფიქრობთ, ამ მხრივ „საკრუინგო კომპანიათა“ სახელმწიფო რეგულირება მნიშ-ვნელოვნად შეამცირებდა ჩვენი კვლევის თემაზე ამ პრობლემის უარყოფით გავლენას და გაზრდიდა მათ პასუხისმგებლობას.

პრობლემა მესამე. საქართველოს სამართლებრივი სისტემის და მართლმსაჯულების მოუმზადებლობა ან ნების არქონა უზრუნველყოს საქართველოს იურისდიქციაში საკუთარ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა, მათი დამქირავებლისა და გემის დროშის ნაციონალობის მიუხედავად. კერძოდ, ისეთი შიგასახელმწიფოებრივი ნორმის არარსებობა, რომელიც საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს საშუალებას მისცემდა, საკუთარი კომ-პეტენციის ფარგლებში, თუნდაც დავის არსებითად გადაწყვეტამდე, განეხორციელებინა

უზრუნველყოფის ან იძულების ზომები დაინტერესებულ პირთა შრომითი უფლებების დამრღვევი გემფლობელის (გემის) მიმართ.

2008 წლის ნოემბერში, ფოთში ადგილი ჰქონდა უპრეცედენტო შემთხვევას. **თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი “CAN.S”-1 (IMO N 7725051)** ეკიპაჟის წევრმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომელთა მიმართაც გემფლობელს ჰქონდა მრავალთიანი სახელფასო დავალიანება, მეზღვაურთა პროფკავშირებისა და საქართველოს ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლის აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, ვერ შეძლეს მოვალის კუთვნილი გემის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ზომების მიღება.

2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით, ფოთის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2008 წლის 14 ნოემბრის, მის მიერვე მიღებული უზრუნველყოფის ზომა, რაც დასაბუთდა საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის **1992 წლის 30 ივლისის შეთანხმების მე-9 მუხლის 1 პ-ით** (ეკიპაჟის წევრთა სასამართლო ქვემდებარეობა), რომლის თანახმად, ხელშემკერელი სახელმწიფოს სასამართლოს თანამდებობის პირები ვერ ფლობენ უფლებამოსილებას, რომ აღძრან სამოქალაქო-სამართლებრივი საქმე, რაც დაკავშირებულია მეორე მხარის – გემის ეკიპაჟის წევრთან, გარდა იმისა, თუ ამაზე არ არის იმ სახელმწიფოს დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირთა თანხმობა, რომლის აღმითაც გემი დაცურავს.

დაგვეთანხმებით, რომ დებულება საკმაოდ ბუნდოვანია და იგი გაგებული უნდა იქნეს უფრო სხვა მიმართებით. კერძოდ, შემთხვევებზე, როდესაც გემის გარე პირებს წარმოექმნებათ სამოქალაქო კონფლიქტი გემის ეკიპაჟის წევრის მიმართ. უშუალოდ გემის ეკიპაჟსა და გემფლობელს შორის კონფლიქტზე იგი არ უნდა ვრცელდებოდეს, მით უმეტეს, როდესაც უფლებაშელახული პირი იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომლის მართლმსაჯულების ორგანოსაც მიმართავს საკუთარი კონსტიტუციური უფლების (სასამართლოსათვის მიმართვის უფლება) რეალიზაციის მიზნით. სამწუხაროდ, საქართველოს საერთო სასამართლოებში დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკა ამ ტიპის დავებზე თითქმის ყველა შემთხვევაში ზემოთ აღწერილი შედეგით სრულდება.

აღწერილ კონკრეტულ შემთხვევაშიც დავა დასრულდა საკმაოდ დამამცირებელი შედეგით: გემფლობელმა დემონსტრაციულად დაითხოვა „მოდავე“ ეკიპაჟის ყველა საქართველოს მოქალაქე, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ იყვნენ დავის რეჟიმში და საკმაოდ ხანგრძლივი დროით დარჩნენ ფოთის პორტში სხვა საკუთარი პრობლემების მოგვარების მიზნით.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ზემოთ განხილულ თითოეულ საკითხზე სახელმწიფოს ადეკვატური რეაგირება ზოგადად ნიშნავს **კვლევის თემით** წარმოდგენილ პრობლემათა გადაწყვეტას. საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით, თავს უფლება მიეცემა წარმომედგინა საკუთარი შეხედულებები, პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლო მიმართულებებთან დაკავშირებით, რომელიც ემყარება წარმოდგენილ საკითხებთან ურთიერთობის მრავალწლიან საადეოკატო პრაქტიკას.

კერძოდ, პრობლემათა გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: შესაბამის საერთაშორისო მრავალმხრივ შეთანხმებაზე მიერთება და შიგნით სახელმწიფო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებებიდან, ჩვენი **კვლევის თემით** წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნებს ყველაზე უკეთესად პასუხობს „სახლგაო ნაოს-

ნობაში შრომის შესახებ“ (**Maritime Labour Convention. – MLC**) 2006 წლის კონვენცია, რომელიც ეფუძნება მეზღვაურთა შრომის რეგულირების სფეროში სამოცდარვა მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებას (კონვენციას) და რეკომენდაციას. ცნობისათვის, საქართველო არც ერთი აღნიშნული კონვენციის მონაწილე არ არის.

„**კონვენცია MLC**“ მოქმედებს გემზე სამუშაოდ დაქირავებული ნებისმიერი პირის მიმართ. იგი უზრუნველყოფს საზღვაო სფეროში შრომისა და საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობების ისეთივე მაღალ სტანდარტებს, როგორიც დადგენილია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ გემებისა და ეკიპაჟის უსაფრთხოების, გემების მართვის საკითხების, **SOLAS, MARPOL, STCW** საერთაშორისო კონვენციებით.

„**კონვენცია**“ მოქნილი ხასიათისაა, მისი ერთი ნაწილი სავალდებულოა გამოყენებისათვის, მეორე ნაწილი სარეკომენდაციო ხასიათისაა. შრომის სტანდარტების დამკვიდრება უზრუნველყოფილია სერტიფიკაციისა და ისპექტირების სისტემით, რომელთაც ახორციელებს დროშისა და პორტის სახელმწიფო.

სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია ინსპექტირების განმხორციელებელი სახელმწიფოს მიერ „**კონვენციის**“ სავალდებულო მოთხოვნათა დამრღვევი გემის დაკავების შესაძლებლობა.

„**კონვენციის**“ მოქმედება ვრცელდება ყველა გემზე, გარდა:

- გემებისა, რომლებიც დაცურავენ შიგა წყლებში, ნაპირის მახლობლად ან პორტის წესების მოქმედების ზონებში;

- თევზსაჭერ გემებზე;

- სამხედრო ხომალდებსა და დამხმარე სამხედრო გემებზე.

ორას ტონაზე ნაკლები ტონაჟის გემები, რომლებიც არ ასრულებენ საერთაშორისო რეისებს, შესაძლებელია გათავისუფლდნენ „**კონვენციის**“ ზოგიერთი მოთხოვნისაგან თუ მეზღვაურთა უფლებები დაცულია გემის დროშის შიგა კანონმდებლობით.

„**კონვენცია**“ ადგენს, რომ მისი რატიფიკაციის მსურველმა სახელმწიფოებმა კანონმდებლობით უნდა აღიარონ შრომასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი უფლებები:

- გაერთიანების თავისუფლება. პირის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ გაწევრიანდეს ნებისმიერ პროფესიულ კავშირში;

- კოლექტიური ხელშეკრულების შედგენის მიზნით მოლაპარაკების გამართვა, პროფესიული კავშირის უფლება, წევრის სახელით გააფორმოს კოლექტიური ხელშეკრულება დამქირავებელთან;

- იძულებითი შრომის აკრძალვა. პირის უფლება იმუშაოს საკუთარი სურვილისამებრ და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება;

- ბავშვთა შრომის აკრძალვა;

- სამუშაოზე მიღებისა და პროფესიის არჩევისას დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვა. პირის უფლება, შეასრულოს კოლეგა მეზღვაურების მსგავსი სამუშაო, რასის, რელიგიის, ეროვნების, სქესისა და პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად.

„**კონვენციის**“ თანახმად, სახელმწიფო და გემმფლობელი ვალდებულია, ზღვაში შრომის თავისებურების გათვალისწინებით, დაქირავებული უზრუნველყოს ისეთივე პირობებით, რაც აქვთ ნაპირზე მომუშავე დაქირავებულ პირებს.

„კონვენციით“ დადგენილი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, არსებობს საჩივრების წარდგენის პროცედურა. სერიოზული და მრავალჯერადი პრობლემების შემთხვევაში, რომელიც ემუქრება მეზღვაურის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, შესაძლებელია დამრღვევი გემის დაკავება, რომელსაც განახორციელებს „კონვენციის“ მონაწილე პორტის სახელმწიფო.

„კონვენციით“ მინიჭებული უფლებების შესრულებაზე კონტროლი ეფუძნება ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემას, რომლის თანახმად 500 და მეტი რეგისტრირებული ტონაჟის ყოველ გემს, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო ნაოსნობას, უნდა ჰქონდეს დროშის სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობა „საზღვაო ნაოსნობაში შრომის ნორმებისადმი შესაბამისობის შესახებ“ და დეკლარაცია „საზღვაო ნაოსნობაში შრომის ნორმათა შესრულების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შეტყობინებას გემის მიერ კონვენციური ვალდებულების შესრულების შესახებ. მათი საშუალებით ფორმირდება კონტროლის რეჟიმი, რომლის საფუძველზე „კონვენციის“ ქვეყნის პორტის სახელმწიფო ხელისუფლება ამოწმებს გემზე „კონვენციის“ მოთხოვნების შესრულებას.

„კონვენციის“ ქვეყნის პორტის ხელისუფლება უფლებამოსილია ერთგვაროვანი მოთხოვნები წაუყენოს „კონვენციის“ მონაწილე და არამონაწილე ქვეყნების დროშით მცურავ გემებს. ამგვარად, ფორმირდება „ერთგვაროვანი მიდგომის“ პრინციპი.

„კონვენციის“ ხუთი შემადგენელი ნაწილი მოიცავს ყველა საკითხს, რაც უკავშირდება გემზე შრომისა და საციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს. კერძოდ, გემზე მეზღვაურთა შრომის მინიმალური მოთხოვნები; დასაქმების პირობები; საცხოვრებელი და დასვენების პირობები, კვებისა და სასადილო მომსახურების ჩათვლით; ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო მომსახურება; საყოფაცხოვრებო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა; შესრულების უზრუნველყოფა.

„კონვენციაში“ ერთიანდება მსოფლიო ფლოტის რეგისტრირებული ტონაჟის მინიმუმ ერთი მესამედის მფლობელი, არანაკლებ 30 სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციიდან, თორმეტი თვის გასვლის შემდგომ.

საქართველოს მიერ „კონვენციაზე“ მიერთების შემთხვევაში მეზღვაურთა შრომის დადგენილი მაღალი სტანდარტები იურიდულ ძალას შეიძენს საქართველოს დროშით მცურავი გემებისა და მათზე დასაქმებული პერსონალის მიმართ, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა. ამავდროულად, საქართველოს პორტებში, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს მიეცემათ, უცხო ქვეყნის დროშით მცურავ გემზე დასაქმებული საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისაგან საჩივარზე რეაგირების და „კონვენციის“ დამრღვევი გემის ინსპექტირების უფლება. აღნიშნული შედეგი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კვლევის თემით დასახულ პრობლემათა გადაწყვეტის მიმართულებით.

რაც შეეხება შიგასახელმწიფო მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს, ვფიქრობ, „კონვენციით“ დადგენილი სტანდარტების დანერგვისა და სამართალშეფარდებისას მათი გამოყენების მიზნით შესაძლებელია, „კონვენციის“ პრინციპებისა და შინაარსის, როგორც სრულყოფილი და აპრობირებული სამართლის სისტემის, რეცეფცია ანუ სამართლის მასის გადმოღება და მისი არსებულ შიგა სახელმწიფო სამართლებრივ წესრიგთან ჰარმონიზაცია. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს „საზღვაო ნაოსნობაში შრო-

მის შესახებ“ სპეციალური კანონის მიღების ან თუნდაც სპეციალური ნორმატიული აქტის გამოცემის ფორმით.

ამასთან, პროცესებში საქართველოს მართლმსაჯულების მონაწილეობის გასააქტიურებლად, მიზანშეწონილია საქართველოს კანონში განხორციელდეს ცვლილებები „**საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ**“, რომლითაც დადგინდებოდა საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია საზღვაო ნაოსნობაში შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებზე:

- ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის და საქართველოს დროშით მცურავი გემის გემმფლობელის (დამფრახტველის ან ოპერატორის) დავისას, მიუხედავად გემის მესაკუთრის (გემმფლობელის) კუთვნილების ქვეყნისა;

- საქართველოს მოქალაქისა და უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემის გემმფლობელის (ოპერატორის) დავისას, მიუხედავად მათი მოქალაქეობის ან რეგისტრაციის ადგილისა.

ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ სასამართლოს კომპეტენცია მოიცავს (დავის არსებითად განხილვის) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით სარჩელის უზრუნველყოფის ზომების მიღების შესაძლებლობას. დავის მატერიალური საკითხები ცალსახად უნდა გადაწყდეს გემის დროშის სახელმწიფოს ან შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული სამართლის მიხედვით. ასეთის არარსებობის ან მოდავე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში კი საქართველოს შრომითი კანონმდებლობით.

საზღვაო ნაოსნობაში შრომის რეგულირების საკითხებში ასევე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შიგასახელმწიფოებრივ ღონისძიებად მივიჩნევთ მეზღვაურთა დამსაქმებელი ე.წ. „**საკრუინგო კომპანიების**“ სახელმწიფო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც გულისხმობს მათთვის გარკვეულ ვალდებულებათა დაწესებას. ამ მხრივ, ვფიქრობ, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს მინიმუმ სამი საკითხი:

პირველი. „საკრუინგო კომპანიებისა“ და მათი საქმიანობის იდენტიფიცირება. აღნიშნული მოიცავს: „კომპანიის“ სარეგისტრაციო მონაცემების ასახვას სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ შესაბამის სამსახურში, ამავე სამსახურში პერიოდულად ინფორმაციის წარდგენას იმ პოტენციური დამსაქმებლების შესახებ, რომლებისგანაც „კომპანიები“ იღებენ მოთხოვნებს მეზღვაურთა დაქირავების შესახებ, ასევე საანგარიშო პერიოდში სამუშაოდ გაგზავნილი მეზღვაურების შესახებ.

მეორე. გემზე სამუშაოდ დაქირავებამდე, „საკრუინგო კომპანიის“ მიერ დამსაქმებლის სახელით დასაქმებულებთან ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტების გაფორმება სახელმწიფო ენაზე, დასაქმებულებისათვის დამსაქმებლის შრომითი პირობების სრულყოფილად გაცნობა, მათ შორის კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების, შრომითი განაწესისა და სხვა.

მესამე. საქართველოს მოქალაქეების დასაქმება მხოლოდ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ რეკომენდებულ იურისდიქციებში რეგისტრირებულ და რეკომენდებული დროშებით მცურავ გემებზე. თავის შეკავება პირის დასაქმებისაგან საეჭვო რეპუტაციისა და ნაოსნობის ზონის გემებზე, ასევე ისეთ გემებზე (გემთმფლობელებთან), რომელთაც დასაქმებულებთან ჰქონდათ შრომითი კონფლიქტების შემთხვევები.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით კვლევის თემიდან წარმოქმნილ დავებზე სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებითაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია თემის მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით გადაწყვეტასთან ერთად.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საქართველოში არსებული პრეცედენტების, საერთაშორისო პრაქტიკის, საქართველოს საჯარო ინტერესებისა და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შეჯერებით, ამ ტიპის დავებზე უნდა დაამკვიდროს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. სამწუხაროდ, ასეთი განმარტების საგანი ხდება საქმეები, რომლებიც აღწევენ უზენაეს სასამართლომდე. ჩვენ შემთხვევაში (უზრუნველყოფის ზომების გამოყენება) საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებლობას არ იძლევა დავა გაგრძელდეს სააპელაციო ინსტანციის შემდგომ, შესაბამისად წარმოდგენილი პრობლემები ნაკლებად ექცევა საკასაციო პალატის ყურადღების ქვეშ.

კვლევის თემის შეჯამების სახით აღვნიშნავ, რომ საზღვაო ნაოსნობის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა შრომის და საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობების დაცვის გარანტიები წარმოდგენილი რეკომენდაციებით ვერ შემოიფარგლება, მაგრამ გარკვეული საფუძველი შეიძლება იყოს ამ საკითხებზე სერიოზული მუშაობის დასაწყებად. ჩვენი მიზანია, შესაბამისი სტრუქტურების და სპეციალისტების ყურადღების მიმართვა ამ, ძალიან სერიოზული, პრობლემების მიმართ, რომლებზეც, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, დამოკიდებულია ათასეულობით საქართველოს მოქალაქის ოჯახის კეთილდღეობა.

ის, რომ ნებისმიერმა შემდგარმა სახელმწიფომ, საკუთარი სუვერენიტეტის ფარგლებში, უნდა შეძლოს საკუთარ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

გამოვთქვამთ მზადყოფნას, განვაგრძოთ კონსულტაციები წარმოდგენილი საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირთან თუ ორგანოსთან, მოვისმინოთ სხვადასხვა მოსაზრება, რომლებიც საბოლოოდ საფუძვლად დაედება საზღვაო ნაოსნობის სფეროში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნას.

პაატა კოპალეიშვილი,
სამართლის დოქტორანტი

საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომის უსაფრთხოების ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ

სტატიის კვლევის თემაა საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობები, მათი გაუმჯობესების გზები. განმარტებულია უსაფრთხო შრომის შინაარსი და მისი მნიშვნელობა. მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო ვადლებულებები, სახელმწიფო პოლიტიკისა და რეგულირების ხარვეზები.

კვლევის თემა პირობითად დაყოფილია კონკრეტულ პრობლემებად, აღწერილია თითოეულის შედგენილობა და შესაბამისი პრეცედენტები. წარმოდგენილია სტატიის ავტორის მოსაზრებები კვლევის თემის ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით და შიგასა-

ხელმწიფოებრივი რეგულირების კუთხით დასაბუთებულია მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები.

მოდელირებულია საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები და განხორციელების საშუალებები.

Paata Kopaleishvili,
PHD Student

ABOUT SOME ACTUAL LABOUR SAFETY PROBLEMS FOR THE CITIZENS OF GEORGIA EMPLOYED IN THE INTERNATIONAL NAVIGATION

Research theme of this essay is working and social-domestic conditions, the ways of improvement of Georgian people employed by international navigation. There is explained: content of the safe work and meaning of it. There is considered: state politics and regulation gap of this sphere.

The research theme is divided into concrete problems. There is explained composition and corresponding precedent of each problem. There is represented considerations of the research theme's private problem and decision ways of it by the author's side.

There are patterned effective mechanisms of defence and realization means of townsmen's working suffrage employed in international navigation.

Паата Копалейшвили,
докторант права

О НЕКОТОРЫХ АКТУАЛЬНЫХ ПРОБЛЕМАХ БЕЗОПАСНОСТИ ТРУДА ГРАЖДАН ГРУЗИИ, ЗАНЯТЫХ В МЕЖДУНАРОДНОМ СУДОХОДСТВЕ

Темой исследования статьи являются рабочие и жилищно-социальные условия граждан Грузии, занятых в сфере международного мореплавания, и пути их улучшения. Разъяснены суть безопасного труда и его значение. Сделан обзор законодательства и международных обязательств Грузии в этой сфере, недостатков регуляции и государственной политики.

Тема исследования формально разделена на конкретные проблемы. Описан состав каждой из них и соответствующий прецедент. Представлены соображения автора статьи о каждой проблеме темы исследования и обоснованы пути их возможного решения с позиции внутригосударственного регулирования.

Смоделированы механизмы эффективной защиты трудовых прав граждан Грузии, занятых в сфере международного мореплавания, и возможности их реализации.

დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლების ზოგიერთი ასპექტი

თანამედროვე საზოგადოებაში დაზღვევა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზიანისაგან დაცვის საშუალებაა, სწორედ ამით აიხსნება მასზე ბოლო წლებში გაძლიერებული მოთხოვნა.

დაზღვევა დაკავშირებულია პირთა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან, რაც ხორციელდება სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. სადაზღვევო სისტემაში ზარალის დაანგარიშებასა და რისკის შეფასებაში გამოიყენება ეკონომიკური პარამეტრები, რის გამოც ეს ინსტიტუტი იურიდიულ ლიტერატურაში ხასიათდება ეკონომიკური ფუნქციის მქონედ.

დაზღვევის ფარგლებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ფონდების შექმნა. სწორედ აქედან ვლინდება მისი ეკონომიკური ფუნქცია.¹

დაზღვევის ფარგლებში ხდება შესაბამის ფონდებში ფულადი სახსრების დაგროვება, საიდანაც დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენების დადგომისას გაიცემა შესაბამისი ანაზღაურება.²

ფულადი სახსრების შექმნაში იგულისხმება დამზღვევთა შენატანებით ფორმირებული ფულადი ფონდები, რომელთა შენახვაზე პასუხისმგებლობა სადაზღვევო კომპანიებს ეკისრება როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევის ფარგლებში.

დაზღვევის ეკონომიკური ხასიათი ვლინდება რისკის მართვის სპეციფიკაშიც, რომლის მიზანია ზიანის/დანაკარგის გადანაწილება ერთი პირიდან მეორეზე, შესაბამისი პრემიის გადახდის სანაცვლოდ.³

დაზღვევის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, ბუნებაზე მიუთითებს ისიც, რომ მას აქვს საინვესტიციო და ინოვაციური ბუნება, რადგან მისი საშუალებით ხდება ეკონომიკისა და წარმოების სტიმულირება და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების ხელშეწყობა.⁴

დაზღვევის ფარგლებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს საგანგებო ფონდების შექმნა (pooling), რომლებშიც რამდენიმე სადაზღვევო კომპანია ერთიანდება მსხვილი რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით, როგორიც შეიძლება იყოს ატომური ქვესადგურების მუშაობით გამოწვეული რისკები, სტიქიური უბედურებები და სხვ. ამ ფონდებით ხდება დამდგარი ზიანის მიხედვით თანხების განაწილება. ეს ფონდები ყალიბდება როგორც ნებაყოფლობითი, ასევე სავალდებულო წესით.⁵ ასეთი ფონდების შექმნა საკმაოდ გავრცელებულია საზღვარგარეთ.

სადაზღვევო ბიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია კაპიტალიზმის განვითარებასთან. უძველესი დროიდან მოყოლებული ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარება უდავოდ მის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

¹ ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა. 1997. გვ. 340.

² Шахов В.В. Введение в страхование, 2000, стр. 16.

³ <http://en.wikipedia.org/wiki/Insurance>.

⁴ Ахвледиани Ю.Т. Страхование, 2006, стр. 6.

⁵ Insurance Information Institute, <http://www2.iii.org/glossary/I/>.

ეკონომიკური მნიშვნელობით, დაზღვევა განიხილება ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს ინსტიტუტი არა მხოლოდ ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი და არა-ქონებრივი პირადი ინტერესების დაცვის საშუალებაა, არამედ მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა.

დაზღვევის სისტემის რეგულირება ხდება საკანონმდებლო დონეზე და ეს ინსტიტუტი წარმოიშობა, უპირველეს ყოვლისა, პირთა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ამიტომ იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია.¹

სადაზღვევო ურთიერთობების საფუძველი მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა, რომელშიც განისაზღვრება შესაბამისი პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობა, სადაზღვევო ინტერესი.

სადაზღვევო ურთიერთობის საფუძველზე ხელშეკრულების პირობების ზედმიწევნით დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასზეა დამოკიდებული მხარეთათვის შემდგომში შესაბამისი ანაზღაურების მიღება.

სადაზღვევო სისტემის რეგულირება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობით, ხოლო მათი საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

დაზღვევის სისტემაში განასხვავებენ სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმებს. ნებაყოფლობითი დაზღვევა უშუალოდ მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა, ხოლო სავალდებულო დაზღვევა გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით. სამოქალაქო კოდექსის 801-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია, რომ კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა. სავალდებულო დაზღვევა იმით განსხვავდება ნებაყოფლობითისაგან, რომ დაზღვევის ხელშეკრულება კანონით განსაზღვრულ პირობებს უნდა შეესაბამებოდეს. ამ მხრივ უგულებელყოფილია დამზღვევის ნება ასეთი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება დაწესებულია სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი მუხლით, კერძოდ, „უზუფრუქტურის უფლება-მოვალეობების შესახებ“ 245-ე მუხლით, „საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნის წესის შესახებ“ 691-ე მუხლით და „ტვირთის დაზღვევის მოვალეობის შესახებ“ 734-ე მუხლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლი ითვალისწინებს უზუფრუქტურის ვალდებულებას დააზღვიოს ნივთი უზუფრუქტის მოქმედების განმავლობაში, ხოლო 691-ე მუხლით გათვალისწინებულია საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნისას მისი, საჭიროების შემთხვევაში, დაზღვევა, 734-ე მუხლით განსაზღვრულია ექსპედიტორის მოვალეობა ტვირთის დაზღვევასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, დადებული ხელშეკრულებები სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარება. სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში მათი მოწესრიგება გულისხმობს იმას, რომ ამ ხელშეკრულებების ბუნება კერძო-სამართლებრივია და კონკრეტული ხელშეკრულების მხარეთა კონკრეტულ მოვალეობას ითვალისწინებს.

¹ Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву, 2003, http://civil.consultant.ru/elib/books/9/page_42.html

გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია ასევე იპოთეკით დატვირთული ნივთის დაზღვევის შესაძლებლობა (294-ე მუხლი) და გირავნობის საგნის დაზღვევა. ეს უკანასკნელი ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას ან კანონს (მუხლი 262). პრაქტიკაში სესხის ხელშეკრულების საკრედიტო დაწესებულებასთან გაფორმებას ახლავს აგრეთვე სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება, მსესხებლის მიერ სესხის მოქმედების ვადაში.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ნებაყოფლობითი და სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმების წესი და პირობები. სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

კანონის მე-6 მუხლში მოცემულია სავალდებულო დაზღვევის წესების დარღვევის შედეგები, რომლის საფუძველზეც, თუ პირი სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში არ არის შესაბამისად დაზღვეული, მას შეუძლია სასამართლო წესით დამზღვევისაგან მოითხოვოს დაზღვევის განხორციელება. მზღვეველს უფლება აქვს დამზღვევს შესთავაზოს კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები, სავალდებულო დაზღვევის განხორციელებისას. ამავე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია, რომ, თუ დამზღვევმა ხელშეკრულება დადო ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას, დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ რაოდენობით, რომელსაც დაზღვეული მიიღებდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრულია ზიანისა და პირადი დაზღვევის სახეები.

ზიანის დაზღვევა დაკავშირებულია სხვადასხვა მავნე ფაქტორის შედეგად დამდგარი ზიანის მიერ გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასთან, ხოლო პირადი დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და სხვა ფაქტორები.

ზიანის დაზღვევის ფარგლებში განიხილება ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის მიზანია დაზღვეული ქონების დაცვა ზიანისაგან ან შესაძლო ხელყოფისაგან.

ზიანის დაზღვევაში ერთიანდება ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 839–843-ე მუხლებით და მოიცავს მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის შედეგად დამდგარი ზარალის შესაბამისი რაოდენობით ანაზღაურებას.

იურიდიულ ლიტერატურაში დაზღვევა დაყოფილია ქვესახეობებად, მაგრამ ძირითადად უკავშირდება პირთა ქონებრივ ან პირად ინტერესებს.

პირადი დაზღვევის ფარგლებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკე თავებით მოწესრიგებულია სიცოცხლის დაზღვევა (სამოქალაქო კოდექსის 849–853-ე მუხლები) და უბედური შემთხვევის დაზღვევა (სამოქალაქო კოდექსის 854–858-ე მუხლები). ჯანმრთელობის დაზღვევის მხრივ აღსანიშნავია, რომ ეს სფერო რეგულირებულია „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონითაც (1999 წ.).

პირად დაზღვევაში განიხილავენ ასევე საპენსიო დაზღვევასაც.

საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ (1998 წ.) არეგულირებს ნებაყოფლობით საპენსიო დაზღვევას.

დაზღვევის სისტემის სამართლებრივი რეგულირება და სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება უზრუნველყოფს დაზღვევის სფეროს განვითარებას და მხარდაჭერას, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში. მეორად განვითარებული სადაზღვევო სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოსახლეობის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვას, არამედ ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს.

ლაშა შურღაია,

სამართლის დოქტორანტი

დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლების ზოგიერთი ასპექტი

განხილულია სადაზღვევო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ცალკეული დაზღვევის სახეების სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მუხლები დაზღვევასთან დაკავშირებით და დაზღვევის ფონდების ფორმირების წესები.

Lasha Shurghaia,

PHD Student

SEVERAL ASPECTS OF LEGAL BASIS OF INSURANCE

The Article refers to legal basis of separate types of insurance of main institutions of insurance law. It also includes types of obligatory and optional insurance, separate Articles of the Civil Code of Georgia with respect to insurance and rules of formation of insurance funds.

Лаша Шургая,

докторант права

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОЙ ОСНОВЫ СТРАХОВАНИЯ

В статье рассмотрены правовые основы отдельных видов страхования основных институтов страхового права. Рассмотрены обязательные и добровольные формы страхования, отдельные статьи Гражданского Кодекса Грузии в связи со страхованием и правила формирования фондов страхования.

შვილად აყვანის პრობლემები ქართულ სამართლებრივ სივრცეში

სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი წამყვანი სფერო, ცალკეული ინდივიდის სუბიექტურ წარმოდგენას ობიექტურ რეალობასთან აკავშირებს, აღგენს ფარგლებს, რომელშიც ინდივიდი თავისუფლად ვითარდება,¹ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით სუბიექტური სამართალი ობიექტურ სამართლად იქცევა. ობიექტური სამართალი კი ინდივიდის ინტერესების განხორციელების საფუძველია.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში უამრავი გადასატყეველი პრობლემა არსებობს, რომელიც მეცნიერ იურისტთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს. ასეთი პრობლემა უამრავია, მათ შორის არის შვილად აყვანა. შვილად აყვანის პრობლემის სამართლებრივი რეგულირება დღეს არაერთ დაბრკოლებას უქმნის ადამიანებს, რომლებსაც სურთ ბავშვის შვილად აყვანა.

დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას, მშვილდების განცხადებით სასამართლო იღებს. სწორედ სასამართლო არის ის ორგანო, რომელიც შვილად აყვანის ლეგიტიმაციას ახდენს. ადრე ასე არ იყო, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას სხვადასხვა ორგანო იღებდა (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონული ორგანო, თუ ბავშვი იმყოფებოდა მეურვეობაში (მზრუნველობაში) ან სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში), რომლებიც ყოველთვის ვერ უზრუნველყოფდნენ შვილად აყვანას ისე, რომ დაცული ყოფილიყო ბავშვის ინტერესები. მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში არ იყო ბავშვის ინტერესები გათვალისწინებული, როგორც მოითხოვდა ამ აქტის მორალური და ზნეობრივი მხარე. ეს იყო ხარვეზი, რომელიც კანონმდებლებმა გამოასწორეს და აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოებს დააკისრეს, რომლებიც კანონზე დაყრდნობით იღებენ კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებებს. სასამართლოს, როგორც უფლება-მოვალეობათა დამდგენ ორგანოს, აქვს პროცესუალურად მეტი შესაძლებლობა, საფუძვლიანად შეისწავლოს და გააანალიზოს საკითხის ირგვლივ არსებული მტკიცებულებები. გარდა ამისა, სასამართლოსათვის და არა სხვა რომელიმე ორგანოსათვის ამ ფუნქციის მინიჭება, შვილად აყვანის სფეროში, კანონიერების დაცვის მეტ გარანტიას ქმნის.²

სასამართლოში შვილად აყვანა განიხილება უდავო წარმოების წესით. ასეთი განხილვისას შეზღუდულია შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება, რადგან აქ არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მოდავე მხარეები, ამიტომ არ არსებობს ჭეშმარიტების დადგენის ის გარანტიები, რომლებიც სასარჩელო წარმოების დროს გვაქვს. სწორედ ამ ხარვეზის შევსება ხდება სასამართლოს მიერ.

შვილად აყვანის შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, გარდა იმ პირებისა, ვისაც კანონით შვილად აყვანა ეკრძალება. სსკ-ის 1245-ე მუხლის მიხედვით, შვილად აყვანა

¹ დ. კერესელიძე. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი, 2009, გვ. 3.

² ლ. ნადიბაიძე. შვილად აყვანის წესი ახალი კანონმდებლობის მიხედვით. სამართალი, №3-4, თბილისი, 1998, გვ. 22.

ეკრძალება “მშვილდებელს, რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლება, აგრეთვე პირს, რომელსაც ავადმყოფობის ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები”. ამასთან, ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმცხადებლები თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მაგრამ დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ ხორციელდება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მშვილდებისა და შვილად ასაყვანის მონაცემები, რაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დასკვნაში იქნება ჩამოყალიბებული, რომლის მომზადების წესი და პირობები მოწესრიგებულია კანონით “შვილად აყვანის წესის შესახებ”.

დასკვნაში ასახული უნდა იყოს შვილად აყვანის მიზნები და მოტივები, მშვილდებელთა სოციალური, მორალურ-ზნეობრივი, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობა, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნამდვილი მშობლების (თუ არის ამის შესაძლებლობა) სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი კრიტერიუმი გაშვილებისას სწორედ ბავშვის ჯანმრთელობაა, ამიტომ საჭიროა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გულმოდგინედ შემოწმება. ითვლება, რომ უნდა გაშვილდეს მხოლოდ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი ბავშვები, რომლებიც, სწორი აღზრდის შემთხვევაში, ჩამოყალიბდებიან სრულფასოვან პიროვნებად.

ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სისხლისმიერი მშობლების შემოწმება (თუ ისინი არსებობენ), რათა გამოკვლეულ იქნეს ბავშვის გენეტიკური დეფექტები.¹

შვილება მშვილდებელსა და ნაშვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის სრულ და ჰარმონიულ აღზრდას, აგრეთვე ოჯახური გარემოს შექმნას. ოჯახურ გარემოში ცხოვრება ბავშვის ნორმალური აღზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. შვილად აყვანის ინსტიტუტის მიზანია მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვისათვის აღზრდისა და მოვლის ნორმალური პირობების შექმნა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ შვილად აყვანა განხორციელდება სათანადო წესის შესაბამისად, რაც ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. ამ წესის დარღვევას შეიძლება მიიმე შედეგები მოჰყვეს როგორც თვით არასრულწლოვანის, ასევე მშვილდებისათვისაც. ამიტომ, “შვილად აყვანისათვის ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებული პრეროგატივაა. იგი უნდა განხორციელდეს ბავშვის ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ბავშვთა უფლებების საფუძველზე”.²

გასაშვილებელი ბავშვის სტატუსს პირს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. იგი შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანს, რის საფუძველზეც მოხდება გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემების აღრიცხვა ერთიან რეესტრში. გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილდებელთა რეესტრში აღირიცხებიან აგრეთვე მიტოვებული ბავშვის

¹ ნ. ბოკერია. შვილების სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში. ცხოვრება და სამართალი, №1, თბ., 1998, გვ. 82.

² საქართველოს კანონი “შვილად აყვანის წესის შესახებ”.

სტატუსის მქონე პირები, მშობლების მიერ გასაშვილებლად გათვალისწინებული ბავშვები. ერთიანი რეესტრის აღრიცხვიდან ბავშვი მოიხსნება მხოლოდ გაშვილების ან გარდაცვალების შემთხვევაში. მანამდე რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი პირი ინარჩუნებს გასაშვილებელი პირის სტატუსს.¹ გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის გვერდის ავლით შეიღად აყვანა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეიღად ან შეიღობილად აყვანის წესის დარღვევისათვის. შეიღად ან შეიღობილად აყვანის წესის დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ მან მძიმე შედეგი გამოიწვია. წინააღმდეგ შემთხვევაში წესის დამრღვევი პასუხს აგებს დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით. მძიმე შედეგი უმეტესად გამოიხატება მორალურ ზიანში, თუმცა გამორიცხული არ არის ფიზიკური და მატერიალური ზიანი. საოჯახო კანონმდებლობის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება ერთმა მეუღლემ ცალკე იშვილოს ბავშვი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი (სსკ-ის 1246-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა (მ. 1247). მის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაზე კეთილმოყვებილი ზეგავლენის მოსახდენად. თუ პირი წინააღმდეგია იმისა, რომ მისმა მეუღლემ იშვილოს ქორწინების გარეშე გაჩენილი თავისი ბავშვი ან გერი, ბუნებრივია, ასეთ პირობებში მშვილებელი თავის ფუნქციას ნაშვილების მიმართ სრულყოფილად ვერ შეასრულებს.² კანონის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას, ე.ი. მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, პირისათვის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შეიღად აყვანის უფლების მიცემას, შეიძლება ოჯახის დანგრევა, ბავშვის ფსიქიკური ტრავმა ან სხვა მძიმე შედეგიც მოჰყვეს. მაგალითად, მამინაცვალი სასტიკად ეპყრობა, უმოწყალოდ სცემს გერს, რომლის შეიღად აყვანის წინააღმდეგი იყო.³ ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სსკ-ის 173-ე მუხლით.

შეიღად აყვანის ინსტიტუტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის საკითხებს. ამაზე ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსი და კანონი შეიღად აყვანის შესახებ. შეიღად აყვანისას მშვილებელი ცდილობს არავინ და განსაკუთრებით ნაშვილებმა არ გაიგოს, რომ იგი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი. ამის უზრუნველყოფა ნაწილობრივ შესაძლებელია მშვილებლების მშობლებად ჩაწერის და ნაშვილებისათვის სახელისა და გვარის გამოცვლის უფლების განხორციელებით. მაგრამ ეს ზოგჯერ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ფორმალურად დადასტურდეს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის სისხლით ნათესაობის არსებობა. მაგალითად, ყოველთვის შეიძლება დაეჭვება იმის გამო, რომ ნაშვილების დაბადების ადგილად მითითებულია ქალაქი, რომელშიც მშვილებელს არასოდეს უცხოვრია და არც შეიძლებოდა ეცხოვრა ან კიდევ, თუ ნაშვილების დაბადების თარიღად მითითებულია ის წელი, როცა მშვილებელს ღვიძლი შვილი შეეძინა და ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების დაბადების თარიღებს შორის სხვაობა ორი ან სამი თვეა. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1264-ე მუხლი დამატებითი გარანტიების სახით მშვილებელს უფლებას აძლევს

¹ რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო სამართალი. თბილისი, 2009, გვ. 309.

² რ. შენგელია. საოჯახო სამართალი. თბილისი, 1999, გვ. 250-251.

³ სისხლის სამართლის სასამართლოს არქივის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი, 2009, გვ. 581-582.

მოითხოვოს, რომ შეიცვალოს შვილად აყვანილის დაბადების ადგილი, თვე და რიცხვი. კანონი დაბადების წლის შეცვლას არ თვლის მიზანშეწონილად, რადგან ნაშვილების ნამდვილი ასაკის განსაზღვრას, უმნიშვნელო ცვლილებების მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ნაშვილების ინტერესებისათვის. შესაძლებელია, ნაშვილების დაბადების თარიღის შეცვლა ნახევარი წლის ფარგლებში, ე.ი. შეიძლება იგი ექვსი თვით ადრე (თუ ფაქტობრივად წლის მეორე ნახევარში დაიბადა) ან გვიან (თუ ფაქტობრივად წლის პირველ ნახევარშია დაბადებული) გატარდეს დაბადებულად. დაბადების დღედ შეიძლება ნებისმიერი რიცხვის ჩაწერა. აღნიშნული მაგალითით ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების რეგისტრაციის წიგნში ერთი და იმავე დაბადების ადგილის და თარიღის მითითება ტყუილ შვილების გაჩენის პრეზუმფციას ემსახურება. ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ სხვაგვარად შეუძლებელია შვილად აყვანის ფაქტის საიდუმლოების დაცვა. დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანო, მართალია, გასცემს ისეთ დოკუმენტებს (დაბადების მოწმობა, ცნობა და სხვ.), რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია იმის დადგენა, ბავშვი ღვიძლი შვილია თუ ნაშვილები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტები ისაობა. რეგისტრაციის წიგნში კეთდება სათანადო ჩანაწერები, რომლითაც დასტურდება შვილად აყვანის ფაქტი, ნაშვილების ნამდვილი დაბადების ადგილი და თარიღი, სასამართლოს შესახებ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. ცნობები ნაშვილები ბავშვის დაბადების ნამდვილი ადგილისა და თარიღის შესახებ შეიძლება მოითხოვოს მშვილებელმა, სანამ ნაშვილებს 18 წელი არ შესრულებია და თვითონ ნაშვილებმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

შვილად აყვანილი ბავშვი, რომელსაც არ ახსოვს თავისი მშობლები ან საერთოდ არაფერი იცოდა მათ შესახებ, მშვილებლებს თვლის ღვიძლ მშობლებად. ამიტომ შვილად აყვანის ფაქტის გაუფრთხილებელი გამჟღავნება ხშირად ბავშვისათვის ტრავმის მიყენების, ხოლო ზოგჯერ ტრაგიკული შედეგის საფუძველი ხდება. იმის წარმოდგენა, რომ ნაშვილები უცხოა ოჯახის წევრებისათვის სერიოზულად ართულებს მშვილებლებისა და ნაშვილების ურთიერთობას, ყველანაირად ხელს უშლის ბავშვის ნორმალურად აღზრდის პროცესს. აქედან გამომდინარე, კანონი მიზნად ისახავს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვას. იგი კატეგორიულად კრძალავს განსაზღვრული პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციების გავრცელებას. შვილად აყვანის შესახებ კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, აგრეთვე გამშვილებელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოს თანამშრომელი და შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის შეკრება, გამოქვეყნება ან სხვა ფორმით გამჟღავნება გამშვილებლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია.¹

¹ რ. შენგელია. საოჯახო სამართალი. თბილისი, 1999, გვ. 324-327.

მშვილდებისა და ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი არა მარტო კრძალავს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას, არამედ ითვალისწინებს კიდევ შესაბამის პასუხისმგებლობას.

შვილად აყვანის შემდეგ მშვილდებელსა და ნაშვილებს შორის უნდა წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის. ეს, რა თქმა უნდა, მაშინაა შესაძლებელი, თუ დაცული იქნება შვილად აყვანის საიდუმლოება. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებამ შეიძლება დიდი სულიერი ტკივილი მიაყენოს ნაშვილებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს უკანასკნელი არასრულწლოვანია, ხელყოს მისი ნორმალური აღზრდისა და განვითარების პროცესი, წარმოშვას კონფლიქტი მასსა და მშვილდებელს შორის და დაარღვიოს სიმშვიდე და მყუდროება ოჯახში. შესაძლოა უფრო მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგების დადგომაც. ამიტომ შემთხვევით არ არის, რომ სსკ-ის 175-ე მუხლი ითვალისწინებს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებაზე პასუხისმგებლობას. დანაშაულის საშიშროება მეტია და ადამიანი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, როცა შეტყობინების ადრესატი თავად შვილად აყვანილია.¹ როცა შვილად აყვანა ხდება მეუღლეების მიერ, მშვილდებლის ნება-სურვილში იგულისხმება ორივე მათგანის ნება. ამიტომ, თუ კაცმა გაამჟღავნა შვილად აყვანის საიდუმლო ერთი მეუღლის თანხმობით, მაშინ, როცა მეორე ამის წინააღმდეგი იყო, სახეზეა განსახილველი დანაშაულის შედგენილობა. “თუ ერთი მშობლის ნებართვის გარეშე მეორე მშობელმა გაამჟღავნა შვილების საიდუმლო, იგი უნდა დაისაჯოს, როგორც შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებელი”.²

სსკ-ის 174-ე მუხლი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის შემდეგ გარემოებებს: **პირველი** – შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება – ასეთი შეიძლება იყოს მოსამართლე ან რიგითი მუშაკი და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დგება, თუ კაცმა უცოდინრობის, დაბალი პროფესიონალიზმის ან გამოუცდელობის გამო არ იცოდა, რომ ამგვარი ამონაწერის ან ცნობის გაცემა მშვილდებლის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა. **მეორე** – მძიმე შედეგად ჩაითვლება შვილად აყვანის მძიმე ნერეული ან ფსიქიკური აშლილობა, სახლიდან გაქცევა, თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა.

მოცემული პრობლემები, ერთი მხრივ, უკავშირდება ადამიანთა იმ წრეს, რომლებსაც სურვილი აქვთ გააშვილონ საკუთარი შვილი, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, მათ არ აქვთ ელემენტარული მატერიალურ-ეკონომიკური საშუალებები, რაც ბავშვის აღზრდისთვის არის აუცილებელი და, მეორე მხრივ, მშვილდებლის პოზიცია, ვისთვისაც საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხების გათვალისწინება.

¹ სისხლის სამართლის სასამართლოს არქივის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი, 2009, გვ. 600-601.

² სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I. თბილისი, 2009, გვ. 317.

მარიამ მამულაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

შვილად აყვანის პრობლემები ქართულ სამართლებრივ სივრცეში

სამართალი ცალკეული ინდივიდის სუბიექტურ წარმოდგენას ობიექტურ რეალობასთან აკავშირებს, ადგენს ფარგლებს, რომელშიც ინდივიდი თავისუფლად ვითარდება.

მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით სუბიექტური სამართალი ობიექტურ სამართლად იქცევა. ობიექტური სამართალი კი ინდივიდის ინტერესების განხორციელების საფუძველია.

შვილად აყვანის წარმოდგენილი პრობლემები სამართლებრივად რეგულირდება. სწორედ სასამართლო არის ის ორგანო, რომელიც შვილად აყვანის ლეგიტიმაციას ახდენს.

შვილება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის სრულ და ჰარმონიულ აღზრდას, აგრეთვე ოჯახური გარემოს შექმნას. უპირატესობა ენიჭება ბავშვის ოჯახურ გარემოში განვითარებას, ვიდრე ინსტიტუციონალურში, აგრეთვე ბავშვის განთავსებას ადგილობრივად და არა უცხოეთში.

ყველა სახელმწიფო ორგანომ შვილად აყვანის პროცესში სწრაფად უნდა იმოქმედოს. ბავშვის მომავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შეფერხება თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რადგან ეს ზიანს აყენებს მის კეთილდღეობას.

Mariam Mamulashvili,
PHD Student

ADOPTION PROBLEMS IN GEORGIAN LEGAL SYSTEM

The law connects the subjective perception of an individual to the objective reality, establishes bounds for free development of an individual.

By entering of judge's decision into legal force the subjective law is turned over the objective law. Objective law is the ground for realization of an individual's interests.

Presented adoption problems are legally regulated. The court is that authority, which implements legitimating of adoption.

Adoption is an establishment of legal relations between the parent and the adopted, which aim is completed and harmonic growing up of a child, formation of family surrounding. It is more priority to place the child in a family environment, than in institutional, to place the child locally and not abroad.

Every state authority should act quickly in adoption process. Preventing of the decision making process about the child's future should be avoided because it harms the child welfare.

ПРОБЛЕМЫ УСЫНОВЛЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ПРАВОВОМ ПРОСТРАНСТВЕ

Право связывает субъективное представление отдельного индивида с объективной деятельностью, устанавливает рамки, в которых индивид развивается свободно.

Вступлением в законную силу решения судьи, субъективное право становится объективным правом. А объективное право является основой осуществления интересов индивида.

Представленные проблемы усыновления регулируются юридически. Суд является тем органом, который осуществляет легитимизацию усыновления.

Усыновление между усыновителем и усыновленным является установлением правовых отношений, которое ставит целью полное и гармоничное воспитание ребенка, а также создание семейного окружения. Преимущество дается размещению ребенка в семейном окружении, чем институциональном, а также размещению ребенка по местности, а не за границей.

Все государственные органы должны действовать быстро в процессе усыновления, нужно избегать задержки принятия решения о будущем ребенка, потому что это наносит ущерб благополучию ребенка.

**სააქციო საზოგადოება, როგორც სამეწარმეო
იურიდიული პირის განსაკუთრებული ფორმა**

დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნის სამართალს აინტერესებს არა დეფინიცია, არამედ ამ სუბიექტების რეალური შინაარსი, უფრო ზუსტად, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ, როგორც ქართული სამართლის მეცნიერებაშია აღნიშნული, იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნიშნებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია მიმოხილული და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს.

ამა თუ იმ ცნების, განსაკუთრებით კი იურიდიული პირების ცნების ლეგალურ დეფინიციას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. როგორც წესი, ის მხოლოდ არსებით ნიშნებს განამტკიცებს. სხვა დანარჩენი კი ცალკეული ნორმების შინაარსიდან უნდა იქნეს გამოყვანილი. იურიდიული პირის სახეებად დაყოფას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მას მრავალი, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული, სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. ეს შედეგი არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივია, არამედ, არცთუ იშვიათად, საჯარო-სამართლებრივი, საგადასახადო-სამართლებრივი და ა.შ. კლასიფიკაციას ასევე მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ადამიანს ან იურიდიულ პირს მიეცეს არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ, გადაწყვიტოს, თუ ორგანიზაციის რომელი ფორმაა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი, მოხერხებული და გამართლებული, უსაფრთხო და გარანტირებული.

იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და ასახავს ამ პირთა შექმნისა და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თავისებურებას. ამ კრიტერიუმის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა, მაშინ, როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება. კერძო სამართლის იურიდიული პირები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად იმის მიხედვით, თუ საქმიანობის რომელ სფეროს განეკუთვნებიან ისინი: კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები. არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა მთლიანად მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. კომერციული იურიდიული პირების სტატუსი განსაზღვრულია კანონში მეწარმეთა შესახებ. მათ განეკუთვნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. კომერციულ იურიდიულ პირად ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას მისდევს.

სამეწარმეო საქმიანობის დეფინიცია კი მოცემულია კანონის 12-ე მუხლში: სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც

ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას კანონი მეწარმეთა შესახებ მიმართავს მათ ამომწურავ ჩამონათვალს ე.წ. *numerus clausus* პრინციპს, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომელიც განმტკიცებულია კანონში. თავისუფალი ფანტაზიით საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა არ დაიშვება. კანონმა განამტკიცა ყველა ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელთაც დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია იცნობენ და რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს. მეწარმეთა შესახებ კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს). მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. მეორე ჯგუფს შეადგენს ე.წ. კაპიტალური საზოგადოებები, მათი შემოღება დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან. ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები, ე.ი. საზოგადოების წევრები, პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე, მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების – კაპიტალის არსებობა. ამიტომ ეწოდება მათ კაპიტალური საზოგადოებები. ასეთი ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი.

ევროპაში სს-ის წარმოშობა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას უშუალოდ უკავშირდება. იგი „დასავლეთ ევროპის პირშობა“, ინდუსტრიალიზაციის სამართლებრივ ფორმად არის მიჩნეული და „თანამედროვე სამართალშემოქმედების პროდუქტად ითვლება“. სხვა სიტყვებით, სს „არის თანამედროვეობის, კოლონიალიზმისა და ინდუსტრიული რევოლუციის ნაყოფი“.

ამჟამად უკვე აღიარებულია, რომ თანამედროვე სს სათავეს სწორედ XVII–XVIII საუკუნეების ევროპაში იღებს. არსებობს მოსაზრება, რომ პირველი სს-ები ინგლისსა და ჰოლანდიაში გაჩნდა. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე ფულად და ფისკალურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მნიშვნელოვან სუბიექტს, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებაში, აუცილებელი საქმიანი ატმოსფეროს შექმნაში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირების გაფართოებასა და ჩვენი საზოგადოების სოციალური სტაბილურობის გაძლიერებაში. სს-ის ლეგალური დეფინიცია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის პირველ პუნქტშია მოცემული. ამ ნორმის მიხედვით, სს არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად. საზოგადოების კაპიტალის დაყოფის შესახებ მინიშნებას საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს. სწორედ საზოგადოების წესდება ადგენს, თუ რა რაოდენობის და კლასის აქციებად დაიყოფა საწარმოს კაპიტალი. ამასთან, სს-ის პასუხისმგებლობა მესამე პირთა, კრედიტორთა წინაშე მთელი მისი ქონებით შემოიფარგლება. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება

განისაზღვროს ნებისმიერი რაოდენობით. იმ საწარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი აწარმოებს, ხდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში, აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ (მუხ. 51). სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. იგი ტარდება წელიწადში ერთხელ (დანარჩენ შემთხვევებში კრება რიგგარეშეა) საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში და განიხილება ინფორმაცია გასული წლის საქმიანობის შესახებ, ასევე განისაზღვრება საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, ტარდება მორიგი საერთო კრება, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. აქციონერთა საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები, სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს ან, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა. სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების მიერ. საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს პრესაში ან აქციონერისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. უნდა გამოქვეყნდეს აქციონერთა დღის წესრიგი კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, ამასთან დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. შეტყობინებას კრების მოწვევის შესახებ უნდა ერთვოდეს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შესაძლებლობა აქვს შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მოწმობითა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. აქციონერს შესაძლებელია კრებაზე ჰყავდეს წარმომადგენელი, წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე, მოადგილის არყოფნის დროს – ერთ-ერთი

დირექტორი, მათი არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარეს, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება (მუხ. 54.4), თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები) (მუხ. 54.5). სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ასევე თუ სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა 100 აღემატება, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები). სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა ნახევარი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავმჯდომარეს შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას დაესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სასურველი რაოდენობა კვლავ არ შეიკრიბება, თავმჯდომარე იგივე ვადაში იწვევს კიდევ ერთ სხდომას. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ მას უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას (მუხ. 55.6). საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მრავალ ამოცანათა და კომპეტენციასთან შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების დირექტორთა დანიშვნა (ხმათა უბრალო უმრავლესობით), კონტროლი მათ საქმიანობაზე და დირექტორთა გამოწვევა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ ის თვითონაა დირექტორი. სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი. თუ საზოგადოების წესდება გაითვალისწინებს, დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექცია (ერთპიროვნული და კოლექტიური ორგანო). საზოგადოების შინაგანაწესით შეიძლება გათვალისწინებული იყოს დირექტორთა შორის ფუნქციათა განაწილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების სახელით დადებულ ყველა გარიგებას ხელს დირექტორები უნდა აწერდნენ. სააქციო საზოგადოებათა პრაქტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელმძღვანელთა შორის ფუნქციათა განაწილება გაცილებით მიზანშეწონილია, რაც საქმიანობის მაღალი ეფექტურობისა და დირექტორთა კომპეტენტურობის სერიოზული

საფუძველია. თითოეული დირექტორი ერთპიროვნულად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების წარმომადგენლად იმ სფეროს მიხედვით, რასაც ხელმძღვანელობს. ხელშეკრულებათა უმრავლესობას დირექტორები დამოუკიდებლად დებენ. ზოგიერთი სახის ხელშეკრულება, რომელიც კანონის მიერ მმართველობით სფეროში შეზღუდულ უფლებამოსილებათა რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, უნდა დაიდოს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. სააქციო საზოგადოებაში მართვისა და კონტროლის ორგანოებიანი სისტემა სათავეს გერმანული კანონმდებლობიდან იღებს. სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია (გერმანული კანონმდებლობით – გამგეობა) ამ ფუნქციათა განხორციელებაში ერთმანეთს ავსებს. რადგან დირექციას საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებისათვის ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, იგი უნდა იმყოფებოდეს მეორე ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივ ზედამხედველობაში. ასეთ შემთხვევაში ორივე ორგანოს საქმიანობა, კომპეტენცია და შესაბამისი პასუხისმგებლობა გაცილებით მიზანმიმართულია.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აქციები იყოფა სახეებად (კლასებად). ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები. ჩვეულებრივი აქცია ნიშნავს წევრობის უფლებამოსილება-ვალდებულებათა ჩვეულებრივ შემთხვევას, პრივილეგირებული (უპირატესი) კი, სხვა აქციებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობით ხასიათდება. პრივილეგირებული აქციის გაცემა „უკეთესად“ უზრუნველყოფს საზოგადოების ქონების სტაბილურ მიღებას მესაკუთრის მიერ, რამდენადაც მის მფლობელს უპირატესი უფლება აქვს, დაიკმაყოფილოს თავისი ქონებრივი „ამბიცია“ და მიიღოს სტაბილური დივიდენდი მყარად განსაზღვრულ ფასად. ამასთან, საზოგადოების ლიკვიდაციის დროსაც, საზოგადოების დარჩენილი ქონებიდან, აქვს უპირატესი დაკმაყოფილების უფლება.

მარიამ ბერიძე,

სამართლის დოქტორანტი

სააქციო საზოგადოება, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის განსაკუთრებული ფორმა

ნაშრომი შეეხება კერძო სამართლის ისეთ იურიდიულ პირს, როგორიცაა სააქციო საზოგადოება, კერძოდ, მის სამართლებრივ სტატუსს.

საუბარია იურიდიული პირის დეფინიციის აუცილებლობაზე, ზოგადად იურიდიული პირების ცნებასა და სახეებზე, კაპიტალური ტიპის საზოგადოებებსა და მათ შორის განსაკუთრებულ ფორმაზე – სააქციო საზოგადოებაზე.

დეტალურადაა განხილული აქციებისა და აქციონერების განსხვავებული ფორმები, აგრეთვე მართვისა და გამგეობის განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობები.

JOINT STOCK COMPANY, AS A SPECIAL FORM OF ENTERPRISING LEGAL ENTITY

This work is dedicated to such a legal entity of the private law as a joint stock company, in particular, a legal status of that.

The work determines necessity of a legal entity definition, notions and types of legal entities generally, it also describes companies of the capital type, in particular, a special form of those, which is a joint stock company.

The work considers forms of shares and shareholders thoroughly as well as special rights and obligations of management and board.

Мариам Беридзе,
докторант права

АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО КАК ОСОБАЯ ФОРМА ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОГО ЮРИДИЧЕСКОГО ЛИЦА

Предметом данной работы является такое юридическое лицо частного права как акционерное общество, в частности, его правовой статус.

Речь в работе идет о необходимости дефиниции юридического лица, в общем о понятии и типах юридического лица, обществах капитального типа, в том числе, об их особой форме – акционерном обществе.

В работе детально рассмотрены различные формы акций и акционеров, также рассмотрены особые права и обязанности управления и правления.

ზრუნვამოკლებულ გავშვითა ძნელად აღსაზრდელობის სუბიექტური ფაქტორები

ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის გამომწვევი ფაქტორები დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. სამწუხაროდ, ამ საკითხზე დღესაც არის აზრთა სხვადასხვაობა. ფაქტორები შეიძლება მხოლოდ ორი კატეგორიის იყოს: თანშობილი ანუ ბიოლოგიური და სოციალური. აზრთა სხვაობა ეხება მათ როლს, ხვედრით წონას ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ფორმირების საქმეში. რომელიმე მათგანის უარყოფას ადგილი არც ჰქონია, მაგრამ, ისტორიულად და ზოგიერთ უცხოელ მკვლევართა შორის, დღესაც თანშობილ ფაქტორებს დიდი ხვედრითი წონა ენიჭება.¹

სოციალური ანუ გარემოს ფაქტორები გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ძნელად აღსაზრდელი ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი გავლენის შესწავლას და, აქედან გამომდინარე, პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების შემუშავებას.

გარემო ძალიან ფართო ცნებაა. ბავშვებზე მოქმედი გარემო სამ ძირითად კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან თითოეულის ზემოქმედება ბავშვის ფსიქიკაზე, მისი პიროვნების ფორმირებაზე მრავალმხრივია.

მათი ამომწურავი გაშუქება ერთ და ისიც სპეციალურად არა ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში შეუძლებელია.

ბავშვზე ზემოქმედი სოციალური გარემოს ძირითადი კომპონენტებია: ოჯახი, სკოლა და ის გავლენა, რომელსაც ბავშვი ოჯახისა და სკოლის გარეშე დებულობს: ეზო, ქუჩა, ნათესავთა წრე და ა.შ. ისინი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ჩამოთვლა ძნელია.

მოუწესრიგებელი ოჯახი ბავშვის განვითარების ამ ურთულეს პროცესს ამახინჯებს, რაც, თავის მხრივ, ბავშვის პიროვნებას ვნებს. ძნელი ბავშვის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ოჯახურ პირობებს აქვს. ამბობენ, ძნელად აღსაზრდელი ბავშვის უკან ძნელი ოჯახი დგასო. ეს აზრი აღმზრდელობით მუშაობაზე დიდი ხნის დაკვირვების შედეგად წარმოიშვა და რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით მის ჭეშმარიტებაში.

ძნელი ბავშვის ხასიათის ფორმირებაში დიდი ხვედრითი წონა, მშობლების შეუთავსებლობის გამო, დანგრეულ ოჯახებს აქვს.

შედეგი, რომელიც ოჯახის დანგრევას მოჰყვება, სხვადასხვა ბავშვთან განსხვავებულია. მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბავშვის მიერ მიღებული ფსიქიკური ტრავმის ხანგრძლივობასა და სიღრმეს, არამედ მისი ტემპერამენტისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპს.

ძნელად აღსაზრდელია უადრესად ცუდი ოჯახური სიტუაციის გამო დათრგუნული, თავის თავისადმი წრმენადკარგული, თანაკლასელთაგან ნებაყოფლობით გარიყული ბავშვიც, თუმცა მისგან არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ცუდი საქციელი არ არის მოსალოდნელი.

¹ ბავშვის ფსიქოლოგია. თბ.: ცოდნა. 1964. გვ. 59.

როგორც ვნახეთ, სიტყვა „ძნელად აღსაზრდელი“ კრებითი ცნების აღმნიშვნელი ტერმინია. მასში გაერთიანებულია „ძალიან დიდი და მრავალრიცხოვანი ჯგუფი ბავშვებისა, რომლებშიც შედიან, ერთი მხრივ, სრულიად ხელიდან წასული „დეზორგანიზატორები და ხულიგნები, რომლებიც არ სცნობენ წესსა და დისციპლინას და, მეორე მხრივ, მოუსვენარი, ანცი, უდისციპლინო, თავშეუკავებელი წესრიგის დამრღვევი, სწავლის სურვილდაკარგული, მოჩხუბარი, თავმომაბეზრებელი. ამ ორ უკიდურეს პოლუსს შორის შეიძლება დავინახოთ ფორმები დეზორგანიზატორობისაკენ მეტი თუ ნაკლები გადასვლებით“.¹

ძნელად აღსაზრდელის ცნება გამორიცხავს ფსიქიკური განვითარება-შეფერხებული ცნებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კონტინგენტში ფსიკიკური განვითარება-შეფერხებული ბავშვიც არ მოჰყვას. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ფსიქიკური განვითარება-შეფერხებული ბავშვი შეიძლება ისე აღიზარდოს, რომ ძნელად აღსაზრდელი არ იყოს, თუმცა, როგორც მოსწავლე რჩება ძნელ ბავშვად. მაგრამ იგივე ბავშვი არასწორი აღზრდის შედეგად შეიძლება ძნელად აღსაზრდელიც გახდეს. ამით ფსიქიკური განვითარების შეფერხება არ ისპობა. ბავშვს მეორე ნეგატიური ნიშანიც უვითარდება. ის ფსიქიკური განვითარება-შეფერხებულიცაა და ძნელად აღსაზრდელიც. ამასთან, ფსიქიკური განვითარების შეფერხება პირველადი დეფექტია, ძნელად აღსაზრდელობა კი მეორეული მოვლენა, რომელიც ამ პირველადს დაერთვის. ცხადია, ამის გამო, ბავშვის მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება.

ძნელად აღსაზრდელობის სპეციფიკას ქმნიან აგრეთვე ფსიქიკურ განვითარებაში დროებით შეფერხებული ბავშვები. ასეთ ბავშვთა დიდ ნაწილს აღქმა გაძნელებული აქვთ, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ბავშვები მიწოდებულ მასალას აღიქვამენ არასწორად და დამახინჯებულად. ყველა ასეთ ბავშვს ახასიათებს ნაკლოვანებები მეხსიერების განვითარების მხრივ.

ძნელად აღსაზრდელის ახლებურად აღზრდა მოითხოვს მოზარდის ფიქსირებული განწყობის დარღვევას და მის ნაცვლად საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის განწყობის შემუშავებას. ცნობილია, რომ განწყობის აღმოცენებისათვის ორი ფაქტორია საჭირო. მოთხოვნილება, ქცევის სუბიექტური ფაქტორი და სიტუაცია – ამ მოთხოვნილებების შესატყვისი გარემო პირობები. ძნელად აღსაზრდელზე ზემოქმედებისას ორივე ამ ფაქტორს უნდა გაეწიოს ანგარიში. ჯერ ერთი, უსათუოდ უნდა შეიცვალოს მოზარდის მოთხოვნილება, ყველა დასახელებული ნეგატიური ფაქტორი, მისი მოთხოვნილების გაუკუღმართებას რომ უწყობდა ხელს. თუ მათი ზემოქმედება არ აღიკვეთა, როცა ის მოთხოვნილება შეიცვლება, რომელიც მოზარდს შეუმუშავდა.

მეორე მხრივ, მოთხოვნილების შეცვლაზე ზემოქმედების პროცესში სიტუაცია იმგვარად უნდა გარდაიქმნას, რომ ხელი შეუშალოს მოზარდის მხრივ მიუღებელი ქცევის განხორციელებას. თუ მოსწავლე გაკვეთილზე უხეშობს, საჭიროა ის პირობა შეიცვალოს, რომელმაც მასში ასეთი მოქცევის მოთხოვნილება წარმოიშვა.

რაც აღვნიშნეთ ეხება ძნელად აღსაზრდელის ქცევის ფსიქიკურ მექანიზმს. ამ გარემოების მხედველობაში მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ძნელად აღსაზრდელის ახლებურად აღზრდის საქმეში.

¹ მ. ყოლბაია. ძნელი ბავშვი. თბ., 1985. გვ. 95.

ახალგაზრდებში დანაშაულთა ზრდამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე სახისა და ჯგუფურ დანაშაულთა ჩადენაში მათი ხვედრითი წილი. გახშირდა ბავშვთა უზედამხედველობის, მაწანწალობისა და მათხოვრობის ფაქტები. უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკური მუშაობის ფაქტიური მოშლა. გაიზარდა ბავშვთა და მოზარდთა დანაშაული, ნარკომანია, პროსტიტუცია, მოზარდმა გული აიყარა სწავლაზე, გამძაფრდა კრიმინოლოგიური ვითარება, გაფართოვდა დანაშაულთა არე და მასში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა აღმოჩნდა ჩათრეული. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ქონებრივი სახის დანაშაულები არასრულწლოვანთა მიერ. პრობლემად რჩება მოზარდის მიერ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შენახვა-ტარების ფაქტები. საკმაოდ ხშირია ე.წ. “საქმის გარჩევის” და სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს არასრულწლოვანთა მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტები. უამრავი არასრულწლოვანი იმყოფება აღრიცხვაზე, რომელთაც უტარდებათ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა.¹

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა არასრულწლოვან ბავშვებს არაკეთილსაიმედო ოჯახებში უწევთ ცხოვრება, ისინი ფაქტობრივად მშობლებს იშვიათად ხვდებიან, რაც მათ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. ასეთი კატეგორიის ოჯახებში მოზარდი ხშირად შეიძლება იქცეს დანაშაულში ჩაბმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წყაროდ.

მოცემული მონაცემები ადასტურებს მემკვიდრეობითობის როლს კრიმინალურ ქცევაში. ბიჭების მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირ კავშირშია მათ ბიოლოგიურ მშობლებთან. აგრესიული ქცევის ფორმირებაში ბიოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა არ გამორიცხავს გარემო პირობების როლსაც. მაიერს მოჰყავს სიტუაციური მაგალითები, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ინდივიდში ქრონიკული აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში. იგი მიუთითებს პიროვნების როგორც შინაგან ბუნებაზე, ასევე გარემო პირობების როლსა და მნიშვნელობაზე მის ფორმირებაში და აღნიშნავს, რომ ადამიანს, რომელსაც მემკვიდრეობით სუსტი ნერვული სისტემა აქვს და გამოირჩევა აღზნებადობითა და აგრესიული რეაქციით, დეპრივაციულ, ფრუსტრაციულ და სტრესულ სიტუაციაში ბრაზისა და მტრობის გამოვლენის მიდრეკილება უჩნდება. სხვა შემთხვევაში, თუ იგივე ადამიანი იზრდება სიყვარულისა და სიბოძის ატმოსფეროში, დაცულია სისასტიკისა და ძალადობისაგან, ნაკლებად არის პროვოცირებული აგრესიით, მას არ ექნება აგრესიული ქცევისადმი მიდრეკილება.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები, სადაც ბავშვები უყურებდნენ აგრესიულ და არააგრესიულ ფილმებს, რომლის დასრულების შემდეგ სთავაზობდნენ ხმაურიან და წყნარ თამაშობებს. მეცნიერების დაკვირვებით, ხმაურიან თამაშში ჩართული ბავშვები, გააქტიურებული ნერვული სისტემის გამო, მთელი თამაშის განმავლობაში ბაძავდნენ აგრესიული ფილმის გმირებს, იმ ბავშვებისაგან განსხვავებით, რომლებსაც აგზნება არ განუცდიათ და წყნარ თამაშს ამჯობინებდნენ. ბავ-

3 ე. დარგალი. არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის პედაგოგიურ-სამართლებრივი ასპექტები. თბ., 1999, გვ. 4.

შეგების ქცევისას მათ სახეზე დომინირებული რეაქცია (აგზნება, სიმშვიდე) მიანიშნებდა მათ მდგომარეობაზე. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აგზნება ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია დომინირებული რეაქციის გამოვლენისა და აგრესიის ფორმირებისათვის.

რა სოციალური ფაქტორები პროვოცირებს ძნელად აღსაზრდელ ბავშვებსა და მშობლებს შორის უხეშ დამოკიდებულებას?

ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის დაბალი ეკონომიკური დონე. ბავშვების მიმართ უხეშ დამოკიდებულებით გამოირჩევა ის ოჯახები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ხშირად უწევთ ფიქრი – როგორ გადაიხადონ გადასახადები? როგორ მოიპოვონ საკვები? გაღიზიანებული მშობლები ვერ ახერხებენ გაუმკლავდნენ ყოველდღიურ პრობლემებს და ნებისმიერი ანცობის თუ მათთვის მიუღებელი ქცევის გამოვლენისას ხშირად სჯიან შვილებს. მშობლები ნებისმიერი ქცევით მოდელები არიან საკუთარი შვილებისათვის. როდესაც ნორმალურ ოჯახებში ბავშვები სისტემატურად უყურებენ და აკვირდებიან, როგორი შეწუხებულები არიან გარშემომყოფი ადამიანები ეკონომიური მდგომარეობით, მათაც ეუფლებათ ემპათიის გრძნობა.

შემდეგი ფაქტორია სოციალური იზოლაცია. ძალადობის სიხშირე იზრდება, როდესაც ოჯახი სოციალურად იზოლირებულია ახლობლებისა და ნათესავებისაგან. იზოლაცია მშობელს ართმევს თანადგომის იმედს, რომელიც დაეხმარებოდა ცხოვრებისეული სტრესის გადატანაში. მიიძე ეკონომიური მდგომარეობა და სოციალური იზოლაცია ბავშვების მიმართ უხეშ დამოკიდებულების გამოხატვის ნაყოფიერ პირობებს ქმნის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მშობელს ბავშვი ფინანსურ და ფსიქოლოგიურ ტვირთად აწევს.

უფროსები, რომლებმაც ბავშვობის ასაკში გადაიტანეს ძალადობა, განიცდიან ემოციურ პრობლემებს, როგორიცაა: დეპრესია, წუხილი, მრისხანება. მათ მიდრეკილება აქვთ სუიციდის ანუ თვითმკვლელობისადმი. ასეთი უფროსები, ხშირ შემთხვევაში, შეურაცხყოფენ საკუთარ მეუღლეებს და სასტიკად ეპყრობიან საკუთარ ბავშვებს. ბავშვებისადმი უხეშ მოპყრობა და ძალადობის შედეგები გონებაში მყარად ილექება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება.

შექმნილი პრობლემებიდან გამოსავლის მოძებნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს იმისათვის, რომ ბავშვების მიმართ უხეშ დამოკიდებულების რისკს თუ მთლიანად ვერ გამოერიცხავთ, შევამცირებთ მაინც. მშობლებმა უნდა გამოიყენონ ეფექტური საშუალებები ბავშვთა აღზრდის საქმეში. ეფექტურია ასევე ოჯახებისადმი სოციალური თანადგომა, როდესაც მშობლებმა იციან, რომ რჩევისა და დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ შესაბამისი პროფილის მქონე, კომპეტენტურ ორგანიზაციებს, ბავშვთა დახმარების ცენტრებს და ა.შ. ისინი უკეთ უმკლავდებიან ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებულ სტრესებს.¹

¹ ლ. ქურხული. ბავშვთა აგრესია. თბ., 2006. გვ. 95.

მაია თურქია,
სამართლის დოქტორანტი

ზრუნვამოკლებულ ბავშვთა ძნელად აღსაზრდელობის სუბიექტური ფაქტორები

განხილულია ზრუნვამოკლებულ ბავშვთა ძნელად აღსაზრდელობის ფაქტორების აქტუალური და პრობლემატური საკითხები, ასევე ბავშვზე მოქმედი სოციალური გარემოს ძირითადი კომპონენტები: ოჯახი, სკოლა და ის გავლენა, რომელსაც ბავშვი ოჯახსა და სკოლის გარეთ ღებულობს. აღნიშნულია უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები ზრუნვამოკლებულ ბავშვთა ახლებურად აღზრდის პედაგოგიური მეთოდების შესახებ.

ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი პირებისა და კომპეტენტური ორგანოების მიერ.

Maia Turkia,
PHD student

SUBJECTIVE FACTORS OF DIFFICULT UPBRINGING OF THE CHILDREN DEVOID OF GUARDIANSHIP

There is discussed subjective factors of difficult upbringing of the children devoid of guardianship. There is considered the main social components influencing upon the child: family, school and other main influences which child doesn't take from the family, school.

There is discussed in the same chapter the new tutorial methods of upbringing of children devoid of guardianship and the specific of difficult upbringing children.

There it is given the main results, sentences and conclusions should be recommended for competent organizations and persons.

Маиа Туркия,
докторант права

СУБЪЕКТИВНЫЕ ФАКТОРЫ ТРУДНОВОСПИТУЕМОСТИ ДЕТЕЙ, ЛИШЕННЫХ ОПЕКИ

В данной статье обсуждаются субъективные факторы трудновоспитуемости детей, лишенных опеки, актуальные и проблемные вопросы. Рассмотрены основные социальные компоненты, воздействующие на ребёнка: семья, школа и те факторы влияния, которые ребёнок получает вне школы и вне семьи.

Также отмечены довольно значительные вопросы, связанные с новыми педагогическими методами воспитания детей, лишенных опеки.

Сформированы рекомендации и предложения, которые, возможно, будут учтены компетентными организациями и соответствующими лицами.

საკუთრება და მისი დაცვის მექანიზმები

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას საკუთარი ნების და სხვათა ინტერესების შეუღალავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას.

განვიხილო წლებში, აღნიშნულ უფლებასთან მიმართებაში, ფართო სასამართლო პრაქტიკა ჩამოუყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც ამ მხრივ ათეულობით საქმე განიხილა და რომელიც თავის გადაწყვეტილებაში კონკრეტულად განმარტავს და განაგრძობს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლების შინაარსს. „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია“. „საკუთრების უფლებაც ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. იმავედროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ ასევე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. „საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის, კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო, მეორე მხრივ, მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და

უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ეს გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრისათვის უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობების მინიჭებას, არამედ საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც არ თავსდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილ ფარგლებში”. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში საკუთრების უფლებას ძალზე მაღალ სამართლებრივ ღირებულებას ანიჭებს, თუმცა ამ უფლების ფართოდ წარმოჩენისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს თავად საკუთრების ცნება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში საკუთრების ცნება განისაზღვრება საკმაოდ ვრცლად და ეკონომიკური ინტერესების განსხვავებულ სახეებს მოიცავს. საქართველოს კანონმდებლობაში კი საკუთრება განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით, რომლის მიხედვით საკუთრებაში მოიაზრება ქონების (ნივთის) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენა შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“. ამდენად, ქონების ცნებაში მოიაზრება როგორც ე. წ. „სხეულებრივი ნივთები“ ანუ უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე „არასხეულებრივი ნივთები“ ანუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (უფლებები), კერძოდ, წილები, აქციები, პატენტები, ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და სხვ. შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცულ სფეროში ხდება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კაპიტალი.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო იმას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ისეთ ფენომენს, როგორიც არის კერძო საკუთრება. საბაზრო ეკონომიკა კერძო საკუთრების გარეშე არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისთვის. სამოქალაქო სამართალი შესაძლებლობას აძლევს ყველას თავისი უნარისა და შესაძლებლობის ფარგლებში შექმნას სიმდიდრე და თვითონაც გამდიდრდეს. ძლიერი სახელმწიფოები სწორედ მდიდარი საზოგადოებით არსებობს. ღარიბ სახელმწიფოს ყოველთვის ღარიბი მოქალაქეები ეყოლება. კერძო საკუთრება ქმნის დოვლათს სახელწიფოსთვის და, თავის მხრივ, სახელმწიფომ ყველანიარად უნდა შეუწყოს ხელი თავის მოქალაქეებს საკუთრების ამ სფეროს განვითარებისთვის. სამრეწველო და ტექნოლოგიური რევოლუციები სწორედ კერძო საკუთრების და პიროვნების თავისუფლების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამიტომაცაა, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სამოქალაქო საზოგადოებამ ისეთ პროგრესს მიაღწია, რაც მთელი არსებობის მანძილზე ვერ შექმნა. ამ სიმდიდრის შექმნას ხელი შეუწყო სამოქალაქო სამართალმა, რომელიც პიროვნებას, მის საკუთრებას, სხვებთან ეკონომიკურ ურთიერთობებს ედგა გარანტად. სამოქალაქო სამართალია გარანტი ადამიანის საკუთრების დაცვისა, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა. და მოგეწონს თუ არ მოგეწონს, როგორც პოპერი იტყოდა (XX საუკუნის ფილოსოფოსი), მიუხედავად უამრავი ნაკლისა, სამოქალაქო საზოგადოებასა და კაპიტალიზმზე უკეთესი წყობა ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია. სამოქალაქო საზოგადოება კი მოგეხსენებათ,

კანონმორჩილი საზოგადოებაა, სადაც უზენაესი ყოველთვის კანონია, სადაც მთავარი თავისუფალი პიროვნებებია, რომლებიც ირჩევენ, შრომობენ, იცავენ თავის და სხვების უფლებებს. ადამიანის კერძო ინიციატივას შესწევს უნარი შექმნას დოვლათი, მოსპოს დეფიციტი, რომელიც კომუნისტური საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. ყველა გაჭირვება და უბედურება მოგვარდება იქ, სადაც კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივა დაიმკვიდრებს ადგილს. დიდი ფუფუნებაა სამოქალაქო კოდექსის არსებობა, მაგრამ თუ ერში შესაბამისი კულტურა, პოტენციალი, უნარი და ნება არ დევს, ის სამოქალაქო საზოგადოებას ვერ შექმნის. სამოქალაქო სამართალი კონსტიტუციასთან ერთად იძლევა ამ უნარის გამომჟღავნებისა და დაცვის სამართლებრივ გარანტიას, უკანონოდ ვერავინ შეეხება სხვის საკუთრებას, ვერ ხელყოფს მეწარმეობას, ვერ ჩაერევა დადებულ ხელშეკრულებებში და ა.შ.

რაც შეეხება საკუთრების უფლების სუბიექტს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებით თანაბრად სარგებლობენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ყველასთვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლება. ძველი საბჭოთა რეჟიმისგან განსხვავებით, ამჟამინდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აღარ არსებობს საკუთრების ფორმები და სახელმწიფოს სახით, პრივილეგირებული მესაკუთრის ინსტიტუტი.

„საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. საკუთრებას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. მესაკუთრე საზოგადოების ნაწილია და არა მხოლოდ უფლებამოსილია მიიღოს გარკვეული სიკეთეები საზოგადოებისაგან, არამედ ვალდებულიცაა, რომ თავისი საკუთრება საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის გამოიყენოს. მესაკუთრემ უნდა გაითავისოს, რომ არა მხოლოდ მას აქვს ინტერესები, არამედ ის იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში. საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ანიჭებს. საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლება და თავისუფლება, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას. თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებანი, მაშინ საქართველოს კონსტიტუცია არ გამოიყენებს საკუთრების უფლების შეზღუდვას, თანახმად 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საკუთრების ჩამორთმევას, შესაბამისად 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია საჯარო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება. ასეთ დროს მესაკუთრემ უნდა ითმინოს მის საკუთრებაში სახელმწიფოს ჩარევა, ეს მისი საკუთრების კონსტიტუციური უფლების თანამდგევი კონსტიტუციური ვალდებულებაა. თუმცა საკუთრების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ფარგლებში, რომლებითაც განისაზღვრება ჩარევის 2 სახე: საკუთრების უფლების შეზღუდვა და საკუთრების ჩამორთმევა. მესაკუთრის უფლებამოსილება შეზღუდულია კანონით ან ხელშეკრულებით. მესაკუთრის მოქმედებით არ უნდა ილახებოდეს მეზობლის ან მესამე პირთა უფლებები. მესაკუთრეს ეკრძალება საკუთრების ბოროტად გამოყენება. სამოქალაქო უფლება უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მაგალითად, კანონი მესაკუთრეს

უფლებას აძლევს მოჭრას იმ ხის ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადმოვიდა, თუ მესაკუთრეს ეს ზიანს არ მიაყენებს. თუ მაინც იყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ეს უფლების ბოროტად გამოყენებაა. მესაკუთრეს ეკისრება ე.წ. თმენის ვალდებულება, მაგალითად, მესაკუთრემ უნდა ითმინოს დისკომფორტი, რომელიც მას ექმნება სხვა პირის მიერ მისი საკუთრებით სარგებლობისას (მაგალითად, მტვერი ან ხმაური მეზობლის მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების გამო). თანაზომიერების პრინციპი აქაც უცვლელია: ინდივიდმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ინდივიდის ინტერესები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს არ იწვევს მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უკეთესი უფლება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კერძო სამართალში არსებული ყველაზე ძლიერი მოთხოვნაც კი, როგორცაა მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების დაბრუნების მოთხოვნა, ექვემდებარება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეზღუდვებს. ადამიანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება დაიცვას თავისი საკუთრების უფლება. ამ უფლების დაცვის ძველთაგანვე მიღებული საშუალებაა ვინდიკაციური სარჩელი, რომელსაც მესაკუთრე მაშინ იყენებს, როცა შელახულია საკუთარ ნივთზე მისი ფლობის უფლება. საკუთრების უფლების დაცვის მეორე, ასევე ძველთაგან ცნობილი საშუალებაა ნეგატორული სარჩელი, რომელსაც მესაკუთრე მაშინ მიმართავს, როცა მას ხელი ეშლება საკუთარი ქონების სურვილისამებრ გამოყენებაში. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს სარგებლობის თავისუფლებასაც. რაც ნიშნავს, რომ მესაკუთრე თვითონ წყვეტს ისარგებლოს თუ არა საკუთრების ობიექტით. კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სარგებლობის უფლება მოიცავს შესაძლებლობას პირმა არ ისარგებლოს ამ ნივთით. თუმცა იქვე მიუთითებს, რომ შეიძლება დაწესდეს ნივთის სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულებაც. ეს შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როცა ნივთის მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. მაგალითად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ მიწის მესაკუთრის მიმართ, რომელიც ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის გადასახადებს, არ უძღვება მეურნეობას და იჯარითაც არ გასცემს, ასეთ პირებზე გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ასეთ სანქციებს უხვად შეიცავდა საბჭოთა სამოქალაქო სამართალი. მაგრამ დღეს, საბედნიეროდ ასეთი ქმედება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას გამოიყენება. თუ მესაკუთრეს არ შესწევს მიწის მოვლა-პატრონობისა და მეურნეობის გაძღოლის უნარი, მას შეუძლია სხვას მიანდოს თავისი ქონება. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს მიწის სხვა პირზე იჯარით გადაცემა. რაც შეეხება საკუთრების ჩამორთმევას, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტით, შეიძლება განხორციელდეს:

- 1) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების კანონით, პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში;
- 2) სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას;
- 3) მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე, კონკრეტულად უკვე კანონით განისაზღვრება საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევები და განხორციელების წესი. „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ ორგანული კანონით „გადაუდებელ აუცილებლას მიეკუთვნება ვითარება, რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოტის გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ უშიშროებას“ (მუხლი 2).

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სათანადო კომპენსაციით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა ანუ ექსპროპრიაცია ხორციელდება შემდეგი სამუშაოების წარმოების მიზნით:

- ა) გზისა და მაგისტრალის მშენებლობისათვის;
- ბ) რკინიგზის ხაზების გაყვანისათვის;
- გ) ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანისათვის;
- დ) ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის;
- ე) წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის;
- ვ) სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის;
- ზ) სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის;
- თ) საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის;
- ი) ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის;
- კ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.

პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან/და საჯარო, ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება (სახელმწიფოს მიერ საკუთრების ძალადობით ჩამორთმევა).

მნიშვნელოვანია და საინტერესო, თუ რამდენადაა დაცული საკუთრების უფლება საქართველოში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც ადამიანს აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანია. სათანადოდ დაცული საკუთრების უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობის საფუძველია. ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ქვეყანას, რომელიც წლების განმავლობაში კერძო საკუთრებისგან იზოლირების პირობებში არსებობდა. ქართულ საზოგადოებას ამ ჭეშმარიტებასთან „შეგუებისთვის“ დიდი დრო ნამდვილად არ დასჭირვებია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უცხოელი ექსპერტები ყველაზე პროგრესულ ეკონომიკურ განვითარებას საქართველოსგან ელოდნენ, რადგან სხვა საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენთან საკუთრების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება იყო. ამიტომ მოელოდა ყველა, რომ ქართველები სწრაფად აგუდებდით აღდგომა თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვას, რომლის ფუნდამენტიც საკუთრებაა (იმას, თუ რატომ არ მოხდა ეს, თავისი ახსნა აქვს, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა). საკუთრებისადმი ასეთი დამოკიდებულება არცაა გასაკვირი. ადამიანის ბუნებას თავიდანვე მოსდგამს იმის შეც-

ნობის უნარი, რომ უსამართლოდ აღიქვას კუთვნილის „წართმევა“. მსგავსი ქმედება ადამიანში თავისთავად აღძრავს პროტესტს და იწვევს უფლების დარღვევას. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენში სამართალშეგნების დონეს, შეიძლება ზოგიერთმა არც იცოდეს, რომ მისი პროტესტი „სამართლიანია“ სამართლის თვალსაზრისითაც (თუ ჩატარდება გამოკითხვა, მოსახლეობის რამდენ პროცენტს ეცოდინება, რომ მისი საკუთრების უფლება კონსტიტუციითაა დაცული).

დავით ებანოიძე,
სამართლის ბაკალავრიატის სტუდენტი

საკუთრება და მისი დაცვის მექანიზმები

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში საკუთრება დაცული და გამყარებულია კანონმდებლობით, რისი უშუალო დასტურიცაა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომ საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება და ვისურვებდი ყოველივე ზემოთქმულს დამატებოდა ფრაზა, საკუთრება ხელშეუხებელია.

David Ebanoidze,
bachelor student of law

PROPERTY AND MECHANISM OF ITS PROTECTION

In the end we can say, that the property in Georgia is protected and reinforced according to the Legislation, that is confirmed by Georgian Constitution article 21, where the right of property is acknowledged and guaranteed. Abolishment of the general right of property, its purchase, alienation or inheritance is not possible and also I would like to add the following phrase to the above – stated, that the property is inviolable.

Давид Эбаноидзе,
студент бакалавриата права

МЕХАНИЗМЫ СОБСТВЕННОСТИ И ЕЕ ЗАЩИТЫ

В конечном итоге можно сказать, что собственность в Грузии защищена законодательством, непосредственным доказательством чего является 21 статья Конституции Грузии, в соответствии с которой право собственности является признанным и обеспеченным. Недопустимо лишение всеобщего права на собственность, ее приобретение, отчуждение или получение в наследство. К вышеизложенному хотелось бы добавить, что собственность неприкосновенна.

**ორსუბიექტიანი ფედერალიზმი და
სახელმწიფოს მთლიანობის პრობლემა**

მრავალი მეცნიერი, პოლიტიკოსი, თუ უბრალოდ საკითხით დაინტერესებული ადამიანი გამოთქვამს მოსაზრებას საქართველოს ფედერალიზაციის მიზანშეწონილობის თაობაზე. ბევრი საქართველოს ფედერალიზაციას პირდაპირ აკავშირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

საქართველოს ფედერალიზაციის ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განიხილებოდეს ორსუბიექტიანი ფედერაციის მოდელიც, რომელშიც ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტი, ერთი მხრივ, იქნება აფხაზეთი (პირობითად მას ვუწოდოთ „აფხაზეთის რესპუბლიკა“) და, მეორე მხრივ, დანარჩენი საქართველო, რომლებიც (ეს ორი სუბიექტი) ერთმანეთთან ფედერალური ხელშეკრულებით იქნება დაკავშირებული. აღნიშნულ საკითხში მეტი სიცხადის შესატანად გვინდა მოცემულ სტატიაში სწორედ ორსუბიექტიან ფედერალიზმზე ვისაუბროთ.

ორსუბიექტიანი ანუ, როგორც მას სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ, ბიპოლარული ფედერალიზმი¹ მნიშვნელოვანი საფრთხეების შემცველი მოვლენაა. მეცნიერთა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ ბიპოლარული ფედერაცია დეზინტეგრაციის გაცილებით მაღალ რისკს შეიცავს, ვიდრე შედარებით მრავალრიცხოვანი ფედერაცია. როგორც გ. გოგიაშვილი ამბობს, ორსუბიექტიანი ფედერაცია მძიმე ფედერაციად ითვლება, ვინაიდან თითოეულ ნაწილს უჭირს მთლიანობაში დაინახოს სახელმწიფო და ერთმანეთს უყურებენ, როგორც საპირისპირო მხარეები.²

გ. ხუბუა წერს, რომ ორი სუბიექტისაგან შემდგარი ფედერაცია გაცილებით საშიშია სახელმწიფოს შესაძლო დეზინტეგრაციის თვალსაზრისით, ვიდრე ფედერაციები, სადაც გაერთიანებულია უფრო მეტი წევრი... ბიპოლარულ ფედერაციულ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების მთელი საქმიანობა მიმართულია ფედერაციის ორ სუბიექტს შორის კონსენსუსის მიღწევისაკენ, რაც, საბოლოოდ, ხელს არ უწყობს ინტეგრაციული ტენდენციების გაძლიერებას.³

ვოუტერ პასიცი ამბობს, რომ ბიპოლარული ფედერალიზმი საერთოდ ძალიან არასტაბილურია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ასეთი ფედერალიზმი ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან თავის თავში მუდმივად იფარავს მოსახლეობის ორივე ჯგუფს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების საფრთხეს. ეს გამოხატულია ბელგიის სინამდვილეშიც.⁴

¹ თუმცა ბიპოლარული ფედერალიზმის ცნება უფრო ფართოა და გულისხმობს ისეთ ფედერალიზმსაც, რომელიც აერთიანებს ორ ტერიტორიულ ან ეთნიკურ ერთეულს. ამასთან დაკავშირებით, იხ. გ. ხუბუა. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000, გვ. 333-334.

² გ. გოგიაშვილი. შედარებითი ფედერალიზმი. თბ., 2000, გვ. 22.

³ გ. ხუბუა. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბ., 2000, გვ. 334.

⁴ Европейский федерализм и Россия: опыт прошлого и настоящего. (Российское государство в контексте европейского федерализма). Международная конференция, проведенная институтом Европы РАН совместно с фондом им. Фридриха Эберта (Германия). 30-31 октября 2000 г. в г. Москве. // Журнал «Современная Европа», 2001, № 1. <http://europe.rsuh.ru/journal/journal1.2001/9.htm>

ბიპოლარული ფედერაციული სახელმწიფოს მაგალითებია როდეზიისა და ნიასალენდის კავშირი, ჩეხოსლოვაკია, სერბეთ-ჩერნოგორიის კავშირი (ე.წ. მცირე იუგოსლავია), კანადა, ბელგია და სხვა. ამათგან პირველი სამი სახელმწიფო დაიშალა.

მაგალითად, ავიღოთ სერბეთ-ჩერნოგორიის სახელმწიფო, რომელიც კონფლიქტის დროებითი მოგვარების მიზნით ფედერაციის შექმნისა და დაშლის ნათელ მაგალითად უნდა ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, 2003 წლის თებერვალში ძირითადად ევროკავშირის (ასევე აშშ-ის) ზეწოლით დაარსდა სერბეთ-ჩერნოგორიის სახელმწიფოებრივი კავშირი. ეს იყო ბიპოლარული სუსტი ფედერაციის ტიპური მაგალითი, რომელშიც ორი სუბიექტი პარტნიორულ ურთიერთობებზე აყალიბებდა ერთიან სახელმწიფოს¹ საერთო სახელისუფლებო ორგანოებითა (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, სასამართლო) და ერთიანი საერთაშორისო წარმომადგენლობით. სერბეთის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 8 მილიონ ადამიანს, ხოლო ჩერნოგორიის – 650 ათასს, რის გამოც სერბეთს ფედერაციაში წამყვანი ადგილი ეჭირა. მართალია, ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნამ დროებით შეაჩერა კონფლიქტი სერბებსა და ჩერნოგორიელებს შორის, მაგრამ მეცნიერები იმთავითვე წინასწარმეტყველებდნენ კონფლიქტის განახლებას² და კავშირის დაშლას.³ ასეც მოხდა: მალე ფედერაცია დაიშალა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. 2006 წლის 3 ივნისს ჩერნოგორიამ ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მონტენეგროს სახელწოდებით იმავე წლის 28 ივნისს გაეროს წევრი გახდა.

ზემოთ დასახელებული ბიპოლარული სახელმწიფოებიდან დანარჩენ ორში (კანადა და ბელგია) მნიშვნელოვანი პრობლემებია. კანადაში, სხვა ფედერაციულ სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე ძლიერია სეცესიონისტური მოძრაობა. კანადის ფედერაციის ჩამოყალიბებიდანვე, სეცესიონიზმში მისწრაფება ყოველთვის ლატენტურად შეიმჩნეოდა და დღესაც განსაკუთრებით ძლიერია კანადის ფრანკოფონურ ნაწილში – კვებეკში. კანადის ფედერაციიდან კვებეკის გამოყოფა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის აქტუალურობას, ასევე საკმაოდ საშიშ კონტურებს იძენს სახელმწიფოს შესაძლო დეზინტეგრაციის საფრთხე.⁴

რაც შეეხება ბელგიას, ბევრ მკვლევარს იგი წარმატებულ მაგალითად მიაჩნია და ფიქრობენ, რომ ეს მოდელი მეტ-ნაკლებად გამოსადეგია საქართველოსთვის,⁵ რასაც ვერ დავეთანხმებით.

¹ მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ კავშირს კონფედერაციად მოიხსენიებს (იხ., მაგალითად, Большаков А. Г., Современный федерализм и кризис федералистских проектов в странах центральной и восточной Европы. http://www.ksu.ru/f15/k2/sb_06/bolshakov.rtf.)

² Б. Коппитерс, М. Хейсен, М. Эмерсон, Н. Точки, М. Валь. Европейские институциональные модели как инструменты разрешения конфликтов в разделенных государствах на европейской периферии. VUB и CEPS. Брюссель. CEPS WORKING DOCUMENT NO. 195. JULY 2003, ст. 7.

³ Большаков А. Г., Современный федерализм и кризис федералистских проектов в странах центральной и восточной Европы. http://www.ksu.ru/f15/k2/sb_06/bolshakov.rtf

⁴ გ. ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი.... თბილისი, 2000, გვ. 93 და 426.

⁵ იხ., მაგალითად, В. Чирикба. Грузия и Абхазия: предложения к конституционной модели. Б. Коппитерс, Д. Дарчиашвили, Н. Акаба, (ред.) Практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии // Весь Мир, Москва, 1999, ст. 387-439; Мартен Тео Янс, Персональный федерализм: решение для этнонациональных конфликтов? Что он означал для Брюсселя и что он мог бы означать для Абхазии? Б. Коппитерс, Д. Дарчиашвили, Н. Акаба, (ред.) Практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии // Весь Мир, Москва, 1999, ст. 366-385, და სხვა.

ბელგია არის უაღრესად ხელოვნური პოლიტიკური წარმონაქმნი და არა ეროვნება,¹ თუმცა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საპირისპირო აზრი იყო გაბატონებული.² ბელგიელი ერი, ეთნიკური თვალსაზრისით, არ არსებობს. ამასთან, ბელგია არ არის მონონაციონალური და ერთენოვანი სახელმწიფო. ძირითადად, მოსახლეობა აქ ორ კულტურულ-ლინგვისტურ ჯგუფად იყოფა. ესენია ფრანგულენოვანი – ვალონები და ჰოლანდიურენოვანი – ფლამანდიელები. ქვეყანაში არის აგრეთვე შედარებით მცირე (დაახლოებით სამოცდაათი ათასი³) გერმანულენოვანი მოსახლეობაც.

1830 წელს ბელგია გამოვიდა ნიდერლანდების სამეფოს შედგენილობიდან და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, 1831 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ არ გაითვალისწინა რა სახელმწიფოს ნაციონალური მრავალფეროვნება, მისი მოწყობის ფორმად განსაზღვრა უნიტარიზმი, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიღო.⁴

როგორც თავად ბელგიურ ლიტერატურაშიც აღინიშნება, ბელგიის მთელი ისტორია გამოირჩევა ეროვნებათაშორისი კონფლიქტებით.⁵ ეს კონფლიქტები განსაკუთრებით გამწვავდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რის გამოც, სახელმწიფოებრივი ერთიანობის უზრუნველყოფის ახალი ფორმების ძიების შედეგად, 1970 წლიდან დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება, ხოლო 1994 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ბელგია ფედერაციულ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

ბელგიის ფედერაცია მეტად რთული მოვლენაა. კონსტიტუციის მიხედვით ბელგია არის ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც შედგება საზოგადოებებისა (communities) და რეგიონებისაგან (რეგიონს). კონსტიტუციის მე-2 მუხლის მიხედვით, ბელგია სამ თემს მოიცავს: ფრანგულს, ფლამანდიურს და გერმანულს, ხოლო მე-3 მუხლის მიხედვით, ბელგია ასევე შედგება სამი რეგიონისგან: ვალონური, ფლამანდიური და ბრიუსელის. გარდა თემებისა და რეგიონებისა, ბელგია დაყოფილია 4 ლინგვისტურ რეგიონად: ფრანგულენოვან, ნიდერლანდურენოვან, ორენოვან (დედაქალაქი ბრიუსელი) და გერმანულენოვან რეგიონებად. ბელგიის სამეფოს ყოველი კომუნა შედის ერთ-ერთი რომელიმე ლინგვისტური რეგიონის შედგენილობაში.⁶

მიუხედავად ამგვარი თვისებრივი ცვლილებისა და გარკვეული უნიკალურობისა, რამაც, როგორც მეცნიერები განმარტავენ, ბევრი დადებითი შედეგი გამოიღო, ხშირია ბელგიის ფედერალიზაციის კრიტიკა. ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ბელგიის ფედერალიზაციის შედეგად სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა იმდენად გართულდა, რომ ხშირად თითქმის გაურკვეველი ხდება, თუ ვის (ფედერაციის, რეგიონის, ლინგვის-

¹ ამას აღნიშნავენ ვალონთა ერთ-ერთი ლიდერი ჟ. დესტრე ალბერტ პირველისადმი გაგზავნილ მანიფესტში „წერილი მეფეს“ (იხ. გ. გოგიაშვილი. შედარებითი ფედერალიზმი. თბ., 2000, გვ. 210-211).

² A. Mommen. Федерализм и национальное государство // ПОЛИС (Политические исследования), 1992, №4, ст. 168-175.

³ Herwig Lerouge. *Belgiens Ende? Partei der Arbeit Belgiens nimmt Stellung zu den Teilungsphantasien.* <http://www.secarts.org/journal/index.php?show=article&id=592>

⁴ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ უნიტარიზმის პირობებში შეუძლებელია ეროვნებათაშორისი პრობლემების დარეგულირება. არა გვერდია ბელგიის პრობლემის უნიტარიზმისათვის დაბრალება გამართლებული იყოს. – გ.გ.

⁵ იხ. Савицкий П.И. Развитие конституции Бельгии 1831 г. // Государство и право, 1996, №10, ст. 111.

⁶ The Constitution of Belgium.

<http://home.scarlet.be/dirkvanheule/compcons/ConstitutionBelgium/ConstitutionBelgium.htm>

ტური საზოგადოების) კომპეტენციას განეკუთვნება ესა თუ ის საკითხი.¹ ცალკეული ავტორები მიუთითებენ ბელგიის სახელმწიფო ინსტიტუტების დუალიზმზე.² გარდა ამისა, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ცვლილებით წინააღმდეგობა ვალონელებსა და ფლამანდიელებს შორის არ მოხსნილა. როგორც აღნიშნავენ, ქვეყნის ფედერალიზაციამ კიდევ უფრო შეასუსტა ვალონთა პოლიტიკური პოზიციები ფედერალური ხელისუფლების დონეზე, რაც წინააღმდეგობას აძლიერებს დაპირისპირებულ ლინგვისტურ ჯგუფებს შორის. ამ დაპირისპირებას ისიც აძლიერებს, რომ ფლამანდია ვალონიასთან შედარებით ეკონომიკურად უფრო განვითარებულია. ამასთანავე, ხელისუფლების საერთო-ბელგიური ინსტიტუტების ძალა და ავტორიტეტი სულ უფრო ეცემა. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც სულ უფრო იზრდება უთანხმოება პარტიის ფლამანდიელ და ვალონელ წევრებს შორის.³ გარდა ამისა, ფედერალურთან ერთად ექვსი პარლამენტისა და მთავრობის არსებობა ძვირი უჯდება ათმილიონიანი ბელგიის გადასახადის გადამხდელებს, რაც არათუ ამცირებს, არამედ უფრო ამძაფრებს ცენტრიდანულ ტენდენციებს არა მხოლოდ ეთნოენობრივი, არამედ ეკონომიკური ნიშნითაც დაყოფილ ქვეყანაში.⁴

ვალონებისა და ფლამანდიელების დაპირისპირების ფონზე ჩვეულებრივ ივიწყებენ გერმანულენოვან ბელგიელებს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბელგიის მოსახლეობის არა უმეტეს ხუთ პროცენტს შეადგენენ, ისინი მოითხოვენ ბელგიის მეოთხე თანასწორუფლებიან რეგიონად აღიარებას და, ამის გამო, დაძაბული ურთიერთობა აქვთ როგორც ფლამანდიელებთან, ისე ვალონებთან.⁵ აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, ბელგიის გერმანულენოვანი მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე დაცული ეროვნული უმცირესობაა მთელ ევროპაში, რომელიც სარგებლობს ავტონომიურობის გარკვეული ხარისხით. მათ ჰყავთ თავისი მთავრობა და პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, სასკოლო სწავლების საკუთარი გეგმა, საკუთარი გერმანულენოვანი სასამართლო და წარმომადგენელი ევროპარლამენტში,⁶ მაგრამ გერმანულენოვანი მოსახლეობა ესწრაფვის მეტი უფლებების მიღებისაკენ.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ფლამანდიელები დიდი ხანია ისწრაფვიან კონსტიტუციის ძირეული ცვლილებებისა და ვალონელებთან კონფედერაციულ ურთიერთობებზე გადასვლისაკენ, თუმცა ვალონელები ამის წინააღმდეგნი არიან.⁷ ბერგე (Berge) და გრასე (Grasse) აღნიშნავენ, რომ კონფედერალიზმი ბელგიისთვის არის არა უბრალოდ საჭიროება, არამედ ბელგიის მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნაც. კონფედერალიზმი ფლანდრიაში დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც პანაცეა ყოველგვარი პოლი-

¹ Павличук Е. Федеральная реформа Бельгии // ПОЛИС// (Политические исследования), 1995, №1, ст. 130-135.

² Леван Матарაძე. Унитаризм - федерализм - Регионализм... «Вечерний Тбилиси», №28, 13-14 марта 2003 г.

³ Marion Schmitz-Reiners. Die belgische Krise oder: Ein zerrissenes Land. EU-Office Brussels. Friedrich Ebert Stiftung. December 2007. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/bruessel/05054.pdf>.

⁴ Горлевая К.А. Мировые тенденции регионализации на примере Бельгии. www.history.pu.ru/biblioth/novhist/stud-konfer/2004/06.pdf.

⁵ Алексей Терещенко. Региональные и сепаратистские движения в странах Северной Европы. Кельтский бунт? 2008. <http://www.apn.ru/publications/print19821.htm>

⁶ Frank Berge, Alexander Grasse, Föderalismus in Belgien: vom Bundesstaat zum Staatenbund?. KAS-Auslandsinfo 6/2004. S. 67-103.

⁷ Marion Schmitz-Reiners. Die belgische Krise oder: Ein zerrissenes Land. EU-Office Brussels. Friedrich Ebert Stiftung. December 2007. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/bruessel/05054.pdf>.

ტიკური და კულტურული უბედურების წინააღმდეგ. ავტორები მიიჩნევენ, რომ ბელგია მიდის კონფედერაციის გზით.¹

ბელგიის კონფედერალიზაციაზე საუბარი გადაჭარბებულად მიაჩნია ბელგიელ მეცნიერ ნიკოლა ლაგასს. ის აღიარებს, რომ ბელგიის ფედერაციული მოდელი ჯერჯერობით არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, ვინაიდან მუდმივი ცვლილებების პროცესში ყოფნით, სტაბილურობის არარსებობის გამო, ინსტიტუციურ სტრუქტურას არ შეუძლია ბოლომდე წარმოაჩინოს თავისი ქმედითობა. ბელგიის სახელმწიფოს ინსტიტუციური სისტემა მუდმივად მიისწრაფვის ავტონომიზაციისაკენ, ფედერაციული ერთეულები-სათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭებისაკენ.² მიუხედავად ამისა, ავტორის აზრით, ის ფაქტი, რომ ასეთი რეფორმების შედეგად მცირდება ფედერაციული კომპეტენციები, არ არის საკმარისი ბელგიის კონფედერაციულ მოდელზე თანდათანობით გადასვლა ვამტკიცოთ. ასეთმა ფედერალურმა მოდელმა შეიძლება ამოწუროს თავისი თავი და შეიცვალოს ახლით, სხვა პრინციპებზე აგებული მოდელით.³

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ავტორი ბელგიას უკვე კონფედერაციულ წარმონაქმნად მიიჩნევს. მაგალითად, ვოუტერ პასი ამბობს, რომ ბელგიის პოლიტიკური სისტემა აბსოლუტურად ბიპოლარულია. არ არსებობს არავითარი ფედერალური პოლიტიკური პარტია, არამედ არის მხოლოდ ფლამანდიული და ფრანკოფონური პარტიები, რომლებიც თავიანთ მხარეებს წარმოადგენენ. უმაღლესი სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საკონსტიტუციო ტრიბუნალი პარიტეტულ საწყისებზეა დაკომპლექტებული. ფედერალური მთავრობა მოქმედებს, როგორც გარკვეული სამთავრობო კონფერენცია, რომლის დანიშნულებაც არის ორივე ერის წარმომადგენელთა შორის ურთიერთთანხმობის მიღწევა. ამიტომ ავტორი მიიჩნევს, რომ ბელგია თავისი არსით არის კონფედერაციული სტრუქტურა.⁴

როგორც ლიტერატურაში აღინიშნება, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი მძიმე სიტუაცია სეპარატიზმის მხრივ, როგორც ბელგიაში, რის გამოც ზოგიერთი ავტორი წინასწარმეტყველებს ბელგიის დაშლას. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში რენე სვენენი თავის წიგნში „რეჟივები ბელგიურად“ გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მას შემდეგ, რაც გაქრება ბელგიური ფრანკი, გაწყდება სამხრეთისა და ჩრდილოეთის უკანასკნელი დამაკავშირებელი რგოლი ეკონომიკის სფეროში. დანარჩენი „განქორწინების“ პროცესში ტექნიკის საქმეა. თუკი ჩეხებმა და სლოვაკებმა შეძლეს მშვიდობიანად დაშორებოდნენ ერთმანეთს, რატომ არ შეუძლიათ იგივე გააკეთონ ფლამანდიელებმა და ვალონებმა?⁵

2007 წლის შემოდგომაზე ფლანდრიის რეგიონულ პარლამენტში დაისვა საკითხი ჩატარებულიყო რეფერენდუმი ფლანდრიის დამოუკიდებლობის თაობაზე. მაშინ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ მოხდა და დოკუმენტის ტექსტი განსახილველად

¹ Frank Berge, Alexander Grasse, Föderalismus in Belgien: vom Bundesstaat zum Staatenbund?. KAS-Auslandsinfo 6/2004. S. 67–103.

² Н. Лагас. Бельгийский опыт: пример федерализма путем разъединения. Практический анализ институциональной эволюции бельгийского государства // «Казанский федералист» // 4, №1 (9), ст. 117-137.

³ იქვე, ст. 117-137.

⁴ Wouter Pas. Der belgische Föderalismus. NEDWEB/Broschüren. Wiener Broschüren 10: Flandern. <http://www.ned.univie.ac.at/CMS/Brochueren/Flandern>

⁵ Хухлындина Л., Ходаков Д. Интеграция: объединенная Европа или сообщество свободных европейских регионов? // Белорусский журнал международного права и международных отношений. 1994, №4. <http://beljournal.by.ru>

გადაეგზავნა ერთ-ერთ საპარლამენტო კომიტეტს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგივე საკითხი მომავალში კიდევ დადგება დღის წესრიგში.¹

ბელგიელი ფრანკოფონების ერთ-ერთი ლიდერი პოლ-ანრი განდებიენი 2006 წელს გამოცემულ წიგნში „ბელგია: უკანასკნელი 15 წუთი“ გარდაუვლად მიიჩნევს ბელგიის დაშლას. იგი მოუწოდებს ფრანგულენოვან მოსახლეობას მოემზადოს ბელგიის დაშლისა და საფრანგეთის იურისდიქციაში გადასვლისათვის.² ბელგიის დაშლის საფრთხეს ხედავს ი. კუნჟიკი, თუმცა იგი ვარაუდობს, რომ ევროკავშირის შემდგომი რეგიონალიზაციის შემთხვევაში ბელგიის დაშლის იდეა დაკარგავს აქტუალურობას.³

ზოგიერთი ავტორი ბელგიის დაშლის კონკრეტულ ვადასაც კი ასახელებდა და ამ ქვეყნის არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტას 2009 წლის ზაფხულის არჩევნებს უკავშირებდა.⁴

რა თქმა უნდა, შეხედულებას უახლოეს მომავალში ბელგიის დაშლის თაობაზე ბევრი არ იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბუნდოვნად უყურებს ბელგიის მომავალს და უშვებს ამ ქვეყნის დაშლის შესაძლებლობას, გადაჭრით აცხადებს, რომ უახლოესი 20–30 წლის განმავლობაში ბელგიას დაშლა არ ემუქრება⁵ რამდენიმე ფაქტორის გამო:

1. **მონარქია** საქს-კობურგ-გოთას დინასტიის სახით მნიშვნელოვან გამაერთიანებელ როლს ასრულებს ბელგიაში. როგორც ვალონები, ისე ფლამანდიელები მეფე ალბერტ II აღმერთებენ.⁶ მას უწოდებენ „ერთადერთ ბელგიელს ვალონთა და ფლამანდიელთა ქვეყანაში“. ⁷ ბელგიის მეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური კრიზისების დროს და ზოგჯერ საკანონმდებლო ინიციატივითაც კი გამოდის, როგორც ეს მოხდა 2011 წლის დასაწყისში, როდესაც ბელგიაში მიმდინარე რამდენიმე თვიანი პოლიტიკური კრიზისის დროს მეფე ალბერტ II ქვეყნის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა.

2. **საგარეო ფაქტორი.** ევროპის ბევრ წამყვან სახელმწიფოს მეტ-ნაკლები სიმწვავეთა აწუხებს სეპარატიზმის პრობლემა (მაგალითად, ბასკეთი ესპანეთში, კორსიკა საფრანგეთში, ჩრდილოეთ ირლანდია დიდ ბრიტანეთში და სხვა). ამდენად, ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომელთათვისაც უცხო არ არის სეპარატიზმი, ესმით, რომ ბელგიის დაშლით შექმნილ პრეცედენტს შესაძლოა მოჰყვეს „დომინოს“ ეფექტი ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, როგორც ეს ყოფილ სოციალისტურ ფედერაციებში მოხდა.⁸ ამიტომ, ისინი ეცდებიან არ დაუშვან ახალი სახელმწიფოების წარმოშობა ევროკავშირის ტერიტორიაზე.

3. **ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონების მიმართ.** „რეგიონთა ევროპის“ კონცეფციისა და სუბსიდიურობის პრინციპის ფარგლებში მიმდინარეობს უფლებამოსილებათა გამიჯვნა

¹ А. Любимская. Худой бельгийский мир. <http://www.rbcdaily.ru/print.shtml?2007/09/12/focus/292496>

² Бирюков С., Бельгийский кризис европейского федерализма. <http://www.apn.ru/publications/print18331.htm>

³ Кучук Ю. Бельгия: от сепаратизма к федерализму (эволюция федерализма в Бельгии) // Белорусский журнал международного права и международных отношений, 2004. №4. <http://beljournal.by.ru>

⁴ Marion Schmitz-Reiners. Die belgische Krise oder: Ein zerrissenes Land. EU-Office Brussels. Friedrich Ebert Stiftung. December 2007. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/bruessel/05054.pdf>

⁵ Жоомарт Ормонбеков. Бельгийская модель федерализма: особенности и перспективы // Казанский федералист, 2004, №1 (9) зима, ст. 138-156.

⁶ иже, ст. 138-156.

⁷ Алексей Терещенко. Региональные и сепаратистские движения в странах Северной Европы. Кельтский бунт? 2008. <http://www.apn.ru/publications/print19821.htm>

⁸ Жоомарт Ормонбеков. Бельгийская модель федерализма: особенности и перспективы // Казанский федералист, 2004, №1 (9) зима, ст. 138-156.

ევროპული ინტეგრაციის ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, ნაციონალურ სახელმწიფოსა და ბელგიის ფედერაციის სუბიექტებს შორის, რის შედეგადაც იზრდება რეგიონთა როლი ევროპის დონეზე. ამგვარად, ევროპული ინტეგრაცია და რეგიონთათვის ზესახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება მასტაბილიზებელ როლს ასრულებს.¹

4. **ბრიუსელი.** ხშირად ამბობენ, ბრიუსელი რომ არ მდებარეობდეს ფლანდრიაში და შემოსახლერული არ იყოს ფლამანდიის ოლქით, ბელგია დიდი ხნის წინ დაიშლებოდა ორ ნაწილად.² ბრიუსელი, მიუხედავად იმისა, რომ ფლანდრიის ტერიტორიაზე მდებარეობს და ოლითგანვე ფლამანდიური ქალაქი იყო, უკანასკნელი 2 საუკუნის განმავლობაში თანდათანობით ფრანგულენოვანი გახდა. ნიდერლანდური ენის გამოდევნის პროცესს ხელს უწყობს ის მომენტიც, რომ ბრიუსელი ევროპის ინსტიტუციური დედაქალაქი გახდა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი განთავსებულია ბრიუსელში, ხოლო მოსახლეობის მესამედი უცხოელია და არ აქვს ბელგიის მოქალაქეობა, რის გამოც ბრიუსელი ინტერნაციონალურ ქალაქად იქცა. ამან კიდევ უფრო შეავიწროვა ნიდერლანდური ენა, ვინაიდან ძირითადი საკომუნიკაციო ენა აქ ინგლისური ან ფრანგულია. ამიტომ, ჯერჯერობით ფლანდრიის დამოუკიდებლობას ხელს უშლის ბრიუსელი, რომელიც ფლანდრიის ტერიტორიაზე მდებარეობს და ბელგიის ფედერაციის სუბიექტის სტატუსით სარგებლობს. ფლანდრიას დღესვე შეუძლია გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, თუ დათმობს ბრიუსელს, მაგრამ ბრიუსელის გარეშე მას დამოუკიდებლობა არ სურს. ამდენად, ბელგიის მომავალი ბრიუსელის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.³

ბოლოდროინდელი მოვლენები კიდევ უფრო შემაშფოთებელია ბელგიისთვის. 2010 წლის ივნისის რიგგარეშე არჩევნებში ფლამანდიურმა პარტია „ახალმა ფლამანდიურმა ალიანსმა“ (NVA) გაიმარჯვა, რომლის ხელმძღვანელი ბარტ დე ვევერი (Bart De Wever) ფლანდრიის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. ის პრაგმატული პოლიტიკოსია და ამიტომ პირველ ეტაპზე ბელგიის კონფედერაციულ სტრუქტურად ჩამოყალიბების მომხრეა, რაც „შუალედური გაჩერება“ იქნება ფლანდრიის საბოლოო დამოუკიდებლობამდე.⁴ მისი აზრით, ბელგია მეტს ვეღარ „მუშაობს“, ბელგია არშემდგარი ქვეყანაა.⁵

სამთავრობო კრიზისმა, რომელიც ისედაც უცხო არ არის ბელგიისათვის, უკვე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანამ ვერ შეძლო მთავრობის დაკომპლექტება და დღემდე დროებითი მთავრობის პირობებში უწევს არსებობა. „ბელგია იმდენ დროს ანდომებს მთავრობის შექმნას, რომ მოხსნა მსოფლიო

¹ იქვე, სტ. 138-156.

² Рут ван Дейк. Регионализм, федерализм и права меньшинств в Бельгии. Этнические и региональные конфликты в Евразии. Книга 3. Международный опыт разрешения этнических конфликтов. Ред.: Бруно Коппитерс, Эрик Ремакль, Алексей Зверев. // Весь Мир, Москва, 1997. <http://poli.vub.ac.be/publi/etni-3/ruthvandyck.htm>

³ Крис Десхауэр, Дотянет ли Брюссель до следующего века? Этнические и региональные конфликты в Евразии. Евразии. Книга 3. Международный опыт разрешения этнических конфликтов. Ред.: Бруно Коппитерс, Эрик Ремакль, Алексей Зверев. «Весь Мир», Москва, 1997. <http://poli.vub.ac.be/publi/etni-3/deschower.htm>

⁴ Сергей Бирюков, Конец бельгийского федерализма? "Конституционный фугас" Марка Эйскенса. «Агентство политических новостей», 2010-07-07. <http://www.apn.ru/publications/print22973.htm>

⁵ Belgium Has No Future, Interview with Flemish Separatist De Wever, «Spiegel», 12/16/2010. <http://www.spiegel.de>

რეკორდი... მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, ერაყშიც კი, მოლაპარაკებები მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით არ ყოფილა ასეთი ხანგრძლივი.“¹

2011 წლის 21 ივლისს საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ თუ ბელგიის დაშლა გარდაუვალია, საფრანგეთის რესპუბლიკა მზად არის ვალონიას ხელი გაუწოდოს და მიიღოს იგი თავის შედგენილობაში.² ვალონელი სოციალისტი და ენერგეტიკის მინისტრი პოლ მონე (Paul Magnette) კი წინააღმდეგია ვალონიის საფრანგეთთან შეერთებისა და გერმანიასთან მიერთებას უჭერს მხარს.³

ის ფაქტი, რომ ბელგიის ერთიანობისთვის მებრძოლი ვალონური სოციალისტური პარტიის ლიდერები ღიად იხილავენ ვალონიის პერსპექტივებს ბელგიის დაშლის შემდეგ, აშკარად მიუთითებს იმ ღიდ სკეპსისზე, რომელმაც მთელი ბელგიური საზოგადოება მოიცვა.

ბელგიური ფედერალიზმის მოდელის მთელი რიგი თავისებურებების გამო, ძნელი იქნება სხვა სახელმწიფოებისათვის მისი მისადაგება. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ბელგიური მოდელის გამოყენება პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის მეტად რთული იქნება.⁴

ჩვენ არსებითად ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებას და, ვფიქრობთ, რომ ბელგიის მაგალითი არ გამოდგება საქართველოსათვის. ის წინაპირობები, რამაც გამოიწვია ბელგიის ფედერალიზაცია, საქართველოში არ არის. ამასთანავე, ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ბელგიის დაშლას და, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, საქართველოში არ არსებობს. თუნდაც ის მომენტი, რომ ბელგია ევროკავშირის წევრია, ხოლო ბრიუსელი ევროპის ინსტიტუციური, არაოფიციალური დედაქალაქის სტატუსით სარგებლობს, მრავლისმეტყველია. ამდენად, თუ ბელგიური მოდელის საქართველოსთვის მორგებაზე ვისაუბრებთ, მაშინ, უპირანი იქნება, ეს საუბარი იმ შემთხვევებში ფაქტორებით და ამ ფაქტორების საქართველოსთვის მორგებით დავიწყოთ, რაც ბელგიის სამეფოს ჯერ კიდევ უნარჩუნებს ერთიანობას.

ესეც რომ არ იყოს, ვხედავთ, რომ ბელგიის ფედერალიზაციამ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ეთნიკური დაპირისპირებების დაძლევა და ქვეყნის ერთიანობის განმტკიცება, რის გამოც ჩვენთვის იგი მისაბამ მაგალითად ვერ გამოდგება. იგივე მოსაზრებას ავითარებს ლევან მატარაძე.⁵

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც: ბელგიას არ ჰყავს მტრულად განწყობილი აგრესიული მეზობლები, რომელთა ოცნებაც ბელგიის დაშლა იქნებოდა. შეგვიძლია დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა და რუსეთის მსგავსი აგრესიული მეზობლის არსებობის შემთხვევაში, ბელგია თავისი მყიფე ტერიტორიული მოწყობით ადვილად დაიშლებოდა. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოსა და მის ტერიტორიულ მოწყობაზე, ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის ფაქტორს.

¹ Walter Mayr, Belgium's Political Crisis Foretells EU's Future, «Spiegel», 03/17/2011. <http://www.spiegel.de>

² Kim Willsher, Let Belgium's Walloons join France, Front National leader suggests, 21 July 2011.

<http://www.guardian.co.uk>

³ Walter Mayr, Belgium's Political Crisis Foretells EU's Future, «Spiegel», 03/17/2011. <http://www.spiegel.de>

⁴ Жоомарт Ормонбеков. Бельгийская модель федерализма: особенности и перспективы. «Казанский федералист», 2004, №1 (9) зима, ст. 138-156.

⁵ Левან მატარაძე. Унитаризм - федерализм – регионализм // Вечерний Тбилиси, №28, 13-14 марта. 2003 г.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ ბელგიელი მეცნიერ ბრუნო კოპიტერსის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და აფხაზეთისათვის ოთხი ალტერნატივიდან – მეტად ან ნაკლებად დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, ეთნოფედერაცია,¹ ეთნოკონფედერაცია და აფხაზეთის დამოუკიდებლობა – ეთნოფედერაცია ყველაზე მეტად არის გამართლებული.²

კოპიტერსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეთნოფედერაციები არამყარი აღმოჩნდა, ხოლო დასავლეთ ევროპის ეთნოფედერაციული სახელმწიფოები, როგორებიცაა ესპანეთი და ბელგია, კანადა, წარმატების მაგალითებად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ავტორი იმასაც ამბობს, რომ ესპანეთის,³ ბელგიისა და კანადის წარმატებულობის თაობაზე ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ზოგიერთის აზრით ამ ქვეყნებშიც არსებობს ისეთივე დეზინტეგრაციის საფრთხე, როგორიც უკვე დაშლილ აღმოსავლეთ-ევროპულ ეთნოფედერაციულ სახელმწიფოებში, მაგრამ კოპიტერსი ასეთ მოსაზრებებს მხოლოდ პიპოთეტურს უწოდებს.⁴

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ ბიპოლარული ფედერაციები დეზინტეგრაციის ძლიერი მუხტის მქონეა, რაც, სავარაუდოდ, მეტად სავალალო შედეგს გამოიღებს საქართველოს შემთხვევაში. გარდა ბუნებრივად არსებული ეთნიკური და ეკონომიკური ფაქტორებისა, რომლებიც, როგორც წესი, ძირითადი საფუძველია სეცესიონისტური მოძრაობისა, აქ მნიშვნელოვანია გარე ფაქტორი რუსეთის სახით. კრემლი არა თუ აბრკოლებს აფხაზეთის ინტეგრაციას საქართველოში, არამედ, როგორც 2008 წლის აგვისტოს რუსეთის სამხედრო აგრესიამ და შემდგომ განვითარებულმა ასევე აგრესიულმა მოვლენებმა დაგვანახა, ოფიციალურად და ქმედითად ადასტურებს კონფლიქტური ტერიტორიების საქართველოდან გამოყოფის მისწრაფებებს. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ამ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნოწმენდა და მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება ამის ნათელი დადასტურებაა.

საქართველოს მიერ აფხაზეთის ნაწილობრივი სუვერენიტეტის აღიარებამ და მასთან, როგორც პარტნიორთან, ხელშეკრულების დადებამ შესაძლოა მომავალში უფრო დიდი პრობლემები შექმნას. ხელშეკრულების გაფორმება შესაძლოა იქცეს აფხაზეთის არა მხოლოდ დე ფაქტო, არამედ დე იურე დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ეტაპად და ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორად. ეს რუსეთისათვის იქნებოდა უადრესად ხელსაყრელი, ვინაიდან ამ მომენტს გამოიყენებდა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობის აღიარების გამართლების ბაზისად.

ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა კვიპროსის მაგალითი. 2004 წლის 24 აპრილს ჩატარებულ რეფერენდუმზე სამხრეთ კვიპროსის მოსახლეობის 75,83%-მა უარი განაცხადა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის გეგმაზე და, შესაბამისად, ჩრდილოეთ

¹ აქ ეთნოფედერაცია წარმოადგენს იგივე ბიპოლარულ ფედერაციას.

² Бруно Коппитерс. Этнофедерализм и политика в области строительства гражданского государства. Идея общего государства в грузино-абхазском конфликте. Бруно Коппитерс, Давид Дарчиашвили, Нателла Акаба, (ред.) Практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии // Весь Мир, Москва, 1999, ст. 324-351.

³ აქ კოპიტერსი ესპანეთს პირდაპირ უწოდებს ფედერაციულს, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

⁴ იქვე, ст. 324-351. აქ აღარ შევუდგებით ესპანეთის მიმოხილვას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არ არის ბიპოლარული ფედერაციული სახელმწიფო, თუმცა ზოგადად ესპანეთის ფედერაციად მოხსენიებაც გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

კვიპროსის მიერთებაზე მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულენოვანი კვიპროსელების 64,9%-მა ამ გეგმას მხარი დაუჭირა.¹ ანანის გეგმა ითვალისწინებდა სწორედ ორსუბიექტიანი, ბიპოლარული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას, თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ, გეგმის მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო ორი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოსგან შექმნილი კონფედერაცია.²

სამხრეთ კვიპროსის მოსახლეობის უარყოფით გადაწყვეტილებაში სხვა მომენტებთან ერთად (თურქული გავლენის ფაქტობრივი დაკანონება, დემოგრაფიული დისბალანსი) შეიძლება დავინახოთ არცთუ უსაფუძვლო შიში პერსპექტივაში ერთიანი კვიპროსის სახელმწიფოდან ჩრდილოეთ კვიპროსის კვლავ გამოყოფისა უკვე ლეგალურ საფუძველზე. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი მიზანი ამოძრავებდა ჩრდილოეთ კვიპროსს, სამხრეთ კვიპროსთან ფედერალურ კავშირში გაერთიანებით მიეღო სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაცია მეტნაკლები ხარისხით, მოეპოვებინა ე.წ. ნაწილობრივი სუვერენიტეტი მაინც და შემდეგ გამოსულიყო ფედერაციის შედგენილობიდან. ასეთ შემთხვევაში იგი თავს დააღწევდა არსებულ ჩიხურ მდგომარეობას და საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებდა.

საინტერესოა, რომ კვიპროსის რეფერენდუმი და მასთან დაკავშირებული მოვლენები სერბეთ-ჩერნოგორიის კავშირის შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა: კვიპროსში რეფერენდუმის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე შეიქმნა სერბეთ-ჩერნოგორიის სახელმწიფო (2003 წლის თებერვალი), რომელმაც სამი წელი იარსება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანანის გეგმის მიხედვით შექმნილი ერთიანი კვიპროსული სახელმწიფო სერბეთ-ჩერნოგორიის ბედს გაიზიარებდა.

ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე წლის წინ დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლებაც უპირატესობას ანიჭებდა ორსუბიექტიანი ფედერაციის შექმნას მოლდოვასთან, რის მაგალითადაც სერბეთ-ჩერნოგორიის კავშირს ასახელებდა. ვფიქრობთ, სეპარატისტული რეგიონების ბიპოლარული ფედერალიზმით დაინტერესება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ბიპოლარული ფედერალიზმი უადრესად დიდი საფრთხის შემცველია საქართველოს სახელმწიფოსათვის, მით უმეტეს, როდესაც ასეულობით ათასი დევნილი, ეთნოწმენდის მსხვერპლი, ჯერაც ვერ ბრუნდება თავის სახლში, აფხაზეთში. ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, საუბარი უნდა შეეხოს არა ფედერაციული ქართულ-აფხაზეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, არამედ დევნილების უპირობო დაბრუნებას მთელ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რასაც, საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნისა და რეზოლუციის მიუხედავად, დღემდე ეწინააღმდეგება რუსეთი.

ეუთოსა და გაეროს რეზოლუციებით აღიარებულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. ამიტომ უნდა მოხდეს ამ დანაშაულის გამოსწორება, რასაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სწორი ტერიტორიული მოწყობა.

¹ Александр Рытов. Разделенный остров Афродиты. Кипр после интеграции в ЕС: новая еврореальность и старые проблемы // Вестник Европы, 2005, №13-14. <http://magazines.russ.ru/vestnik/2005/13/ry12.html>

² Рубен Сафрастян. Турция и Кипрская проблема: эпизоды «Большой Игры» // 21-й Век, № 2, 2005г., ст. 54-66.

ორსუბიექტიანი ფედერალიზმი და სახელმწიფოს მთლიანობის პრობლემა

სტატია ეხება ორსუბიექტიანი ანუ ბიპოლარული ფედერალიზმის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. სტატიის თემატიკა შერჩეულ იქნა იმიტომ, რომ ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანი გამოთქვამს მოსაზრებას საქართველოს ორსუბიექტიან ფედერაციად მოდერნიზების მიზანშეწონილობის თაობაზე, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძვლად მიაჩნიათ. სწორედ ამ კონტექსტში არის განხილული ორსუბიექტიანი ფედერალიზმის პრობლემატიკა.

ეფიქრობთ, რომ ორსუბიექტიან, ბიპოლარულ ფედერაციას, საქართველოსა და აფხაზეთის კავშირის სახით, დიდი ხნის პერსპექტივა არ უწერია. ასეთი ფედერაციის შექმნა რომც დაგეგმვით, ის დიდ ხანს ვერ იარსებებს და იქნება ერთ-ერთი ეტაპი აფხაზეთის არა მხოლოდ *de facto*, არამედ *de jure* დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ამის მაგალითებს მრავლად იცნობს მსოფლიოს უახლესი ისტორია. მაგალითად, სერბეთ-ჩერნოგორიის სახელმწიფომ, რომელიც კონფლიქტის დროებით მოგვარების მიზნით ფედერაციის შექმნისა და დაშლის ნათელ მაგალითად მიგვაჩნია, სამი წელი იარსება.

ევროპის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში – ბელგიაშიც კი, რომელიც ბევრს დევოლუციური და ბიპოლარული სახელმწიფოს წარმატებულ მაგალითად წარმოუდგენია, იმდენად დიდია დეზინტეგრაციული პროცესი, რომ ზოგიერთი მეცნიერი უახლოეს მომავალში ამ ქვეყნის დაშლას წინასწარმეტყველებს. ასეთ მოსაზრებას ბელგიის დღევანდელი სამთავრობო კრიზისიც აძლიერებს.

ამდენად, საქართველოსთვის ბელგია მისაბამ მაგალითად ვერ იქცევა, მით უმეტეს, რომ ბელგიის სინამდვილეში არსებობს რამდენიმე ფაქტორი (მონარქია, საგარეო ფაქტორი, ევროკავშირის წევრობა და ბრიუსელის სტატუსი), რომელიც ამ ქვეყანას ჯერ კიდევ უნარჩუნებს ერთიანობას. საქართველოს კი მსგავსი დამცავი ფაქტორები არ გააჩნია. უფრო მეტიც, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და რუსეთის სახით აგრესიული მეზობლის არსებობის პირობებში, ბიპოლარული საქართველო ადვილად დაიშლება. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოსა და მის ტერიტორიულ მოწყობაზე, ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის ფაქტორს.

ბიპოლარული ფედერაცია დეზინტეგრაციის გაცილებით მაღალ რისკს შეიცავს. სხვასთან ერთად, ამითაც უნდა აიხსნას ჩრდილოეთ კვიპროსის მოსახლეობის უარყოფითი გადაწყვეტილება 2004 წლის 24 აპრილს ჩატარებულ რეფერენდუმზე, როდესაც მათ უარი თქვეს ანანის გეგმასა და სამხრეთ კვიპროსთან გაერთიანებაზე. ბიპოლარული ფედერაციის სიმყიფითვე აიხსნება სეპარატისტული რეგიონების (მაგალითად, დნესტრისპირეთი) დაინტერესება ბიპოლარული ფედერალიზმით.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ბიპოლარული ფედერალიზმი უადრესად დიდი საფრთხის შემცველია საქართველოს სახელმწიფოსათვის. ეფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, საუბარი უნდა შეეხოს არა ფედერაციული ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, არამედ დევნილი მოსახლეობის უპირობო დაბრუნებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

TWO-SUBJECT FEDERALISM AND THE PROBLEM OF GOVERNMENTAL INTEGRITY

The article – “Two-subject Federalism and the Problem of Governmental Integrity” – refers to two-subject or theoretical and practical issues of bipolar federalism. The subject area of the article was chosen due to the opinion made by the person interested in particular issues about suitability of making Georgia two-subject federation, what is assumed as a basis of restoration of territorial integrity of Georgia. The problems of two-subject federalism are discussed exactly in this context.

We believe, that two-subject, bipolar federation in the form of Georgia-Abkhazia Union, is not perspective. Even if we let create such federation, it will not exist for long and it will be just one stage of not only de facto of Abkhazia, but also de jure of gaining independence. Recent History is rich of such facts. For example, Serbia-Montenegrin government is the best example of creating federation in the means of temporary solution of the problems and its dissolving after all, as well. The federation existed only three years.

In Belgium – one of the most developed countries in Europe, which is believed to be successful example of the devolutionary and bipolar government, the process of disintegration is so high, that, some scientists predict the destruction of the country. Such presumption is strengthened by the present governmental crisis.

Thus, Belgium shouldn't be exemplified for Georgia as a good example, what is more that there are some factors in Belgium reality (monarchy, external factors, European Union, Brussels Title), which enhances the integrity of Belgium. Georgia does not possess such protective factors. Moreover, due to its geopolitical location and having aggressive neighbor in the form of Russia, bipolar Georgia will be easily dissolved. Thus, while discussing Georgia and its territorial arrangement, the factor of Russia should be considered as well.

Bipolar federation comprises high risk of disintegration, due to this fact, it becomes easy to explain the negative decision of the population of North Cyprus made at referendum, held on April 24, 2004, when it refused Anani Plan and unite with South Cyprus. Unsteadiness of the bipolar federation is explained by the interest of the separate regions (for example, Transnistria) in bipolar federalism.

Thus, we assume that, bipolar federalism consists of high danger for Georgia. We believe, first of all, unconditional returning of internally displaced persons to Abkhazia should be discussed rather than creating federal Georgian-Abkhazian government.

გიორგი გორაძე,
დოქტორი იურიდიულ მეცნიერებათა დარგში

ДВУХСУБЪЕКТНЫЙ ФЕДЕРАЛИЗМ И ПРОБЛЕМА ГОСУДАРСТВЕННОЙ ЦЕЛОСТНОСТИ

Статья касается двухсубъектной, т.е. биполярной теории и практики федерализма. Тематика статьи подобрана подобным образом потому, что заинтересованные лица высказывают мнение по поводу целесообразности модернизации государственного устройства, и это считают основой восстановления государственности, в этом же контексте и рассмотрена проблематика статьи.

Считаем, что биполярная федерация на примере Грузии и Абхазии не имеет долгосрочной перспективы. В случае принятия федерации такого вида, она не сможет просуществовать долго и лишь будет Де Факто и Де Юре поводом получения независимости Абхазии. Подобными примерами полна новейшая мировая история. Например, Сербско – Черногорское государство, которое считалось ясным примером создания федерации, с целью предотвращения конфликта, просуществовало всего три года.

В одной из самых развитых европейских стран – Бельгии, которая представляет собой пример деволюционного и биполярного государства, настолько глубок процесс дезинтеграции, что некоторые учёные предвещают распад этой страны в ближайшем будущем. Такое мнение усугубляется государственным кризисом Бельгии.

Поэтому Бельгия не может быть объектом подражания для Грузии, тем более, что существует несколько факторов (монархия, внешний фактор, членство Евросоюза и Брюссельский статус), которые способствуют единству страны. У Грузии подобных защитных факторов нет. Тем более, в условиях своего геополитического положения и соседства с агрессивной Россией, биполярная Грузия легко распадется. Поэтому, когда говорим о Грузии и её территориальном устройстве, надо учитывать российский фактор.

Биполярная федерация содержит большой риск дезинтеграции. Этим можно объяснить отрицательное решение населения северного Кипра на референдуме 24 апреля, 2004г., когда оно отказалось от плана Анана и от воссоединения с южным Кипром. Тем же объясняется заинтересованность сепаратистских регионов (например, Приднестровья) биполярным федерализмом.

Поэтому считаем, что биполярный федерализм представляет для Грузии большую угрозу. Так что, суть не в создании федерального Грузино-Абхазского государства, а в том, чтобы вернуть беженцев на свою абхазскую территорию.

ქონებაზე ყადაღის დადება ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის კონკრეტული საშუალებები, უნდა განვმარტოთ, როგორც სპეციალური ღონისძიებები, მიმართული გადასახადის გადამხდელის მიერ ვალდებულებების უპირობოდ შესრულებისკენ.

აღნიშნულ ნაშრომში სამართლებრივი და პრაქტიკული კუთხით გაშუქებულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ქონებაზე ყადაღის დადება. დღეს ეს საკითხი, ძალიან აქტუალურია, რადგან 2011 წლის დასაწყისიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ დებულებებში. ამიტომ, პრაქტიკაში მის სწორად დანერგვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება ძველი და მოქმედი საგადასახადო კოდექსის ჭრილში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია“,¹ სახელმწიფოს ეკისრება ამ უფლების დაცვის პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება, რადგან იგი არა მარტო ადამიანის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.² თუმცა კონსტიტუციაში გათვალისწინებულია, რომ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და, დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.³ აქედან გამომდინარე, გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ენიჭება უფლებამოსილება შეზღუდოს გადამხდელის საკუთრების უფლება, მაგრამ მან ეს ქმედება უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და კონკრეტული გარემოებათა გათვალისწინებით თანაბარზომიერების პრინციპის დაცვით. ჩვენ ამოცანას, საგადასახადო კანონმდებლობის განხორციელებისას იმის დადგენა წარმოადგენს, რამდენადაა დაცული თანაბარზომიერების პრინციპი გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებისას.

საქართველოს ძველი საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაედო გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ ნებისმიერ (მოძრავ, უძრავ) ქონებაზე. აქვე გათვალისწინებული იყო, რომ ღიზინგით მიღებულ და სხვა პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება არ შეიძლებოდა. საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ეს აკრძალვა ერთადერთი იყო, რომელიც მესაკუთრეს საშუა-

¹ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი;

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება.

³ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლებას აძლევდა დაეცვა საკუთარი ქონება ყადაღის დადებისაგან და ედავა იმ შემთხვევაში, თუ ის ყადაღის დადებისას ფიზიკურად მოვალის მფლობელობაში იქნებოდა. აქ იგულისხმება გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი, რადგან საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები პრაქტიკაში იყენებდნენ რა საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ამ ღონისძიებას, ყადაღას ადებდნენ ყველა ნივთს, რომელიც გადასახადის გადამხდელთან აღმოჩნდებოდა. არადა ცნობილია, რომ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში ძალიან რთულია ყველა მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დადასტურება. საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებში გავრცელებული ეს ქმედება დღეს უკვე განმტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულ „ქონებაზე ყადაღის (აღწერის) დადების დროს იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებიც გადასახადის გადამხდელთანაა, მას ეკუთვნის.“ დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლიდან, რომელიც ქონებაზე ყადაღის დადებას ითვალისწინებს, საერთოდ ამოღებულია შეზღუდვა, რომ სხვა პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება არ შეიძლება და ძალიან მარტივად და ლაკონურად წერია:

„საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში.“

როგორც ვხედავთ, ახალი საგადასახადო კანონმდებლობა, გამსჭვალულია რა საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამკაცრებისა და საბოლოოდ ბიუჯეტის შევსების სურვილით, ზღუდავს საკუთრების უფლებას, თან არა მარტო იმ პირისა, რომელსაც ბიუჯეტის წინაშე გარკვეული დავალიანება აქვს, არამედ, რომელსაც ამ პროცესებთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, რადგან მას ყველა შემთხვევაში მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დასამტკიცებლად სასამართლოსადმი მიმართვა მოუწევს, მხოლოდ საბუთების საშუალებით ეს შეუძლებელია. მაგ., პირს შეიძლება ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე საკუთრების დამადასტურებელი საბუთი, მაგრამ როგორ უნდა დაადასტუროს საკუთრების უფლება ავეჯზე, ბეწვეულზე, სამკაულზე და ა. შ. ჩვენი აზრით, მტკიცების ტვირთი, ნივთის კუთვნილებასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოს უნდა ეკისრებოდეს და არა გადასახადის გადამხდელს, რადგან საჯარო ორგანოს უფრო მეტი შესაძლებლობები და ბერკეტები აქვს ინფორმაციის მოსაპოვებლად.

გაუგებარია მოქმედ საგადასახადო კოდექსში 2011 წლის 22 თებერვალს შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურა განხორციელოს თვითონ ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაავალოს. ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურას ახორციელებდა მხოლოდ საგადასახადო ორგანო, რაც გაცილებით ეფექტური, მარტივი და გადასახადის გადამხდელისათვის ადვილად გასაგები იყო. ახალი ცვლილებების მიხედვით იმის დადგენაც შეუძლებელია,

როდის შეუძლია საგადასახადო ორგანოს ყადაღის დადების პროცედურა დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ასევე საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, შეაჩეროს საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება და ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სააღსრულებო ბიურომ საგადასახადო ორგანოს ისევ უკან უნდა დაუბრუნოს გადამხდელის საქმე და გადამხდელს ერთდროულად რამდენიმე ადმინისტრაციულ ორგანოსთან მოუწვევს ურთიერთობა. ეს ყოველივე ეწინააღმდეგება საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში განმტკიცებულ ერთი ფანჯრის პრინციპს და ადმინისტრირების ეფექტურობას. ამ ურთიერთობებში გადასახადის გადამხდელი ფაქტობრივად სრულიად დაუცველია საგადასახადო ორგანოების წინაშე, რადგან კანონმდებლობაში იმპერატიულად არ არის განსაზღვრული საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებები ყადაღის დადების დროს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ ირჩევს მისი განხორციელების ფორმებს.

ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრაციისას კორესპონდენციის მისაღებად და სხვა ფორმალური მოქმედებების განსახორციელებლად ხშირად იურიდიულ მისამართად უთითებს ახლობლის ან ნათესავის საკუთრებაში არსებული ბინის მისამართს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ არის რეგისტრირებული იმ ადგილზე, სადაც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. საგადასახადო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დავალიანების მქონე ინდივიდუალ მეწარმის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ინდივიდუალური მეწარმე ეცნობა აქტს, დავალიანება აღიარებულია და ეთანხმება. აქედან გამომდინარე, ის არ ასაჩივრებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტი აღსასრულებლად გადაეცემა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც, თავის მხრივ, მოსამართლის ბრძანების გარეშე „იჭრება“ იურიდიულ მისამართზე მითითებულ საცხოვრებელ ბინაში, ამით არღვევს რა საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით განმტკიცებულ უფლებებს საკუთრებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, ახორციელებს მოძრავი ქონების დაყადაღებას. ამ მოქმედებების განხორციელების შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა უკვე გასულია და ქონების კეთილსინდისიერ მესაკუთრეს რჩება ორი გზა – დაიწყოს ადმინისტრაციული დავა ან შეიტანოს სასამართლოში სარჩელი. ორივე პროცედურა გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს და ამასთან, მესაკუთრეს გარანტია არა აქვს, რომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდება. ეს სახელმწიფოს მხრიდან გადასახადის გადამხდელისა და მესაკუთრის უფლებების აშკარა ხელყოფაა.

ძველი საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-13 პუნქტში აღნიშნული იყო:

„თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება (მათ შორის, დეკლარაციების წარდგენისათვის თავის არიდებით), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება, მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა მოვალის ქონებას საგადასახადო დავალიანების ფარგლებში.“

ეს დებულება საგადასახადო კანონმდებლობით საკუთრების უფლების შელახვის კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა. თუ აღიარებული საგადასახადო

დავალიანების არსებობისას პირის ქონებაზე ყადაღის დადებას სახელმწიფო ამართლებდა საზოგადოებრივი საჭიროების მოტივით, რადგან ამ დროს სახეზე იყო ბიუჯეტისათვის ზიანის მიყენება და ამით მოსახლეობის აუცილებელი საარსებო პირობებით უზრუნველყოფის შეფერხება, ვერ მოეძებნება გამართლება პირის ქონებაზე ყადაღის დადებას მაშინ, როდესაც საგადასახადო დავალიანება აღიარებული არ იყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს ყადაღის დადებიდან 72 საათის განმავლობაში უნდა წარედგინა სასამართლოს შუამდგომლობა მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. სასამართლო მომდევნო 72 საათში ვალდებული იყო მიეღო განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის თაობაზე.

ახალმა საგადასახადო კანონმდებლობამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ზემოაღნიშნულ დებულებაში, თუმცა ამას გადასახადის გადამხდელის უფლებების არსებითი გაუმჯობესება არ გამოუწვევია, კერძოდ, მან ყადაღის დადების საფუძველად მხოლოდ „პირის მიერ ქონების გასხვისების საშიშროება“¹ მიიჩნია და სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვისა და საქმის განხილვის დრო 24–24 საათით შეამცირა.

ჩვენი აზრით, საგადასახადო ორგანომ ამ შემთხვევაში ქმედების განხორციელებამდე და უნდა მიიღოს სასამართლოს თანხმობა.

ამ დებულების გამოყენებისას აშკარად იკვეთება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლებისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი ნიშნების ხელყოფა, როგორიცაა:

- მესაკუთრის უფლება, გამოიყენოს კუთვნილი ქონება და მისგან მიიღოს სრული სარგებელი;
- მესაკუთრის უფლება, თავად გადაწყვიტოს საკუთარი ქონების ფიზიკური და სამართლებრივი ბედი (გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს და სხვა);
- მესაკუთრის უფლება, დაიცვას კუთვნილი ქონება ნებისმიერი იმგვარი ქმედებისაგან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მისი უფლების რეალიზაციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება არა მარტო ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის, არამედ გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერების საკითხი, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოსა და ადამიანის შორის არსებულ ნდობის შეღავათს იწვევს.

ძველი საგადასახადო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავდა მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმების პირობებს. ესენი იყო:

- აღიარებული საგადასახადო დავალიანების სრულად დაფარვისთანავე;
- საგადასახადო ორგანოს მიერ ან გაკოტრების საქმის წარმოებისას ყადაღა დადებული ქონების დადგენილი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში;
- თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია;
- თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განხორციელა ყადაღადადებული ქონების გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად;
- საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.²

¹ მოქმედი საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

² ძველი საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

როგორც ვნახეთ, მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმების ერთ-ერთი პირობა იყო თუ ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა. სწორედ ეს ფორმულირება იწვევდა გაურკვევლობას, რადგან „სახელმწიფო ინტერესი“ ძალიან ზოგადი ცნებაა და ფინანსთა მინისტრს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი. საგადასახადო ურთიერთობებში ამგვარი ფართო უფლებამოსილების მინიჭება კონკრეტული თანამდებობის პირისათვის არ იყო მიზანშეწონილი, რადგან იმის დაეწევა, რომ ეს ურთიერთობები ვერტიკალური ხასიათისაა და გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო ორგანოსაგან განსხვავებით, ისედაც არათანაბარ პირობებში აყენებს, არ შეიძლება. ამიტომ, ამგვარი პირობები კანონმდებლობით ზუსტად და არა ალტერნატიულად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა ფინანსთა მინისტრს ზემოაღნიშნული უფლებამოსილება აღარ მიანიჭა და თვით ნორმაც მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ საკმაოდ ლაკონურად ჩამოაყალიბა. კერძოდ:

„ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება, თუ გაუქმდა ამ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება და პირმა სრულად აანაზღაურა საგადასახადო ორგანოს მიერ ქონებაზე ყადაღის დადებისთვის გაწეული ხარჯები.“¹

ამ შემთხვევაში ახალ საგადასახადო კოდექსში მოცემული ნორმა შედარებით ლიბერალური ხასიათისაა, თუმცა არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია.

ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, განვიხილეთ რა ძველ და ახალ საგადასახადო კოდექსში ჩამოყალიბებული დებულებები, ნათელი გახდა, რომ, მათ შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობის მიუხედავად, ახალ საგადასახადო კანონმდებლობას გადასახადის გადამხდელის მდგომარეობის გაუმჯობესება არ გამოუწვევია, პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გარკვეულწილად გაართულა ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურა.

ირაკლი გაბისონია,
სამართლის დოქტორანტი

ქონებაზე ყადაღის დადება ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით

მოცემულ სტატიაში, ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსის ტრილში, სამართლებრივი და პრაქტიკული კუთხითაა გაშუქებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ქონებაზე ყადაღის დადება. მის პრაქტიკაში სწორად დანერგვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომში ეფექტურობისათვის.

¹ მოქმედი საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

Irakli Gabisonia,
PHD Student

IMPOSITION OF PROPERTY LIEN ACCORDING TO THE OLD AND NEW TAX CODE

In the given article, we discuss legal and practical aspects of imposition of a property lien, as a measure of securing a payment of tax liabilities, according to the old and new tax codex. The correct implementation of a property lien in practice is very important for its further effectiveness.

Ираклий Габисония,
докторант права

АРЕСТ ИМУЩЕСТВА ПО НОВОМУ И СТАРОМУ НАЛОГОВОМУ КОДЕКСУ

В данной статье с теоретической и практической стороны освещается арест имущества, как средство обеспечения выплаты налоговой задолженности по новому и старому налоговым кодексам. Правильное внедрение этого института в практику имеет большое значение в дальнейшем для его эффективности.

პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე

სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორი იყო და არის პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობებისა და საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროცესის თითოეულ, განსაკუთრებით გამოძიების სტადიაზე. პროკურორი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით. მისი საპროცესო მდგომარეობა სპეციფიკურია პროცესის თითოეულ სტადიაზე.

სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ეტაპობრივად განიცდიდა ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობა ყოველთვის აქტუალური იყო. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პროკურორის უფლებამოსილება გამოძიების სტადიაზე კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება.

ტერმინი „პროკურორი“ ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს, რომლის ძირითადი ამოცანაა იზრუნოს კანონიერების განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა უფლებისა და თავისუფლების დაცვისთვის, მიღებული კანონების მტკიცე და განუხრელი შესრულებისთვის.¹

ტერმინი „პროკურორი“, დღევანდელი მნიშვნელობით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა პროკურატურის სამშობლოში – საფრანგეთში (დაახლოებით მე-17 საუკუნის დამდეგისათვის), საიდანაც საკმაოდ სწრაფად და ფართოდ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის პეტრე პირველის დროინდელ რუსეთში².

საქართველოში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებიდან დღემდე, სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორს სხვადასხვა უფლება-მოვალეობა ჰქონდა მინიჭებული. საწყის ეტაპზე პროკურორი ახორციელებდა საპროკურორო ზედამხედველობას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე და იყო გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, რის უზრუნველსაყოფადაც ის გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურორი თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, კანონიერების სრული დაცვით.

მიუხედავად იმისა, თუ სახელმწიფოებრიობის განვითარების რომელ საფეხურზე, რა სტატუსით სარგებლობდა პროკურორი, მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებსა და ამოცანებს განეკუთვნება: კანონიერების განმტკიცებისათვის ზრუნვა; კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა; დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.³

¹ სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 2008 წელი, გვ. 55.

² ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი, 1999 წ. გვ. 29.

³ კ. ბუაძე. პროკურატურის სტატუსი რეფორმირების ფონზე. ჟურნალი „სამართალი“. №9-10. 2002 წელი. გვ. 76.

საქართველოში პროკურორის ფუნქციას ახორციელებენ: საქართველოს მთავარი პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო და რეგიონული პროკურორები, მათი მოადგილეები და ზემოაღნიშნული პროკურატურის პროკურორები.

პროკურორი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით. ის თავის ფუნქციას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით და ასრულებს იმ ამოცანებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს საკანონმდებლო აქტებში.

რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საპროცესო მდგომარეობას და უფლება-მოვალეობებს, ისინი განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით, რომელთაც შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან და საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, პროკურორი არის კანონის უზენაესობის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარანტი. მას კანონით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო საქმიანობაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია.

პროკურორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში ეერდნობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, რაც გამყარებულია კანონით.

გამოძიების სტადიაზე პროკურორი მთლიანად აკონტროლებს გამოძიების პროცესს და გამოძიების ყველა პრინციპულ საკითხს. ის გამოძიების წარმოებისას უფლებამოსილია გაეცნოს საქმეებს, შეაფასოს მოპოვებული მტკიცებულებები. სისხლის სამართლის პროცესში პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს საპროცესო იძულების ფორმები საქმის დროული და სწორი გამოძიებისათვის, ვინაიდან მისი მოვალეობაა, არც ერთი დანაშაული არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. იგი ასევე აკონტროლებს, რომ პროცესის მონაწილეებმა არ დაარღვიონ კანონი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურორი არის კანონის უზენაესობის გარანტი. მას შეუძლია დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ან თავისუფლებაადკვეთილი პირი, მისცეს გამოძიებას სწორი მიმართულება, შეცვალოს გამოძიებელი, საქმე გადასცეს სხვა გამოძიებელს და ა.შ.

პროკურორის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის საპროცესო მდგომარეობა, რომელიც მას უკავია სისხლის სამართალწარმოებაში ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სტატუსი, რომელიც პროკურორს, როგორც პროცესის მონაწილე პირს აქვს მინიჭებული.

სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საპროცესო მდგომარეობა განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით. ამასთან დაკავშირებით, პროფესორი ბ. სავიცი განმარტავს: „იმისათვის, რომ პროკურორმა მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართალწარმოებაში, მან უნდა დაიკავოს განსაზღვრული საპროცესო მდგომარეობა, რომლის

საშუალებითაც ის შეძლებს შედარებით ეფექტურად შეასრულოს თავისი სახელმწიფო-ებრივ-სამართლებრივი ფუნქცია კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ.¹ აბსოლუტურად მართებულია მიგვაჩნია აღნიშნული მოსაზრება იქიდან გამომდინარეც, რომ სისხლის სამართალწარმოებაში როგორც პროცესის სხვა მონაწილეთა, ასევე პროკურორის მონაწილეობა დამოკიდებულია იმ საპროცესო მდგომარეობაზე, რითაც ისინი ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, პროკურორი ვერ შეძლებს კანონიერების დაცვისათვის სახელმწიფო სამართლებრივი ფუნქციის შესრულებას.

სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის საპროცესო მდგომარეობა ფართო ცნებაა. არ შეიძლება, სწორად იქნეს გაგებული პროკურორის მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, თუ მისი საქმიანობა დაყვანილი იქნება ზოგად დებულებებზე, რომ იგი გამოძიების პროცესში ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონთა შესრულებას. ასეთი მოსაზრება ხელს ვერ შეუწყობს პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის პრობლემის, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი საპროცესო ფუნქციის, განმარტებას. ვიწრო გაგებით, პროკურორის საპროცესო ფუნქციის განმარტება, ჯერ ერთი, შლის ყოველგვარ ზღვარს მის საპროცესო და არასაპროცესო ფუნქციებს შორის, რადგან პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება ყველგან როგორც პროცესზე, ასევე პროცესის გარეთ და მეორეც, კინდება პროკურორის როლი სისხლის სამართალწარმოების ამ მეტად მნიშვნელოვან სტადიაზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა ზოგადმეცნიერული გაგებაა, რომელიც აფიქსირებს პროკურორის უფლებებისა და მოვალეობების ამოცანებს და მხოლოდ ამით შეიძლება უშეცდომოდ შეფასდეს, თუ რა არის კონკრეტულ სიტუაციაში განმსაზღვრელი და რა არის განსასაზღვრავი.

პროკურორის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესსა და გამოძიების სტადიაზე შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მისი მოღვაწეობის შინაგანი ორგანული კავშირის არსისა და მისი საქმიანობის საპროცესო ფორმა, რითაც იგი აღიჭურვება პროცესის ამ მეტად მნიშვნელოვან სტადიაზე. ძირითად შემთხვევაში, პროკურორის საპროცესო ფორმა დამოკიდებულია იმ უფლებამოსილებაზე, რომელიც მას ეძლევა მოცემულ სტადიაზე, რაც განსაზღვრავს პროკურორის საპროცესო ფუნქციის ხასიათს. პროკურორის საპროცესო ფუნქცია – არის მისი საქმიანობის მიმართულების განსაზღვრა.

გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის პირველი სტადიაა. სწორედ ამ სტადიიდან იწყებს პროკურორი თავის საპროცესო საქმიანობას.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დაიწონ გამოძიება. ამ მომენტისათვის ყველა საქმიანობა მიდის ერთი საკითხის გარკვევამდე – ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის ნიშნებს. დადებით შემთხვევაში, საქმეზე დაიწყება გამოძიება და ამით იქმნება პროკურორის სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების, მისი საპროცესო საქმიანობის წინაპირობა.

გამომძიებლის მთელი საქმიანობა გამოძიების სტადიაზე არის პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ, ვისზეც დაკისრებულია კანონის დაცვა გამოძიების დროს. ეს ფაქტი თავისთავად ხაზს უსვამს პროკურორის საპროცესო სტატუსს.

¹ Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве/ Москва: Наука. 1975 год, стр. 27.

პროკურორის უფლებამოსილების, მისი საპროცესო მდგომარეობის ანალიზი გამოძიების სტადიაზე გვარწმუნებს, რომ პროკურორის საპროცესო სტატუსის, მისი უფლებამოსილების გამოყენება არის ეფექტური საშუალება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამოძიების სრულყოფილი და ობიექტური ჩატარება, გამოძიების მწარმოებელი ორგანოს და კონკრეტული პირის მხრიდან კანონიერების სრული დაცვა.

გამოძიების სტადიაზე პროკურორის როლისა და მისი თანამედროვე რეალობის საკითხის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი (კონსტიტუციური) და საპროცესო ფუნქციის განხილვას, რაც, რა თქმა უნდა, სამართლის თეორიასა და იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერებს შორის სადავო საკითხს წარმოადგენს.

სამართლის თეორიაში გავრცელებული მოსაზრებით, პროკურორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ფუნქცია გულისხმობს მისი მოღვაწეობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და მის მკაცრ სამართლებრივ რეგლამენტაციას კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, გარკვეული მოწინააღმდეგენი ჰყავს.

რაც შეეხება პროკურორის საპროცესო ფუნქციას, ეს არის სამართალწარმოების მიმართულება საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით და მას მიეკუთვნება ბრალდება, დაცვა და საქმის გადაწყვეტა.

პროკურორი არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, თუმცა უფლებამოსილება, ფუნქციები და ამოცანები სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

გამოძიების სტადიაზე პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ასევე ასრულებს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციასაც. აქედან გამომდინარე, სასამართლომდე სტადიაზე ანუ გამოძიების ეტაპზე პროკურორის უფლებამოსილება ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შედის გამოძიებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორის უფლებამოსილება, ხოლო მეორეში – საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას კანონით დადგენილი უფლებამოსილება.¹

პროკურორი, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი, გამოძიების სტადიაზე ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება განსაზღვრავს მისი მოქმედების საბოლოო მიზანს – უზრუნველყოს სისხლის სამართლის წარმოება, დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი პირი, მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიება, სასჯელის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორი გამოძიების სტადიაზე უშუალოდ ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ფუნქციას.

გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფორმები ხასიათდება პროკურორის საპროცესო მდგომარეობით და ზუსტად გამოხატავს მისი საქმიანობის არსს ამ სტადიაზე.

¹ სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. თბილისი, 2008 წ.გვ. 201.

საპროცესო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია არა მის მიერ გამოყენებული მეთოდების ხასიათზე, არამედ, პირიქით, ეს მეთოდებია დამოკიდებული პროკურორის სამართლებრივ მდგომარეობაზე¹, ეს არასწორად მიგვაჩნია, რადგან სწორედ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობაა დამოკიდებული მის მიერ გამოყენებული მეთოდების ხასიათზე, ვინაიდან ეს მეთოდებია ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის გამოყენებით შეიძლება სწორად, ადეკვატურად განისაზღვროს პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში და წინასწარი გამოძიების დროს.

გამოძიების სტადიაზე პროკურორს, მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ ფართო და ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლო უფლება-მოვალეობები აქვს, რითაც ის საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან პროცესში აქტიურად ერთვის და ახორციელებს თავის უფლებამოსილებას საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

მართალია, პროკურორი გამოძიებაზე საპროკურორო ხელმძღვანელობას აწარმოებს და არა ზედამხედველობას, მაგრამ გარკვეულად ამ ფუნქციის განხორციელებისას აქაც ვლინდება ერთგვარი სახელისუფლებო-განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები.² პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სასამართლო განხილვის სტადიაზე არსებითად განსხვავდება გამოძიებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ გამოძიების სტადიისაგან განსხვავებით, სასამართლოში პროკურორის სახელისუფლებო-განმკარგულებელი უფლებამოსილების ელემენტები არ შეინიშნება, რადგან პროკურორი სასამართლოში მხარეა, სარგებლობს დაცვის მხარის თანაბარი საპროცესო უფლებით და რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია არ გააჩნია.

უდავოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ამ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით მკვეთრად გაიზარდა პროკურორის როლი, მისი საპროცესო სტატუსი, განსაკუთრებით გამოძიების დროს სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით.

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, გამოძიების ეტაპზე პროკურორის საქმიანობის როლი და მნიშვნელობა ის არის, რომ სამართალწარმოების ამ სტადიაზე გამოძიების მწარმოებელ ცალკეულ ორგანოთა და გამოძიებელთა საქმიანობაზე პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობით მიღწეულია ზოგადად კანონიერების დაცვა, დანაშაულის გახსნა, დამნაშავე პირის დადგენა, მისი პასუხისგებაში მიცემა, კანონის დარღვევის აღკვეთა და პროცესის მონაწილე პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამას პროკურორი აღწევს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებით. გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის როლი და მნიშვნელობა დადასტურებულია და განმტკიცებული საქართველოში საპროკურორო საქმიანობის მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზით.

¹ Жогин Р. В. Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. Юридическая литература. 1968 г. стр. 145.

² სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. თბილისი, 2008 წ. გვ. 202.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორანტი

პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე

განხილულია გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები, რომელსაც კანონით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო საქმიანობაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია. გადმოცემულია გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის არსი, მნიშვნელობა და პროკურორის მიერ განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები.

Givi abashidze,
PHD Student

THE ACTIVITY OF THE PUBLIC PROSECUTOR, ITS REMEDIAL POSITION AND FUNCTIONS AT AN INQUEST STAGE

There is considered the remedial position and functions of the public prosecutor in criminal legal proceedings at an inquest stage.

The public prosecutor takes a certain place in the remedial activity at a stage of an inquest taking into account the rights and duties.

There is transferred functions, a being and value of criminally-legal prosecution, a remedial management at an inquest stage and a basis of its realization by the public prosecutor.

Гиви Абашидзе,
докторант права

ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ПРОКУРОРА, ЕГО ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ПОЛОЖЕНИЕ И ФУНКЦИИ НА СТАДИИ СЛЕДСТВИЯ

В представленной статье рассмотрено процессуальное положение и функции прокурора в уголовном судопроизводстве на стадии следствия. Прокурор занимает определенное место в процессуальной деятельности на стадии следствия с учетом своих прав и обязанностей. В статье переданы функции, существо и значение уголовно-правового преследования, процессуального руководства на стадии следствия и основы его осуществления прокурором.

ევთანაზია – დანაშაული თუ ადამიანის უფლება საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით

ევთანაზიის, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, შემთხვევები თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ ბევრია და დღემდე ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ევთანაზია სადავო საკითხია არა მარტო მორალური კუთხით, არამედ მისი შინაარსის განსაზღვრებიდან გამომდინარეც.

ევთანაზიის მომხრეთა აზრით, ეს არის ადამიანის უფლება თავად გააკეთოს არჩევანი საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით, ხოლო ევთანაზიის ოპონენტთა აზრით, ეს არის მკვლელობის ერთ-ერთი ფორმა.

ევთანაზია ლიტერატურულ ენაზე „კარგ სიკვდილს“ ნიშნავს. არის სახელმწიფოები, სადაც ევთანაზია ლეგალიზებულია და ის დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს. ბევრ სახელმწიფოში კი დღემდე ცდილობენ ევთანაზიის კანონიერ ქმედებად აღიარებას. აღნიშნული ქმედების კანონიერ ფარგლებში მოქცევის საფუძვლად ისინი მიიჩნევენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას თავად გააკეთოს არჩევანი „კარგ სიკვდილსა“ და ტკივილით ან უშედეგო პროცედურებით სიკვდილს შორის.

სიცოცხლის უფლება ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი იცავს. სხვა სიტყვებით, ადამიანის სიცოცხლე სახელმწიფოს მიერ არის დაცული, თუმცა სახელმწიფო არ ანიჭებს ადამიანს ამ უფლებას; ეს თანდაყოლილი უფლებაა, ამიტომ რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად შეუძლია სახელმწიფოს „აიძულოს“ ადამიანი იცოცხლოს მისი ნების საწინააღმდეგოდ, იცოცხლოს მაშინ, როდესაც დარჩენილი სიცოცხლის გატარება უწევს ისეთ გარემოში, რომელიც ღახავს მის პატივსა და ღირსებას. სახელმწიფო თუ არ ანიჭებს ადამიანებს სიცოცხლეს, აქვს მას იმის უფლება, რომ ადამიანს აუკრძალოს გადაწყვეტილების მიღება საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით? ვფიქრობ, თითოეულმა სახელმწიფომ, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, უნდა ასახოს თავისი პოზიცია საკუთარ კანონმდებლობაში.

ჩვენი კანონმდებლობით ევთანაზია დასჯად ქმედებად არის მიჩნეული და ვფიქრობ სწორედამ. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და უფლის მიერ ნაბოძები სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის აქვს. არავითარი მოტივი და მიზანი არ შეიძლება ამართლებდეს ამ დანაშაულის ჩადენას. ამიტომ მიმაჩნია, რომ ევთანაზია დანაშაულია და არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი მკვლელობისგან.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მიდგომა ევთანაზიის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით და პირობები რა დროსაა დასაშვები ევთანაზია. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა პოზიცია ევთანაზიასთან დაკავშირებით – ეს არის „კარგი სიკვდილი“ თუ ძალადობა სიცოცხლეზე.

ტერმინი ევთანაზია ბერძნული სიტყვაა – „ევ“ და „თანატო“, რაც ნიშნავს „კარგ სიკვდილს“.

მე-19 საუკუნიდან ევთანაზიამ აქტიური დებატები გამოიწვია ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამოქალაქო ომის შემდგომ, ადვოკატებმა და ექიმების ნაწილმა კვლავ დააყენა საკითხი ევთანაზიის მხარდაჭერის შესახებ.

1977 წელს კალიფორნიის შტატში (აშშ) მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ეხებოდა ადამიანის უფლებას სიკვდილზე. აღნიშნული კანონის მიხედვით, განუკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა სამედიცინო ჩარევაზე, თუმცა ოფიციალურად ევთანაზიის შემთხვევა შტატში არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზი იყო იმ პირობის არარსებობა, რომლის გარეშე ევთანაზია არ დაიშვებოდა. კერძოდ, ევთანაზიის განსახორციელებლად საჭირო იყო ფსიქიატრთა დასკვნა პაციენტის შერაცხადობასთან დაკავშირებით. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების ფსიქიატრთა ასოციაცია კრძალავდა ასეთი ტიპის დასკვნის მიცემას. ამის გამო, მიუხედავად კანონის მიერ ევთანაზიის დაშვებისა, ავადმყოფების მიერ ევთანაზიის ფაქტი ამ შტატში არ დაფიქსირებულა.

1998 წლიდან ნებადართულია ევთანაზია ორეგონის შტატშიც. მთავარი პირობა ევთანაზიის განხორციელებისა არის პაციენტის მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც სიკვდილი უნდა გამოიწვიოს 6 თვის მანძილზე. ამას გარდა, პაციენტმა თავისი ნება განცხადებით უნდა დაადასტუროს, ასევე უნდა არსებობდეს ექიმთა დასკვნა მის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში ევთანაზიის განხორციელების პროცედურა სანქცირებულია აშშ-ის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ. წამლის სასიკვდილო დოზის გაკეთება უშუალოდ პაციენტის მიერ ხდება.

1935 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა საზოგადოებები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აგრესიულ ევთანაზიას, თუმცა, მიუხედავად აქტიური მხარდაჭერისა, ევთანაზიის სრულად დაკანონება ვერ მოხერხდა.

1937 წელს შვეიცარიაში ევთანაზია ექიმების დახმარებით კანონიერად გამოცხადდა. ნებაყოფლობითი ევთანაზიის მომხრეები ევთანაზიას მხარს უჭერდნენ ავადმყოფობის ბოლო სტადიაში მყოფი პაციენტებისათვის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ არანებაყოფლობითი ევთანაზიის მიმართ. ასეთი ევთანაზია უნდა შეხებოდა ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანებს.

შვეიცარიაში ევთანაზიის ლეგალიზაცია გახდა იმის მიზეზი, რომ გაიზარდა ამ ქვეყანაში ჩამომსვლელი, ევთანაზიის განხორციელების მსურველი ხალხის რაოდენობა. ადამიანები, რომლებსაც ევთანაზიის სურვილი ჰქონდათ ჩადიოდნენ შვეიცარიაში, რათა სისრულეში მოეყვანათ თავიანთი სურვილი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა იმ კლინიკების შემოსავალი, რომლებიც ევთანაზიას ახორციელებდნენ. ამის გამო, ევთანაზია შვეიცარიაში ბიზნესის კეთების საშუალებად იქცა. ყოველივე ეს გახდა იმის მიზეზი, რომ შვეიცარიის ფედერალური საბჭო გამოვიდა ევთანაზიის მარეგულირებელი კანონმდებლობის გამკაცრების ინიციატივით. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, ევთანაზიის განმახორციელებელ პირს ეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ გარკვეული პირობები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. ევთანაზიის მსურველ პირს დამოუკიდებლად უნდა გამოეხატა სურვილი და ამის შემდეგ მიეცემოდა მოსაფიქრებლად გარკვეული დრო. ასევე, უნდა წარმოედგინა ორი დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ დაავადების განკურნება შეუძლებელია. 2011 წლის მაისში შვეიცარიაში, კერძოდ, ციურისში ჩატარდა რეფერენდუმი ევთანაზიის აკრძალვის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის 85%-მა მხარი დაუჭირა ევთანაზიის აკრძალვას.

მეორე მსოფლიო ომამდე და შემდგომ ნაცისტებმა შეიმუშავეს პროგრამა არანებაყოფლობითი ევთანაზიის შესახებ, რომელიც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. 1939 წელს

ნაცისტებმა კოდური სახელწოდებით „ActionT4“ დახოცეს ბევრი არასრულფასოვანი ადამიანი (მათ შორის პატარები და მოზრდილები). გერმანიასა და ავსტრიაში ასეთი ბავშვები იგზავნებოდნენ სასიკვდილო ცენტრებში. ასეთი სასიკვდილო ცენტრი არსებობდა, მაგალითად, ბრანდენბურგში, ბერლინის მახლობლად.

1940–1950 წლებში ევთანაზიას, განსაკუთრებით არანებაყოფლობით ევთანაზიას მხარდაჭერა არ ჰქონდა. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ გაილაშქრა ევთანაზიის წინააღმდეგ, როგორც სიცოცხლეზე ძალადობა. მიუხედავად რომის კათოლიკური ეკლესიის ასეთი მოსაზრებისა, საქმე გვექონდა ორმაგ სტანდარტებთან, რადგან რომის კათოლიკური ეკლესია მიზანშეწონილად მიიჩნევდა ისეთი ადგილების არსებობას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის სიცოცხლის შემოკლება ტკივილგამაყუჩებლების მეშვეობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლეები ლოიალურები იყვნენ ნებაყოფლობითი ევთანაზიის მიმართ.

1960 წლიდან მასიურად დაიწყო ნებაყოფლობითი ევთანაზიის მომხრეთა რიცხვის ზრდა.

ევთანაზია, შეიძლება განვმარტოთ, როგორც მოქმედება, რომელიც იწვევს ან ნებას აძლევს ადამიანს უმტკივნეულოდ მოკვდეს, რათა ტანჯვისაგან გათავისუფლდეს. ის ადამიანს შესაძლებლობას აძლევს „მშვიდად და ადვილად მოკვდეს“, როდესაც უმიძმესი და უკურნებელი სენით არის დაავადებული და ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაზე იმყოფება. ევთანაზია მაშინ არის სასარგებლო, თუ ის იწვევს სწრაფ და უმტკივნეულო სიკვდილს.

ევთანაზია შეიძლება მოხდეს პაციენტის თანხმობით (ნებაყოფლობითი ევთანაზია) ან თანხმობის გარეშე (იძულებითი ევთანაზია).

ნებაყოფლობითი ევთანაზიის დროს, პაციენტი თავად გამოთქვამს სიკვდილის სურვილს. იძულებითი ევთანაზიის დროს კი პაციენტი უუნაროა, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, ამას მისი ნდობით აღჭურვილი პირები აკეთებენ.

განასხვავებენ ევთანაზიის ორ სახეს: პასიურს და აქტიურს.

პასიური არის ევთანაზია, როდესაც გამორთავ სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ყოველგვარ ტექნიკურ საშუალებას, მაგალითად, ვენიდან საკვების მიწოდებას.

აქტიური ევთანაზია გულისხმობს ადამიანის ტანჯვისგან დახსნის მიზნით, მისთვის წამლის (მაგ., მორფის) დოზის იქამდე გაზრდას, სანამ ეს მისთვის მომაკვდინებელი არ იქნება.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში დანაშაულად ითვლება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ადამიანის თანხმობით ხდება თუ თანხმობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ბევრ სახელმწიფოში ევთანაზია მკვლელობად არის აღიარებული, თუმცა განსაკუთრებული პირობების გამო (ადამიანის უკურნებელი სენით დაავადების ფაქტი, მომაკვდავი ადამიანის დაჟინებული თხოვნა, მის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობა და ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი) ეს დანაშაული ქმედების პრივილეგირებულ შედგენილობად არის მიჩნეული და სასამართლო, სასჯელის განსაზღვრისას, მითითებულ გარემოებებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევენ.

არის ქვეყნები, სადაც ევთანაზია ჩვეულებრივ მკვლელობად არის მიჩნეული (მაგალითად, საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი), ქვეყნების მეორე ჯგუფი ევთანაზიისთვის მსუბუქ სასჯელს აწესებს (მაგალითად, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), არის ქვეყნები,

რომლებმაც მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (მაგალითად, პერუ, ურუგვაი, ჰოლანდია).

ნიდერლანდებში ევთანაზია კანონიერად იქნა ცნობილი. „თხოვნის საფუძველზე სიცოცხლის შეწყვეტის და თვითმკვლელობის ხელშეწყობის“ დადგენილება 2002 წლის პირველ აპრილს შევიდა ძალაში.

ამ დადგენილებით, ევთანაზია გარკვეულ შემთხვევებში კანონიერად არის მიჩნეული. კანონი ითვალისწინებს, რომ ექვეყნე უნდა დადგეს იმ ექიმის სამართლებრივი ღონისძიების, რომელმაც ევთანაზია გამოიყენა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

- პაციენტის ტანჯვა აუტანელია და მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა არ არსებობს;
- პაციენტი გარკვეული დროის განმავლობაში უნდა ითხოვდეს ევთანაზიას (სხვათა ზეგავლენის ან წამლების ზემოქმედების გარეშე);
- პაციენტმა სრულად უნდა იცოდეს თავისი მდგომარეობის, შესაძლებლობის და არჩევანის შესახებ;
- საჭიროა მინიმუმ ერთ დამოუკიდებელ ექიმთან კონსულტაცია, რომელიც დაამტკიცებს, რომ ზემოთ ხსენებული სიტუაცია რეალურად არსებობს;
- სიკვდილი უნდა მოხდეს მედიცინაში მიღებული მეთოდით, ექიმის ან პაციენტის მიერ და უნდა ესწრებოდეს ექიმი;
- პაციენტი უნდა იყოს სულ მცირე თორმეტი წლის მაინც (თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე პაციენტს სჭირდება მშობლის თანხმობა).¹

თუ არსებობს ევთანაზიის ზემოაღნიშნული პირობები, რეგიონის სახელმძღვანელო კომისია განსაზღვრავს სიცოცხლის შეწყვეტაზე თუ მოთხოვნილ თვითმკვლელობაზე ნებართვა რამდენად სწორად წარიმართა. შედეგის მიხედვით ან დაიხურება საქმე ექიმის მიმართ, ან, თუ ჩამოთვლილ შემთხვევებს სიტუაცია არ შეესაბამება, საქმე გადაეცემა სახალხო პროკურორს. კანონმდებელი ასევე ითხოვს, რომ დადასტურებული იყოს სურვილის გამომხატველი ოფიციალური დოკუმენტის ნამდვილობაც. ამგვარი ოფიციალური დოკუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მაშინ, როდესაც ავადმყოფი კომაშია ან მაშინ, როდესაც ავადმყოფს არ შეუძლია დამოუკიდებლად სურვილის გამოხატვა.

ევთანაზია დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება, თუ ის ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ პირობებს. განსაკუთრებული შემთხვევების გამონაკლისის გარდა არ არსებობს კანონით შეზღუდვის საჭიროება. კანონიერად ითვლება ისეთი სამედიცინო გადაწყვეტილებები, როგორიცაა:

- შეწყვიტო ან არ დაიწყო მედიცინურად უაზრო (ფუჭი) მეურნალობა;
- შეწყვიტო ან არ დაიწყო მეურნალობა პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე;
- დააჩქარო სიკვდილი იმისათვის, რომ პაციენტი სერიოზული ტანჯვისგან იხსნა.

2003 წელს ნიდერლანდებში ოფიციალურად დაფიქსირდა ევთანაზიის 1 626 შემთხვევა, როდესაც პაციენტს ხელი შეუწყვეს, რათა მომკვდარიყო. ოფიციალურად დაფიქსირდა ასევე 148 ფიზიკურად სიკვდილის წაქეზების შემთხვევა. ამგვარი სიკვდილი გამოწვეული იყო ძლიერი (10 გრამი) „barbiturate“ საწამლავის მიღებით.

ექიმი ვალდებულია პაციენტის ევთანაზიას დაესწროს ორი მიზეზის გამო:

¹ Termination of Life on Request and Assisted Suicide Act.

- რათა დარწმუნდეს, რომ საწამლავე შემთხვევით სხვა ადამიანმა არ მიიღოს (ან არ მოხდეს თვითმკვლელობა, ან თუნდაც მკვლელობა);
- რათა აკონტროლოს პროცესი და შეძლოს შეასრულოს საჭირო პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ ორ შემთხვევაში ექიმმა მიიღო საყვედური იმის გამო, რომ არ ესწრებოდა იმ მომენტს, როდესაც პაციენტმა მიიღო წამალი. 2000 წელს 649 პაციენტს, რომელსაც ევთანაზიას უკეთებდნენ, ჩაუტარდათ კვლევა. აღმოჩნდა, რომ პაციენტების 14%-ს ჰქონდათ სხვადასხვა სახის გართულებები, 32%-ს ჰქონდა ისეთი ტიპის გართულება, რომ 18%-სათვის საჭირო გახდა ექიმს აქტიური ევთანაზიისათვის მიემართა. ამ კვლევებმა აჩვენა, რომ ევთანაზიის 50%-ის შემთხვევაში მკურნალი ექიმები ადგილზე არ იმყოფებოდნენ.

ევთანაზიის ლეგალიზაციას დიდი მხარდაჭერა აქვს პოლანდიელებისგან, რომლებიც ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობით ხასიათდებიან. არსებობს ოპოზიციაც, რომელიც უპირატესობას ანიჭებს შემამსუბუქებელ მკურნალობას და მოითხოვს ევთანაზიის პროცედურის არაკანონიერად ცნობას.

პოლანდიელების მიერ შედგენილ იქნა პროტოკოლი ვენისმიერი ევთანაზიის შესახებ.

ვენისმიერი ევთანაზია ყველაზე სწრაფია, ამიტომ ყველაზე მეტად არის რეკომენდებული. თავდაპირველად ვენაში შეჰყავთ 20 მგ სოდიუმ თიოპენტალი, წამლის შეყვანის შედეგად ვითარდება კომური მდგომარეობა, შემდეგ შეჰყავთ გასამშაგებელი წამლის დოზა, რაც კუნთების მოქმედების შესუსტებას იწვევს.

გერმანიაში ევთანაზია დასჯად ქმედებად არის მიჩნეული, თუმცა აღნიშნული ქმედება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ სასჯელი გათვალისწინებულია მხოლოდ აქტიური ევთანაზიისთვის, პასიური ევთანაზია, გერმანიის კანონმდებლობით, დანაშაულად აღარ არის მიჩნეული.

საფრანგეთის კანონმდებლობით, ევთანაზია დასჯადია, თუმცა 2005 წლიდან აქტიური დებატები მიმდინარეობდა ევთანაზიის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. ევთანაზიის მომხრეებმა მისი ლეგალიზაციის კანონპროექტიც კი მოამზადეს და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიტანეს, თუმცა უშედეგოდ, ამ კანონპროექტის მიღებაზე სენატმა უარი განაცხადა.

ბელგიაში ევთანაზია 2002 წლიდან გახდა ლეგალიზებული. 2005 წელს ბელგიის ავთიაქებში გამოჩნდა 60 ევროდ ღირებული კომპლექტები, რომელშიც მოთავსებული იყო საწამლავეთი საგნე ერთჯერადი ნემსები. აღნიშნული კომპლექტის შეძენა შესაძლებელი იყო ექიმის შეკვეთით.

ბელგიის კანონმდებლობით, ევთანაზიის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვისაც შეუსრულდა 18 წელი და რომელსაც სჭირს განუკურნებელი დაავადება.

მექსიკის ზომიერებაში იყიდება წამალი „პენტობარბიტალი“, რომელიც შინაური ცხოველების ევთანაზიისათვის გამოიყენება. აღნიშნული წამლის მიღება ადამიანშიც უმტკივნეულო სიკვდილს იწვევს, წამლის მიღებიდან 1 საათის განმავლობაში. „პენტობარბიტალის“ შესაძენად მექსიკაში არაერთი მსურველი ჩადის.

რუსეთში ევთანაზია დასჯადი ქმედებაა. აღნიშნული დანაშაული, საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. ევთანაზია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ცალკე მუხლად არ არის გამოყოფილი და მას მოიცავს რფ სსკ-ის 105-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუ-

ხისმგებლობას განზრახ მკვლელობისთვის, სანქცია კი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6–15 წლამდე ვადით.¹

აზერბაიჯანშიც ევთანაზია, სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადი ქმედებაა და მისი ჩამდენი პირი ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთის ვადით 3 წლამდე, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

რაც შეეხება ევთანაზიას საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობით, ევთანაზია დასჯადი ქმედებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

ობიექტური მხარე ამ დანაშაულისა გამოიხატება მომაკვდავი პაციენტის დაჟინებული თხოვნითა და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, პირის მიერ პაციენტის მკვლელობაში. ამ შემთხვევაში მკვლელობის მიზანი პაციენტის ძლიერი ტკივილებისგან გათავისუფლებაა.

მიზანი აღნიშნული დანაშაულის აუცილებელი ელემენტია. თუ ბრალდებული მსხვერპლის თხოვნით სჩადის მკვლელობას ისე, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს მოკლულის მიძიმე ტკივილებისა და უშედეგო მკურნალობისგან გათავისუფლება, ასეთ შემთხვევაში ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით დაკვალიფიცირება დაუშვებელია.

აღნიშნული დანაშაულის მოტივი არის სიბრალულის გრძნობა, რომელიც დამნაშავეს მსხვერპლის მიმართ აქვს.

აღნიშნული დანაშაული მატერიალურია და დამთავრებულად ითვლება მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის მომენტიდან.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში ანუ ამ შემთხვევაში პირს შეგნებული აქვს, რომ სჩადის მკვლელობას, თუმცა იგი ნაკარნახევია მომაკვდავი პაციენტის დაჟინებული თხოვნით და აღნიშნული ქმედების მიზანი ავადმყოფის გათავისუფლებაა ძლიერი ფიზიკური ტკივილებისგან.

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც დანაშაულის საერთო სუბიექტი, ასევე სპეციალური სუბიექტი, მაგალითად, მკურნალი ექიმი.

მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით დანაშაულთა პრივილეგირებული შედგენილობის ჯგუფს მიეკუთვნება, ვინაიდან საკითხი ეხება არა მარტო მკვლელობას დაზარალებულის თანხმობით, არამედ მიძიმე მომაკვდავი ადამიანის დაჟინებულ თხოვნას ფიზიკური ტანჯვისგან გათავისუფლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს თხოვნა უნდა გამოხატავდეს მომაკვდავის ნამდვილ ნებას. უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ სრულად შეეძლოს კონტროლი გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. თუ მსხვერპლს ამის შესაძლებლობა არ აქვს, მისთვის სიცოცხლის მოსპობა უკვე იქნება ჩვეულებრივი მკვლელობა, ცხადია, თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 5 მაისს, მიიღო კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“. აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური

¹ Уголовный Кодекс Российской Федерации.

მკურნალობის, ან/და პალიატიკური მზრუნველობის ჩატარების შესახებ, თუ მითითებული გარემოებები გამოწვეულია: ა) უკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას.” ანუ ამ კანონის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში ექიმს უფლება აქვს, პაციენტის ნამდვილი ნების შესაბამისად, გამოუერთოს სუნთქვის აპარატი, შეუწყვიტოს უშედეგო მკურნალობა და განახორციელოს სხვა ისეთი ქმედება, რომელიც საბოლოო ჯამში გამოიწვევს პაციენტის სიკვდილს. აღნიშნული ნორმა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სისხლის სამართლის კოდექსი იმპერატიულად სჯის მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით და მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას, როდესაც ხდება მკვლელობა. „პაციენტის უფლებების“ შესახებ კანონის მითითებული ნორმა, ცალკეული პირობების არსებობის შემთხვევაში, მკვლელობას უშვებს მსხვერპლის თხოვნით. ანუ ნორმატიულ აქტებს შორის სახეზეა კოლიზია. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, „თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს“. ვინაიდან, ჩვენ შემთხვევაში, უფრო გვიან არის მიღებული „პაციენტის უფლებების“ შესახებ კანონი, ეს უკანასკნელი იმოქმედებს, თუმცა იმ პირობების ზუსტი დაცვით, რაც ნორმაშია გაწერილი:

კანონი „პაციენტის უფლების“ შესახებ შეიძლება გავრცელდეს:

- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე;
- პირზე, რომელიც დაავადებულია განუკურნებელი სენით;
- პირზე, რომელსაც ისეთი დაავადება სჭირს, რომელიც გამოიწვევს მის ინვალიდობას.

დაცული უნდა იყოს ნების გამოვლენის ფორმა და განსაზღვრული ნების განმახორციელებელი პირები:

- პირმა ნება საღ გონებაზე ყოფნის დროს უნდა გამოხატოს;
- ნების აღმასრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეცსუბიექტი – ექიმი.

ვევლა სხვა ქმედება, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას და სცილდება კანონის ამ ნორმის მოქმედების სფეროს, კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით.

ძალზე საინტერესოა ის არგუმენტები, რომლებიც მოჰყავთ ევთანაზიის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს თავიანთი შეხედულებების დასასაბუთებლად.

ევთანაზიის მომხრეები თვლიან, რომ არჩევანის გაკეთება არის ფუნდამენტური უფლება ლიბერალური დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო სისტემის პირობებში. ტკივილი და ტანჯვა, რომელსაც ადამიანი განიცდის ავადმყოფობის პერიოდში, თუნდაც ტკივილის შემსუბუქების დროს, შეიძლება მიუღებელი იყოს მხოლოდ ისეთი პიროვნებისათვის, რომელსაც ეს არ გამოუცდია. პაციენტებისთვის, რომლებსაც აღარ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება, ძნელია ემოციური ტკივილის დაძლევა. მიუხედავად თანამედროვე ტკივილგამაყუჩებლების არსებობისა, უიმედო ავადმყოფისათვის ძნელია იმის შეგრძნება, რომ ტანჯვით მოკვდება. ევთანაზიის მომხრეები თვლიან, რომ ექიმების ენერგია და საავადმყოფოებში ადგილები გამოყენებული უნდა იქნეს იმ პაციენტებისათვის, რომელთა სიცოცხლის გადარჩენაც შეიძლება. ევთანაზიის

მოწინააღმდეგეთა არგუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების მიერ, როგორც ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხი იმ ადამიანებზე, რომლებსაც სურთ მიმართონ ევთანაზიას. ასეთი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგია ის, რომ ადამიანები (პაციენტები), რომლებსაც აღარ სურთ სიცოცხლის გაგრძელება მიმართავენ ისეთ მტკივნეულ და სარისკო პროცედურას, როგორიცაა თავის ჩამოხრჩობა.

ევთანაზიის მომხრეებს სწამთ, რომ მათი უპირველესი მოვალეობაა შეინარჩუნონ და გაიხანგრძლივონ საკუთარი და სხვების სიცოცხლე, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, მათი აზრით, სიცოცხლეს აზრი ეკარგება და ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ, როდესაც ეს დრო დადგება, შეეძლებათ მშვიდად და ღირსეულად მოკვდნენ. ადამიანმა ტანჯვა და ტკივილი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აიტანოს, თუ არსებობს შანსი საბოლოო განკურნებისა. თუ უკურნებელი სენის უკანასკნელ სტადიასთან გვაქვს საქმე, ტანჯვის გაძლება ყოველად უაზროა. მათი აზრით, ცხოვრება შეიძლება ჩაითვალოს ღვთის წყალობად მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს ადამიანური ფორმა. ტანჯვა-წამების ფორმით სიცოცხლის შენარჩუნება გაუმართლებელია და უშედეგოდ დახარჯულ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ევთანაზიის მომხრეები ურჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათსავით ფიქრობენ, რომ, როდესაც ისინი ჯანმრთელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხელი მოაწერონ „სიცოცხლის ნებას“, სადაც ცხადად გამოხატავენ თავიანთ მოლოდინს, რომ მათი სიკვდილის უფლება პატივცემული იქნება. ასეთი ადამიანის პირადი მკურნალი ექიმი ინფორმირებული უნდა იყოს მისი ამ სურვილის შესახებ და უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტის ასლი. თუ პირადი ექიმი უარს განაცხადებს მისი სურვილის შესრულებაზე, მაშინ სხვა ექიმი უნდა შეირჩეს, ვინაიდან სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ადამიანს არ აქვს სხვებთან კომუნიკაციის საშუალება. მის ოჯახის წევრებსაც და მეგობრებსაც უნდა ჰქონდეთ „სიცოცხლის ნების“ ქსეროასლები.

რაც შეეხებათ ევთანაზიის მოწინააღმდეგეებს, თვლიან, რომ ევთანაზია არის არამართებული ექიმებისათვის. ისინი აღნიშნავენ, რომ წინა წლებში ექიმები დებდნენ ჰიპოკრატეს ფიცს და აცხადებდნენ, რომ არ გაითვალისწინებდნენ არავის ნებას, არ გამოწერდნენ სასიკვდილო წამალს და არავის მისცემდნენ რჩევას ევთანაზიასთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული ფიცი 1970 წლიდან აღარ მოქმედებს.

ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა აზრით, ცხოვრება, მაშინაც კი, როდესაც ის უაზროდ გეჩვენება, მაინც უფლის მიერ ნაბოძებ დიდ წყალობად უნდა მივიჩნიოთ. მათი აზრით, ევთანაზია არის მკვლელობის ერთ-ერთი ფორმა, ხოლო ნებაყოფლობითი ევთანაზია – თვითმკვლელობა.

ასევე უარყოფილ იქნა ევთანაზია თეოლოგების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ ევთანაზია არის ძალადობა სიცოცხლეზე.

ძალზე საინტერესოა სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლების პოზიცია ევთანაზიასთან მიმართებაში.

რომის კათოლიკური ეკლესიის პოზიცია ევთანაზიის შესახებ ეყრდნობა კათოლიციზმის რამდენიმე მთავარ კანონს, რომელიც მოიცავს ადამიანის სიცოცხლის სიწმინდეს, ადამიანის ღირსებას, ადამიანის განუყრელ უფლებებს, სიკვდილის გარდაუვალობას და თანაგრძნობის (მოწყალების) მნიშვნელობას. ეკლესიის ოფიციალური პოზიცია აისახა 1980 წელს გამოცემულ დეკლარაციაში ევთანაზიის შესახებ. აღნიშნულ დეკლარაციაში

ნათქვამია „ ... როდესაც გარდაუვალი სიკვდილი მოახლოებულია ... ნებადართულია მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფს მეურნალობას, რომელიც მხოლოდ გამოიწვევს სარისკო და მძიმე სიცოცხლის გახანგრძლივებას...”¹

დეკლარაციის მიხედვით, ექიმები ვალდებული არიან, სამედიცინო თვალსაზრისით, დახმარების გარდა პაციენტები უზრუნველყონ „უსაზღვრო სიკეთითა“ და „გულითადი მოწყალებით“.

პროტესტანტული ეკლესიის მიდგომა ევთანაზიისა და სიკვდილის ხელშეწყობის შესახებ სხვადასხვაგვარია. 1970 წლიდან ევანგელისტური ეკლესია თანამშრომლობს კათოლიკურ ეკლესიასთან იმ მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის სიწმინდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალ-პროტესტანტებმა უარყვეს ევთანაზია, ამ უკანასკნელს მაინც აქვს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა. მხარდამჭერთა რიცხვში გაერთიანებული იყვნენ როგორც პროტესტანტული სამღვდლოების ნაწილი, ასევე ერისკაცები. ისინი სამართლებრივ მხარდაჭერას უცხადებენ სიკვდილის ფიზიკურად ხელშეწყობას.

ებრაელთა ხედვა ევთანაზიის შესახებ 1970 წლიდან დაიწყო. ებრაელთა ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ნებაყოფლობით ევთანაზიას და ეს წინააღმდეგობა ხშირად ძალიან მკაცრ ხასიათს ატარებდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გარკვეულ მხარდაჭერას უცხადებდნენ პასიურ ევთანაზიას.

ისლამური სარწმუნოება კატეგორიულად კრძალავს ყველა სახის თვითმკვლელობას და ყველა იმ ქმედებას, რომელიც ეხმარება სხვას თავის მოკვლაში. მუსლიმანებისათვის აკრძალულია, რომ დაგეგმონ ან საკუთარი ნების მიხედვით წინასწარ განსაზღვრონ სიკვდილის დრო.

რაც შეეხებათ ბუდისტებს, მათ შორის, ევთანაზიასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ბუდიზმის მიმდევართა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ვალდებული არიან თავი აარიდონ ცოცხალი არსების განადგურებას. მაგალითად, მონასტრულ კანონთა კრებულში – პატიმოკაში ნათქვამია, „თუ რომელიმე ბუდისტი ბერი მოუსპობს სიცოცხლეს ადამიანს ან/და შეუქმნის სიკვდილის უპირატესობას, ან/და, მსგავსად ამისა, წააქეზებს ადამიანს სიკვდილისკენ: „ჩემო მეგობარო რა აზრი აქვს უფერულ ცხოვრებას შენთვის, სიკვდილი ხომ მას ბევრად აჯობებს“, ან/და ამ იმედით განზრახული სხვადასხვაგვარად დაანახებს სიკვდილის სიკარგეს, ან/და წააქეზებს, რომ მოკვდეს“, ასეთი კაცი თვითონვე იქნება დამარცხებული. სხვა სიტყვებით, ასეთი ბერი მკაცრად იქნება ბუდისტური სამონაზვნო საზოგადოებიდან განდევნილი.² სიკვდილის ხელშეწყობაში იგულისხმება არა მხოლოდ ქმედება მიმართული სიცოცხლის ფიზიკურად ხელყოფისკენ, არამედ სიტყვაც, რომელიც „კარგი სიკვდილის“ სურვილს გაუჩენს მომავლად ავადმყოფს.

Agence-France Presse-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში დალაი ლამა მხარს უჭერს ევთანაზიის გამონაკლის შემთხვევებს. იგი ამბობს, „მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია თუ ევთანაზიას თავიდან ავიცილებთ ... თუმცა, როდესაც ადამიანი კომაშია და არ არის მისი მორჩენის შანსი ... ევთანაზიის გამოუყენებლობამ შესაძლოა მეტი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე მისმა გამოყენებამ.“³

¹ The Deklaration on Euthanasia issued by the Sacred Congregation for the Doctrine of the Faith.

² The monastic code Patimokkha.

³ The Agence-France-Presse.1996.18.Sept.

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის პოზიციას ევთანაზიასთან მიმართებაში, ის ყოველმხრივ გამოხატავს ევთანაზიას. დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის აზრით, ყოველ „კარგ სიკვდილს“ მოსდევს „ცუდი უკვდავება“ ჯოჯოხეთში. ის, ვინც თვითმკვლელობის მოსურნე ავადმყოფს ეხმარება ამ სასიკვდილო ცოდვის ჩადენაში, სხვა არ არის რა, თუ არა კაცისმკვლელი. კაცისმკვლელები არიან ავადმყოფის ახლობლებიც, რომლებიც თავისი მოყვასის სასოწარკვეთილებისაგან გამოყვანას კი არ ცდილობენ, არამედ უბიძგებენ საუკუნო სატანჯველისაკენ. ორმაგად სცოდავს ექიმი, რომელიც ამას სჩადის, რადგან მას ფიციც კი აქვს დადებული, იზრუნოს ავადმყოფის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ევთანაზია ეს არის სატანის მსახურება, რომელიც საბოლოოდ უსპობს ავადმყოფს სინანულისა და ცხონების საშუალებას.“¹

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ევთანაზიას ათასობით ადამიანი მიმართავს. არაერთმა გამოჩენილმა ადამიანმა დაასრულა ევთანაზიის გზით სიცოცხლე.

ცნობილმა ავსტრიელმა ფსიქიატრმა და ფსიქოლოგმა ზიგმუნდ ფრეიდმა, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნით იყო დაავადებული, სთხოვა თავის მეგობარს და პირად ექიმს დახმარებოდა ევთანაზიის განხორციელებაში, ექიმმა მას სამმაგი მორფინის დოზა გაუკეთა, რის შედეგადაც ზიგმუნდ ფრეიდი გარდაიცვალა.

გამოჩენილი ბელგიელი პოეტი, მწერალი და რეჟისორი ჰუგო კლაუსი ალცგეიმერის დაავადებით იყო შეპყრობილი და გარდაიცვალა ევთანაზიის გზით, მის მიერ შერჩეულ დღეს.

ცნობილი მეზღვაური რამონ სამპედრო, ავტოკატასტროფის შედეგად 30 წლის განმავლობაში პარალიზებული იყო. მეზღვაური დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ევთანაზიის უფლების მოპოვებას. საბოლოოდ სასამართლომ მისცა ევთანაზიის განხორციელების უფლება, იგი გადაყვანილ იქნა კამერებით აღჭურვილ სპეციალურ ოთახში, სადაც დალია საწამლავენარევი წყალი, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მეზღვაურსა და მის ცხოვრებაზე ფილმიც კი იქნა გადაღებული.

ანი შენგელია,

სამართლის დოქტორანტი

ევთანაზია – დანაშაული თუ ადამიანის უფლება საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით

როგორც ვხედავთ, არის ქვეყნები, სადაც ევთანაზია კანონით არის დაშვებული, თუმცა ასეთ ქვეყნებშიც არ არსებობს საზოგადოების ერთსულოვანი დამოკიდებულება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ყოველთვის იარსებებს ოპოზიცია, რომელიც წინააღმდეგი იქნება.

ჩემი აზრით, ევთანაზია ყოველად გაუმართლებელია. მართალია, ერთი მხრივ, ძნელია, როდესაც ადამიანს აიძულებ მისი ნების საწინააღმდეგოდ იცოცხლოს და მხედველობაში არ იღებ მის ხვეწნა-მუდარას, რომ წყალობით მოექცნენ და გაათავისუფლონ ტანჯვისგან

¹ <http://www.ortodox.ge>.

მას შემდეგ, რაც ღირსება, იმედი და ცხოვრების აზრი დაკარგა და მხოლოდ ის შეუძლია, რომ ტანჯვა-წამება და ფიზიკური დაკნინება გაიხანგრძლივოს, მეორე მხრივ, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ავადმყოფობა და განსაცდელი უნდა აღვიქვათ, როგორც ღმერთისგან მონახულება.

ავადმყოფობა ეს სასჯელია, უფალი ამ გზით ცდილობს ჩვენ გამოვხიზლებას, ამიტომ ავადმყოფობისას, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს, დიდი მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ. ევთანაზია, მდგომარეობიდან გამოსავალი არაა, ის უსპობს ადამიანს სინანულისა და ცხონების საშუალებას. ადამიანებს უფალმა სიცოცხლე გვიბოძა და თავად უფალმა უნდა განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა.

მომართო ევთანაზიას მარტო იმიტომ, რომ გაათავისუფლო ადამიანი ტანჯვა-წამებისგან მიუღებელია. თითოეული ჩვენთაგანი მარტო თავის თავისთვის არ ცხოვრობს. ჩვენთან და ჩვენ ცხოვრებასთან სხვებიც არიან დაკავშირებული. ახლობელი ადამიანის განსაცდელში ყოფნა ჩვენი სულიერი მდგომარეობის გაძლიერების საშუალება უნდა იყოს. ათავისუფლებ ადამიანს მძიმე ავადმყოფობისგან, ე.ი. იმ განსაცდელისგან, რომელიც უფალმა დაუშვა მასზე, უსპობ ცოდვებისგან განწმენდის საშუალებას და თავად ისპობ სულიერად გაძლიერების და რწმენაში განმტკიცების გზას.

Ani Shengelia,
Master of Law

EUTHANASIA – CRIME OR HUMAN'S RIGHT TO PERSONAL LIFE

As you see there are some countries, where euthanasia is allowed by the law, notwithstanding even such countries there are not society's unanimous opinion towards this event. The position will always exist being against the euthanasia.

By my opinion, euthanasia is totally unjustified. It is difficult one hand to enforce a human to live against its will and do not pay attention to its supplications to make a favor and free it from the sufferings after that when it already lost dignity, hope and living purpose and is only capable to prolong the suffering and humiliation, but in other hand, we are Orthodoxies and must remember, that we should perceive any illness and difficulty as a visit by God.

Illness is not a punishment, by this way God tries to awake us, that's why during the illness how much harder it mustn't be, we should show great patience. Euthanasia is not a way-out from difficulty; euthanasia exterminates a human from regret and finding peace. The God gave us the humans' life and the God should determine the length of our life.

To use euthanasia only to make a human free from sufferings is unacceptable. Each of us does not live only for itself. The others also are connected to us and to our life. Being near relative in difficulty must be a way to strengthen our spiritual state. When you make free a human from heavy illness or difficulty what the God afflicted to him, you close him a way to expiate sins and yourself exterminate a way to reinforce you spirit and faith.

ЭВТАНАЗИЯ – ПРЕСТУПЛЕНИЕ ИЛИ ПРАВО ЧЕЛОВЕКА, СВЯЗАННОЕ С ВОЛЕЙ К ЖИЗНИ

Как видим, существуют страны, в которых эвтаназия разрешена законом, хотя и в таких странах нет единодушного отношения общества к этому явлению. Всегда будет существовать оппозиция, которая будет высказываться против эвтаназии.

По моему мнению, эвтаназия всячески неоправдана. Хотя, с одной стороны, тяжело, когда заставляешь человека жить помимо его воли и не прислушиваешься к его просьбам о милости и избавлении от мук после того, как он потерял достоинство, надежду и смысл жизни, и теперь обречён только на муки, страдания и физические лишения. Но, с другой стороны, мы православные христиане и должны помнить, что любую болезнь и испытание надо воспринимать как божье испытание.

Болезнь-это не наказание, Господь таким путём пытается разбудить нас, поэтому во время болезни, как это нам ни тяжело, надо проявить большое терпение в победе над недугом. Эвтаназия-это не выход из положения, эвтаназия лишает человека возможности покаяния и вечности. Нам, людям, Господь даровал жизнь и только Он вправе определять сроки нашего жизненного долголетия.

Обращаться к эвтаназии только с той целью, чтобы освободить человека от страданий и мук, неприемлемо. Каждый из нас живёт не только для самого себя. С нами и с нашей жизнью связаны и другие люди. Присутствие рядом с близким человеком в минуту его тяжёлых испытаний должно стать способом укрепления нашего духовного состояния. Освободить человека от тяжёлой болезни, значит, лишить его того испытания, которое ниспослал ему Господь, лишить его возможности очищения от грехов, а самому избавиться от возможности духовного укрепления и утверждения в своей вере.

პროკურორის როლი წინასასამართლო წარმოებაში

სისხლის სამართალწარმოებაში კანონიერების უზენაესობა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკანონმდებლო, სამართალგამოყენებითი და იურიდიული სამსახურებისაგან, ვინაიდან კანონიერება ქვეყნის, საზოგადოების და ადამიანთა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მექანიზმია.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში კანონიერების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული როლი ყოველთვის ენიჭებოდა პროკურორს, მაგრამ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსს კოდექსის)¹ შესაბამისად, მისი როლი და შესაძლებლობები მნიშვნელოვნადაა გამოკვეთილი და გაზრდილი. აქ სისხლისსამართლებრივი დევნის საპროცესო კანონმდებლობაში პროკურორი გადაწყვეტილების მიმღები ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტი გახდა და ამიტომ საჭიროა მისი საქმიანობის საფუძვლიანი შესწავლა, რათა არ მოხდეს მის მიერ უფლება-მოვალეობათა გადამეტება, დაცულ იქნეს პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა, ნაკლებად მოხდეს საპროცესო კანონის დარღვევა დანაშაულთა გამოძიებისას და არ მოხდეს მის მიერ პირის უკანონოდ ბრალდებულად ცნობა ან არ თქვას უარი უკანონოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე (სსს კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილით, “პროკურორი მოსამართლესთან, გამოძიებელსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად ვალდებულია სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვას პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა”; 169-ე მუხლის მე-2 ნაწილით, “ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ”).

აღნიშნულ გარემოებებში ეჭვის საფუძველს გვაძლევს ამ საკანონმდებლო დოკუმენტის 168-ე მუხლი, რომლის ძალით “დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან”, მაშინ, როცა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, “ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს”. სსს კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით, “სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი”. ვფიქრობთ, რომ ახალ საპროცესო კოდექსში ასეთი შეუსაბამობის გამო, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა, როგორც საპროცესო ინსტიტუტი, გახდა დამოუკიდებელი კვლევის საგანი².

საქართველოს სსს კოდექსის ფარგლებში პროკურორი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივ დევნაზე

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით. თბილისი, 2011.

² პ.კობალაძე. პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები. “მართლმსაჯულება”, 1/2010 წ., გვ. 62-68.

(მას შეუძლია არც დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუკი აღნიშნული არ შეესაბამება სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკას), არამედ ზედამხედველობს წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობაზე. პროკურორის და გამომძიებლის უფლება-მოვალეობებს დათმობილი აქვს სსს კოდექსის მეოთხე თავი. ამ თავის 33-ე მუხლის 1 ნაწილით, **“პროკურორი თავის უფლებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მძიმე ტვირთი”**. პროკურორი (გამომძიებელთან ერთად) ბრალდების მხარეა.

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობით არსებითადაა შეცვლილი პროკურორის შესაძლებლობები წინასასამართლო სტადიებზე, ყველაფერი რაც პროკურორს შეეხება, არსებითადაა გაზრდილი. ეს მოითხოვს იმ სამართლებრივი ნორმების სისტემის შესწავლას, რომლითაც რეგულირდება პროკურორის მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი მოკვლევის საპროცესო საქმიანობა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, საჭიროა განისაზღვროს: პროკურორის სტატუსი; გამოვალინოთ პროკურორის საპროცესო ფუნქციები; მისი შესაძლებლობები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელებისათვის (166-ე მუხლის თანახმად, **“სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა”**).

იგივე 33-ე მუხლში ნათლადაა ჩამოყალიბებული პროკურორის ყველა უფლება-მოვალეობის ფართო სპექტრი. რაც შეეხება პროკურორის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სტატუსს, ამ კოდექსში ცალსახად არ განისაზღვრება. ამიტომ იგი უნდა ვეძებოთ საქართველოს კანონში პროკურატურის შესახებ¹. ამ კანონის თანახმად, პროკურორი არის სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომელიც სახელმწიფოებრივ შესაძლებლობებს ფლობს და რომელსაც საპროცესო საქმეების განსახილველად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოების ყველა სტადიაში. მასში სრულადაა აღწერილი საქართველოს მთავარი პროკურორის და სხვა თანამდებობის პროკურორთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები.

პროკურატურის შესახებ კანონის მე-2 მუხლით ჩამოთვლილია ის პროკურორები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს ან ასეთ ფუნქციებს არ ახორციელებენ. ასეთ ფუნქციებს არ ახორციელებენ პროკურატურის ის მუშაკები, რომლებსაც, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, მინიჭებული აქვთ პროკურორის უფლებამოსილება.

საქართველოს სსს კოდექსის დასაწყისის გაცნობისთანავე გვექმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურორის ცნებას ცოტა საერთო აქვს სისხლის სამართლის მონაწილის საპროცესო სტატუსთან. სინამდვილეში კი პროკურატურის ორგანოს ყველა თანამდებობის პირზე განაწილებულია ორმაგი ერთიანობის კომპეტენცია – ერთი მხრივ, შესაძლებლობებით, რომელსაც ითვალისწინებს კანონი პროკურატურის შესახებ და, მეორე მხრივ, შესაძლებლობებით, რომლებიც ენიჭებათ საპროცესო კოდექსით. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სისხლის სამართლის მონაწილეში თვლის პროკურატურას (კარი II, თავი IV).

¹ საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ. თბილისი, 2008.

წინასასამართლო წარმოებაში პროკურორი არის პროცესის ხელმძღვანელი. მას ეკისრება გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია, რომელიც თავისი დანიშნულებით არის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი. პროკურატურის შესახებ კანონის¹ 21-ე მუხლით “პროკურორი უფლებამოსილების განხორციელებისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს შემდეგ აქტებს: მოთხოვნას, წარდგინებას, პროტესტს, დადგენილებას, თანხმობას, მითითებას, საჩივარს, ინფორმაციას”.

საქართველოს სსს კოდექსით პროკურორს, სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, დისკრეციული უფლებამოსილების გარდა, აქვს იმის შესაძლებლობაც, რომ მისი თანხმობის გარეშე გამოძიებელს არ აქვს არა მარტო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება, იგი ვერც სასამართლოს მიმართავს საგამოძიებო საქმიანობის შესასრულებლად.

პროკურორის ყველა იმ გაფართოებული უფლება-მოვალეობებით და შესაძლებლობებით, რაც მოცემულ სსს კოდექსში და პროკურატურის შესახებ კანონშია, დაკვირვებისა და პრაქტიკის გარეშე, მხოლოდ მეცნიერული თეორიებით, შეუძლებელია ვამტკიცოთ პროკურორის ფუნქციური ვალდებულებების ეფექტურობა ან ოპტიმალურობა ჩვენი ქვეყნის პირობებში. ყოველივე ამას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდება. ამ გარემოებას ნათლად შეესაბამება 2006 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ზუსტი წინასწარმეტყველება, როდესაც სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროფესიონალმა მონაწილეებმა წინასწარი გამოძიების საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხი 10-ბალიანი სკალიდან შეაფასეს 5-ზე დაბალი ბალებით².

ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის სსს კოდექსის სრულ ამოქმედებას აუცილებლად თან დაერთვება პროკურორის ანალოგიური შეფასებები. ამიტომ, წინასასამართლო სამართალწარმოებაში პროკურორის ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს ვხედავთ მხოლოდ ორ საკანონმდებლო ობიექტურ გადაწყვეტილებაში. პირველი გადაწყვეტილება არის ის, რომ **“პროკურორი წარმოადგენს მთელი სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის ხელმძღვანელს და ორგანიზატორს და პირის ბრალდებისათვის მთელ თავის საქმიანობას განხორციელებს სახელმწიფოს სახელით – სახელმწიფო ბრალმძებელი”**. ამაში მხარს უჭერს ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები (23.09.1999 №PC-PR(99)):

1. სახელმწიფო ბრალმძებელი – ესაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელიც საზოგადოების სახელით და მისი ინტერესებისათვის უზრუნველყოფს კანონის გამოყენებას იქ, სადაც იგი დაირღვევა და ამას მოჰყვება სისხლისსამართლებრივი სანქციები. ამასთან, მხედველობაში მიიღება როგორც მოქალაქეთა უფლებები, ისე სისხლის სამართლის საკანონმდებლო სისტემის ეფექტური ქმედების აუცილებლობა;

2. სახელმწიფო ბრალმძებლები მთელ სისტემაში: წვეტენ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხს; მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში; აპროტესტებენ ან მხარს უჭერენ სასამართლოს გადაწყვეტილებას;

¹ საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ. თბილისი, 2008.

² Баев М.О., Баев О.Я. Новое платье прокурора? (Первые впечатления об изменениях в УПК РФ от 5 июня 2007 года) // Воронежские криминалистические чтения. Сборник научных трудов. Изд-во Воронеж. гос. ун-та. Вып. 9, 2008 г., с. 40-57.

3. ზოგიერთ სისტემაში სახელმწიფო ბრალმძებლები აგრეთვე: აწარმოებენ, აგზავნიან და ახორციელებენ ზედამხედველობას გამოძიებაზე; სისხლისსამართლებრივ დევნაში ირჩევენ ალტერნატივებს.

საქმის მასალების წინასასამართლო გამოძიებაში პროკურორის შეფასებაში მაქსიმალური ობიექტურობისათვის სასარგებლო იქნება გადაწყვეტილების მეორე ვარიანტი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: **“ან დაგუტოვოთ მას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქცია და ჩამოვაშოროთ საპროცესო ხელმძღვანელობის გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით გარკვეულ თანამშრომლებსა და ორგანოებზე; ან პირიქით, სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, დაგუტოვოთ თანამშრომლებსა და ორგანოებზე საპროცესო ხელმძღვანელობის გარკვეული უფლებამოსილებები და ჩამოვაშოროთ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქცია”**.

გადაწყვეტილების მეორე ვარიანტის საფუძველს გვაძლევს ძირითადი პრობლემა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია და თავსებადი პროკურორის ხელში ასეთი მრავალრიცხოვანი ფუნქციების თავმოყრა, მათგან თუნდაც ორი ძირითადი: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის. ეს საკითხი საქართველოს სსს კოდექსის ამოქმედებიდან უახლოეს ხანში აუცილებლად გახდება მეცნიერული და პრაქტიკული დისკუსიის საგანი. ყოველთვის დაისმება კითხვები ასეთი ფუნქციების თავსებადობის შესახებ.

თუ რომელი ფუნქცია დარჩება პროკურორს, უნდა გადაწყვიტოს კანონშემოქმედმა – დატოვოს ის, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზე.

წინასასამართლო წარმოების ამოცანები განპირობებულია იმ პირთა ფუნქციური განწესებით, რომლებიც განახორციელებენ წინასწარ გამოძიებას. წინასასამართლო გამოძიებას, სსს კოდექსის 32-ე მუხლით, ახორციელებს პროკურატურა პროკურორისა (33-ე მუხლი) და გამომძიებლის (37-ე მუხლი) საშუალებით. ამ საქმეში გამომძიებელი ასრულებს პროკურორის მითითებებს. თვით პროკურორი, რომელიც გამოძიებას უშუალოდ განახორციელებს, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით (37-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, წინასწარი გამოძიების სუბიექტები – პროკურორები და გამომძიებლები წარმოადგენენ ბრალდების მხარის მონაწილეებს. მაშასადამე, საქართველოს სსს კოდექსის და პროკურორის შესახებ კანონის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **“წინასწარი გამოძიება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფორმას, რომლითაც ხდება დანაშაულის გახსნა, ბრალდებულის მხილება და გამოკვლევა”**.

თუ წინასწარი გამოძიების არსის ასეთ გაგებას წარმოვიდგენთ **სისხლის სამართლის პროცესის პრინციპის** როლში, მაშინ იგივე პრინციპი პროკურორის, გამომძიებლის და მოსამართლის საერთო საქმიანობის ზოგადი პრინციპის როლში დაასაბუთებს ჩადენილი დანაშაულის გარემოებათა კვლევის სისრულეს, ობიექტურობას და ყოველმხრივობას.

პროკურორის როლი წინასასამართლო წარმოებაში

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე შესწავლილია პროკურორის როლი წინასასამართლო სტადიაზე. ამ კოდექსით პროკურორის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და არდაწყების დისკრეციული უფლებამოსილების გარდა სისხლის სამართალწარმოებაში სხვა მრავალრიცხოვანი ფუნქციაც ეკისრება, რომლებსაც იგი ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. წინასასამართლო წარმოებაში პროკურორის ყველა იმ გაფართოებული უფლება-მოვალეობით და შესაძლებლობით, რაც საპროცესო კოდექსსა და პროკურატურის შესახებ კანონშია მოცემული, შეუძლებელია წინასწარ ვამტკიცოთ პროკურორის ფუნქციური ვალდებულებების ეფექტურობა. ამ საქმეში მეცნიერული მიდგომის გარდა საჭიროა პრაქტიკა, დაკვირვება. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, პროკურორის შეფასების შედეგი ვერ იქნება დადებითი. გამოსავალი შემდეგი ორი საკანონმდებლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთის არჩევაშია:

1. პროკურორი არის მთელი სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი და პირის ბრალდებისათვის თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით – სახელმწიფო ბრალმდებელი; 2. დაუტოვოთ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქცია და ჩამოვაშოროთ საპროცესო ხელმძღვანელობის გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებსაც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით გარკვეულ თანამშრომლებსა და ორგანოებზე ან პირიქით.

Vazha Beltadze,
PHD Student

THE ROLE OF THE PROSECUTOR IN THE PRETRIAL PROCEEDINGS

On the basis of the new Georgian criminal procedural code the prosecutor's role is studied through the pretrial phase. According to this code the prosecutor besides than having the discretion authority of starting or nonstarting the prosecution, he also has numerous other functions, that he carries out on behalf of the state. All with wide power and authorities of the prosecutor's, which are defined in the procedural code and in the prosecutor's law, it is impossible to assert the effectiveness of the prosecutor's functional responsibilities. In our case, but a scientific approach, practising and observation are necessary. From the other countries point of view the result of the prosecutor's appraisal will not be positive.

There is only one option choosing one from two legislative solutions: 1. The prosecutor is the leader and organizer of the entire institution of criminal prosecution. He performs all his activities on behalf of the state.

He is a state prosecutor. 2. or leaving him a function of prosecution and removing procedural leadership's certain authorities, which he carries out related to the prosecution on certain staff and bodies and vice versa.

Важа Белтадзе,
докторант права

РОЛЬ ПРОКУРОРА В ДОСУДЕБНОМ ПРОИЗВОДСТВЕ

На основе нового Грузинского уголовного процессуального кодекса изучена роль прокурора на досудебной стадии. Согласно с этим кодексом, кроме дискреционного полномочия прокурора о начале и прекращении уголовного преследования, в уголовном судопроизводстве он имеет также другие многочисленные функции, которые он осуществляет от имени государства. Со всеми широкими полномочиями и возможностями прокурора, что заданы в процессуальном кодексе и законе о прокуратуре, заранее невозможно утверждать об эффективности функциональных обязанностей прокурора в условиях нашего государства. В этом деле кроме научного подхода, необходимы практика и наблюдения. Вытекающие из опытов других государств результаты оценки прокурора не будут положительными. Выход из такой ситуации мы видим в выборе одного из двух следующих законодательных решений:

1 - прокурор является руководителем и организатором всего института уголовного преследования и всю свою деятельность в этом качестве он осуществляет от имени государства - является государственным обвинителем; 2 – или, сохранив ему функцию осуществления уголовного преследования, отстранить от определенных полномочий процессуального руководства, которые он осуществляет в отношении уголовного преследования на определенных лиц и органов, или наоборот.

საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების სამართლებრივი საფუძვლები

დღეს, როცა სამოქალაქო ინტეგრირებისა და მსოფლიოში მზარდი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური გლობალიზაციის პირობებში ინდივიდი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა სახელმწიფოს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციას. ინფორმაცია, როგორც სოციალური ფენომენი, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ქვაკუთხედია და მისი ღიაობის გარეშე წარმოდგენელია ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფოს არსებობა. დღევანდელი ვითარებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ, ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში, საზოგადოებაში პერმანენტულად მაღლდება სამოქალაქო თვითშეგნება, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულის ინსტიტუციურ სრულყოფას უწყობს ხელს.

დღეს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს თავისუფლების გამოხატვის უფლება და მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლებასაც.¹ საქართველოს უზენაესი კანონი ღიად აღიარებს ინფორმაციის მიღება-გავრცელებას, როგორც კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას: 24-ე მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. 41-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. თუმცა, კონსტიტუციით განმტკიცებული უფლება – ყველას აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია – არ არის აბსოლუტური უფლება. პოზიტიურ დათქმებთან ერთად იგი მკვეთრად ნეგატიური პულისის მატარებელიცაა და გარკვეულ შეზღუდვებს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, აწესებს. კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით. ეს პირობებია: დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვათა უფლებების და ღირსებების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნული დათქმა სრულად პასუხობს საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც ინფორმაციის შეზღუდვას უშვებს ისეთი სენსიტიური შემთხვევების დროს, როგორიცაა სხვა პირთა უფლებების და რეპუტაციის დაცვა, სახელმწიფო უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანდაცვა და ა.შ.² შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემას საკმაოდ მაღალი პასუხისმგებლობით უდგება და ადმინისტრაციულ ორგანოებს უდგენს ვალდებულებას, ყოველი წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს წარუდ-

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1950 წ. 4 ნომბერი.

² საქართველოს კონსტიტუცია. 1995წ. 24 აგვისტო.

გინოს დეტალური მოხსენება, რომელიც უკავშირდება საჯარო ინფორმაციის გაცემას, სტატისტიკას და სხვა დეტალებს.¹

კონსტიტუციით გარანტირებული უფლება სამართლებრივ დეფინიციას და კონკრეტულ რეგლამენტაციას იძენს კანონის ზოგად და სპეციალურ ნორმებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ადგენს საჯარო ინფორმაციის არსს: საჯარო ინფორმაცია – ესაა ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების მიერ ან მომსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ე.ი. საჯაროა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც იქმნება საჯარო სამსახურისთვის ან/და საჯარო სამსახურის მიერ.

მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. სზაკ-ის 30-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლო ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს. ასეთი ტიპის ინფორმაციის გამხელისგან დაცვის პირობას, გარდა სპეციალური ნორმატიული აქტებისა, თავად სზაკ-იც ადგენს (თავი III). განვიხილოთ ისინი:²

სზაკ-ის 27-ე მუხლის “თ” ქვეპუნქტით, პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა საჯაროა. 27¹-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების **პირადი საიდუმლოებად** მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წვევტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. თუმცა, საკანონმდებლო სივრცე უშვებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოდდეს ზემოხსენებული მოთხოვნისგან დამოუკიდებლადაც. ასე, მაგალითად, კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (მუხლი 18; პუნქტი 2) ამბობს, რომ პაციენტს შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ შეეზღუდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ, თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს.³

როდის და ვის უნდა მიმართოს პირმა მისი პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ? კანონი ამის შესახებ დეტალურად არაფერს ამბობს. ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ არ არსებობს პირის განცხადება მისი პერსონალური ინფორმაციის პირად საიდუმლოებას მიკუთვნების შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ითვლება, თუმცა, მისი ხელმისაწვდომობა მხოლოდ გარკვეული პირობებითაა შესაძლებელი: სზაკ-ის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებელი წარადგენს ამ პირის თანხმობას (დამოწმებულს სანოტარო წესით), ხოლო, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება, რომელიც

¹ <http://www.gyla.ge/foiadmin/>

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. 1999 წ. 25-ე მუხლი.

³ ნათია წიკვაძე, პაატა ტურავა. ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო. გვ. 152.

ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას, ვალდებულია შესაბამის პირს აცნობოს მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ და მხოლოდ დადებითი ნების გამოხატვის შემდეგად პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გახდეს მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი; არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ითხოვს ამ ინფორმაციას: საჯარო დაწესებულება თუ კერძო პირი. პერსონალური ინფორმაცია ზემოქანმოთვლილი პირობების გვერდის ავლით ხელმისაწვდომია მაშინ, თუ არსებობს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. აღნიშნავს საჭიროებს სზაკ-ის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად ზემოაღნიშნული დაცვითი მექანიზმები არ ვრცელდება თანამდებობის პირთა, ასევე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა პერსონალურ მონაცემებზე.

საინტერესოა სზაკ-ის 29-ე მუხლი, რომელიც ამბობს: თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა გამხელისგან დაცულია **ადმასრულებელი პრივილეგიით**. აღნიშნული არ ვრცელდება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებზე. ასეთი სტატუსის მქონე პირთა ჩამონათვალს გვაძლევს საქართველოს კანონი – საჯარო სამსახურის და საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, რომელზეც აქ არ შეეხერხებით.

საიდუმლოებას მიეკუთვნება აგრეთვე საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული კომერციული ინფორმაცია, რომელიც, მისი გამჟღავნების შემთხვევაში, პირის საწარმოო საქმიანობის კონკურენტუნარიანობას უქმნის საფრთხეს. კომერციული ინფორმაციის გასაიდუმლოების მოთხოვნით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს. ეს უკანასკნელი განიხილავს მას და 10 დღის ვადაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. თუ მან ეს უფლება 15 დღის ვადაში არ გამოიყენა, მის მიერ წარდგენილი კომერციული ინფორმაცია ღია გახდება. აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი თავად ადგენს ინფორმაციის ღიაობის ვალდებულებას. მაგალითად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოს.

კანონდებლობა იცნობს ისეთ დახურულ საჯარო ინფორმაციას, როგორცაა **პროფესიული საიდუმლო**. სზაკ-ის 27³-ე მუხლის თანახმად, პროფესიული საიდუმლო არის ინფორმაცია, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას და ამავედროულად არის სხვისი კომერციული და პირადი საიდუმლოება. აღსანიშნავია, რომ პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღია ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც გასაიდუმლოვდა. პირადი საიდუმლოება კი დახურულია თავად ამ პირის სიცოცხლის მანძილზე, თუ კანონი სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს ან თავად ამ პიროვნებამ არ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოების მოთხოვნით, ან თუ ამ მოთხოვნის ავტორი, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლოზე არ გამოვა.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ საჯარო კოლეგიური დაწესებულების მიერ გამართული სხდომის და ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობასაც: სზაკ-ის 32-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მის

მიერ ჩატარებული სხდომები იყოს ღია და საჯარო, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს. კოდექსი ადგენს განსხვავებულ რეჟიმსაც, როცა საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ე.ი. თუ საქმე გვაქვს სხდომაზე განსახილველ სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან. ასეთ დროს საჯარო კოდეგიური დაწესებულება საიდუმლო ინფორმაციის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებულ სხდომის ოქმს აქვეყნებს. ამასთან, მიეთითება პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა (სზაკ. მუხლი 33). აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაიხუროს მთლიანად სხდომა ან მისი გარკვეული ნაწილი.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.¹ აღნიშნული კანონით განისაზღვრება საჯარო ინფორმაციის დახურვის და მისი სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნევის საკითხი. კანონის პრეამბულაში ნათქვამია, რომ იგი ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევას უკავშირებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას, ეკონომიკას, დახვეწას, საგარეო ურთიერთობას, სახელმწიფო უშიშროებას და მართლწესრიგს. ინფორმაციის გასაიდუმლოება ხორცილდება კანონიერების, დასაბუთებულობისა და დროულობის პრინციპის შესაბამისად. ასევე, აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ის უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ზემოხსენებული საფრთხეების შესახებ და უნდა არსებობდეს რეალური საშიშროებას იმისა, რომ მისი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს ქვეყნის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას და პოლიტიკურ ინტერესებს. უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მიერ (რომელთა ნუსხასაც პრეზიდენტი განსაზღვრავს) გასაიდუმლოების შემდეგ ინფორმაციას მიენიჭება საიდუმლოების გრიფი ანუ რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს. საიდუმლოების ხარისხი განსაზღვრავს მისი გასაიდუმლოების ვადებსაც, რომლის გაგრძელების უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია. ამ კუთხით ძალზე საინტერესოა პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება, რომელიც ადგილს აღარ ტოვებს ადმინისტრაციულ ორგანოთა ან თანამდებობის პირთა მხრიდან კერძო ინიციატივისთვის და პირდაპირ ადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ჩამონათვალს. აღნიშნული ნუსხა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და უშუალოდ გამომდინარეობს ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო პრიორიტეტებიდან.²

საზი უნდა გაეხვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ახდენს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპების დუბლირებას და ამბობს: აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ის ინფორმაცია, რომელიც ხელყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, აგრეთვე ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებაც ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ეს ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მაღალ სტანდარტებზე მიუთითებს.

¹ საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. 1996 წ. 29 ოქტომბერი.

² [http://www.gyla.ge/foi/doc_upload/freedom info/0.%20trenings%20masalebi.pdf](http://www.gyla.ge/foi/doc_upload/freedom%20info/0.%20trenings%20masalebi.pdf)

ქეთევან ბერეკაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების სამართლებრივი საფუძვლები

განხილულია ის სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც შესაძლოა საჯარო ინფორმაცია დახურული გახდეს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თავად საჯარო ინფორმაციის ცნება დავას იწვევს იურისტებს შორის. ხშირად ძნელია იმ წყაღამყოფის პოვნა, რითაც საჯარო და კერძო ინფორმაციები ერთმანეთისგან განსხვავდება. განსაკუთრებით, თუ იგი პერსონალურ ინფორმაციას ეხება. როგორც ვიცით, პერსონალური ის ინფორმაციაა, რომელიც პირის იდენტიფიცირების საშუალებს იძლევა. კანონი არ იძლევა ზუსტ მითითებას, რომ ასეთად მხოლოდ გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი შეიძლება იყოს თუ სხვაც?! რიგ შემთხვევებში, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს ამ ტიპის ინფორმაციის გაცემაზე უარს სწორედ პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით ეუბნება. ხშირად სასამართლოს განსჯადი ხდება ის ინფორმაციაც, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირებს, დაინტერესებული მხარე კი სხვაგვარად ფიქრობს.

ვფიქრობთ, რომ დროთა განმავლობაში აღნიშნული საკითხი მეტ სიზუსტეს და კონკრეტიზაციას პოუვებს ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

Ketevan Berekashvili,
PHD Student

LEGAL PRINCIPLES FOR CONFIDENTIALITY OF PUBLIC INFORMATION

In this article we briefly outlined those legal principles, by which public information can become closed. Generally, mention should be made, that itself the notion of public information raises discussion among the lawyers. Frequently, this is difficult to find the turning-point, that may provide differences between public and private information, especially if it regards with personal information, as we know personal information is information, which provides possibility to identify the person.

The law does not give explicit definition that it can be only surname, name, and date of birth, ID number or any other thing. In several cases administrative body refuses issuing of the information for the personal motive, also frequently, this is under the discussion for the judiciary the information, which is regarded by administrative body with national security of the country, while interested side has another view on it.

We think, that in due course this topic will gain more clarification and particularity in Georgian legislative space.

ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ЗАСЕКРЕЧИВАНИЯ ПУБЛИЧНОЙ ИНФОРМАЦИИ

В статье мы коротко обсудили те правовые основы, из-за которых общественная информация может стать закрытой. Стоит заметить, что само определение общественной информации вызывает дискуссии между юристами. Часто достаточно сложно найти грань, разделяющую общественную информацию от информации личного характера. В особенности, если это касается персональной информации. Как известно, персональной считается информация, предоставляющая возможность идентификации лица.

Закон не дает точного определения того, является ли информацией личного характера лишь имя, фамилия, дата рождения, личный номер гражданина или какие-либо другие дополнительные сведения. В некоторых случаях административный орган отказывает заявителю в выдаче вышеупомянутой информации, основываясь на защите персональных сведений граждан. Часто на рассмотрение суда выдвигаются вопросы, которые административный орган связывает с безопасностью страны, заинтересованная сторона же думает по-другому.

Думаем, со временем, вышерассматриваемый нами вопрос обретет точность и конкретизацию в грузинской законодательной сфере.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

როდესაც საუბარია პერსონალურ მონაცემებზე და მასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე, მართებული იქნება ჩამოვყალიბოთ თუ რა არის პერსონალური მონაცემები. ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილ განმარტებად შეიძლება ჩაითვალოს ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართალმცოდნის რაიმონდ უექსის განმარტება: „პერსონალური მონაცემებია ფაქტები, შეტყობინებები ან შეხედულებები, რომლებიც მოცემულ ინდივიდთანაა დაკავშირებული და რომელთაც იგი ინტიმურად ან კონფიდენციალურად მიიჩნევს და სურვილი აქვს შეწყვიტოს, ან, სულ ცოტა, შეამციროს მათი ცირკულაცია“.

პერსონალური მონაცემები მოქალაქეთა ყოველდღიურ საქმიანობაში, უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის და ვალდებულებათა შესრულების პროცესში, იქმნება. ასეთ ინფორმაციას მოქალაქეები კანონით დადგენილი წესით წარუდგენენ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს ან ცალკეულ შემთხვევაში კერძო იურიდიულ პირებს.

გასულ საუკუნეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომლის ერთი ნაწილია პერსონალური მონაცემების დაცვა, ცნობილი კონცეფციის “ფრაივერსის” კვლევის განსაკუთრებული ობიექტი გახდა.

თავდაპირველად ეს კონცეფცია მხოლოდ ფიზიკურ ანკლავს გულისხმობდა (მაგალითად, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის უფლება), მაგრამ ადამიანი მარტო ფიზიკური ანკლავით არ არის მოცული, იგი ინფორმაციულ სივრცეში არსებობს და მოღვაწეობს.

ადამიანი ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარი წყაროა, ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებელიც არის, ამიტომ დაინტერესებულია ინფორმაციულ სივრცეში საკუთარი ინფორმაციის ცირკულაციით, რადგან ეს მისი, როგორც “გონიერი არსების”, არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ არის ერთი სახის ინფორმაცია, რომლის ცირკულაციის შეზღუდვისა და კონტროლის სურვილი ყველას აქვს. ესაა პირადი ცხოვრების ის მონაცემები, რომელიც ამა თუ იმ მიზეზთა გამო ინდივიდისათვის მგრძნობიარეა.¹

საკანონმდებლო პრაქტიკა “მგრძნობიარობის” მიხედვით მონაცემების შემდეგ კატეგორიებს იცნობს:

1. ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემები, რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა შესაძლებელია კანონდებლობით დადგენილ რეჟიმში სპეციალური ნებართვის გარეშე.
2. მგრძნობიარე პერსონალური მონაცემები, რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა კანონით დადგენილი დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოითხოვს.
3. განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალური მონაცემები, რომელთა შეგროვება, დამუშავება, გადაცემა ან საერთოდ იკრძალება, ან დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში, დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებით.

¹ მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული სამართალი. თბილისი, 2004 წ. გვ. 100-109.

“მგრძნობიარე” პერსონალურ მონაცემთა საყოველთაოდ აღიარებულ სახეებს ეკუთვნის ცნობები პატიმრობის შესახებ, სამედიცინო და საგადასახადო მონაცემები და სხვა.

“განსაკუთრებით მგრძნობიარე” პერსონალური მონაცემების შედგენილობა შეიძლება იცვლებოდეს ეროვნული მენტალიტეტიდან გამომდინარე, თუმცა, როგორც წესი, ამ კატეგორიას განეკუთვნება მონაცემები რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის შესახებ და სხვა.

პერსონალური მონაცემების სამართლებრივი რეგულირების თავისებურება მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანოს არსებობაა. უმეტეს ქვეყნებში ეს ორგანოები აღჭურვილია სარეგისტრაციო-სანებართვო, საკონტროლო-საზედამხედველო, საარბიტრაჟო, საექსპერტო და მეთოდოლოგიური ფუნქციებით, ხოლო ადმინისტრაციულ-სახელისუფლებო და საგამომძიებლო უფლებამოსილებით აღჭურვა საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ძირითადად ეს ორგანოები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც მონაცემთა დაცვის ტრადიციები არსებობს, გავრცელებულია სპეციალური თანამდებობა, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვაზე ქვეყნის შიგნით. საკმაოდ გავრცელებულია მონაცემთა დაცვა არა ერთი ორგანოს, არამედ ორგანოთა სისტემის მიერ. მაგალითად, ავსტრიის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის საბჭოს და კომისიას.¹

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორმალური, იურიდიული დაცვის მექანიზმები პირველად მეოცე საუკუნის შეერთებული შტატების სამართალში ჩნდება. შესაბამისად ე.წ. “ფრაივერსის” სამართლებრივი ცნება ამერიკული სამართლის პირშეშოა. მაგრამ ის ინტელექტუალური და ისტორიული საფუძვლები, რომლებიც იურიდიულ მექანიზმებს დაედო საფუძვლად, უძველეს ხანაშივე არსებობდა. ბერძნული და რომაული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ კერძო და საჯარო სფეროების ერთმანეთისგან გამიჯნვა. სოკრატესა და არისტოტელეს დროიდან მომდინარეობს დისკუსიები პიროვნებისა და სახელმწიფოს როლის შესახებ, რამაც გარკვეულად გამიჯნა კერძო და საჯარო სფეროები.²

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებით ჩვენი ქვეყნის ისტორია გამდიდრდა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტით. სახეზეა ქვეყნის გრძელვადიანი მოქმედების ძირითადი კანონი, რომელიც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი მშენებლობის სამართლებრივი საფუძველია. ახალმა კონსტიტუციამ სრულიად ახალ საწყისებსა და პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძვლებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციასთან, ადამიანთა ძირითად უფლებებთან და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. კონსტიტუციის მეოცე მუხლის თანახმად: “ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი, აგრეთვე საშუალებებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

¹ მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული სამართალი. თბილისი, 2004 წ. გვ. 100-109.

² პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისუფლების ინსტიტუტი. 2005 წ. გვ. 9.

არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა”.¹

მიუხედავად კონსტიტუციური განმარტებისა, საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში სხვა საკანონმდებლო აქტები იშვიათად გვხვდება. საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ცალკე ერთიანი კანონმდებლობა არ არსებობს, შესაბამისად, ამ უფლების გარანტიები ძირითადად სხვადასხვა კანონშია გაბნეული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტად არის აღიარებული.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად:

“პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისგან.

თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოებების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის ამავე საშუალებებში.

კოდექსის მე-18 პრიმა-მუხლში ნათქვამია, რომ “პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ, ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირს წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება.”²

როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შესაძლებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების აღდგენა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლების გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად არც ისე ხშირად ხდება და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკაც თითქმის არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსის გარდა, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები გვხვდება 2000 წელს მიღებულ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის თანახმად, აღიარებულია ინფორმაციის თავი-

¹ საქართველოს კონსტიტუცია. მე-20 მუხლი.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მე-18 მუხლი.

სუფლება და ინფორმაციის მიღების პროცედურები. სწორედ აქ არის განმარტებული პერსონალური მონაცემების ცნება. კოდექსის თანახმად, პერსონალური მონაცემები განმარტებულია, როგორც: “საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.” ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოებში მის შესახებ ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეასწოროს იგი.¹

პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას გარკვეულწილად ემსახურება საქართველოს კანონი საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ.

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის, მომზადების, ჩატარების, მოპოვებული მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების სამართლებრივ საფუძველს. იგი აწესრიგებს აღწერის პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობებს, განსაზღვრავს აღწერის ჩატარების ძირითად საპროგრამო დებულებებსა და მეთოდებს, აღწერაში მოქალაქეთა მონაწილეობასა და აღმწერი პერსონალის უფლება-მოვალეობებს, აღწერის შედეგად მიღებული პერსონალური მონაცემების საიდუმლოების სახელმწიფო გარანტიებს.

აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მიღების მიზნით, რაც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დასადგენად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დასამუშავებლად, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არამქონე პირი ვალდებულია გაიაროს აღწერა.

აღწერის პერსონალური მონაცემები საიდუმლოა და აღწერილი პირის თანხმობის გარეშე არ ექვემდებარება გაცემა-გასხვისებას. აღწერილი პირის თანხმობის შესახებ მონაცემები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღმწერ პერსონალს ეკრძალება აცნობოს ვინმეს პირის შესახებ შევსებული აღწერის დოკუმენტის შინაარსი. პერსონალური მონაცემების გამოყენების წესის დარღვევისათვის აღმწერ პერსონალს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.²

ძირითადი მონაცემების დაცვას მესამე მხარისგან ან საზოგადოებისაგან დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის.

პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირად საიდუმლოებას შეიცავს, დახურულია საზოგადოებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ასევე დახურულია იმ პირთათვის, რომელსაც იგი ეხება. პირის უფლება, დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. თუ პირს სურს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის მიღება, იგი წერილობით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას. თუ რომელიმე საჯარო დაწესებულება აგროვებს პირის შესახებ რაიმე ინფორმაციას, მან აუცილებლად უნდა აცნობოს შესაბამის პირს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

¹ საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსი. მე-3 თავი.

² საქართველოს კანონი საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ.

საქართველოს, რომელიც ევროპის საბჭოს წევრია, ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს ევროპის ადამიანის უფლებების კონვენცია. 2001 წლის 21 ნოემბერს საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას პირთა დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას. საქართველოს ამ კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია.

ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველო ვალდებულია, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას მოახდინოს ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია. ამ საკითხთან მიმართებაში აუცილებელია სპეციალური კანონი იქნეს მიღებული, ასევე საჭიროა ცვლილებების განხორციელება სხვადასხვა კანონში იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება, გადაცემა, შენახვა და დაცვა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან დაცულ იქნეს ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას შორის.

ნინო უგრეხელიძე,
სამართლის დოქტორანტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

ნაშრომში ავტორი ეხება მეტად აქტუალურ თემას, კერძოდ, პერსონალური მონაცემების დაცვას. პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას განეკუთვნება. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში ჯერ არ არის მიღებული კანონი, რომლის შინაარსობრივი დატვირთვაც ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის შესაბამისი დებულებიდან უნდა მომდინარეობდეს. კონვენციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ “კონვენციის მიზანია მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემის უზრუნველყოფა მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით.”

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არეგულირებს საჯარო დაწესებულებების მიერ იმგვარი პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების ან გაცემის საკითხს, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ და მხოვლმხედველობრივ შეხედულებებთან, ასეთი პერსონალური მონაცემების საკითხი მაინც არ არის სრულყოფილად დამუშავებული.

პერსონალური მონაცემებისა და პირადი საიდუმლოებების ცალკეული საკითხები ასევე გაბნეულია საქართველოს კანონმდებლობაში, მაგალითად, პაციენტის უფლებების შესახებ კანონი და ა. შ. თუმცა არ არსებობს პერსონალური მონაცემების ან, საერთოდ, მთლიანი მონაცემთა ბაზის დაცვის რაიმე სტრუქტურა და, რაც მთავარია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კონტროლის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების დაცვასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

LEGISLATIVE BASE OF PROTECTION OF THE PERSONAL DATA IN GEORGIA

Defence of personal details is a part of human right and freedom. There is not concluded any law in connection with personal details defense in Georgia, content of which should be based on regulations of Euro Council's 108th convention. In the first of convention it is marked, that "the aim of convention is to ensure rights and freedom of each person on the territory of participant countries, in despite of their nationalities and residential places, privately, defense of private life inherence in connection with automatized processing of personal details".

In despite of that the law regulates the problem of such personal information collecting, processing or delivery by the public institution, that is connected with regulation, sexual or ethnical position of a person, also with political and ideological views, such question of personal details is not fully processed yet.

Special issues of personal details and personal secrets are also scattered in Georgian legislation – for example, the law about patient's rights and etc. But there is not any structure, defending personal details or whole data base and the most important, there is not any separate legal act on defending, processing, keeping and using of personal data by the legal entity of the public law – Civil Registry National Agency, which is controlled by the Ministry of Justice of Georgia.

Нино Угрехелидзе,
докторант права

ЗАКОНОДАТЕЛЬНАЯ БАЗА ЗАЩИТЫ ПЕРСОНАЛЬНЫХ ДАННЫХ В ГРУЗИИ

Защита персональных данных принадлежит к основным правилам и свободам граждан. В Грузии пока не принят закон о защите персональных данных, который должен вытекать из 108-ой конвенции Евросоюза.

В первой статье конвенции отмечено, что цель конвенции – обеспечить уважение прав и свобод каждого человека стран-участников, не взирая на национальность и место жительства, в частности: защита неприкосновенности личной жизни.

Несмотря на то, что закон регулирует сбор информации, касающейся религиозной, сексуальной или этнической принадлежности, а также политических и общественных взглядов, этот закон отрегулирован не полностью. Отдельные вопросы, касающиеся персональных взглядов и личных тайн, рассредоточены в законодательстве Грузии. Например, закон о правах пациента и т. п.

В то же время не существует структуры защиты общей базы персональных данных. И, что более важно, нет отдельного правового акта, дающего возможность Национальному агентству реестра граждан Грузии защитить персональные данные, обработку и использование этих данных.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

იურისპრუდენციაში, როგორც სხვა მეცნიერებებში, უამრავი პრობლემატური და საკამათო საკითხია, რომლის ჭეშმარიტება-მცდარობის დამტკიცება ძალიან რთულია და, ალბათ, კონკრეტული დასკვნების გამოტანა მხოლოდ გარკვეული დროის გავლის შემდეგ შეიძლება. დღეისთვის ერთ-ერთ ასეთ პრობლემას განეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს საკითხი, როგორც უამრავი მოქალაქის, ჩემი ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს. იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რამდენად ადეკვატურია ეს ინსტიტუტი თანამედროვე ქართული სამართლის სისტემაში (არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით), საჭიროა გავაკეთოთ მოკლე ისტორიული ექსკურსი. კონკრეტულად წარმოვიდგენთ რამდენიმე სახელმწიფოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობას, განვითარებასა და მათ თანამედროვე მოდელს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სათავეს იღებს სახელმწიფოებრიობის წარმოშობის ადრეულ ეტაპზე. საზოგადოება მართლმსაჯულების განხორციელებაში, სხვადასხვა ფორმით, უშუალოდ მონაწილეობდა, მაგალითად, ძველ საბერძნეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

ცალკეული მეცნიერები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას – ჰეილესტა სასამართლოს, რომელიც დღემდე რჩება საოცარ ფენომენად მართლმსაჯულების ისტორიაში. დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. სახალხო მოსამართლეებს დიკასტებს უწოდებდნენ. ათენის დიკასტერია გამოირჩეოდა მოსამართლეთა სიმრავლით, სხდომათა საჯაროობითა და უაპელაციო გადაწყვეტილებებით.

არისტოტელეს ცნობით, ჰეილეია შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული 1500 მოსამართლისაგან, რომელთაგან ჩვეულებრივ საქმეებს 501 კაცი განიხილავდა. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს იხილავდა 1000-დიკასტიანი (ანუ “ორმაგი”) შემადგენლობა. განსაკუთრებული საგანგებო მნიშვნელობის საქმეებს კი – სრული (ანუ “სამმაგი”) შემადგენლობა.

გადაწყვეტილებას იღებდნენ ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა.

ისტორიული წყაროებით, ჰეილეია იყო სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ორგანო და შედგებოდა ძირითადი და სათადარიგო მოსამართლისაგან, რომლებსაც ხალხი ირჩევდა. ისინი 30 წელს მიღწეულები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ერთი წლის ვადით აირჩეოდნენ. მოვალეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მათთვის ცნობილი არ იყო, თუ როდის გამოიძახებდნენ სასამართლო პროცესზე, ეს წყდებოდა საქმის განხილვის დღეს. სასამართლოში წარმოდგენილნი იყვნენ მხარეები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ ინტერესებს ნეიტრალური სახალხო მოსამართლეების წინაშე. მოგვიანებით სასამართლოს ატარებდნენ არეოპაგები, ეს იყო საბჭო, რომელიც შედგებოდა არისტოკრატი უხუცესებისაგან, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ინიშნებოდნენ თანამდებობაზე.

იმ ეპოქაში მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიულ ინსტიტუტს წარმოადგენდა, თუმცა იგი არ იყო დაზღვეული ცალკეული შეცდომებისაგან. მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავედ ცნო უდიდესი მოაზროვნე სოკრატე და სიკვდილი მიუსაჯა.

დღეისათვის საბერძნეთში მოქმედებს საქმეთა განხილვის განსხვავებული ფორმა, კერძოდ, სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია ოთხი მსაჯულის მონაწილეობით, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ფაქტების შეფასებისა და სასჯელის განსაზღვრის თაობაზე.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის სამშობლოდ ინგლისი ითვლება. ნაფიცი მსაჯულები ინგლისში ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დასაწყისში გამოჩნდნენ. ზოგიერთი ვერსიით, ამ ინსტიტუტმა, ინგლისური ცხოვრების წესის გაგ-
ლენით, ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ ალფრედ დიდის დროს IX საუკუნეში. თუმცა, არის მეორე ვერსიაც, რომ ეს ინსტიტუტი ინგლისში XI საუკუნეში ჩაისახა.

1116 წელს, მეფე ჰენრიხ მეორემ გამოსცა ორდონანსი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ყველა დასახლებული პუნქტიდან მოსამართლეებს დასახმარებლად უნდა შეერჩიათ სათანადო პირები, შედგა ჯგუფები – თავისებური კოლეგიები, რომლებმაც მიიღეს ჟიურის სახელწოდება.

ჟიურის წევრების მოვალეობა იყო ფიცის ქვეშ შეეცდომინებინათ მეფის მოსამარ-
თლეებისთვის შესაბამის დასახლებულ პუნქტში მომხდარი ყველაზე სერიოზული დანა-
შაულები და ნებისმიერი იმ პირების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ ან აშკარად
იყვნენ ეჭვმიტანილები ძარცვაში, განზრახ მკვლელობაში ან ქურდობაში. ასეთ ნაფიცებს
ერქვათ “ნაფიცი მოწმეები”, რომლებიც “ნაფიცი ბრალმძებლებიც” იყვნენ. ჟიურის წევრთა
მიერ მოსამართლის წინაშე დაფიცებიდან მომდინარეობს სახელწოდება “ნაფიცი”. მოწმე-
ბრალმძებლები არ იყვნენ ფაქტის მოსამართლეები ანუ ნაფიცი მსაჯულები დღევანდელი
გაგებით. ისინი ძირითადად ასრულებდნენ ფაქტის წინასწარ დამდგენი პირის ანუ
სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის მოკვლევა-გამოძიების ფუნქციას. ისინი
ფაქტებს, გამოკვლეულ და დადგენილ გარემოებებს აცნობებდნენ მეფეს ანუ ჩვენებას
აძლევდნენ. შემდეგ განხილვა გრძელდებოდა შუა საუკუნეების ინკვიზიციურ-სამძებრო
წესის შესაბამისად. საბოლოოდ, პირს დამნაშავედ მიიჩნევდა და სასჯელის დანიშვნის
საკითხს წვევტდა მოსამართლე, ჟიურის წევრების გარეშე.

ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გადასვლის პერიოდად შეიძლება
ჩაითვალოს 1194 წელი, როდესაც ნაფიცი მსაჯულების ფუნქციები გაიზარდა და მოხდა
მათი მოწვევა სისხლის და სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად. შეიქმნა დიდი და მცირე
ჟიური.

ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური ანუ “საბრალდებო ჟიური” ინგლისში ჩამოყალიბდა
მეთოთხმეტე საუკუნეში. იგი შედგებოდა 12–23 მსაჯულისაგან, ისინი შემთხვევითობის
პრინციპით იყვნენ არჩეული. ინგლისში დიდმა ჟიურიმ 1993 წლის ბოლომდე იარსება. მას
მთლიანად ჩაენაცვლნენ პროფესიონალი მოსამართლე და მაგისტრატი მოსამართლე.

ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიური არის 12 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც
ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას და გამოაქვს ვერდიქტი.

ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომელმაც
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომ ბედზე იქონია გავლენა, იყო 1215 წლის

“თავისუფლების დიდი ქარტიის” მიღება. ქარტიის 21-ე და 39-ე მუხლები ადგენდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებას, რომლის თანახმად, ყოველი დიდგვაროვანი თუ ჩვეულებრივი ადამიანი უნდა განესაჯათ მის თანასწორებს კანონიერად. 1689 წელს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში “უფლებათა ბილში” საბოლოოდ მოხდა ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის.

ინგლისში იმდენად ბევრი საქმე იყო განსახილველი, რომ საჭირო გახდა ახალი სასამართლო სისტემის შექმნა – ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წმინდა სასამართლო ფუნქციების შესასრულებლად გადაკეთება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და ვერდიქტის გამოტანის ფუნქციებით.

თუ მანამდე მოსამართლე დაპირისპირებულ მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად სამართლებრივი დონის მიხედვით არჩევდა ნაფიც მსაჯულებს, მოგვიანებით ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვით, ნაფიცი მსაჯული კონკრეტულ განსახილველ საქმეში გარკვეული არ უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ პერიოდიდან ნაფიც მსაჯულად ირჩევდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საქმის გარემოების შესახებ წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებული.

ნაფიცი მსაჯულობა საკმაოდ დამთრგუნველი და რთული იყო, რადგან ამ პერიოდში ნაფიც მსაჯულებს სჯიდნენ გაროზგვით, მოგვიანებით დაჯარიმებით, ისინი შეიძლება ჩაეკეტათ სათათბირო ოთახში და საკვები არ მიეცათ.

ინგლისის ზეგავლენით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე იმყოფებოდნენ ინგლისის გავლენის ქვეშ და შემდეგ შეუერთდნენ “საერთო სამართლის” სისტემას, მათ შორისაა: აშშ, კანადა, ახალი ზელანდია და სხვა. როგორც აშშ-ის ისტორია მოწმობს, ინგლისი, როგორც მეტროპოლია, სულაც არ იყო დაინტერესებული მართლმსაჯულების სადავეების კოლონიებისთვის გადაცემით.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო ამერიკელთა შორის სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას. თუმცა ამ ინსტიტუტის დანერგვა და შემდგომი ფუნქციონირება ინგლისის ბატონობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოსათვის სულაც არ იყო ადვილი და უმტკივნეულო. თომას ჯეფერსონის თქმით, ბრიტანეთი ხშირად ახორციელებდა დაუშვებელ, უკანონო ზემოქმედებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირების მიზნით, მათ შორის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდ ბრიტანელთათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად. ამგვარი ზეწოლა ხშირად უკუერეკიას იწვევდა, რაც გამოჩნდა 1734 წელს ჟურნალისტ ჯონ პიტერ ზენგერის საქმის განხილვისას. ბრიტანელები მას ბრალს სდებდნენ ჟურნალში მუამბოხე და ცილისმწამებლური სტატიის გამოქვეყნებაში, ყველასგან მოძულებული გუბერნატორ კობსის წინააღმდეგ. ბრიტანული სასამართლოს მოხელეები შეეცადნენ, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიურიში კობსის მომხრეები შეეყვანათ, მაგრამ ბრალდებულის დამცველმა, ცნობილმა ადვოკატმა ალექსანდრე ჰამილტონმა მოახერხა მსაჯულთა აცილება და ხელახალი ჟიურის არჩევა. ადვოკატის მიმართვის შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა ბრიტანული კანონის აშკარა დარღვევით ჟურნალისტი ზენგერი გაამართლეს.

1734 წლიდან, ზენგერის საქმის განხილვის შემდეგ, ამერიკელმა კოლონისტებმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს, რის გამოც მან იურიდიულ-პოლიტიკური ინსტიტუტის სტატუსი შეიძინა და ფაქტობრივად საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამერიკული მისწრაფება, მაქსიმალურად ყოფილიყვნენ დაცული სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, აისახა კონსტიტუციაში (1787), რომელმაც დაადგინა, რომ ბრალდებულებს უფლება აქვთ: „სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში, გარდა იმპინმენტისა, ისარგებლონ დანაშაულის ჩადენის ადგილის (შტატის თუ ოლქის) მცხოვრებთაგან მოწვეულ მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა გადაუდებელი და საჯარო მომსახურებით.“

ამერიკაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განვითარდა XIX–XX საუკუნეებში, თუმცა, მონაწილეობის თვალსაზრისით, იგი არ იყო ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. XIX საუკუნეში მოქმედებდა გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც უკრძალავდა ქალებს, შავკანიანებს ან კოლონიის ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ქონებრივი სტატუსის არმქონე პირებს, ყოფილიყვნენ ნაფიცი მსაჯულები. ეს შეზღუდვები თანდათან გაუქმდა XX საუკუნეში.

ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის საყოველთაო უფლების აღიარების შემდეგ დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ალბათობით შერჩევის პრინციპი. სავალდებულო ხასიათი მან 1970 წელს კონგრესის დადგენილებით მიიღო. დღეისათვის ამერიკის თითქმის ყველა შტატში კონკრეტულ საქმეებზე ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, საარჩევნო ან სხვა საყოველთაო სიიდან. მათ შერჩევაში ასევე მონაწილეობენ მხარეებიც, რომლებსაც უფლება აქვთ დასაბუთებით ან დაუსაბუთებლად უარი თქვან კონკრეტული პირების პროცესში მონაწილეობაზე. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა წესრიგდება 1968 წელს მიღებული სპეციალური აქტის მეშვეობით, რომელსაც მსაჯულთა შერჩევის აქტი ჰქვია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეისათვის შედარებით წარმატებულად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს. სტატისტიკური მონაცემებით, აქ ყოველწლიურად, ნაფიც მსაჯულებს 120 ათასზე მეტ საქმეზე გამოაქვთ ვერდიქტი. ეს მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში მიმდინარე სასამართლო პროცესების 90% შეადგენს. საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეების, არამედ სამოქალაქო საქმის განხილვაშიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ მხარის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას ადგენენ, არამედ მიყენებულ ზარალსაც განსაზღვრავენ და ამა თუ იმ მხარისთვის დასაკისრებელი ჯარიმისა და კომპენსაციის რაოდენობას ადგენენ. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფლებამოსილია კანონის უგულებელყოფით გაამართლოს განსასჯელი. ნაფიც მსაჯულთა ქიური ერთადერთი სასამართლო სტრუქტურაა, რომელსაც თვითონ კანონი ანიჭებს უფლებას, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, შინაგანი რწმენის, სინდისის, გამოცდილების შესაბამისად გადაწყვიტოს განსასჯელის ბედი.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დადმასვლას განიცდის. იკლო მათ მიერ განხილული საქმეების რაოდენობამ როგორც სისხლის, ასევე

სამოქალაქო სამართალში. ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს პროცესის ხანგრძლივობა, ხარჯები და ა.შ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში 1864 წელს ამოქმედდა, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას. სასამართლო რეორგანიზაციის გარდა, ამავე რეფორმის ფარგლებში დაიხვეწა პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო გამოძიებლის ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი ელემენტისაგან: I. პროფესიონალური ელემენტი – მოსამართლეთა სამაციანო კოლეგია და II. ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი კოლეგია, რომელიც შედგებოდა გარკვეული კრიტერიუმებითა და დადგენილი პროცედურებით შერჩეული არაპროფესიონალი პირებისაგან. ისინი ფიცის დადების შემდეგ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. სხდომას თავმჯდომარეობდა პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც არ მონაწილეობდა ფაქტის ანუ დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. პირველი საქმეები განიხილეს სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პყავდა როგორც მოწინააღმდეგეები, ასევე მომხრეებიც, რომლებიც მას უწოდებდნენ საზოგადოებრივი სინდისის, ცხოვრებისეული სიმართლის, ჯანსაღი აზრის სასამართლოს. მოწინააღმდეგეებისთვის კი – ის იყო ქუჩისა და მასების სასამართლო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები თავიდან მეტ-ნაკლები წარმატებით შეუდგნენ საქმიანობას რუსეთში და საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭეს როგორც უბრალო ხალხში, ისე პროგრესულ ინტელიგენციაში. ამის მიზეზი იყო გამამართლებელ განაჩენთა გამოტანის, განსასჯელთა მიმართ მანამდე არნახული გულმოწყალებისა და ჰუმანურობის გამოქვეყნების არაიშვიათი ფაქტები. ცნობილი რუსი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ანატოლი კონი, რომელიც ცნობილი იყო ორატორული გამოსვლებით სასამართლო სხდომებზე, აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური რეჟიმის დამყარებისას, კომუნისტების მიერ ეს ინსტიტუტი გაუქმდა, თუმცა XX საუკუნის ბოლოსთვის კვლავ აღდგა.

თანამედროვე რუსეთში მსაჯულთა სასამართლოს მიერ პირველი პროცესი 1993 წელს სარატოვის საოლქო სასამართლოში გაიმართა. რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს. პირის უდანაშაულობა-დამნაშაულობის საკითხს წყვეტენ არაიურისტი მოქალაქეები, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით საარჩევნო სიიდან ირჩევიან. ნაფიც მსაჯულთა ჟიური პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეს განიხილავს ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლო შედგება მოსამართლისა და 12 ნაფიცი მსაჯულისაგან. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების გამოძახებისა და შერჩევის პროცედურა, ასევე ჟიურის თავმჯდომარის არჩევისა და ფიცის დადების პროცესი სხვა ქვეყნებში არსებული კლასიკური მოდელის მსგავსად ხდება. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი მოსამართლისთვის უპირობოდ მისაღებია და მის საფუძველზე მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსეთში მხარეს – პროკურატურას შეუძლია გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი. ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი საბოლოო არ არის და იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ განსასჯელისთვის წაყენებული ბრალდება საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და სხვა მასალებით სრულად არ არის დადასტურებული, გამოაქვს

გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის გაშვების თაობაზე და რეკომენდაციას იძლევა სასჯელის შემსუბუქება-დამძიმების შესახებ.

არსებობს ექსპერტთა ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

არსებული სტატისტიკით, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საქმეთა 20%-იდან გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი, ხოლო პროფესიული სასამართლო განსასჯელთა ერთ პროცენტს ამართლებს. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა და ძალზე ბევრ საქმეზე პოლიტიკური სარჩულის მატარებელი ვერდიქტი გამოვიდა, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე საზოგადოების მოთხოვნა მაინც გაიზარდა. ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი გახდა არაპოლიტიკური, კრიმინალური კატეგორიის საქმეები, რომელზეც მსაჯულებმა სამართლიანი ვერდიქტი გამოიტანეს.

ინგლისური ანუ კლასიკური სტილით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საფრანგეთმა რევოლუციის შემდეგ მიიღო. საფრანგეთში მას საფუძველი ჩაეყარა 1808 წლის ნაპოლეონის კოდექსით. როგორც გვიან ფეოდალურ საფრანგეთში აღნიშნავდნენ, 1789 წლის რევოლუციამდე საფრანგეთს გააჩნდა სასამართლოები, მაგრამ არ გააჩნდა მართლმსაჯულება. სწორედ ბიუროკრატიულ-კორუპტირებული სასამართლო სისტემის კრიტიკის შედეგად, საფრანგეთში მომწიფდა სასამართლო სისტემის რეფორმირების კონცეფცია, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისკენ გადაიხარა. საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღება შეიძლება ოცნებად დარჩენილიყო, რომ არა კანონმდებლობის დიდი ქომაგის, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის მხარდაჭერა. სწორედ მისი დამსახურებით გახდა საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სახალხო ხელისუფლების სიმბოლო.

"იმდენად, რამდენადაც საუბარია დანაშაულის შეფასებასა და განსჯაზე, აუცილებელია დახმარებისათვის მივმართოთ მეექვსე გრძნობას, რომელსაც სინდისი ეწოდება. ამიტომ, სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ხალხის აპელირება ხალხის რჩეულთათვის. მაშინ მოქალაქეები დარწმუნებულები იქნებიან, რომ მათ პატივსა და სიცოცხლესთან დაკავშირებული საკითხები გამოსასყიდად არ ჩაუვარდებათ მოსამართლეებს, რომლებიც ისედაც უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ მათი ქონების ბედი," – განაცხადა ნაპოლეონ ბონაპარტმა 1804 წელს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მხარდასაჭერად.

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძირითადად დიდ ქალაქებში იყო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი კოლეგიისგან: საბრალდებო კოლეგია (დიდი ჟიურის ფრანგული ვარიანტი) რვა კაცის შემადგენლობით წყვეტდა სამართალში მიცემის საკითხს და 12 ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარი კოლეგია (ჟიური).

პირველი ინსტანცია არსებითად იხილავდა საქმეს და პროფესიონალი მოსამართლისგან დამოუკიდებლად წყვეტდა განსასჯელის ბრალდების საკითხს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობას პარტნიორობას უწევდა სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ვერდიქტის საფუძველზე გამოჰქონდა განაჩენი. ასეთი სახით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ

საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე იარსება, რის შემდეგაც ნაფიც მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები ერთ კოლეგიად გააერთიანეს.

ამჟამად საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცნობილია, როგორც “ასიზების სასამართლო”, რომელიც შერეულ მოდელს წარმოადგენს.

მართალია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემა საქართველოში პირველად, თეორიულად XIX საუკუნეში გახდა აქტუალური, რეალურად კი 1920 წელს ამოქმედდა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამგვარი სასამართლო სისტემის ჩანასახი ქართულ სამართალწარმოებაში გაცილებით ადრეულ საუკუნეებში შეინიშნებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნიშნები განსაკუთრებით გამოკვეთილია საქართველოს მთაში, სადაც მოსამართლეებს ხალხი მოსახლეობიდან ირჩევდა და საქმის განხილვა ფიცის დადების შემდეგ იწყებოდა.

სამედიატორო სასამართლო საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ პერიოდში სამართლებრივი კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. უძველეს ეპოქაში ძველი ბერძნები და რომაელები დავეს სამედიატორო სასამართლოების მეშვეობით აგვარებდნენ. ამგვარი სასამართლოები ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სისხლის აღების, შურისძიების ინსტიტუტის პარალელურად ფეხს იკიდებდა სამართლებრივი ინსტიტუტები. სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება სწორედ ის იყო, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავიდან აეცილებინა შურისძიება და მხარეები მორიგე-ბუდიყვენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი სასჯელით – ქონებრივი საზღაურის დაკისრებით. მედიატორებს ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანათ, რომელსაც ორივე მხარე სამართლიანად მიიჩნევდა და რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი გარკვეულ პარალელებს ავლებს სამედიატორო და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს შორის. მათი დამაკავშირებელი ორი მთავარი დეტალი ფიცის დადებასა და არაპროფესიონალ მსაჯულთა ორმხრივად არჩევის წესშია.

სამედიატორო სასამართლოების პარალელურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში, მართლმსაჯულების ფუნქციას ითვისებდა სახალხო თვითმმართველობის ორგანოებიც. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოდების მცდელობა საქართველოში ჯერ კიდევ 1917–1921 წლებში, პირველი რესპუბლიკის დროს იყო, რაც მაშინ კონსტიტუციითაც კი დაკანონდა, თუმცა ეს ინსტიტუტი სრულფასოვნად არ ამოქმედებულა, რადგან მალე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მოხდა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც გაუქმდა.

თითქმის საუკუნის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა.

2009 წლის ოქტომბერში პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2010 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე რეალურად ამოქმედდა, რასაც საზოგადოების აზრის ორად გაყოფა მოჰყვა. ჩემი მოსაზრება იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც აღნიშნულ ინსტიტუტს ეჭვის თვალით უყურებენ და დიდ მომავალს არ უწინასწარმეტყველებენ. ჩემი ასეთი ნიჰილიზმი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა: საერთოდ პროკურორის ან ადვოკატის მხრიდან ემოციური საუბარი და ფსიქოლოგიური ზემოქმედება არაპროფესიონალიზმად

მიმაჩნია, მაგრამ ამ ხერხმა შეიძლება ნაფიცი მსაჯულების ფსიქიკაზე იმოქმედოს და ისინი შეცდომაში შეიყვანოს.

ზოგი ამ ინსტიტუტის არსებობას, მისი დემოკრატიულობის გამო, ამართლებს, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს არგუმენტი მის დადებით მხარეზე სულაც არ მეტყველებს, რადგან სახელმწიფოში ბევრი ისეთი საშუალებაა, სადაც ხალხს შესაძლებლობა აქვს თავიანთი ნება-სურვილი გამოხატოს, მაგრამ არა მაინცდამაინც სასამართლოში, ვინაიდან ეს არის ურთულესი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული არაპროფესიონალი, რიგითი მოქალაქეებისაგან. თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთი დიდი დადებითი თვისება, ალბათ, მისი უნარია გააჰუმანუროს კანონი.

ყველაფერთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სიახლე გადმოგვაქვს ანგლო-საქსური სამართლის ოჯახიდან, რომელიც სულ სხვა პრინციპებზეა დაფუძნებული. მე პირადად ჩემს ოჯახში სხვისი ტრადიციების გადმოღება-დამკვიდრება მიუღებლად მიმაჩნია, რადგან ჩემი ოჯახის წევრებს სხვა მენტალიტეტი აქვთ. აქედან გამომდინარე, ეს ნაბიჯი შესაძლებელია გაუგებრობის საფუძველიც კი გახდეს.

საქართველოში ამ ინსტიტუტის დაარსება ერთ-ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელსაც მივიღებთ, ვნახავთ, აღმოვაჩენთ რომ არ გაამართლა, არ მოგვწონს და გავაუქმებთ, როგორც მოიქცა ბევრი სხვა სახელმწიფო, რომელთაგან უმრავლესობა რომაულ-გერმანულ სამართლის ოჯახს განეკუთვნება.

ფვიქრობ, საინტერესო იქნება მომავალში სასამართლოს შერეულ სისტემაზე მსჯელობა.

მარიამ ნიაური,

სამართლის ბაკალავრიატის სტუდენტი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

იურისპრუდენციაში მრავალი პრობლემატური საკითხია, ერთ-ერთი მათგანი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა, რომელიც სათავეს მრავალი საუკუნის წინ იღებს. ძვ. ათენში მას დიკასტერიად, ჰელიესტა სასამართლოდ მოიხსენიებდნენ. მეველევართა ნაწილი კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაპრად ინგლისს მიიჩნევს.

საქართველოში ეს საკითხი 2009 წლიდან დადგა დღის წესრიგში, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი მიიღო, რომლის მიხედვით 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულის ბედს თორმეტი არაპროფესიონალი ადამიანი გადაწყვეტს.

ამ ფაქტმა საზოგადოებისა და პროფესიონალთა აზრი ორად გაყო. ნაწილი დიდი იმედით შეჰყურებს, ნაწილი კი ამ სასამართლოს დიდ მომავალს არ უწინასწარმეტყველებს.

ამ ეტაპზე რაიმე დასკვნის გამოტანა ძალიან რთული და ნაადრევია, გარკვეული დროა საჭირო, რათა დავადგინოთ ამ სასამართლოს აკარგვიანობა.

ალბათ, მომავალში საინტერესო და სასურველი იქნება სასამართლოს შერეულ სისტემაზე მსჯელობა.

JURY

There are many problematic issues in the jurisdiction, one of them is jury, which was founded many centuries ago. In ancient Athens it was called as “dikasteria”, the court of Heilists. Number of researchers considers England as the ancestors of the jury.

In Georgia this question was raised in 2009, after parliament adopted new criminal code. Fortune of the accused that are charged for the crimes considered by the Article 109 of the above-mentioned code is decided by the twelve people.

This fact has divided the opinions of the society and professionals in two parts. Part of them looks at it with hope, but another part doesn't predict future for it.

It was very hard to make any conclusions at this stage. Time has to pass to judge about the pros and cons of this court.

Maybe in the future it would be very interesting to discuss the mixed system of the court.

Мариам Ниаури,
студент бакалавриата права

СУД ПРИСЯЖНЫХ

В юриспруденции много проблематичных вопросов. Один из них - суд присяжных, у которого многовековое существование. В старых Афинах суд назывался Дикастерией (суд Хеилеистов). Некоторые учёные считают английский суд началом суда присяжных.

В Грузии этот вопрос внесен в повестку дня с 2009 года, после того как в парламенте был принят новый уголовный кодекс, по которому, с учётом 109 статьи уголовного кодекса, судьбу обвиняемого решают непрофессиональные люди. Суд присяжных состоит из 12 лиц.

По этому факту общественное мнение и мнение профессионалов разделилось на две части. Некоторая часть этих людей считает этот закон перспективным, другая часть людей относится к нему скептически.

Интересно было бы провести в будущем дискуссию о смешанной судебной системе.

**Севастьянова Татьяна Евгеньевна,
кандидат юридических наук, доцент,
заведующая кафедрой
уголовного процесса и криминалистики
Института права имени Владимира Сташиса
Классического частного университета**

ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ПРЕСТУПНЫХ ДЕЙСТВИЙ, СОВЕРШЕННЫХ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ

Религия - сложный социальный феномен, который, может быть, и является мощным барьером, стоящим на пути возникновения и распространения социального зла и преступности.

Религия может выступать не только как положительное явление. В некоторых случаях в конкретных жизненных ситуациях, в которых оказываются люди и которые влияют на их сознание, чувства, волю, личность принимает решение о совершении преступления. На такое решение может повлиять конкретная криминогенная ситуация, которая влияет на сознание человека и его решение о совершении преступления (проблемные ситуации, конфликтные ситуации и др.). Это может быть связано, например, с тем, что личность может воспринимать религию как приоритетную ценность над другими. Но совершение преступления возможно лишь в случае восприятия личностью своей природы, как божественной, с искаженным представлением о понятии "духовного" и с неправильной оценкой ценностей. Если в представлении лица религия претендует на абсолютную истину, она становится или высоконравственной личностью или преступником. В некоторых случаях – религиозным фанатиком. В данном случае, необходимо проанализировать такое понятие, как религиозный фанатизм. Религиозный фанатизм - страстное выражение нетерпеливости исповедования определенных верований, которые по своей сути носят субъективный характер, отличаются искренним убеждением в абсолютной истинности принципов той или иной религии, стойкой верностью и способностью пожертвовать собственной жизнью и жизнью других ради верований. Религиозно-фанатичные проявления могут иметь место в любой религии или конфессии. Религиозный фанатизм каждого верующего формируется под влиянием различных факторов и проходит ряд этапов, причем на каждом из них внешние проявления имеют свою специфику. Внешние условия, как правило, не рожают мотивов фанатичного поведения верующих. Для этого они должны пройти через его сознание, веру, психику. Религиозная вера - это уверенность в реальном существовании сверхъестественных существ, особых качеств у отдельных предметов. На практике - это вера в святых, пророков, учителей, в возможность общения с духами, истинность догматов и религиозных текстов.

Сознание - это высшая форма отражения действительности, которая свойственна только людям, и связанная с их психикой, абстрактным мышлением, мировоззрением, самосознанием, самоконтролем своего поведения и деятельности с предвидением результатов последней. Религиозный фанатизм не рождается во время того, как индивид принимает решение действовать определенным образом, защищая свои верования противоправными и антиобщественными средствами, он рождается в период развития личности верующего, формирования его потребностей,

мотиваций, стереотипов мышления и поведения, памяти, знаний и представлений. Таким образом, религиозный фанатизм, явление социально-психологическое. Фанатизм всегда разделяет мир и человечество на две части, на два враждебных лагеря. Фанатизм не позволяет существовать различным идеям и мировоззрениям, для него не существует многообразия мира. Все, что отличается от мышления фанатика - враждебно. В таких случаях, недостаточно простого социально-правового воздействия на таких лиц, должна быть разработана специальная программа, которая будет влиять на сознание лиц, склонных к религиозному фанатизму. Психология фанатика-одиночки отличается от психологии фанатика - члена тоталитарной секты. Это связано с тем, что такая среда становится криминогенным фактором, когда отдельные лица или группы лиц на почве религиозности образуют собственную антисоциальную и криминальную религиозную культуру. Общественно-опасными последствиями таких преобразований является возникновение религиозной преступности, т.е. преступлений, совершаемых в процессе или в связи с вероисповеданием. В этом случае, религиозная преступность - это общесоциальное, общественно опасное явление, основанием которого является противоречие общественного бытия с религией и духовным сознанием, что проявляется в совокупности однородных преступлений, совершаемых в этой сфере. В данном случае, внимание должно уделяться такому явлению как криминальная субкультура, где подразумевается особая сфера культуры, целостное суверенное образование внутри господствующей культуры, которое отличается собственным целостным строем, обычаями, нормами. Представители или так называемые носители субкультуры заинтересованы в том, чтобы сохранить собственные законы, по которым они живут, и противопоставить их в противовес господствующей культуре, которую они воспринимают как "чужую". В современном мире примером такой субкультуры можно считать религиозные секты. Эти культовые объединения нередко называются авторитарными, во главе сект обычно стоят харизматические лидеры, представляют себя пророками или даже божествами. Во многих сектах господствуют единомыслие и самая строгая дисциплина, дух свободного общества здесь часто потерян. Однако, несмотря на жесткие меры, применяемые к адептам "новых религий", многолетняя работа с культовыми объединениями не дала ощутимых результатов. Напротив, она нередко вызывает эффект бумеранга: сторонники эксцентрических верований предстают жертвами, мучениками, страдальцами. Догматичность религии поддерживается и закрепляется церковью, которая требует от верующих строгого подчинения ее канонам. Религиозный культ, в свою очередь, вырабатывает у верующих определенные стереотипы сознания и поведения. В любых общественно-экономических формациях религия становится важным средством освящения существующих социальных порядков. С этой целью она активно используется государством, господствующими слоями. В классовых обществах религия является не только важной составляющей духовной культуры, но и может стать ее доминантой. В этом случае в системе ценностей духовной культуры ценности занимают ведущие, главные позиции, и это накладывает отпечаток на всю культуру и общественное сознание в целом (философию, искусство, мораль).

Жизнь человека регулируется нормами и правилами. Деятельность людей превратилась бы в хаос, если бы они не придерживались правил, определяющих поведение в соответствии с ситуацией. Норма поведения - это общеобязательное, формально определенное правило поведения, установленное или санкционированное государством как регулятор общественных отношений, которое официально закрепляет меру свободы и справедливости согласно общественных, групповых и индивидуальных интересов (свободы) населения страны, обеспечивается всеми мерами государ-

ственного воздействия, вплоть до принуждения. Изучение поведения, которое не соответствует социальной норме – одна из задач психологии. Психологические теории преступлений, выводимые из учения Фрейда или иных психологических концепций, в лучшем случае могут объяснить лишь некоторые аспекты преступлений. Существует множество различных видов преступлений, и предположение, что те, кто их совершает, имеют специфически похожие психологические характеристики, кажется неправдоподобным. Даже если мы ограничимся характеристикой преступлений, совершаемых на религиозной почве, то обнаружится множество различных обстоятельств. Некоторые такие преступления совершаются индивидами, другие - организованными группами.

На решение совершить преступление на религиозной почве влияют особенности психических процессов личности: память человека, мышление, интуиция и особенности развития интеллекта, воля и воспитание.

Особенности умственной деятельности лиц, совершивших преступление на религиозной почве, заключаются в том, что их мышление всегда соответствует потребностям, целям, мотивам деятельности и поведения. Мотивы мышления могут быть: общественно ценными и антиобщественными, имеющими отрицательную направленность. Один субъект, имея хорошо развитые качества ума, стремится к полезной деятельности, другой - использует свой ум, находчивость в антиобщественных действиях: организует преступную деятельность, формирует религиозные секты. Поэтому воспитание мотивации умственной деятельности таких лиц, изменение негативной направленности - главное в развитии их мышления. Использование некоторыми лидерами религиозных групп контроля сознания может влиять и на процессы мышления. Цель методики - вызвать у человека ощущение своей значимости, будто он именно тот человек, которого ждали. Новичок полностью опекается членами группы и не отпускается из поля их зрения ни на минуту. Такая изоляция не позволяет новичку получать любую другую информацию помимо той, которая навязывается ему членами секты. Такая техника останавливает мышление, вводит новичка в медитацию: монотонные песнопения и одни и те же действия полностью контролируют его сознание и волю. Техника контроля мышления состоит в том, что страх вызывается признанием вины даже за те действия, которые жертва сектантского влияния не совершала. Отказ от сна, ненормальное питание маскируются как путь к достижению духовности. Таким образом, торможение самостоятельного мышления делает жертву зависимой от внушений членов секты. Такой человек не контролирует свою волю и становится идеологическим и физическим оружием преступных религиозных групп. Тоталитарное порабощение сознания человека приводит к программированию потенциального преступника на противоправную деятельность. Склонность человека к совершению преступлений на религиозной почве определяется его индивидуальной психологической возможностью осознавать смысл своих действий. Стресс, фрустрация, физиологический аффект, все это может стать основанием для возможного контроля сознания нормальной личности.

Другим элементом психологических особенностей личности являются чувства. Чувства - одна из основных форм переживания человеком своего отношения к предметам и явлениям действительности, отличающихся относительной устойчивостью. В отличие от ситуативных эмоций и аффектов, отражающих субъективное значение предметов в конкретных условиях, чувства выделяют явления, имеющие стабильную мотивационную значимость. Чувства верующей личности отличаются от чувств неверующей. Характер этого различия определяется спецификой того, как и во что она

верит. Проблема в данном случае состоит в том, что мотивация сектантов гораздо устойчивее, чем у обычных преступников.

Еще один элемент – воля, как способность человека, которая проявляется в саморегуляции своей деятельности и различных психических процессах. В качестве основных функций воли выделяют: выбор мотивов и целей, регуляцию побуждения к действиям при недостаточной или избыточной их мотивации, организацию психических процессов в адекватную выполняемую человеком систему, мобилизацию физических и психических возможностей в ситуации преодоления препятствий при достижении поставленных целей. К волевым качествам, которые наиболее характеризуют силу воли личности, относятся самостоятельность и инициативность. Самостоятельность – это умение обходиться в своих действиях без чужой помощи, а также умение критически относиться к чужим влияниям, оценивая их согласно своим взглядам и убеждениям. В данном случае, самостоятельные личности почти не подлежат влиянию представителей религиозных сект. Инициативность – это умение находить новые, нестандартные решения и средства их осуществления. Противоположными качествами являются безынициативность и зависимость. Такой человек легко поддается влиянию других людей, действия, поступки, собственные решения вызывают сомнения, он не уверен в их правильности и необходимости. Одним из важных волевых качеств человека является его решительность. Решительность – это умение принимать обдуманные решения, последовательно воплощать их в жизнь. Решительность выражает способность человека своевременно принимать обоснованные решения и без лишних колебаний и задержек выполнять их; ей противостоит нерешительность. Нерешительность является проявлением слабости воли. Нерешительный человек склонен или отвергать окончательное принятие решения, или без конца его пересматривать. Воля личности характеризуется также ее организованностью, которая заключается в умении человека руководствоваться в своем поведении твердо намеченным планом. Это качество требует умения не только твердо идти по намеченному плану, но и проявлять необходимую гибкость при изменении обстоятельств действительности. Совокупность положительных (базовых и системных) волевых качеств образует силу воли личности.

Согласно указанным признакам можно выделить следующие группы субъектов, совершивших преступление на религиозной почве: лица с положительно направленной сильной волей и устойчивыми волевыми качествами, которые совершают, как правило, преступления по неосторожности; лица с положительно направленной, но слабой волей, такие совершают преступления под давлением других людей, а не по собственному желанию (религиозные секты); лица с отрицательно направленной (аморальной и морально невоспитанной) слабой волей; лица с уголовно направленной сильной волей, ярко выраженными негативными волевыми качествами; лица с психическими аномалиями, к которым необходимо применять меры медико-педагогического характера (фанатики).

Большое влияние на возникновение мотива совершить преступление имеет участие лица в религиозных группировках, которые пропагандируют религиозную ненависть и вражду. Пребывание в таких группах формирует согласование своих действий и поступков с действиями и поступками других, подчинение своих интересов интересам большинства. Угнетение ощущения собственной значимости, участие в противоправных действиях вызывает у личности желание повысить свой статус в группе, и может быть причиной или мотивом совершения преступления. Особенно опасно пребывание в таких группах (сектах) несовершеннолетних. Потому что подросткам-правонарушителям свойственны: стремление к самостоятельности, особая склонность ставить все под сомнение,

некритическое подражание, болезненные самолюбие и обидчивость, острая реакция на оценку их поступков; некоторая неустойчивость интересов, повышенная возбудимость; неустойчивость убеждений и волевых качеств. Контроль свободы членами религиозных групп - это специальная программа, которая состоит в групповом давлении со стороны членов секты и которая отражает колебания и вызывает желание выполнять все установки членов секты. Поэтому при индивидуальной работе, направленной на формирование волевых качеств у личности, особого внимания требуют те лица, которые не имеют твердых целей и жизненных установок. Важным стимулом может быть общественная оценка волевых усилий: руководитель религиозной преступной группировки, положительно оценивая поступок члена такой группы, тем самым стимулирует его повторение. В любом случае, независимо от совершения преступления лицом лично или в составе религиозной секты, главная цель уголовного права и криминологии - установить мотив преступления - установить, что побуждает субъекта совершить общественно опасное деяние, в чем заключаются психологические особенности совершения преступления, что внутренне направляет личность на его совершение. Религиозный мотив - это намерение лица, направленное на совершение преступления, обусловленное его религиозными или антирелигиозными убеждениями. Именно такие убеждения и признаются общественно опасными. На сегодняшний день, среди таких мотивов признается "религиозная ненависть" и "религиозная вражда".

Существуют сдерживающие факторы, которые выполняют функцию своеобразных «тормозов», препятствующих немедленной реализации возникших побуждений. Эти сдерживающие факторы могут быть внешними, и тогда на первом месте закономерной будет их принудительная сила, заставляющая индивида независимо от его субъективного желания действовать так, а не иначе. Такими факторами могут быть различные социальные нормы, деятельность государственных органов и общественных организаций, общественное мнение и т.д. Но любая личность, в том числе и преступник, действует не только и не столько под влиянием внешней принудительной силы, сколько в результате сознательно принятого решения, которое соответствует ранее сформированным взглядам, представлениям, оценкам. Деяние субъекта всегда является выражением определенных внутренних черт его духовного мира, сформировавшегося под влиянием внешних факторов. Возникновение и реализация мотивов преступной деятельности в значительной степени зависят от того, совершено преступление в одиночку или группой. Это обстоятельство накладывает существенный отпечаток не только на побуждение субъекта, но и на проявление социальных детерминантов преступности, на оценку конфликтной ситуации, на решимость совершить преступление, на само преступление и его последствия. Религиозную группу характеризуют те же элементы, что и группу обычную. Ее особенностью является разве то, что члены такой группы совместно реализуют цель религиозного характера и руководствуются в своем поведении религиозными нормами. Общественная опасность существования таких групп (сект) состоит в том, что кроме преступлений на религиозной почве, они провоцируют совершение и других преступлений, которые совершаются для поддержания деятельности секты (кражи, мошенничества и т.д.). Таким образом, преступление и преступника необходимо рассматривать в диалектическом единстве. Без этого невозможно разобраться в источниках преступного деяния, выявить механизм его совершения. Ведь преступное поведение, как и любое поведение человека, имеет две основные группы признаков. Субъективные - мотивы, цель, намерение человека и объективные - физические движения и действия. Преступление, прежде чем воплотиться в опасные для общества действия, проходит стадию

внутреннего психологического созревания. Таким образом, совершение преступления на религиозной почве - это отражение соответствующего психического состояния личности. Психические состояния являются устойчивой интеграцией всех психических проявлений человека при определенном его взаимодействии с действительностью.

Влияние на человека с соответствующим психическим состоянием, которое может привести к совершению преступления на религиозной почве, должно начинаться с использования тех источников, которые действительно могут повлиять на сознание.

Совершая преступление на религиозной почве, субъект считает, что в основе его действий лежит преданность вере, преданность богу. Но эти убеждения ошибочны, так как действительно истинная вера в бога, в добро, в мораль является источником противодействия преступности.

И уже в самой Библии мы можем найти призывы: «Сын мой! Если будут склонять тебя грешники, не давай согласия; если будут говорить: "иди с нами ...", - сын мой, не уходи с ними, удержи ногу свою потому, что ноги их бегут ко злу» (Притч. 1: 10 -19).

Используемая литература:

1. Андреева Г. М. Социальная психология. – М., 1980. – 345 с.
2. Беличева С. А. Основы превентивной психологии. – М., 1993. – 299 с.
3. Бочелюк В.Й., Денисова Т.А. Кримінально-виконавча психологія.- К.: Видавництво Істина. – 2008. – 327с.
4. Донцов А. И. Психология коллектива. – М., 1984. – 226 с.
5. Ковалев В.И. Мотивы поведения и деятельность. – М.: Наука, 1988. – С. 128–141.
6. Майерс Д. Социальная психология. – СПб., 1997. – 306 с.
7. Немов Р.С. Психология. В 2 кн. – Кн. 1. Общие основы психологии. – М., 1994.– 455 с.
8. Немов Р.С. Психология. В 3 кн. – Кн. 1. Общие основы психологии. – М., 1998.– 688 с.
9. Общая психология / Под ред. А.В. Петровского. – М.: Просвещение, 1986. – 430 с.
10. Общая психология / Под ред. В.В. Богословского, А.Г. Ковалева, А.А. Степанова. – М.: Просвещение, 1991. – 544 с.
11. Петровский А.В. Теоретическая психология / А.В. Петровский, М.Г. Ярошевский. – М., 2001.– 455 с.
12. Слободчиков В.И., Исаев Е.И. Психология человека. – М., 1995. – 321с.
13. Социальная психология / Под ред. А.В. Петровского. – М., 1987. – 455с.
14. Тихомиров О.К. Понятия и принципы общей психологии. – М.: Изд-во МГУ, 1992. – 321 с.
15. Узнадзе Д.Н. Общая психология. – Тбилиси, 1964. – 636 с.
16. Фрейд З. Теория бессознательного. – М.: Наука, 1980.– 346 с.
17. Фромм Э. Анатомия человеческой деструктивности. – М., 1994. – 411с.
18. Хекхаузен Х. Мотивация и деятельность. В 2-х томах. – М., 1986.
19. Хьел Л., Зиглер Д. Теории личности. – СПб.,1997. – 332 с.

ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ПРЕСТУПНЫХ ДЕЙСТВИЙ, СОВЕРШЕННЫХ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ

Статья посвящена изучению причин и условий совершения преступлений на религиозной почве, факторам, которые влияют на возникновение и реализацию криминогенной мотивации в поведении личности; содержанию и значению социально-психологических характеристик структуры личности преступника; особенностям психологического состояния личности, которая совершает преступления на религиозной почве; психологическим особенностям преступных групп (религиозных сект), а также общим вопросам психологии преступлений, совершенных на религиозной почве.

ტატიანა სევასტიანოვა

რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობების ფსიქოლოგიური თავისებურებები

განხილულია რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობების მიზეზი და პირობები, რომლებიც ვლინდება პიროვნების მოქმედებაში კრიმინოგენური სიტუაციის წარმოშობისა და რეალიზაციისას; დამნაშავეს სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორის შინაარსი და მნიშვნელობა; პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობის თავისებურება, რომელსაც დამნაშავე სჩადის რელიგიურ ნიადაგზე; დამნაშავეთა ჯგუფის (რელიგიური სექტის) ფსიქოლოგიური განსაკუთრებულობა, აგრეთვე რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი დამნაშავეის ზოგადი საკითხები.

Sevastianova Tatiana

PSYCHOLOGICAL FEATURES OF THE CRIMINAL ACTS COMMITTED ON THE BASIS OF RELIGION

There are studied the causes and conditions of crimes based on religion, factors that influence on the emergence and implementation of criminal motivation in the behavior of the individual, the content and meaning of socio-psychological characteristics of personality structure criminals, especially the psychological state of the person, who commits crimes based on religion, psychological features of criminal groups (sects), as well as general issues of psychology of crimes committed on religious grounds.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა, მათ შორის, ერთ-ერთი სიახლე დისკრეციის პრინციპის დაკანონებაა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

„დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულებისამებრ¹. ქართულ საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში იგი დიდი ხანი არაა, რაც დამკვიდრდა.

დისკრეციის პრინციპს საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა დიდი ხანია რაც იცნობს. შესაბამისად, არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ეხება პროკურორის დამოკიდებულებას ბრალდების მოცულობასა და ბრალდების ბედზე. პირველი უფრო კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს მას სასამართლოში. აქ პროკურორის უფლებამოსილება მინიმალურია და იგი, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი.

მეორე – საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და სწორედ ის განსაზღვრავს, საკუთარი უფლებამოსილების საფუძველზე დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუ უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და ამ დროს სასამართლო კონტროლი მასზე არ ხორციელდება².

სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლით და „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით.³

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, თეორიულად მნიშვნელოვანია, თუ ვის მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ, რაც ვფიქრობ, ბევრ გაუგებრობას იწვევდა. მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ-იურისტების მხრიდან იყო დავა, თუ როდის იწყებოდა დევნა

¹ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბილისი 2004. გვ. 483.

² გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

³ საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, თბილისი, 2008 წ.

ექვემოტანილის ან ბრალდებულის მიმართ. ეს გაუგებრობა, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა ექვემოტანილის ინსტიტუტს. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააუქმა ეს ინსტიტუტი და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს მხოლოდ ბრალდებული პირის მიმართ მისი დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით კონკრეტულად არის განმარტებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა ანუ პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო დანაშაულის ყველა ფაქტზე, რაც თავისთავად მოიცავს პროკურორის უფლებას, მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში, დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ე.ი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის შეხედულებაზეა დამოკიდებული და არავითარი კავშირი არა აქვს დაზარალებულთან და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, რაც ცნობილია, როგორც დევნის დისკრეციულობის პრინციპი. ე.ი. დევნის დაწყება, ახალი კანონის თანახმად, მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა და დაზარალებულს მხოლოდ იმის უფლება რჩება, რომ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან (სსსკ-ის 168-ე მუხლი).

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორის საქმიანობის სფერო სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, შემოიფარგლებოდა საჯარო, კერძო-საჯარო, სუბსიდიური და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით. ახალი საპროცესო კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული და არ არის გათვალისწინებული მისი სახეებად დაყოფა. კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო. ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა რეგულირებული იქნება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულ იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა, სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად, უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ამ ბრძანების თანახმად, მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მოიცავს: დამნაშავეთა წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე, დანაშაულის შემცირებასა და საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ შიშის აღმოფხვრას, დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური დანაკარგებისა და ეკონომიკური ხარჯების შემცირებას, საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციე-

ლების შესახებ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე, მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანამიმდევრულსა და გამჭვირვალეს ხდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლების-დაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის როლი მნიშვნელოვანია. პროკურატურა არის ორგანო, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ სრულიად საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

სწორედ პროკურორმა უნდა დაადგინოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს მართებულად, რომ დანაშაული ნამდვილად სახეზეა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების წარსადგენად.

პროკურორმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებისა და დევნის პროცესის სწორად მართვა გამოძიებლისათვის შესაბამისი მითითებების გაცემის გზით. აღნიშნული ასევე მოიცავს დამატებით მტკიცებულებების მოძიებასა და გამოძიებისათვის საჭირო მიმართულებების განსაზღვრას. პროკურორმა საჭიროა დროულად განსაზღვროს, თუ რომელ საქმეზე უნდა იქნეს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული და რომელზე უნდა შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

რა თქმა უნდა, პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს მოქმედებს მისი საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

როგორც აღინიშნა, პროკურატურას თავის საქმიანობაში ფართო უფლებამოსილება გააჩნია. სსს კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურორს სისხლის სამართლის პროცესში ეკისრება სხვა ფუნქციაც, რაც განსაზღვრულია სსს კოდექსით და კანონით „პროკურატურის შესახებ“. გამოძიების სტადიაზე ბრალდების ფუნქცია არ არის პროკურორის საქმიანობის ერთადერთი მიმართულება, ის

აუცილებლად შეხამებული უნდა იყოს დაცვისა და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ, აღნიშნულის საპირისპიროდ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი „ბრალდების მხარე“ – არის სასამართლო სტადიის პროცესი და არა სასამართლომდელი,¹ რაც არასწორად მიგვაჩნია. ამას ადასტურებს აღნიშნული საკითხისადმი სხვა სპეციალისტების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და შეფასება.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სწორად გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ამით გარკვეულად ამაღლდება პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, როცა პროკურორს გამოაქვს და უდგენს კონკრეტულ პიროვნებას დადგენილებას ბრალდების შესახებ, თავისთავად, ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. მას, მოსამართლის მსგავსად, არ მოეთხოვება გაექცეს საკუთარი აზრების გამოთქმას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. მთავარია, რომ ბრალდების თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმისას პროკურორი ხელმძღვანელობდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.

პროკურორი, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, თავისი უფლების რეალიზაციას ახდენს მისი კომპეტენციის ფარგლებში, რათა საჯაროდ გამოააშკაროს დანაშაულის ჩამდენი პირი. როცა პროკურორი წვევს სისხლის სამართლის საქმეს ან სისხლისსამართლებრივ დევნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით, ეს არ ნიშნავს, რომ ის ასრულებს დაცვის ფუნქციას და ხელი აიღო დევნაზე, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში მას არ გააჩნია საფუძველი სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად.²

პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საკმაოდ შრომატევადი, რთული და პასუხსაგები საქმიანობაა. მას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი უფლებები, რომელთა რეალიზაციასაც ახდენს, ერთ შემთხვევაში, გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით და გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებით, მეორე შემთხვევაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურორი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. ორივე საპროცესო ფუნქცია გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნებების განმარტებებიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს გამოძიების სტადიაზე ჩატარებულ ყველა ძირითად საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ. აღნიშნულზე კი, თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო ხელმძღვანელობას პროკურორი ახორციელებს. ე.ი სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამოირჩევა პროკურორის მიერ გამოძიების საპრო-

¹ Савицкий В.М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 53.

² Баев О. Я. Прокурор как субъект Уголовного преследования. Научно практическое пособие. М. 2006 г. стр.23.

ცესო ხელმძღვანელობას, პირიქით, “სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა წინასწარი გამოძიებისას პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდია, ხერხია, იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება”.¹

პროკურორი, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, დაკავების თუ დაკავების გარეშე პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან დაწყებული საქმეზე გამოძიების დამთავრებამდე, სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას ატარებს, კერძოდ, გამოძიების ჩატარებას ავალებს გამოძიების ორგანოებს ან გამომძიებელს, უშუალოდ მონაწილეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში, გამომძიებელს აძლევს გარკვეულ მითითებებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას და წინასწარი გამოძიების წარმოებისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე, ითხოვს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ან მთლიანად საქმეს, ასევე მონაცემებს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ. მას შემდეგ, რაც პროკურორი დარწმუნდება, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებების ჩატარების შედეგად საქმეზე შეკრებილ იქნა საკმარისი მტკიცებულებები პირისთვის ბრალდების წასაყენებლად და ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და სასამართლოს მიმართავს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად, გამოძიების დამთავრების შემდეგ კი საქმეს აგზავნის სასამართლოში განსახილველად.

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით არ მთავრდება პროკურორის მხრიდან დევნის ფუნქცია. პროკურორი ვალდებულია, ბრალდების წაყენების შემდეგაც განახორციელოს ყოველმხრივი და სრული დევნის ღონისძიებები, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რათა შეაგროვოს მტკიცებულებები პირის მიმართ. „დევნის მიზანი სწორედ ის არის, რომ როდესაც პირი დანაშაულის ჩადენაში იმხილება და ბრალდება წარედგინება, ამ პირის მიმართ გაგრძელდეს დევნის მწარმოებელი პირის საქმიანობა და საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება”.²

როგორც საქართველოში მოქმედი საპროცესო ნორმებიდან, ისე პრაქტიკული საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, რომ პროკურორის საქმიანობის მიმართულება და დანიშნულება არ იცვლება იმის მიხედვით, თუ როდის წარმოებს სისხლისსამართლებრივი დევნა – ბრალდების წაყენებამდე თუ მის შემდეგ.

პროკურორის მიერ განხორციელებული დევნის ფორმები სისხლის სამართლის პროცესში განსხვავდება შესაბამისი სტადიებიდან გამომდინარე. გამოძიებაში სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანები პროკურორისათვის შემდეგია: უზრუნველყოს დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, უზრუნველყოს საქმის ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, გამოავლინოს ის გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, ასევე უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა.

¹ გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 31 ოქტომბერი, 1977 წელი.

² ი. აბაშიძე. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ბათუმი, 2008, გვ. 28.

პროკურორს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანის გადასაწყვეტად სხვადასხვა საპროცესო საშუალების გამოყენება შეუძლია.

საყურადღებოა საკითხი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის მნიშვნელობის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი და გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება სასამართლოში არ საჩივრდება. როგორც სსს კოდექსშია განმარტებული, იგი შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს დაზარალებულმა ზემდგომ პროკურორთან.

სავსებით მართებულია, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესებით, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ სასურველი იქნებოდა დისკრეციული დევნის პირობებში უფრო მეტად გათვალისწინებულიყო დაზარალებულის ინტერესი, რომელიც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღარ წარმოადგენს მხარეს, იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მოწმეს და მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლო კონტროლის მეშვეობით, შეძლოს საკუთარი უფლებისა და თავისუფლების დაცვა.

როგორც ჩანს, პრაქტიკულად აღარ არსებობს როგორც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის, ასევე პროკურორის მიერ გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, მაშინ, როცა ევროპის მოწინავე ქვეყნების, კერძოდ, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვათა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას – სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ¹.

პროკურორს სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტებს შორის უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და გააჩნია ფართო უფლებამოსილება, ამასთან, გარკვეული ვალდებულებები, რათა განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა სახელმწიფოს სახელით.

ამრიგად, პროკურორის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის სუბიექტის, რომელიც გამოძიების სტადიაზე ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, მთავარი ამოცანაა, საქმეზე საჭირო ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებით, შეკრიბოს საკმარისი მტკიცებულებები და მათზე დაყრდნობით დამნაშავე ბრალდებულის სახით მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საბოლოო ჯამში, საქმეზე დაადგინოს სრული და ობიექტური ჭეშმარიტება და საქმე წარმართოს სასამართლოში, რაც ამ სტადიაზე სისხლის სამართლებრივი დევნის ძირითადი მიზანია.

¹ Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 20. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головки. М., 2000. კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. Klaus Roxin. Streaßprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. S. 18.

**პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება
სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში**

განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, პროკურორის როლი და მნიშვნელობა მისი განხორციელების საქმეში. გადმოცემულია დისკრეციის პრინციპის დაკანონების შესახებ თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, მიზნები და ამოცანები.

Givi abashidze,
PHD Student

**DISCRETIONARY COMPETENCE OF THE PUBLIC PROSECUTOR TO THE
REALIZATION OF CRIMINALLY-LEGAL PROSECUTION**

There is considered the question of the beginning and realization of criminally-legal prosecution according to the criminally-remedial legislation of Georgia as discretionary competence of the public prosecutor. There is considered the role and value of the public prosecutor in business of its realization. There is noted principle legalization of the discretion in the Georgian criminally-remedial legislation; there is also specified in supervising principles, recommendations, the purposes and problems of criminally-legal prosecution, as discretionary competence of the public prosecutor.

Гиви Абашидзе,
докторант права

**ДИСКРЕЦИОННОЕ ПРАВОМОЧИЕ ПРОКУРОРА НА ОСУЩЕСТВЛЕНИЕ
УГОЛОВНО-ПРАВОВОГО ПРЕСЛЕДОВАНИЯ**

В представленной статье рассмотрен вопрос начала и осуществления уголовно-правового преследования согласно уголовно-процессуального законодательства Грузии, как дискреционное правомочие прокурора, рассмотрена роль и значение прокурора в деле его осуществления. Отмечено узаконение принципа дискреции в Грузинском уголовно-процессуальном законодательстве, также указаны на руководящие принципы, рекомендации, цели и задачи уголовно-правового преследования, как дискреционного правомочия прокурора.

**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და
საომარ კონფლიქტში გამოსაყენებელი
პირითაღი პრინციპები**

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს არეგულირებს და, შესაბამისად, მისი მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა, სამართლიანობის საფუძველზე ადამიანთა დაცვა და სოციალური პროგრესისათვის ხელის შეწყობა თავისუფლების პირობებში¹.

“ომის სამართალი” ცნობილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოწოდებულია მაქსიმალურად შეამსუბუქოს ომის მძიმე შედეგები როგორც საომარ მოქმედებათა პერიოდში ომის წარმოებისა და საშუალებების შეზღუდვით, ასევე მეომარ მხარეთა იძულებით, დაინდონ და დაიცვან ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში.

ცნობილია, რომ ომი, თავისი შინაარსით, ძალადობის უხეში და პრიმიტიული გამოვლინებაა. როდესაც პოლიტიკურად დაპირისპირებულ სახელმწიფოებს აღარ ძალუძთ პრობლემების მოლაპარაკებით და კომპრომისებით გადაწყვეტა, ისინი საბრძოლო მოქმედებებს მიმართავენ. თავისი არსით, ომი ბოროტებაა. მარტო მე-20 საუკუნეში მსოფლიო სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა ორი მსოფლიო ომი გამოიარა, რასაც მილიონობით ხალხის სიკვდილი, ტანჯვა და მძიმე მატერიალური ზარალი მოჰყვა. ცნობილია, რომ ეს მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საქმის განხილვისას, ნიუნბერგის პროცესის მიმდინარეობისას და სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილ განაჩენშიც დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ომს გამართლება არა აქვს, ქვეყნები დღესაც კი, 21-ე საუკუნეში, კვლავ აწარმოებენ ომებს. დიდი ქვეყნები ცდილობენ თავიანთი სამხედრო სიძლიერით კვლავ დაიმორჩილონ თავისუფლებისმოყვარე მცირე ერები. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი ქვეყანაც, რომელმაც ბოლო ოცი წლის მანძილზე რამდენიმე ომი გამოიარა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოსთან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვერავინ განსჯის პატარა სახელმწიფოს, თუნდაც იარაღით შეეცადოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვას. ცნობილია, რომ აღნიშნულ ომს საერთაშორისო სამართალში “დამოუკიდებლობის ხელყოფისაგან დაცვის მიზნით წარმოებულ ომს” (“guerre d’agression”) უწოდებენ².

ჩვენი მეზობელი რუსეთი მუდმივად აპელირებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო და მას სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ იარაღი აეღო და “დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მცირე ერების უფლებები დაეცვა”. ნათელია, რომ ცივილიზებულ მსოფლიოში ამ სასაცილო არგუმენტის არავის სჯერა და რუსეთის მიერ სამხედ-

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეამბულა.

² ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესავალი, თბ. 1999 წ., გვ. 10.

რო ბაზებადაა ქცეული ოკუპირებული ტერიტორიები, სადაც დღემდე ქაოსი, უსამართლობა და დანაშაული ბატონობს.

თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალისტები ხშირად სვამენ კითხვას: რამდენად შეუძლია სამართალს ომის თავიდან აცილება? და თუ სამართალმა ვერ შეძლო ომის შეჩერება, უნდა დაინტერესდეს თუ არა სამართალი ომით და მისი შედეგებით? რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს სამართალმა პრაქტიკაში, ბრძოლის ველზე ან ციხის კედლებში? მართალი იყო თუ არა ციცერონი, როდესაც სკეპტიკურად განაცხადა: “ომის დროს კანონები ღუმს?”¹ სწორედ აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით აღნიშნულ სტატიაში.

ომის სამართლის (*Ius in bello*) შესახებ ნებისმიერი პოლემიკის ამოსავალი დებულება არის ის, რასაც თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალი სთავაზობს ქვეყნებს კონფლიქტების მოსაგვარებელი მშვიდობიანი გზების ძიებას².

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) წესდება ომს კრძალავს. უფრო მეტიც, გაერო კრძალავს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარას. კერძოდ, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფში ნათქვამია: “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა საერთაშორისო ურთიერთობებისას თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარის ან რაიმე სხვა მოქმედებისაგან, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებს”.

გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ყველა სიტუაციაში მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართონ წარმოშობილი კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადასაწყვეტად. სახელმწიფო, რომელიც შეეცდება თავისი მიზნის მისაღწევად ძალის გამოყენებას მეორე სახელმწიფოს მიმართ, არღვევს საერთაშორისო საჯარო სამართალს და მისი მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც აგრესია, მაშინაც კი, როდესაც ამ მოქმედების სამართლიანობა აშკარაა.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს წესდება არ კრძალავს ძალის გამოყენებას, როდესაც ქვეყანას თავს ესხმიან და იგი იძულებულია თავი დაიცვას. აღნიშნულ შემთხვევაში, ძალის გამოყენება გამართლებული და ნებადართულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქმედი საერთაშორისო საჯარო სამართალი კრძალავს საომარ მოქმედებებს და ძალის გამოყენებას, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც სახელმწიფო მიმართავს აგრესიისა და შეიარაღებული თავდასხმისაგან თავდაცვის უფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირდაპირ არაფერს ამბობს იმის შესახებ, აქვს თუ არა სახელმწიფოს ძალის გამოყენების უფლება³. თავად იგი არ კრძალავს ომს და ქვეყნების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით ეფრდნობა სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანების კონსტიტუციურ პრინციებს, რომლებიც გაეროს წესდებაში შედის.

¹ Michael Walzer. *Just and Unjust Wars*, New York, 1977. P. 18.

² Jean Pictet. *Development and Principles of Humanitarian Law*, Dordrecht/Geneva, 1985, P.37.

³ ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესავალი, თბ. 1999წ., გვ.13.

ფაქტობრივად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ძალაში შედის შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნისთანავე, მისი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევის გარეშე. მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ფაქტებს და არა კონფლიქტის გამომწვევ სამართლებრივ და პოლიტიკურ მიზეზებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება იწყება მაშინ, როდესაც იწყება საომარი მოქმედებები, მიუხედავად ძალის გამოყენების აკრძალვისა და თვით ამ ომის სამართლიანობისა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უნივერსალური საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანს ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება და უზრუნველყოფა წარმოადგენს. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში იმით, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში მოუწოდებს მეომარ მხარეებს ჰუმანურობისაკენ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა მტკიცე საფუძველს ქმნის კონფლიქტის დამთავრების შემდეგ მშვიდობის დასამყარებლად. თუ მეომარ მხარეებს შორის ურთიერთნდობა ომის დაწყებიდან პირველივე დღეებში დამყარდება, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების დღეც მალე დადგება. მხარეები დარწმუნდებიან, რომ საუკეთესო გამოსავალი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა და ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტა იქნება. ეს კი საუკეთესო გამოსავალი მომავალი ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას და მისი ლეგიტიმურობის დამამტკიცებელი სხვა საბუთი საჭირო აღარ არის.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსში და მის ძირითადი პრინციპის – ძალის გამოყენების აკრძალვის შინაარსში, უპრიანი იქნება, თუ თავად სამართლის ამ დარგის წარმოშობისა და განვითარების ეტაპებს მიმოვიხილავთ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალისტებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ სად და როდის გაჩნდა პირველი ჰუმანიტარული სამართლებრივი ნორმები¹. ჯერ კიდევ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამდე მტრულად განწყობილ ტომებსა და კლანებს შორის შუღლი მიზნად არ ისახავდა მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას. წესჩვეულებების შესაბამისად ჩამოყალიბდა ნორმები, რომელთა მიზანი ძალადობის შემსუბუქება იყო. თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის წინამორბედ წესებს თითქმის ყველა ქვეყნის ისტორიულ კულტურაში შეიძლება მივაგნოთ. აღნიშნულ წესებს ინახავს მრავალი ისტორიული თუ ლიტერატურული ნაწარმოები. ასეთ ნორმებს შეიცავს რელიგიური წიგნები და ძველი სამხედრო ხელოვნების მოძღვრებები (მაგალითად, ძველინდური მანუს კანონები და შუა საუკუნეების იაპონური ქცევის კოდექსი “ბუსიდო”).

შუა საუკუნეების ევროპაში კეთილშობილმა რაინდებმა ჩამოაყალიბეს მკაცრი საბრძოლო წესები, რაც მათ ინტერესებშიც შედიოდა. რაინდობის შესახებ თქმულებები და დაუწერელი კოდექსები დღემდეა შემონახული.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ წარსულში კონფლიქტის მხარეთა შორის ტყვეთა სიცოცხლის შენარჩუნებისა და გაცვლის შესახებ დადგენილი წესები დღესაც აქტიურად გამოიყენება.

¹ Emmanuel Bello. African Customary Humanitarian Law, Geneva, 1980, P.9.

მე-19 საუკუნის ევროპის მიღწევები ამ მდიდარი ისტორიული მონაცემების ფონზე უნდა შეფასდეს. აღიარებული შეხედულების თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წარმოშობა უკავშირდება ორი პიროვნების – ანრი დიუნანისა და ფრენსის ლიბერის სახელებს. სწორედ აღნიშნული პირების, რომლებმაც არც კი იცოდნენ ერთმანეთის არსებობის შესახებ, სახელებს უკავშირდება თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი კონცენფიებისა და შინაარსის ჩამოყალიბება.

დიუნანისა და ლიბერის შეხედულებებს საფუძვლად დაედო ცნობილი ფრანგი განმანათლებლის, ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილ ნაშრომში “საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ” (1762 წელი) გამოთქმული იდეა: “ომი არის ურთიერთობა არა ადამიანებს, არამედ სახელმწიფოებს შორის და ხალხი ერთმანეთის პირისპირ დგება არა, როგორც ადამიანები ან როგორც მოქალაქეები, არამედ, როგორც ჯარისკაცები”. ამ იდეიდან რუსოს გამოაქვს დასკვნა, რომ ჯარისკაცს შეიძლება ეომო მანამ, სანამ ისინი იბრძვიან. მას შემდეგ, რაც ჯარისკაცი იარაღს დაყრის, კვლავ ჩვეულებრივ ადამიანად იქცევა და ამიტომ ის მოწინააღმდეგე უნდა დაინდოს.

აღნიშნული იდეა განავითარეს დიუნანმა და ლიბერმა და სწორედ მათი მოძღვრების შედეგად ჩაეყარა საფუძველი მე-19 საუკუნეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბებას.

ცნობილ ნაშრომში “მოგონებანი სოლფორინოზე” ანრი დიუნანი დეტალურად იხილავდა საომარი მოქმედებებისას მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილებისადმი ცუდი მოპყრობისა და უმწეო ადამიანების მკვლელობის ფაქტებს. იგი შეძრული იყო დაჭრილებისა და მომაკვდავებისადმი დახმარების გაუწევლობის ფაქტებით და მოწინააღმდეგე მხარეთა ტყვეების მიმართ გამოჩენილი სისასტიკით. სწორედ დიუნანმა წამოაყენა ორი წინადადება, რომელიც კონკრეტულ მოქმედებას მოითხოვდა: სახელმწიფოებს შორის უნდა დადებულიყო შეთანხმება, რომელიც გულისხმობდა, საომარი მოქმედებების დროს, ბრძოლის ველზე სამედიცინო პერსონალისათვის ნეიტრალური სტატუსის მინიჭებას და მუდმივი ორგანიზაციის შექმნას, დაჭრილთა პრაქტიკული დახმარებისათვის.

სწორედ პირველ წინადადებას მოჰყვა 1864 წლის 22 აგვისტოს ჟენევის პირველი კონვენციის მიღება “სახმელეთო ომების დროს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ”, ხოლო მეორე წინადადებას – “წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის” შექმნა. აღნიშნული კონვენციები ცალკე განხილვის საგანია და არ შეეხებათ. ვიტყვიტო მხოლოდ, რომ აღნიშნულმა კონვენციებმა უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების საქმეში.

რაც შეეხება ფრენსის ლიბერის ცნობილ ნაშრომს, მან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ორ უმნიშვნელოვანეს პროცესს დაუდო სათავე. კერძოდ, ერთი მხრივ, იგი მომავალში იქცა ომის სამართლის სახელმძღვანელოდ, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების მეორე ეტაპს – ომის წარმოების წესების ჩასახვას. ამის დასტურია 1868 წლის სანკტ-პეტერბურგის დეკლარაცია “ფეთქებადი და ცეცხლგამჩენი ტყვიების გამოყენების აკრძალვის შესახებ”, რომელმაც აკრძალა 400 გრამამდე მასის მქონე ფეთქებადი ჭურვების გამოყენება. სანკტ-პეტერბურგში რუსეთის იმპერატორის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ომის დროს იკრძალებოდა ისეთი ჭურვების გამოყენება, რომელიც აძლიერებდა დაჭრილთა

ტანჯვას და უცილობელ სიკვდილს უქადდა მათ¹. რამდენადაც საომარი მოქმედებების მთავარი მიზანი იყო მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა მაქსიმალური რაოდენობის მწყობრიდან გამოყვანა და არა მათთვის საზარელი ჭრილობების მიყენება, კონფერენციის მონაწილეებმა შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ამ სახეობის ჭურვების გამოყენების აკრძალვაზე.

აღნიშნული კონფერენციის შემდეგ საუკუნე-ნახევარი გავიდა. მას შემდეგ კიდევ არაერთი კონვენცია და შეთანხმება იქნა მიღებული. მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ეს პრობლემები გადაუჭრელი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში გამოყოფენ რამდენიმე ძირითად პრინციპს², რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოიყენება:

1. მწყობრიდან გამოსულ პირებს – რომლებიც საომარ მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობენ აქვთ მათი სიცოცხლის პატივისცემის, აგრეთვე ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება. ისინი უნდა სარგებლობდნენ დაცვითა და ჰუმანური მოპყრობით ყველა შემთხვევაში.

2. აკრძალულია მოწინააღმდეგის მოკვლა ან დასახიჩრება, რომელიც ტყვედ ბარდება ან აღარ მონაწილეობს საომარ მოქმედებაში.

3. დაჭრილებსა და ავადმყოფებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ კონფლიქტის იმ მხარემ, რომლის ხელშიც აღმოჩნდებიან ეს პირები. დაცვით სარგებლობს აგრეთვე სამედიცინო პერსონალი, მათი სატრანსპორტო საშუალებები და სამკურნალო მასალები.

4. ტყვედ აყვანილი საომარი მოქმედების მონაწილენი (ე.წ. “კომბატანტები”) და მოწინააღმდეგის ხელში მყოფი სამოქალაქო პირები სარგებლობენ სიცოცხლის, ღირსებისა და პირადი უფლების პატივისცემით. მათ უნდა ჰქონდეთ ოჯახებთან მიმოწერისა და დახმარების მიღების უფლება.

5. ყველა ადამიანს აქვს უფლება ერთ-ერთ ძირითადზე – სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე.

6. კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის არ არის შეუზღუდავი ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები. კერძოდ, საომარი მოქმედებებისას აკრძალულია ისეთი იარაღისა და მეთოდის გამოყენება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ნგრევისა და ადამიანთა ტანჯვის გამოწვევა შეუძლია.

7. დასასრულ, კონფლიქტში მონაწილე მხარეები უნდა განახსენებდნენ სამოქალაქო მოსახლეობასა და კომბატანტებს. თავდასხმა არ უნდა განხორციელდეს სამოქალაქო მოსახლეობაზე და არც ცალკეულ სამოქალაქო პირებზე. თავდასხმა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ³.

ეს არის თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ის ძირითადი პრინციპები, რომლის დაცვაც ევალებათ საომარ მოქმედებაში მონაწილე პირებს.

რამდენად სრულდება ეს პრინციპები რეალურ ცხოვრებაში, ამის ნათელი მაგალითი საქართველოს უახლესი ისტორიაა. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნათლად გამოჩნდა, როგორ იცავს ჩვენი მეზობელი ქვეყანა გაეროსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ დადგენილ პრინციპებს.

¹ ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესავალი, თბ. 1999წ., გვ. 22-23.

² Jean Pictet. The Principles of International Humanitarian Law, Geneva, 1967, P.29.

³ International Review of the Red Cross, 1978, PP 248-249.

მერაბ რაფავა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და საომარ კონფლიქტში გამოსაყენებელი ძირითადი პრინციპები

ნაშრომი შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსს და მის ძირითად პრინციპებს.

ავტორი იხილავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წარმოშობისა და განვითარების ძირითად ეტაპებს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპების დამკვირდებას.

ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს საომარ კონფლიქტში მონაწილე პირთა მიმდებარე დაცვის გარანტიებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით აღიარებული ტყვეთა მიმართ მოპყრობის წესებს.

Merab Rapava,
Doctor of Juridical Sciences

INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW AND THE BASIC PRINCIPLES APPLIED DURING ARMED CONFLICTS

The work is about the essence and the main principles of international humanitarian law.

The author discusses what are the main origins and the stages of development of international humanitarian law. He also discusses the routes of international humanitarian principles' inculcation in the above-mentioned stages of development.

The author pays special attention to the minimum defense guarantees to the participants of armed conflicts and to the ways, captives shall be treated according to the principles of the international humanitarian law.

Мераб Рапава,
доктор юридических наук

МЕЖДУНАРОДНОЕ ГУМАНИТАРНОЕ ПРАВО И ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ, ПРИМЕНЯЕМЫЕ ВО ВРЕМЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ

Работа касается сущности и главных принципов международного гуманитарного права.

Автор обсуждает происхождение и стадии развития международного гуманитарного права. Он также рассматривает этапы внедрения международных гуманитарных принципов.

Автор обращает особое внимание на минимальные гарантии защиты участников вооруженных конфликтов и обращение с пленными согласно принципам международного гуманитарного права.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა შეიარაღებული კონფლიქტების რეგულირებაა.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალში შეიარაღებული კონფლიქტის ორ სახეს გამოყოფენ. პირველია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, ხოლო მეორე – არასაერთაშორისო (შიგა) შეიარაღებული კონფლიქტი. მათ განმასხვავებლად სახელმწიფოს საზღვრის ფაქტორი მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, თუ ომი წარმოებს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, სახეზეა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, ხოლო ერთი სახელმწიფოს ფარგლებში განხორციელებული შეიარაღებული შეტაკების შემთხვევაში – არასაერთაშორისო (შიგა) შეიარაღებული კონფლიქტი. ამ უკანასკნელს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში სამოქალაქო ომსაც უწოდებენ.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართალში უკეთ გარკვევისათვის საჭიროა ორი სიტუაციის მითითება, რომლებიც მსგავსი თვისებებით ხასიათდება. კერძოდ, გასაერთაშორისოებული სამოქალაქო ომი და შიგასახელმწიფოებრივი არეულობები, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეგულირების სფეროში ვერ ხვდება. ამიტომ ჯერ განვიხილოთ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლებრივი რეგულირების პრობლემატიკა, ხოლო სტატიის დასასრულს შევეხებით ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომებს და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი ისეთი შეიარაღებული დაპირისპირებაა, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, მთავრობასა და, მეორე მხრივ, ამბოხებულ შეიარაღებულ დაჯგუფებათა შორის მიმდინარეობს¹. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რა ტერმინით მოიხსენიება დაპირისპირებული დაჯგუფებები (აჯანყებულები, ამბოხებულები, რევოლუციონერები, ტერორისტები და სხვ.), ამგვარი დაჯგუფებების წევრები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძვიან. მათი ბრძოლის კონკრეტული მიზეზები შეიძლება იყოს ფართო ავტონომიის მოპოვება, სახელმწიფოსაგან გამოყოფა და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბება და ა.შ. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაპირისპირებული დაჯგუფებების გააქტიურების მიზეზი შეიძლება სახელმწიფოს “ბრალეულობაც” იყოს. კერძოდ, ეს მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფოები ისეთ დიქტატორულ რეჟიმებს ამყარებენ, რომ გარკვეული დაჯგუფებები იძულებული ხდება იარაღს მოჰკიდონ ხელი. სხვა მაგალითად გამოდგება, თავად სახელმწიფოს ისეთი დაუძლურება, რასაც სხვადასხვა დაჯგუფების ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვება ხოლმე.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოსთვის შეუზღუდავი ძალადობა და მომაკდინებელი სამოქალაქო ომი

¹ ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესავალი, თბ. 1999წ., გვ.141.

ისეთივე ტანჯვასა და განადგურებას იწვევს, როგორსაც სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

როგორც საომარ მოქმედებათა შედეგების მოწმენი ამბობენ – “ომი ომია, ესაა სიკვდილი, სასოწარკვეთა, იმედგაცრუება, სიძულვილი, დანგრეული ქალაქები და სოფლები, ეკონომიკური განვითარების შეფერხება და სხვ”. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ომის ზოგადი პრობლემების გარდა, წინა პლანზე წამოიწია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვის პრინციპებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი ცდილობს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას კარგი გაგებით. არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის დროს მოქმედ ჰუმანიტარულ სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმებს შორის არსებული განსხვავება არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ორივე ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება – ნებისმიერ ვითარებაში უზრუნველყონ ადამიანის ღირსების დაცვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ სახელმწიფოთა შიგა კონფლიქტებთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მიღება ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაერო წევრ სახელმწიფოთა შიგა საქმეებში ერევა. სახელმწიფო მართლწესრიგის ან სტაბილურობის აღდგენის მიზნით ინარჩუნებს საკუთარ ტერიტორიაზე ძალის გამოყენების უფლებას. საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს შიგასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში სუვერენულ უფლებათა რაიმე შეზღუდვას. იგი მხოლოდ იმ მეთოდებს ზღუდავს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია სახელმწიფოებმა აღადგინოს წესრიგი და კანონიერება.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები გაბნეულია როგორც მრავალმხრივ საერთაშორისო კონვენციებში, ასევე ჩვეულებით სამართალსა და სპეციალურ შეთანხმებებში.

მრავალმხრივ საერთაშორისო კონვენციებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1949 წლის 12 აგვისტოს ქენევაში მიღებული ოთხი კონვენცია, აგრეთვე 1977 წლის 8 ივნისის მიღებული 1949 წლის კონვენციების II დამატებითი ოქმი.

1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის ოთხივე კონვენციიდან მნიშვნელოვანია საერთო, მე-3 მუხლი, რომელიც შეიცავს ნორმათა ჩამონათვალს, რომლებიც, როგორც ეს საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუასა და აშშ-ს შორის არსებულ დავის განსჯისას განაცხადა, ჰუმანურობის ფუნდამენტური მოსაზრებების გამოხატულებას წარმოადგენს. შესაბამისად, მე-3 მუხლი სავალდებულოა არა მხოლოდ, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ნორმა, არამედ, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპის გამოხატულება.

რაც შეეხება 1977 წლის 8 ივნისის II დამატებით ოქმს, იგი 28 მუხლისაგან შედგება და აფართოებს ქენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის შინაარსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ მოუხდენიათ II დამატებითი ოქმის რატიფიცირება, მათთვის მოქმედებს ქენევის კონვენციების საერთო, მე-3 მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ შიგა კონფლიქტებში ძალის გამოყენების შეზღუდვის თვალსაზრისით, გარკვეულწილად მწირი საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლებრივი

ნორმების პარალელურად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ჟენევის კონვენციების საერთო, მე-3 მუხლის მთელი შინაარსი დღეს სწორედ ჩვეულებითი სამართლის ნაწილად განიხილება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვეულებითი სამართლის გარკვეული ნორმების იდენტიფიცირება ისეთი სფეროებისთვისაცაა შესაძლებელი, რომლებსაც მე-3 მუხლი საერთოდ არ შეეხება, II დამატებითი ოქმი კი – მხოლოდ ნაწილობრივ.

ჟენევის კონვენციათა საერთო, მე-3 მუხლი სამოქალაქო ომში ჩართულ მხარეებს სპეციალური შეთანხმებების დადებისაკენ მოუწოდებს, რომელთა საფუძველზეც, ომის შემთხვევაში, საერთაშორისო კონფლიქტის დროს მოქმედი ნორმების ამოქმედება გახდებოდა შესაძლებელი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების სამართალს ერთი საინტერესო თავისებურება ახასიათებს. მიზნის მისაღწევად მისი ნორმების ორივე მხარის – მთავრობისა და აჯანყებულების მიერ აღიარება და შესრულება ესაჭიროება. ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმების სავალდებულობა მის მთავარ სუბიექტზე, სახელმწიფოზე ვრცელდება.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების განმაპირობებელი მიზეზების ზოგადი მიმოხილვის შემდგომ, უპრიანი იქნება, თუ მის ზოგიერთ სპეციფიკურ საკითხზე შევჩერდებით.

ჟენევის კონვენციების საერთო, მე-3 მუხლი საკუთარი მოქმედების სფეროს მხოლოდ ირიბად განსაზღვრავს. მას ნახსენები აქვს “არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის” ცნება, მაგრამ მისი დეტალური დეფინიცია არ აქვს მოცემული. ამიტომ, აუცილებელია იმ ნიშნების გარკვევა, რაც ერთობლიობაში აღნიშნულ ტერმინს ავსებს. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალადობის ხარისხის გარკვევას, რომელიც კონფლიქტს სახელმწიფოს შიგა საქმიდან საერთაშორისო სამართლის საკითხად აქცევს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალისტთა აზრით, ჟენევის კონვენციის საერთო, მე-3 მუხლი საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია. შესაძლოა, პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად არამდგრად შიგა კონფლიქტებზე იგი საუკეთესო საერთაშორისო რეაგირებას წარმოადგენდეს. მე-3 მუხლის გამოყენების ბუნდოვნად განსაზღვრული პირობები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, არსებული მდგომარეობის სამართლებრივად განსაზღვრის გარეშე, მისი პატივისცემის მოთხოვნის შესაძლებლობას ქმნის. ზოგ შემთხვევაში, სწორედ ამის საშუალებით ეძლევა მთავრობას თავი აარიდოს თავისი სისუსტის აღიარებას.

როგორც აღნიშნავენ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თვალსაზრისით, დღეს ორი სახის სამოქალაქო ომი არსებობს – მაღალი ინტენსიურობის არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები, რომელთა მიმართ ჟენევის კონვენციის II დამატებითი ოქმი და კონვენციების საერთო, მე-3 მუხლი ერთობლივად მოქმედებს და სხვა შიგასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტები, რომლის მიმართაც მხოლოდ ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლი მოქმედებს¹.

¹ Dietrich Schindler. “The Different Types of Armed Conflicts According to the Geneva Conventions and Protocols”, RCDI, Vol. 163 II, 1979, P. 121.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართლის ასეთი მდგომარეობა “არადამაკმაყოფილებელია”, რადგან ართულებს შიგა კონფლიქტების იურიდიულ კვალიფიკაციას, რაც საბოლოო ჯამში გარდაუვალი პრობლემების წყარო ხდება. სასურველი იქნებოდა, რომ კონვენციის II დამატებითი ოქმით განსაზღვრული გამოყენების პირობები, სახელმწიფოთა პრაქტიკის ან ხელშემკვრელი ქვეყნების მიერ, II დამატებითი ოქმის რატიფიცირებისას გაკეთებული ცალმხრივი დეკლარაციების მეშვეობით, შესაბამისობაში ყოფილიყო ქვენეის კონვენციების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირობებთან.

თუკი დავუშვებთ, რომ II დამატებითი ოქმითა და კონვენციების საერთო, მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები დამაკმაყოფილებელია, სამართალი ე.წ. *eo ipso*, კონფლიქტში მონაწილეთა მხრიდან, ყოველგვარი დეკლარაციისგან დამოუკიდებლად მოქმედებს¹. ეს ეხება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს – როგორც მთავრობას, ასევე აჯანყებულებს. აჯანყებულები სრული თავისუფლებით სარგებლობენ, შეუძლიათ განაცხადონ მათთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით, რომ ისინი მზად არიან დაიცვან ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. ასეთი განაცხადი შეიძლება, პოლიტიკური თვალსაზრისით, სასურველიც კი იყოს, რადგანაც სამართლებრივი ვალდებულებების აღიარებას წარმოადგენს. იურიდიული თვალსაზრისით კი, მას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან აჯანყებული მხარე ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ამგვარ კონფლიქტებში მოქმედ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნის მთავრობას შეუძლია აჯანყებულთა მეომარ მხარედ აღიარება, რის შემდეგაც სამოქალაქო ომის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა². ამგვარ აღიარებას ადგილი ჰქონდა 1902 წლის ინგლის-ბურების ომის დროს, ამერიკის სამოქალაქო ომის დროს სამხრეთის ცნობას “ნაგულისხმევი” სახე ჰქონდა. თუ სამოქალაქო ომის ცნობისათვის აუცილებელი ყველა პირობა სახეზეა, მესამე სახელმწიფოებს შეუძლიათ ცალმხრივი დეკლარაციების მეშვეობით აჯანყებული მხარის ცნობა, ასეთ შემთხვევაში კონფლიქტის ორივე მხარესთან მათი ურთიერთობა ნეიტრალიტეტის მარეგულირებელი ნორმებისადმი დაქვემდებარებული ხდება.

დღეისათვის აღიარების არც ერთი ფორმა აღარ გამოიყენება. არც ერთ მთავრობას არ სურს ასეთი სახის სამართლებრივი კვალიფიკაციის აქტების განხორციელება. ამ გზით მესამე სახელმწიფოები თავიდან იცილებენ სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის ბრალდებას.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის პრობლემას უკავშირდება საკითხი ე.წ. “ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომებისა” და მათ მიმართ მოქმედი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ.

ტრადიციული საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლების განმახორციელებელ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხსა და კოლონიურ სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტი აღნიშნული ქვეყნის საშინაო საქმეს წარმოად-

¹ ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესავალი, თბ. 1999წ., გვ.151.

² Eibe H. Riedel. Recognition of Belligerency, *dens Bernard (ed.)*, Encyclopedia of Public International Law 4, 1982, P. 167-171.

გენდა¹. თუ ბრძოლა ომებისათვის დამახასიათებელი ძალადობის ხარისხს აღწევდა, მოქმედებას იწყებდა ჟენევის კონვენციების საერთო, მე-3 მუხლი.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან სახელმწიფოთა პრაქტიკაში სულ უფრო მიღებული გახდა ხალხთა მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების საერთაშორისო მოვლენად აღიარება. ეს ძირითადად განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებზე იყო დამყარებული და ამავე დროს გაეროს რეზოლუციებსაც შეესაბამებოდა.

1977 წლის 8 ივნისს ჟენევის კონვენციის I დამატებითი ოქმის I მუხლის მე-4 პარაგრაფის მიღება განვითარების ამ პროცესის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს.

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართალმა “შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებშიც ხალხი თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისას კოლონიური მმართველობის, უცხო ქვეყნის ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის”, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედების სამართალს დაუქვემდებარა².

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის ოთხივე კონვენციისა და I დამატებითი ოქმის დებულებები მოქმედებას იწყებს მაშინვე, როგორც კი გამათავისუფლებელი მოძრაობა გააკეთებს აუცილებელ დეკლარაციას, მხოლოდ იმ პირობით, რომ კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფო იმავდროულად I დამატებითი ოქმის მხარეცაა.

მერაბ რაფაეა,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი

ნაშრომი შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას – არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივ რეგულირების ასპექტებს.

ავტორი იხილავს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტის ცალკეულ სახეებს. კერძოდ, გასაერთაშორისოებულ სამოქალაქო ომს და შიგასახელმწიფოებრივ არეულობებს, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეგულირების სფეროში ვერ ხვდება.

საგანგებო ყურადღება ეთმობა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლის ნორმატიული ბაზის განხილვას. კერძოდ, განიხილება 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევაში მიღებულ კონვენციებსა და 1977 წლის 8 ივნისს მიღებულ 1949 წლის კონვენციების II დამატებითი ოქმს.

დასასრულ ცალკე გამოყოფს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომების პრობლემას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

¹ Heather A. Wilson. International Law and the use of Force by National Liberation Movements, Oxford, 1988, P.24.

² Georges Abi-Saab. Wars of National Liberation in the Geneva Conventions and Protocols, RCADI Vol. 165 IV, 1979, P. 353-366.

SOME ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF ARMED CONFLICT OF NON-INTERNATIONAL CHARACTER

The present work relates to one of the most important problem of International Humanitarian Law – the legal aspects of regulation of non-international armed conflict. The author discusses separate types of non-international armed conflict. In particular the civil war of international character and internal disorders, which do not get in the field of regulation of international humanitarian law.

In the article the author devotes special attention to discussion of the normative framework of international law, regulating non-international armed conflict. In particular, there are discussed the conventions adopted on August 12th, 1949 in Geneva and the II Additional Protocol of the Conventions of 1949, adopted on June 8th, 1977. By the end of the article the author separates the problem of national - liberation wars and the related legal issues.

Мераб Рапава,
доктор юридических наук

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ, НЕ НОСЯЩИХ МЕЖДУНАРОДНОГО ХАРАКТЕРА

Настоящая работа касается одной из наиболее важных проблем международного гуманитарного права - правовых аспектов регулирования немеждународного вооруженного конфликта.

Автор рассматривает отдельные виды немеждународного вооруженного конфликта. В частности, гражданскую войну международного характера и внутренние беспорядки, которые не попадают в область регулирования международного гуманитарного права.

Особое внимание автор уделяет обсуждению нормативной базы международного права, регулирующей немеждународный вооруженный конфликт. В частности, обсуждаются конвенция, принятая 12 августа 1949 года в Женеве, и II Дополнительный протокол конвенции 1949 года, принятый 8 июня 1977 года.

Автор выделяет проблему национально-освободительных войн и связанных с ней правовых вопросов.

**სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი
ურთიერთობა „ძეგლისწერის“ მიხედვით**

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, XII საუკუნის დასაწყისის უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საეკლესიო-სამართლებრივი აქტი, დავით აღმაშენებლის რეფორმატორული პოლიტიკის ერთ-ერთი ყურადსადები ნაყოფია.

დოკუმენტი, რომელმაც მხოლოდ ძირითად კონტურებში ასახა ამ კრების მიზეზები და მიზნები და რომელიც ჩვენამდე უნაკლოდ მოღწეული საეკლესიო კრების ერთადერთი განჩინებაა შუა საუკუნეების წერილობით მემკვიდრეობიდან, ცნობილია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ სახელით.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დასაბამი მისცა იმ იურიდიულ ნორმათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების იდეას, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული იმდროინდელი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

„ძეგლისწერის“ ასეთმა ხასიათმა და მნიშვნელობამ განაპირობა ის დიდი ინტერესი, რასაც ქართველ მკვლევართა თაობები იჩენდნენ ამ ძეგლისადმი. ეს ინტერესი დღემდე არ შენელებულა.

რამდენადაც სრულადაა შესწავლილი „ძეგლისწერაში“ დასმული ისტორიულ-პოლიტიკური პრობლემები, იმდენად სუსტად არის დამუშავებული ძეგლის მნიშვნელობა, სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. მკვლევართა მიერ ძირითადი აქცენტი გადატანილია ახალი „სახელის“ – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემოღებასთან დაკავშირებით, რის შემდეგ საერო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა ეკლესიაზე. მაგრამ საქმე მხოლოდ ამ ფაქტით არ ამოიწურება.

გაერთიანებული საქართველოს მეფეები ცდილობდნენ ეკლესიის მესვეურთა კეთილგანწყობის მოპოვებას. ხალხის სიყვარული და მორჩილება მეფისადმი ძირითადად დამოკიდებული იყო სასულიერო წოდებაზე. მრავალათასიანი სამღვდელოება როგორ ქადაგებასაც აღავლენდა მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ, ისე განეწყობოდა მრევლი ქვეყნის მეთაურისადმი, რადგან ეკლესია იყო ძირითადი წყარო მასებზე ზემოქმედებისა.

ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდას ეპოქის განსაკუთრებულმა თავისებურებამაც შეუწყო ხელი. სპარსელების, არაბებისა და სხვა დამპყრობელთა ბატონობის პერიოდში, ქრისტიანობა ასრულებდა ენისა და კულტურის დამცველის როლს.

ეკლესია ფართო ორგანიზაციით და სასამართლო იურისდიქციით, რომელსაც განურჩევლად ყველა ქვეშევრდომი ემორჩილებოდა, სპობდა ქვეყნის შიგნით ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრებს. უკვე X საუკუნეში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო-კულტურული გაერთიანება მოხდა. ქართული ეკლესიის მოღვაწეთა ქადაგება „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ იმ ეპოქაში მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის შეგნებას აღვივებდა.¹

¹ ბ. ლომინაძე. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII–XII საუკუნეების საქართველოში. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 68.

საქართველოში XI საუკუნის შუა ხანებიდან ვითარება რადიკალურად იცვლება. გახშირდა სისხლისა და სამოქალაქო ხასიათის დანაშაული, შეირყა ოჯახის სიმტკიცე, გახშირდა ოჯახის დანგრევის შემთხვევები. ქვეყანაში კორუფციამ მოიკიდა ფეხი. აღვიდა ჰქონდა საეკლესიო თანამდებობების ქრთამის გადახდით მოპოვებას, რაშიც საქართველოში ჩამოსულმა გიორგი მთაწმინდელმა თვით მეფე ბაგრატ IV ამხილა. აღნიშნულ პროცესებს ხელი შეუწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, ხოლო გიორგი II მეფობის პერიოდში კულმინაციას მიაღწია.¹

დავითის მემკვიდრის სიტყვით, ქართული ეკლესია მორალურ-ეთნიკურადაც გადაგვარების გზას დაადგა: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა. და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებსას აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვით სახლით უფლისათა და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოებაი და ცოდვაი, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო“.² დავითი კარგად ხედავდა, რომ მხოლოდ სასულიერო წოდების ჯანსაღ ნაწილს შეეძლო ხალხის დაცემული ზნეობის აღდგენა და ქვეყნის გათავისუფლებაში დიდი წვლილის შეტანა. საჭირო იყო სასულიერო წოდების მიმხრობა და ერთობლივი ძალებით ქვეყნის დამპყრობლებისგან გათავისუფლება.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას აშკარად გამოცხადებული მიზნის გარდა სხვა მთავარი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. კრება სამეფო ხელისუფლებისათვის ერთგვარი პოლიტიკური იარაღი უნდა გამხდარიყო. კრების სახელითა და შემწევობით მეფეს სურდა გაეძლიერებინა სამეფო ტახტი, გაენადგურებინა ცენტრიდანული ძალები და შეესუსტებინა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა უფლებები. რაც მთავარია, კრების მოწვევის ინიციატორი დავით აღმაშენებელი იყო.

და „ამათ უკვე ესევითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი“³ – მოწვეულ იქნა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. კრებას, როგორც წესი, ყოველთვის კათალიკოსი უძღვებოდა. რუის-ურბნისის კრებას თავმჯდომარეობდა იოანე კათალიკოსი. კრებას ესწრებოდა მეფე დავითი. ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“. რატომ? საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ კრებაზე მეფესა და კათალიკოსს შორის არ არსებობდა დაქვემდებარებული მდგომარეობა. ისინი ერთმანეთს არ ემორჩილებოდნენ. ერთი ხორცის ხელმწიფე იყო და მეორე სულისა. იგივეს აღიარებდა სამოქალაქო სამართალიც. ერთსა და იმავე ღირსებას, უფლებას, ძალას აკუთვნებდა მეფესა და კათალიკოსს – „მეფის და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე – სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგან სწორე აქეთ“.⁴

ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია, რომ კათალიკოსი არა მხოლოდ „სულის ხელმწიფე“ იყო, არამედ საერო და სამოქალაქო ძალაუფლებაც ჰქონდა თავის „საბრძანებელში“. ასე, რომ სულის გარდა „ხორცის ხელმწიფეც“ იყო. ამდენად, „კათალიკოსობა

¹ ე. გაბიაშვილი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. თბ., 1978, გვ. 8.

² ცხოვრება მეფეთა მეფის დავითისი. ქართული პროზა. წიგნი III, თბ., 1982, გვ. 122.

³ იქვე, გვ. 122.

⁴ სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევები და საძიებლები დაურთო ისი-ლორე დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 187.

სასულიერო წოდებითურთ შეადგენდა ცალკე სამეფოს სახელმწიფოში (ხაზგასმა ჩემია ვ.ს.), სწორედ ისე, როგორც საშუალო საუკუნეების დროს დასავლეთ ევროპაში ¹.

მეფეს, ცენტრალურ ხელისუფლებას, აშკარად ხელი არ მიუწვდებოდა „საბრძანებელზე“, საეკლესიო მიწებსა და საერთოდ საეკლესიო ქონებაზე. მას უფლება არ ჰქონდა განეხილა საეკლესიო საქმეები. განსაკუთრებით ის საკითხები, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო „წმინდა კრებამ“ განიხილა. საეკლესიო კანონმდებლობა, საეკლესიო გამგეობა კათალიკოსისა და უმაღლესი სასულიერო წოდების კომპეტენციას შეადგენდა.

ბუნებრივია, კრების მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილებები დავითისა და მის თანამოაზრეთა გეგმის მიხედვით წარიმართა. კრება ქვეყანაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას ისახავდა მიზნად და საზოგადოების ყველა წოდებასა და ფენაზე იყო გათვლილი. კერძოდ, „სოლომური ცოდვა“, „საძაგელი ბილწება“: „გამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკს, აზნაურსა და მდაბიოსა, მღვდელთა და უმღვდელთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა... და ყოველსა პასაკსა... განყენებად ამის ვნებისა...“²

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვასთან ერთად ჩვენი კვლევის მიზანია ძეგლის იურიდიულ მხარეს შევეხოთ. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პირველი მუხლი: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდლმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსმთავრისანი განგკუთვნით და უცხო ყვევნი მღვდლობისაგან და ნაცვლად მათდა სხუანი დავადგინენთ“.³

„ძეგლისწერის“ ეს კანონი უძვირფასესი წყაროა დავით აღმაშენებლის ეპოქის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გასათვალისწინებლად. ამ კანონში დადასტურებული ზოგადი ფაქტი – ქართულ ეკლესიაში მომხდარი უმაღლესი იერარქიული თანამდებობის პირთა მასობრივი შეცვლა არ ჩანს, მაგრამ იგრძნობა, რომ ბევრი იმ „უღირს“ ეპისკოპოსთაგანი თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა არა მარტო საეკლესიო საქმეებში ჩადენილ დანაშაულთა მიზეზით, არამედ მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფ მსხვილ ფეოდალთა ბანაკში ყოფნის გამო. ეჭვი არ არის, რომ განკვეთილ ეპისკოპოსთა რიგებში იქნებოდნენ ისეთებიც, რომლებიც პირადი ღირსებით და განათლებით სავსებით შეესაბამებოდნენ დაკავებულ⁴ თანამდებობას, მაგრამ ეს არ იყო მეფის საიმედო პოლიტიკური დასაყრდენი ცენტრალური მძლავრი სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში. ასეთი ფაქტის დასტური ჩანს დავით მეფის 1123 წელს შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძშიც. მეფის მოწინააღმდეგე მსხვილმა ფეოდალმა ძაგანმა ძალით მიტაცებულ საეკლესიო ეპარქიაში ეპისკოპოსად თავისი ძმა მოდისტოსი დანიშნა, რომელიც, რა თქმა უნდა, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი ძმის მომხრე იქნებოდა.

ერთი სიტყვით, „ძეგლისწერის“ ეს კანონი, რომელიც უმნიშვნელოდ გადმოსცემს მასში ნაგულისხმევი გრანდიოზული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტების არსს, გვაფიქრებინებს, რომ მეფემ გზიდან ჩამოიცილა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის საშიში მოწინააღმდეგე ეპისკოპოსებიც, რომლებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. „ნაც-

¹ ნ. ხიზანიშვილი. რჩეული იურიდიული ნაწერები. დასაბუჯდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1982, გვ. 278.

² არსენ იყალთოელი. ძეგლისწერა. ქართული მწერლობა, ტომი მეორე. თბ., 1987, გვ. 231.

³ იქვე, გვ. 224.

⁴ ე. გაბიაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978.

ვლად მათდა სხუანი დავადგინებით“; ეს ახლანდელი ეპისკოპოსები, სხვა ღირსებებთან ერთად, მეფის საიმედო ძალა უნდა გამხდარიყო მის მიერ დასახული უდიდესი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.¹

მეტად მნიშვნელოვანია კანონის ტექსტში კათალიკოსის მოხსენიება, რომელსაც საეკლესიო იერარქიის სხვა თანამდებობის პირებთან ერთად ეკრძალება ქრთამის აღება. როგორც ვიცით, საქართველოს ეკლესიაში, რომელიც ავტოკეფალიით სარგებლობდა, კათალიკოსს იგივე უფლებები ჰქონდა, რაც კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმის და ალექსანდრიის პატრიარქებს თავიანთ საპატრიარქოში, ერთი სიტყვით, კათალიკოსი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის მეთაური იყო. ამიტომ მოულოდნელია კანონის ტექსტის ისე შედგენა, რომ შესაძლებელი დამნაშავეის როლში კათალიკოსიც იყოს გამოყვანილი. მსოფლიო კრებათა ისტორიაში არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ კანონში გადმოცემული დისციპლინური პირობის დარღვევისათვის შესაძლებელ დამნაშავეთა შორის პატრიარქი ან მთავარეპისკოპოსი იყოს მოხსენიებული. საეკლესიო იერარქიის დასახელება, უმეტეს შემთხვევაში, ეპისკოპოსზე წყდება, ხოლო მიტროპოლიტი იშვიათად არის დასახელებული. მკვლევარ ე. გაბიაშვილს მიაჩნია, რომ „ეტყობა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხთან და, როგორც ჩანს, ქრთამის აღების შემთხვევები (უფრო სწორად „ხელთდასხმის“ რიტუალიდან აღებული გასამრჯელო) უცხო არ იყო თვით ეკლესიის მესვეურთათვისაც.² ნიკო ხიზანაშვილს ეს ფაქტი განსაკუთრებულ მოვლენად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ როდესაც „ძეგლისწერამ“ დაარღვია კათალიკოს-პატრიარქის იმუნიტეტი, რასაც არც ერთი მსოფლიო კრება არ შეხებია, ამით ხაზი გაუსვა საერო ხელისუფლების უპირატესობას სასულიერო წოდებაზე. რაც მთავარია, იურიდიულად და პოლიტიკურად გაითავისუფლა თავი ბიზანტიის გავლენისაგან. მანამდე, როგორც ცნობილია, საქართველოს კათალიკოსის სამსჯავროში მისაცემად საჭირო იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნებართვა. ეს კრება პირველი იყო, რომელმაც ბიზანტიის ეკლესიის გავლენა მოიშორა და ფაქტიურად ყოველგვარი დამოკიდებულება და კავშირი მოსპო.³

როგორც ვხედავთ, პირველად რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე გამოჩნდა, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო: ეკლესია სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა და მის განხორციელებაში თავისი წვლილი შეეტანა. დავით აღმაშენებლის მიერ აღებული კურსი, ცხადია, ბევრ დაბრკოლებას წააწყდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც წარმატებით განხორციელდა, რაც გარკვევითაა ნათქვამი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაშრომში: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ღოცვისასა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოველად შეუნიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ღოცვისა და მარხვისასა“.⁴ ამ მოვლენების საბოლოო გამოხატულება იყო დავით აღმაშენებლის მხრიდან მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის თანამდებობის შემოღება, კერძოდ, მან თავისი ერთგული მოხელე

¹ ე. გაბიაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 110.

² ნ. ხიზანაშვილი. რჩეული იურიდიული ნაწერები. დასაბუჯდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1982, გვ. 274-275.

³ ცხოვრება მეფეთ მეფის დავითისი. ქართული პროზა. წიგნი III. თბ; 1982, გვ. 142.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღუნდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 158.

გიორგი მონაზონი – მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსადაც აქცია, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეფის საკუთარი მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც.¹ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, დავით აღმაშენებლის მეფობისა და მოღვაწეობის ამსახველ ჩვენამდე მოღწეულ წყაროთაგან „ძეგლისწერა“ პირველია, რომელშიც წარმოდგენილია დავით მეფის ღმერთთან თანასწორობის იდეის ჩანასახი, რომელმაც შემდეგ თანდათანობით განვითარება პოვა დავითის შიომღვიმის მონასტრისადმი დაწერილ ანდერძში (1123 წ.), დავითის მემკვიდრის თხოვნაში და დაგვირგვინდა „ისტორიანი და აზმანში“, მაგრამ უკვე თამარ მეფის მისამართით (მისი სამების მეოთხე წევრად აღიარებით).² ეს იყო რელიგიური ფაქტორების მოშველიებით საერო ხელისუფლების უპირატესობის დაკანონების ცდა სასულიერო წოდებაზე, რაც კანონმდებლობით უნდა განმტკიცებულიყო.

ამდენად, „ძეგლისწერის“ მიღების შემდეგ ეკლესია მეფის ხელისუფლების უშუალო კონტროლსა და დამოკიდებულებაში მოექცა. დავითის მიერ ეკლესიისადმი აღებული კურსი თითქმის აღარ შეცვლილა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ კურსის დამახასიათებელი თვისება იყო საერო ხელისუფლების აშკარად გამოხატული უნივერსალური უფლებები საეკლესიო სფეროში. ეკლესიას რჩებოდა მხოლოდ მორალური ავტორიტეტი.³

ვახტანგ სონღულაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა „ძეგლისწერის“ მიხედვით

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, XII საუკუნის დასაწყისის უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საეკლესიო-სამართლებრივი აქტი, დავით აღმაშენებლის რეფორმატორული პოლიტიკის ერთ-ერთი ყურადსაღები ნაყოფია.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დასაბამი მისცა იმ იურიდიულ ნორმათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების იდეას, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული იმდროინდელი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სწორედ აღნიშნულ კრებას უკავშირდება მნიშვნელოვანი დოკუმენტის „ძეგლისწერის“ მიღება, სადაც ნათლად იკვეთება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტები.

„ძეგლისწერის“ მიღების შემდეგ, ეკლესია მეფის ხელისუფლების კონტროლსა და დამოკიდებულებაში მოექცა.

¹ ე. გაბიაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 75.

² იქვე.

³ ნ. ხიზანიშვილი. რჩეული იურიდიული ნაწერები. დასაბუჯდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1982, გვ. 274-275.

STATE AND CHURCH LEGAL RELATIONSHIP BY „DZEGLISTZERA“

Ruis - Urbnisi Church Meeting is the great and very important public-political and religious-legislative fact and important act, which was made by David the Builder, who made a lot of reforms in Kingdom's policy and was one of the famous policy-maker king.

Ruis - Urbnisi Church meeting was the beginning of implementation of legal norms and ideas in social life. The formation of the central state of Georgia in gold epoch was depend on such important legislative aspects. The meeting is connected with the approval of very important historical and legislative document „Dzeglistsera“.

After the acceptance and approval of the legislative document „Dzeglistsera“ church was under the control of the state and was also under the auspices of the king.

Вахтанг Сонгулашвили,

докторант права

РЕГУЛИРОВАНИЕ ОТНОШЕНИЙ ГОСУДАРСТВА И ЦЕРКВИ ПО „ДЗЕГЛИСЦЕРА“

Церковное совещание в Руис-Урбниси было большим и очень важным общественно-политическим и религиозно-законодательным фактом и очень важным актом, который был создан Давидом Строителем. Давид Строитель провел много реформ в политике Королевства Грузии и был одним из известнейших царей-политиков золотой эпохи.

Руис - Урбнисское церковное заседание начало реализацию правовых норм и идей в общественной жизни. Формирование государственного строя в золотую эпоху Грузии зависело от таких важных законодательных актов. Заседанием был принят очень важный исторический и законодательный тип документа - "Дзеглисцера".

После принятия и утверждения законодательного документа "Дзеглисцера" церковь оказалась под контролем государства и под эгидой короля.

დანაშაულის სუბიექტური შედგენილობა ვახტანგ VI სამართლის წიგნში

ვახტანგ VI საკანონმდებლო კრებულში მოთავსებული ეროვნული კანონები, როგორც ცნობილია, სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის. გიორგი V “ძეგლისდება” შედგენილი იყო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, ბექა-აღბუდას კოდექსი XIV-XV სს-ების “სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ” – XVI ს. ხოლო თვით ვახტანგ VI-ის საკუთარი სამართლის წიგნი – XVIII ს. ვახტანგ VI კრებულში ფაქტიურად თავმოყრილია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შედგენილი და განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის გამომხატველი კანონები, რაც, ცხადია, ხელს უწყობს იურიდიული ინსტიტუტების შესწავლას მათი ფორმების ცვალებადობის თვალსაზრისით.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში შესულ კანონთა კრებულების შექმნის დროის, ადგილის, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ სხვაობათა და მათი შექმნის მიზანთა გამო, ბრალის, დანაშაულის სუბიექტური შედგენილობის გახსნის და დამუშავების დონე, ამ სამართლის კრებულებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ზოგიერთში ის დამუშავებისა და კანონში გამოსახვის საკმაოდ მაღალ დონეს გვიჩვენებს, ზოგიერთში კი – პრიმიტიულ დონეზეა წარმოდგენილი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში მოთავსებული ნორმები, დაყენებული საკითხის თვალსაზრისით, სხვადასხვა დანაშაულს ორ დიდ ჯგუფად ყოფს: განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებად. დანაშაულთა მთავარ კლასიფიკაციას ასეთი დაყოფა წარმოადგენს. კანონმდებელი არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და თავისი ძირითადი აზრის გამოსათქმელად სხვადასხვა სიტყვით სარგებლობს: “ნდომით” და “უნდომოდ”, “განზრახ” და “უცნობლად”, ზოგჯერ განზრახვის მომენტი გამოთქმულია სიტყვით “იმედუელად”. კანონი ასხეავებს განზრახვასა და “ფათერაკს”, თანაც “ფათერაკის” განსამარტავად მოყვანილია მრავალი მაგალითი. ზოგ შემთხვევაში, კანონი დანაშაულის შედგენილობაში აღნიშნავს მხოლოდ განზრახვას. ამ ძეგლს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ის, რომ იგი მკაფიოდ გამოყოფს გაუფრთხილებლობის შემთხვევებს. რასაკვირველია, ძეგლი გაუფრთხილებლობის ზოგად ცნებას არ იძლევა, მას მოჰყავს მხოლოდ ცალკეული მაგალითები, რომლებიც უკვე ცხადად მოწმობს, რომ კანონმდებელი ერთმანეთში არ ურევს შემთხვევას და გაუფრთხილებლობას, მათ შორის გაჰყავს გარკვეული ზღვარი. ეს კი უდავოდ დიდი წარმატების მაჩვენებელია.

ვახტანგის სამართლის წიგნი, როგორც ვთქვით, იცნობს დანაშაულთა დაყოფას ორ ჯგუფად – განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებად. ვახტანგის სამართლის წიგნის 24-ე მუხლი ამბობს: “... ეგრეთ კიდევ სხვა სხვას დარბაისელთაც პატივი დაედების გასინჯვით, თუ როგორი საქმე არის, ნდომით მომხდარა ის საქმე, თუ უნდომოდ (უნდომლად), კარგად გამონახვა უნდა”.¹ ამ სიტყვებით კანონმდებელი ავალეს მოსამართლეს იმის გამოძიებას და დადგენას, თუ როგორი იყო დანაშაულის შინაგანი მხარე – განზრახვითაა თუ მის გარეშეა იგი ჩადენილი და აძლევს უფლებას შეუმციროს პასუხისმგებლობა, რადგან ქმედებას არა აქვს განზრახი ხასიათი. ამავე საკითხს ეხება 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მიუთითებს რა დანაშაულისა და პასუხისმგებლობის

¹ ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 1963 წ. გვ. 488.

გამომრიცხველ გარემოებებზე ამბობს: “მეორე რომ კიდევ კაცი თავისი დროშისა უცნობლად შემოაკუდეს, უმტერო და უქიშპარი და თუ ქიშპანი და ნამტერალნი ყოფილან და მკუდრის პატრონი შესწამებს, განზრახვით მოჰკალო, იმას ან ჯერი ან სისხლი უნდა”¹. კანონი ითვალისწინებს სამხედრო პირის მიერ თავისი ამხანაგის “უცნობლად”, ე.ი. განზრახვის გარეშე, უნებლიეთ მკვლელობას, მაგრამ, თუ მათ შორის მტრული ურთიერთობა იყო და მოკლულის ნათესავეა წაუყენა ბრალდება განზრახი მკვლელობისა, ბრალდებულმა თავი უნდა იმართლოს “ჯერით” (ფიცით) ან გადაიხადოს სისხლი – დადგენილი ქონებრივი საზღაური.

ვახტანგის სამართლის წიგნი ასხვავებს, როგორც უკვე ვთქვით, განზრახვას და “ფათერაკს”. ამ დაყოფას არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უკვე განხილულს, მაგრამ მას მაინც ერთგვარი თავისებურება ახასიათებს, რამდენადაც “ფათერაკის” ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე უნებლიე და განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულისა: უნებლიეთ ჩადენილ დანაშაულთა ჯგუფი მოიცავს როგორც გაუფრთხილებლობით, ისე წმინდა შემთხვევით ჩადენილ ქმედებათა ფართო სფეროს, ხოლო “ფათერაკი”, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით “შემთხვევას” გამოხატავს. შემთხვევა თანამედროვე სისხლის სამართალში გაგებულია ისეთ მდგომარეობად, როცა ადამიანს არ ჰქონდა და არც შეეძლო წარმოედგინა მისი მოქმედების საზიანო შედეგის შესახებ; ეს მკაფიოდ განსაზღვრული მდგომარეობაა, რომელიც პასუხისმგებლობას ხსნის სისხლის სამართლის ხაზით. როდესაც ძველი იურიდიული ძეგლები ლაპარაკობენ “შემთხვევაზე”, ყოველთვის საჭიროა გამოკვლევა, რა მნიშვნელობას მიაწერენ ისინი ამ სიტყვას, ზუსტად უნდა იქნეს დადგენილი უკანასკნელის შინაარსი და მოცულობა.²

ვახტანგის სამართლის წიგნი “ფათერაკის” ცნებას ძირითადად 92-ე მუხლში განსაზღვრავს. 92-ე მუხლი მრავალ სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს: “თუ ფათერაკად კაცი კაცს შემოაკედეს ან შემოეჭრას, ან დაშავდეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, ასე რომე ან ცხენმა თავი წაართვას და შეეძგეროს, ან გავარდნაში შეიძგერნენ, ან ნადირს თოფი, თუ ისარი შესტყორცნოს და კაცს მოხვდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაკი სხვა არის, ამისი ასრე არის ...” შემდეგ დადგენილია პასუხისმგებლობა: “ის ცხენი, იმ მკულელი და ის იარაღი მიეცემის და იქმნების მკედრის სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუწნდეს”. კანონი განაგრძობს საფათერაკო შემთხვევების ჩამოთვლას; “თუ ნადირს შესტყორცნო და კაცს მოხვდეს, ან ფრინველს შესტყორცნოს და კაცს მოხვდეს, ან ყაბახს ესროდეს ისარი კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ჰქვია”. როგორც ვხედავთ, აქ თავმოყრილია ისეთი შემთხვევები, რომლებიც თავისი ხასიათით მართლაც კაზუსს გამოხატავენ. თუ ამ შემთხვევებს დაუეკივრებით, დავრწმუნდებით, რომ ზოგი მათგანი შეიძლება გაუფრთხილებლობასაც გულისხმობდეს. შემთხვევის თუ გაუფრთხილებელი დანაშაულის აღიარება დამოკიდებულია ქმედების კონკრეტულ გარემოებაზე. თუ გასროლის ან ვარჯიშის დროს ადამიანს შეეძლო თავისი მოქმედების მაგნე შედეგის გათვალისწინება, მაგრამ არ სურდა ასეთი შედეგის დადგომა, სახეზეა გაუფრთხილებლობა. “იმ კაცს არ-ნდომოდესო” – ამბობს იგი, ე.ი. განსაზღვრის საერთო საფუძველს, სურვილს განზრახვის უქონლობაში ნახულობს.³

¹ ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 1963 წ. გვ. 492.

² ალ. ვაჩეიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტ. 1. თბ. 1946 წ. გვ.178.

³ ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 1984 წ. გვ. 117-118.

გავეცნოთ ვახტანგის სამართლის წიგნის იმ ნორმებს, რომლებშიც გაუფრთხილებლობის ცნებაა დახასიათებული. ეს ნორმები მოცემულია 195-ე, 210-ე მუხლებში. ნაწილობრივ ამავე საკითხს ეხება და აწესრიგებს, როგორც ვნახეთ, 92-ე მუხლიც, რომელიც თავის ბოლო ნაწილში სისხლის ფასს აწესებს ისეთი შემთხვევისთვის, როცა ადამიანმა დაარღვია სიფრთხილის და წინდახედულობის წესები, ე.ი. ჩაიდინა ის, რასაც გაუფრთხილებლობა ეწოდება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. “ისარზე პირი არ უნდა ესხასო” – ამბობს კანონი, თუ დაირღვა ვარჯიშობის, თამაშობის ეს წესი, ადამიანი სჩადის დანაშაულს, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა ის, რაც მის მოვალეობას შეადგენდა. შესაძლოა მან გაითვალისწინა კიდევ მანვე შედეგი, მაგრამ იმედი ჰქონდა მისი თავიდან აცილებისა – ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს გაუფრთხილებლობას. ასეთი შემთხვევებისათვის 92-ე მუხლი აწესებს სრულ სისხლის ანაზღაურებას.¹

გაუფრთხილებლობის მკაფიო და გარკვეულ განსაზღვრას იძლევა 195-ე მუხლი. მოგვყავს მთლიანად ამ მუხლის ტექსტი: “კაცმან თუ ორმოს პირი ახილი გაუშვას და იმაში ან კაცი, ან პირუტყვი ჩავარდეს წმინდა თუ უწმინდური, ის უნდა ნახონ ვის ნატამალშია, თუ სასოფლოს ადგილს, ან ის ჩავარდნილი კაცი, თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ან მთურადი, მოსამართლემ გამოიკითხოს, თუ ვის ნატამალში ყოფილა ნახევარ სისხლს შეუვა კაცისას, თუ პირუტყვისას, თუ სასოფლოს ადგილს ყოფილა მთელი ეთხოვების... ”რადგან... ”რად არ დაბურა.”

აქ კანონმდებელი ასხვავებს ორ შემთხვევას: ვინმემ ორმო პირახილი დატოვა საკუთარ მამულში ან სასოფლო, საზოგადოების მიწაზე და შიგ ჩავარდა ადამიანი ან პირუტყვი. პირველ შემთხვევაში, ე.ი. როცა ორმო გაკეთებული იყო დამნაშავეს საკუთარ მიწაზე (“თავის ნატამალზე”), ის იხდის ნახევარ სისხლს, ხოლო თუ ორმო სასოფლო მიწაზე იყო – მთელ სისხლს. კანონმდებელი ამავე დროს მოსამართლეს ავალებს გამოიკითხოვოს ბრმა იყო თუ მთვრალი დაზარალებული პირი. მთელი სისხლის ანაზღაურება დასაბუთებულია იმით, რომ მესაკუთრემ იცოდა, რომ სასოფლო ადგილზე გზა იყო და, მიუხედავად ამისა, არ დახურა ორმო, რომ თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი მანვე შედეგი.

პასუხისმგებლობა მას ეკისრება დაუდევრობისთვის, ვინაიდან თავისი მოვალეობა არ შეასრულა.

210-ე მუხლის შინაარსი გართულებულია მრავალი სხვადასხვა გარემოებით და არსებითად გულისხმობს როგორც უბრალო შემთხვევას, ისე გაუფრთხილებლობას. გვაინტერესებს მუხლის ის ნაწილი, რომელიც გაუფრთხილებლობას გამოხატავს. 210-ე მუხლი ამბობს: “თუ კაცმან კაცი ინათხოვროს და თუ თუ მოკვდეს ვერსა შუა, თუ არა და მიზეზი არა არისრა უნდა მისცეს თავისი პატრონისა მისსა როსაც სთხოვოს”.

ამ კანონის აზრი შემდეგშია: ერთმა პირმა მეორისგან ითხოვა სამსახურისათვის ადამიანი. თუ უკანასკნელი გარდაიცვალა თავისი სიკვდილით, ის, ვისაც ემსახურებოდა, პასუხს არ აგებს. მაგრამ თუ ეს ადამიანი გაიპარა ან გაგზავნილი იყო სადმე და იგი მოიტაცეს, ის, ვისაც ის ებარა, პასუხისმგებელია პატრონის წინაშე. კანონი პასუხისმგებლობას ასაბუთებს შემდეგი მოსაზრებით: რატომ არ დაუბრუნა იგი პატრონს ან არ აცნობა, რომ მოსამსახურე მოუფიქრებელია და სადი ჭკუის მქონე არაა, ან რისთვის გაგზავნა იგი სახიფათო ადგილას, სადაც შეეძლოთ მისი მოტაცება. იმ პირს, ვისაც ებარა დაკარგული, კანონი ავალებს ფიცით დაამტკიცოს, რომ მას ძალით არსად გაუგზავნია

¹ ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტ. 1. თბ. 1946 წ. გვ.186.

იგი ან ცუდი მოპყრობით არ აიძულა გაქცეულიყო. თუ ეს ფაქტი დამტკიცდა, ის პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია და ამის შემდეგ ორივემ – ვისთანაც ის მსახურობდა და მისმა პატრონმა – უნდა ეძებონ დაკარგული. თუ უკანასკნელი აღმოაჩინეს, ის უბრუნდება საკუთარ პატრონს, ხოლო მომტაცებელი უხდის საზღაურს იმ პირს, ვისაც ეს ადამიანი ებარა, იმის გამო, რომ “უბრალოდ დაუფიცნია და ფიცის საუპატიო მან ქურდმან უნდა გარდუხადოს”.

210-ე მუხლის შინაარსზე დაკვირვებით დავასკვნით, რომ კანონმდებელი აქ გარკვევით განმარტავს გაუფრთხილებლობას. იგი ითვალისწინებს მხარის მოვალეობას, რომ მიბარებული ადამიანის მიმართ სათანადო სიფრთხილე იყო საჭირო, არ უნდა გაეგზავნა სახიფათო ადგილას და ცუდი მოპყრობით არ უნდა აეძულებინა გაქცეულიყო. პასუხისმგებლობა არ დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ აღნიშნულ გარემოებას ადგილი არ ჰქონდა და მან შეასრულა ყოველივე, რასაც წინდახედულობა მოითხოვდა.

ჩვენ განვიხილეთ ვახტანგის სამართლის წიგნის ის ნორმები, რომლებიც ბრალეულობის საკითხს აწესრიგებდა, მის ცალკეულ ფორმებს განმარტავდა და მოგვცა საკმაოდ მდიდარი მასალა იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ განვითარების რა საფეხურზე დგას სუბიექტური შერაცხვის საწყისი ვახტანგის დებულების მიხედვით. ზემოთ მოყვანილი ცნობების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია შემდეგი, ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანა.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში გარკვევით არის განსაზღვრული განზრახვის ცნება. ეს არ საჭიროებს ბევრ მტკიცებას, ვინაიდან სხვადასხვა მუხლი ლაპარაკობს “ნდომით” ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საკითხი შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა შინაარსისაა განზრახვა, არის იგი პირდაპირი განზრახვა, თუ აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა.

თვით სახელწოდება, რომლითაც ჩვენი ძეგლი სარგებლობს ბრალეულობის ამ ფორმის აღსანიშნავად, თითქოს მოწმობს, რომ უკანასკნელი გაგებულია სწორედ პირდაპირი განზრახვის მნიშვნელობით. მართლაც, ვახტანგის სამართლის წიგნი ლაპარაკობს “ნდომით”, “უნდომლად”, “უნებურად” ჩადენილს (24-ე, 192-ე მუხლები), ამასვე აღნიშნავს სიტყვებით: “მისი ნება არ ყოფილიყოს” (188-ე მუხლი). ყველა ამ შემთხვევაში მკვეთრად არის გამოყოფილი ნების, სურვილის ელემენტი, პირდაპირი სწრაფვის და მიზანდასახულობის ფაქტი. მაგრამ ამის მიხედვით, რასაკვირველია, არ შეიძლება კატეგორიულად მტკიცება, რომ ქართული ძეგლი იცნობს განზრახვას მხოლოდ ამ შინაარსით. ამგვარი დასკვნა ნაჩქარევი იქნებოდა, საკითხი მეტად რთულია და სათანადო შესწავლას მოითხოვს.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ვახტანგის სამართლის წიგნის 191-ე მუხლი ამბობს: “თუ კაცი კაცს არას ემართლება და ისრე სახლსა და კარს ცეცხლი წაუკიდოს, რომ ჯალაბნი შიგ უდგეს თავის გუნებით დასაწვავად მოუნდომებია, ერთი სისხლი და რაც ან სახლი, ან საქონელი დასწოდეს უკლებრივ უნდა მისცეს, და თუ ემართლებოდეს და ან საქმე რამ ქონდეს და იმისთვის ექნას მოსამართლემ გაუსინჯოს რაც ნამართლებულობა ჰქონდეს იმაში გაუთვალონ”. ერთი შეხედვით ეს მუხლი თითქოს მარტივია თავისი შინაარსით. აქ კანონმდებელი გარკვეულად ლაპარაკობს ცეცხლის წაკიდების სურვილზე – “თავის გუნებით დასაწვავად მოუნდომებიაო”, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კანონის სიტყვით, დაძაბავს და დაზარალებულს შორის არავითარი სადავო საქმე არ ყოფილა. ყოველივე მტრობისა და შეუღლის გამომწვევი

მიზეზის გარეშე ადამიანი წავს სხვის სახლ-კარს და ამავე დროს იცის, რომ ოჯახის წევრები შიგ იმყოფებიან. ადამიანს ცხადია, რაღაც მოტივი უსათუოდ ამოძრავებდა, შეიძლება მის უშუალო მიზანს ადამიანთა დაღუპვა არ შეადგენდა, მაგრამ ვინაიდან მან იცოდა, რომ სახლში ადამიანები იყვნენ, კანონი მის მოქმედებას განიხილავს, როგორც პირდაპირ განზრახვას. თუ 191-ე მუხლის ეს განმარტება სწორია, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ქართულ სამართალს ჰქონია ერთგვარი წარმოდგენა არაპირდაპირ განზრახვაზეც, რომელსაც თავისი მნიშვნელობით პირდაპირს უთანაბრებდა.¹

ზემოთ მოყვანილი მუხლების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს განზრახვის გვერდით გაუფრთხილებლობასაც. ეს დებულება სრულიად უდავოდ უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც შევისწავლეთ სათანადო მასალა. გაუფრთხილებლობის ამსახველი ნორმები, განცალკევებულ, იშვიათ, შემთხვევით მოვლენას კი არ წარმოადგენს, პირიქით, როგორც ნაჩვენებია იყო, ისინი გვხვდება მთელ რიგ მუხლებში. კანონმდებელი დაჟინებით, სისტემატურად იმეორებს, ხშირად უბრუნდება ამ საკითხს იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად და ძლიერად აღბეჭდოს ეს აზრი საზოგადოების შეგნებაში, მის მეხსიერებაში. იგი ხშირად განმარტავს დაუდევრობის ცნებას, მოჰყავს მრავალი სხვადასხვა კონკრეტული მაგალითი. მაგალითების საშუალებით ცდილობს უფრო გასაგები და თვალსაჩინო გახადოს ბრალეულობის ამ სპეციფიკური ფორმის ბუნება. მისი მიზანია გაუადვილოს სასამართლო პრაქტიკას ცალკეულ შემთხვევათა გასინჯვის და გადაწყვეტის საქმე.

სამართლის წიგნის სხვადასხვა მუხლში მოცემულია ის თვისება, რომელიც დაუდევრობას ახასიათებს: ადამიანს ჰქონდა დაკისრებული მოვალეობა, რომ თავის საქმიანობაში გამოეჩინა დაკვირვება და სიფრთხილე და დაივიწყა ეს მოვალეობა. ორმოს პატრონმა პირდია დატოვა იგი, მრჩოლელი პირუტყვის პატრონმა ყურადღება არ მიაქცია მეზობლების გაფრთხილებას. ადამიანმა, რომელსაც მიაბარეს მოსამსახურე გაგზავნა ის სახიფათო ადგილას და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, დარღვეულია წინდახედულობა და სათანადო მზრუნველობის წესები. კანონმდებელს მშვენივრად ესმის გაუფრთხილებლობის იურიდიული მნიშვნელობა და გამოსახავს კიდევ ამ ცნებას თავის კოდექსში, სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით.

განხილულ ძეგლში არაერთგზის ვხვდებით აგრეთვე “შემთხვევის” ცნებას, რომელსაც ის “ფათერაკს” უწოდებს. უნდა ითქვას, რომ ამ ცნების შინაარსი ყოველთვის ზუსტად განსაზღვრული არაა. მისი მოცულობა იცვლება: ხან ვიწროა, ე.ი. უდრის იმას, რასაც ტექნიკურ-იურიდიულ ენაზე კაზუსი ეწოდება, ხან ღებულობს ფართო შინაარსს და მოიცავს როგორც კაზუსს (შემთხვევას), ისე დანაშაულს. ვახტანგის დებულება აწესებს საფათერაკო გადასახდელს (92-ე მუხლი). ისტორიულად, რა თქმა უნდა, “ფათერაკის” ცნება უფრო ადრე იქნებოდა შემოღებული, ვიდრე გაუფრთხილებლობისა, ის უფრო ძველია და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მისი ფარგლები მკვეთრად მოხაზული არაა. იგი გაგებულია სხვადასხვა მნიშვნელობით. გვიან “ფათერაკის” ფართო ცნება ორ ელემენტად გაიყო.

აქამდე განხილული მასალა უეჭველად ამტკიცებს, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნს შეთვისებული ჰქონდა განვითარებული, საკმაოდ დამუშავებული სუბიექტური ბრალეულობის საწყისი. დანაშაულის შინაგანი მხარე იპყრობს კანონმდებლის ყურადღებას. პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს და საზომს სწორედ ეს სუბიექტური საწყისი

¹ ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 1984 წ. გვ. 118.

შეადგენს. მიუხედავად კულტურის განვითარების უდავოდ მაღალი საფეხურისა, ეს ძეგლი მაინც განიცდის ძველი ადათების გავლენას, მასში შემონახულია ზოგიერთი ნიშანი შორეული წარსულისა, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი აღიარებს ობიექტური შერაცხვის ზოგიერთ ელემენტს. როგორც ზემოთ მოყვანილი ნორმების შინაარსით მტკიცდება, ქართულ სამართალს შეთვისებული ჰქონდა შეხედულება, რომლის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისას სასამართლოს უნდა გამოერკვია არა მარტო დამნაშავეს მოქმედებით მიყენებული ზიანი, არამედ სუბიექტური განწყობილება, რომელიც ჩადენილ მოქმედებაში გამოაშკარავდა. ქართული სამართალი იცნობდა განზრახვას და გაუფრთხილებლობას, სუბიექტური შედგენილობის ორ ძირითად ფორმას და სხვადასხვა იურიდიულ შედეგებს უკავშირებდა მათ.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი, როცა იგი ლაპარაკობს დანაშაულის შინაგან ელემენტებზე, მხოლოდ განზრახვის ან გაუფრთხილებლობის განმარტებით არ კმაყოფილდება. მან კარგად იცის, რომ ადამიანი სჩადის ამა თუ იმ დანაშაულს სხვადასხვა შინაგანი მიზეზის გავლენით და ამ მოსაზრებით მოსამართლეს ავალებს გამოიკვლიოს, თუ რა არის დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში, როგორც ვხედავთ, იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზეა დამუშავებული ბრალეულობის და დანაშაულის სუბიექტური შედგენილობის საკითხი. ის ამ თემის დამუშავების დონით იმ პერიოდის ბევრ უცხოურ სამართლის წიგნს უსწრებს. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა გამოყო არა მარტო განზრახვა და გაუფრთხილებლობა, არამედ განზრახვაში – არაპირდაპირი განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობაში ცალკე დაახასიათა დაუდევრობა. ნიშანდობლივია პასუხისმგებლობის სხვაობაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, საინტერესოა უბედური შემთხვევის გათვალისწინება კანონში და ამისთვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ქართულ სამართალში ეს მნიშვნელოვანი წინსვლა არ იყო ვინმესგან, უცხოური სამართლიდან ნახესხები ინსტიტუტების შედეგი, არამედ მიუთითებს ქართული სამართლის ისტორიული განვითარების მაღალ დონეზე, რაც მტკიცდება უფრო ადრინდელი სამართლის ძეგლებიდან (ბექა-აბუღლას სამართალი, გიორგი V “ძეგლისდება”). ამრიგად, ჯერ კიდევ მე-18 ს-ში ქართული სამართალი, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავების სფეროში, როგორიცაა ბრალეულობა და დანაშაულის სუბიექტური შედგენილობა, განვითარების მაღალ დონეზე იდგა.

თეიმურაზ დარსანია,
სამართლის დოქტორანტი

დანაშაულის სუბიექტური შედგენილობა ვახტანგ VI სამართლის წიგნში

ვახტანგ VI სამართლის წიგნში საკმაოდ მაღალ დონეზეა დამუშავებული ბრალეულობისა და დანაშაულის სუბიექტური შედგენილობის საკითხი, რომელიც დამუშავების დონით მაშინდელ ბევრ უცხოურ სამართლის წიგნს უსწრებს. კანონმდებელმა გამოყო არა მარტო განზრახვა და გაუფრთხილებლობა, არამედ განზრახვაში – არაპირდაპირი განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობაში ცალკე დაახასიათა დაუდევრობა. აღსანიშნავია

პასუხისმგებლობის სხვაობაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის. საინტერესოა, უბედური შემთხვევის გათვალისწინება კანონში და ამისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

ჯერ კიდევ მე-18 ს-ში ქართული სამართალი, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავების სფეროში, როგორიცაა ბრალეულობა და დანაშაულის სუბიექტური შედგენილობა, განვითარების მაღალ დონეზე იდგა.

Teimuraz Darsania,
PHD Student

SUBJECTIVE BODY OF THE CRIME - CORPUS DELICTI IN THE LAW BOOK BY VAKHTANG VI

Rather on a high level for that time, as we can notice, in the law book by Vakhtang VI were handled the issues of blame and subjective body of the crime. The issues were handled on such advanced level for that period of time that they left behind lots of foreign law books.

The legislator marked out not only an intention and reckless negligence, but also in intention he pointed out an indirect intention, and in reckless negligence he separately attributed carelessness. It is worth noting the discrepancy between responsibilities in case of intention and reckless negligence. It's also interesting to mention, that in the law was considered a possibility of accidents and in this case – an exemption from liability (responsibility). This significant advancement in Georgian legislation was not borrowed and didn't occur at the result of application of other foreign legislation institutes. On the contrary it shows high- level development of Georgian legislation, what can be proved by more ancient legislative memorials, such as Beka Aghbugha's law and Giorgi V law.

Теймураз Дарсания,
докторант права

СУБЪЕКТИВНАЯ СОСТАВЛЯЮЩАЯ ПРЕСТУПЛЕНИЯ В КНИГЕ ЗАКОНОВ ВАХТАНГА VI

В книге законов Вахтанга VI, для того времени на высоком уровне был разработан вопрос вины и субъективного составляющего преступления. В этом вопросе данная книга законов опережает многих своих современников. Законодатель смог выделить и разграничить не только умысел, неосторожность и факт несчастного случая, но и сумел в умысле выделить косвенный умысел, а в неосторожности - небрежность.

Нужно отметить также разницу в ответственности за преступления, совершенные умышленно и по неосторожности, и освобождение от наказания за несчастный случай. Данная книга законов была значительным шагом в развитии грузинского права, которое основывалось на ранних грузинских памятниках права.

შინაარსი

ნუზხარ გაბრიჩიძის მოგონება	3
----------------------------------	---

კერძო სამართალი

ზვიად გაბისონია. საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები	5
ზვიად გაბისონია. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების არსი	12
მერაბ ღვინიაშვილი. მოსამზადებელი სხდომა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში	18
მერაბ ღვინიაშვილი. ახალი ფაქტები და მტკიცებულებები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში	22
ლევან ხეცურიანი. საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმები და მისი მნიშვნელობა პრაქტიკაში	26
ლევან ლორთქიფანიძე. სასამართლო მტკიცებულებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში	35
გიორგი გელაშვილი. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება	51
ირაკლი ბუხიაშვილი. ოფშორული ზონის ცნება და მასში რეგისტრირებულ კომპანიათა სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი	57
ვლადიმერ ინგოროყვა. ევროკავშირის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებების მმართველი ორგანოების ფუნქციები აქციონერთა კაპიტალის დაცვის მიზნით	62
ვლადიმერ ინგოროყვა. რამდენიმე საკითხი მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვის შესახებ	68
პაატა კოპალეიშვილი. სამართაშორისო საზღვაო ნაოსნობაში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შრომის უსაფრთხოების ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ	74
ლაშა შურდია. დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლების ზოგიერთი ასპექტი	85
მარიამ მამულაშვილი. შვილად აყვანის პრობლემები ქართულ სამართლებრივ სივრცეში	89
მარიამ ბერიძე. სააქციო საზოგადოება, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის განსაკუთრებული ფორმა	96
მაია თურქია. ზრუნვამოკლებულ ბავშვთა ძველად აღსაზრდელობის სუბიექტური ფაქტორები	102
დავით ებანოიძე. საკუთრება და მისი დაცვის მმართველობის	107

საჯარო სამართალი

გიორგი გორაძე. ორსუბიექტიანი შედეგალიზმი და სახელმწიფოს მთლიანობის პრობლემა	113
ირაკლი გაბისონია. ქონებაზე ქაღალის დადება ძველი და ახალი საბაღასახალო კოდექსის მიხედვით	126
გივი აბაშიძე. პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამომძიების სტადიაზე	132
ანი შენგელია. ევთანაზია – დანაშაული თუ ადამიანის უფლება საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით	138
ვაჟა ბელთაძე. პროკურორის როლი წინასასამართლო წარმოებაში	150
ქეთევან ბერეკაშვილი. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების სამართლებრივი საფუძვლები	156
ნინო უგრეხელიძე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში	162
მარიამ ნიაური. ნაწიგ მსაჯულთა სასამართლო	168
ტატიანა სევასტიანოვა. რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობების ფსიქოლოგიური თავისებურებები	177
გივი აბაშიძე. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე	184

საერთაშორისო სამართალი

მერაბ რაფაეა. საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი და საომარ კონფლიქტში გამოსაყენებელი ძირითადი პრინციპები	191
მერაბ რაფაეა. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი	197

სამართლის ისტორია

ვახტანგ სონღულაშვილი. სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა „ქეზისწერის“ მიხედვით	203
თეიმურაზ დარსანია. დანაშაულის სუბიექტური შედგენილობა შახტანბ VI სამართლის წიგნში	209

CONTENTS

REMEMBRANCE OF NUGZAR GABRICHIDZE	3
---	---

CIVIL LAW

Zviad Gabisonia. MAIN ASPECTS OF LEGAL REGULATIONS REGARDING TO BANK PLASTIC CARDS	5
Zviad Gabisonia. ESSENCE OF AGREEMENT OF DOCUMENTARY LETTER OF CREDIT	12
Merab Gviniashvili. PREPARATION MEETING IN COURT OF INSTANCE OF APPEAL	18
Merab Gviniashvili. NEW FACTS AND AFFIRMATIONS IN COURT OF INSTANCE OF APPEAL	22
Levan Khetsuriani. FORMS OF THE ARBITRARY AGREEMENT AND ITS IMPORTANCE IN THE PRACTICE	26
Levan Lortkipanidze. JUDICIAL PROOFS AND THEIR CLASSIFICATION IN CIVIL PROCESS	35
Giorgi Gelashvili. LEGAL NATURE OF AGREEMENTS OF JOINT ACTIVITIES	51
Irakli Bukhiashvili. THE CONCEPT OF AN OFF-SHORE AREA AND SOME OF THE ISSUES OF THE LEGAL STATUS OF THE COMPANIES REGISTERED IN IT	57
Vladimer Ingorokva. FUNCTIONS OF GOVERNING BODIES OF JOINT-STOCK COMPANIES IN EU COUNTRIES FOR THE PROTECTION OF SHAREHOLDERS CAPITAL	62
Vladimer Ingorokva. SOME ISSUES REGARDING TO THE RIGHTS OF MINORITAR SHAREHOLDERS	68
Paata Kopaleishvili. ABOUT SOME ACTUAL LABOUR SAFETY PROBLEMS FOR THE CITIZENS OF GEORGIA EMPLOYED IN THE INTERNATIONAL NAVIGATION	74
Lasha Shurghaia. SEVERAL ASPECTS OF LEGAL BASIS OF INSURANCE	85
Mariam Mamulashvili. ADOPTION PROBLEMS IN GEORGIAN LEGAL SYSTEM	89
Mariam Beridze. JOINT STOCK COMPANY, AS A SPECIAL FORM OF ENTERPRISING LEGAL ENTITY	96
Maia Turkia. SUBJECTIVE FACTORS OF DIFFICULT UPBRINGING OF THE CHILDREN DEVOID OF GUARDIANSHIP	102
David Ebanoidze. PROPERTY AND MECHANISM OF ITS PROTECTION	107

PUBLIC LAW

George Goradze. TWO-SUBJECT FEDERALISM AND THE PROBLEM OF GOVERNMENTAL INTEGRITY	113
Irakli Gabisonia. IMPOSITION OF PROPERTY LIEN ACCORDING TO THE OLD AND NEW TAX CODE	126
Givi abashidze. THE ACTIVITY OF THE PUBLIC PROSECUTOR, ITS REMEDIAL POSITION AND FUNCTIONS AT AN INQUEST STAGE	132
Ani Shengelia. EUTHANASIA – CRIME OR HUMAN’S RIGHT TO PERSONAL LIFE	138
Vazha Beltadze. THE ROLE OF THE PROSECUTOR IN THE PRETRIAL PROCEEDINGS	150
Ketevan Berekashvili. LEGAL PRINCIPLES FOR CONFIDENTIALITY OF PUBLIC INFORMATION	156
Nino Ugrehelidze. LEGISLATIVE BASE OF PROTECTION OF THE PERSONAL DATA IN GEORGIA	162
Mariam Niauri. JURY	168
Tatiana Sevastianova. PSYCHOLOGICAL FEATURES OF THE CRIMINAL ACTS COMMITTED ON THE BASIS OF RELIGION	177
Givi abashidze. DISCRETIONARY COMPETENCE OF THE PUBLIC PROSECUTOR TO THE REALIZATION OF CRIMINALLY-LEGAL PROSECUTION	184

INTERNATIONAL LAW

Merab Rapava. INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW AND THE BASIC PRINCIPLES APPLIED DURING ARMED CONFLICTS	191
Merab Rapava. SOME ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF ARMED CONFLICT NOT OF NON-INTERNATIONAL CHARACTER	197

HISTORY OF LAW

Vakhtang Songhulashvili. STATE AND CHURCH LEGAL RELATIONSHIP BY „DZEGLISTZERA“	203
Teimuraz Darsania. SUBJECTIVE BODY OF THE CRIME - CORPUS DELICTI IN THE LAW BOOK BY VAKHTANG VI	209

СОДЕРЖАНИЕ

ПАМЯТИ НУГЗАРА ГАБРИЧИДZE	3
---------------------------------	---

ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО

Звиад Габисония. ОСНОВНЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ БАНКОВСКИХ ПЛАСТИКОВЫХ КАРТ	5
Звиад Габисония. СУТЬ ДОГОВОРА ДОКУМЕНТАРНОГО АККРЕДИТИВА	12
Мераб Гвиниашвили. ПОДГОТОВИТЕЛЬНОЕ ЗАСЕДАНИЕ В СУДЕ АПЕЛЛЯЦИОННОЙ ИНСТАНЦИИ	18
Мераб Гвиниашвили. НОВЫЕ ФАКТЫ И ДОКАЗАТЕЛЬСТВА В СУДЕ АПЕЛЛЯЦИОННОЙ ИНСТАНЦИИ	22
Леван Хецуриани. ФОРМЫ АРБИТРАЖНОГО СОГЛАШЕНИЯ И ИХ ЗНАЧЕНИЕ В ПРАКТИКЕ	26
Леван Лорткипанидзе. СУДЕБНЫЕ ДОКАЗАТЕЛЬСТВА И ИХ КЛАССИФИКАЦИЯ В ГРАЖДАНСКОМ ПРОЦЕССЕ	35
Гиоргий Гелашвили. УСТАНОВЛЕНИЕ ПРАВОВОЙ ОСНОВЫ СОВМЕСТНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ	51
Ираклий Бухиашвили. ПОНЯТИЕ ОФФШОРНОЙ ЗОНЫ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРАВОВОГО СТАТУСА ЗАРЕГИСТРИРОВАННЫХ В НЕЙ КОМПАНИЙ	57
Владимир Ингороква. ФУНКЦИИ РУКОВОДЯЩИХ ОРГАНОВ АКЦИОНЕРНЫХ ОБЩЕСТВ ЗАЩИТЫ КАПИТАЛА АКЦИОНЕРОВ В СТРАНАХ ЕВРОСОЮЗА	62
Владимир Ингороква. НЕСКОЛЬКО ВОПРОСОВ О ПРАВАХ МИНОРИТАРНЫХ АКЦИОНЕРОВ	68
Паата Копалейшвили. О НЕКОТОРЫХ АКТУАЛЬНЫХ ПРОБЛЕМАХ БЕЗОПАСНОСТИ ТРУДА ГРАЖДАН ГРУЗИИ, ЗАНЯТЫХ В МЕЖДУНАРОДНОМ СУДОХОДСТВЕ	74
Лаша Шургая. НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОЙ ОСНОВЫ СТРАХОВАНИЯ	85
Мариам Мамулашвили. ПРОБЛЕМЫ УСЫНОВЛЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ПРАВОВОМ ПРОСТРАНСТВЕ	89
Мариам Беридзе. АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО КАК ОСОБАЯ ФОРМА ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОГО ЮРИДИЧЕСКОГО ЛИЦА	96
Маиа Туркия. СУБЪЕКТИВНЫЕ ФАКТОРЫ ТРУДНОВОСПИТУЕМОСТИ ДЕТЕЙ, ЛИШЕННЫХ ОПЕКИ	102
Давид Эбаноидзе. МЕХАНИЗМЫ СОБСТВЕННОСТИ И ЕЕ ЗАЩИТЫ	107

ПУБЛИЧНОЕ ПРАВО

Гиорги Горадзе. ДВУХСУБЪЕКТНЫЙ ФЕДЕРАЛИЗМ И ПРОБЛЕМА ГОСУДАРСТВЕННОЙ ЦЕЛОСТНОСТИ	113
Ираклий Габисония. АРЕСТ ИМУЩЕСТВА ПО НОВОМУ И СТАРОМУ НАЛОГОВОМУ КОДЕКСУ	126
Гиви Абашидзе. ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ПРОКУРОРА, ЕГО ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ПОЛОЖЕНИЕ И ФУНКЦИИ НА СТАДИИ СЛЕДСТВИЯ	132
Ани Шенгелия. ЭВТАНАЗИЯ – ПРЕСТУПЛЕНИЕ ИЛИ ПРАВО ЧЕЛОВЕКА, СВЯЗАННОЕ С ВОЛЕЙ К ЖИЗНИ	138
Важа Белтадзе. РОЛЬ ПРОКУРОРА В ДОСУДЕБНОМ ПРОИЗВОДСТВЕ	150
Кетеван Берекашвили. ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ЗАСЕКРЕЧИВАНИЯ ПУБЛИЧНОЙ ИНФОРМАЦИИ	156
Нино Угрехелидзе. ЗАКОНОДАТЕЛЬНАЯ БАЗА ЗАЩИТЫ ПЕРСОНАЛЬНЫХ ДАННЫХ В ГРУЗИИ	162
Мариам Ниаури. СУД ПРИСЯЖНЫХ	168
Севастьянова Татьяна Евгеньевна. ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ПРЕСТУПНЫХ ДЕЙСТВИЙ, СОВЕРШЕННЫХ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ	177
Гиви Абашидзе. ДИСКРЕЦИОННОЕ ПРАВОМОЧИЕ ПРОКУРОРА НА ОСУЩЕСТВЛЕНИЕ УГОЛОВНО-ПРАВОВОГО ПРЕСЛЕДОВАНИЯ	184

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Мераб Рапава. МЕЖДУНАРОДНОЕ ГУМАНИТАРНОЕ ПРАВО И ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ, ПРИМЕНЯЕМЫЕ ВО ВРЕМЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ	191
Мераб Рапава. НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ, НЕ НОСЯЩИХ МЕЖДУНАРОДНОГО ХАРАКТЕРА	197

ИСТОРИЯ ПРАВА

Вахтанг Сонгулашвили. РЕГУЛИРОВАНИЕ ОТНОШЕНИЙ ГОСУДАРСТВА И ЦЕРКВИ ПО „ДЗЕГЛИСЦЕРА“	203
Теймураз Дарсания. СУБЪЕКТИВНАЯ СОСТАВЛЯЮЩАЯ ПРЕСТУПЛЕНИЯ В КНИГЕ ЗАКОНОВ ВАХТАНГА VI	209

რედაქტორები: ლ. მამალაძე, მ. პრეობრაჟენსკაია, დ. ქურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა ხ. უნგიაძის

გადაეცა წარმოებას 03.10.2011. ხელმოწერილია დასაბეჭდად 02.12.2011. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

